

# საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი

## სისხლის სამართლის საქმეებზე

2008, # 11

### კ ე რ ძ ო

### ნ ა წ ი ლ ი

#### 1. ნარკოტიკული დანაშაული

- ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული საშუალების მოხმარება
- ნარკოტიკული საშუალების შექმნა, შენახვა, დამზადება
- სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ნარკოტიკული საშუალების გამოძალვა
- ნარკოტიკის საქართველოში შემოტანა

#### 2. სატრანსპორტო დანაშაული, ავტოავარია

#### 3. სამოხელეო დანაშაული

- სამსახურებრივი გულგრილობა
- სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება
- სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება

#### 4. თვითნებობა

#### 5. დანაშაული სასამართლო აქტების აღსრულების წინააღმდეგ

- სასჯელაღსრულების დაწესებულებაში აკრძალული ნივთის ტარება
- სასჯელაღსრულების დაწესებულების საქმიანობისათვის ხელის შეშლა

# 1. ნარკოტიკული დანაშაული

## განჩინება

#2030-აპ

30 იანვარი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),
- ზ. მეიშვილი,
- ლ. მურუსიძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ვ. კ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ბ. გ-ავას საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 12 ოქტომბრის განაჩენზე.

### აღწერილობითი ნაწილი:

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 25 აგვისტოს განაჩენით ვ. კ-ია ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით იმაში, რომ ჩაიდინა ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა და შენახვა, რაც გამოიხატა შემდეგში:

ვ. კ-იამ დაუდგენელ დროსა და ვითარებაში უკანონოდ შეიძინა ნარკოტიკული საშუალება - 0,0022 გრამი „ბუპრენორფინის“ შემცველი ხსნარი, რომელიც უკანონოდ შეინახა პერანგის წინა, მარჯვენა ჯიბეში და რაც 2006 წლის 2 ნოემბერს პირადი ჩხრევის შედეგად ამოიღეს პოლიციის თანამშრომლებმა.

აღნიშნული ქმედებისათვის ვ. კ-ის მიესაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რასაც დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელი - 2 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით და საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით და ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ; მსჯავრდებულს სასჯელის ათვლა დაეწყო 2007 წლის 27 მარტიდან. მას სასჯელის მოხდაში ჩაეთვალა დაკავების დრო - 2006 წლის 2 ნოემბრიდან 2006 წლის 4 ნოემბრამდე, სულ - 3 დღე.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ბ. გ-ავამ. მან ითხოვა გასაჩივრებული განაჩენის გაუქმება და ვ. კ-ის გამართლება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 12 ოქტომბრის განაჩენით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ამასთან, ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 25 აგვისტოს განაჩენი შეიცვალა:

ვ. კ-ის საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიესაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა; სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 და მე-5 ნაწილების საფუძველზე, დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 1 წლით, 7 თვითა და 2 დღით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით და საბოლოოდ განესაზღვრა 4 წლით, 7 თვითა და 2 დღით თავისუფლების აღკვეთა; მასვე დამატებითი სასჯელის სახით დაენიშნა ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით. მსჯავრდებულს სასჯელის ვადაში ჩაეთვალა დაკავებულად ყოფნის დრო - 3 დღე და სასჯელის ვადა აეთვალა 2007 წლის 25 აგვისტოდან.

კასატორი - მსჯავრდებულის ინტერესების დამცველი, ადვოკატი ბ. გ-ავა საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ კანონმდებლობის უხეში დარღვევით ძალაში დატოვა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს ასევე კანონის უხეში დარღვევით გამოტანილი განაჩენი; 2006 წლის 3 ნოემბერს ექსპერტმა თ. ჯ-ავამ თავისი დასკვნით ვ. კ-ისაგან ამოღებულ საინიექციო შპრიცში მოთავსებული თეთრი ფერის სითხე ცნო არანარკოტიკულ ნივთიერებად; გამომძიებელს არ დაუნიშნავს განმეორებითი ექსპერტიზა; განმეორებითი ექსპერტიზის დანიშვნა, რის თაობაზეც არ უცნობებიათ ვ. კ-ისათვის და რაც აუცილებელი იყო სსკ-ის 366-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა« ქვეპუნქტით, უკანონოა, ამიტომ ექსპერტიზის მომდევნო დასკვნა იწვევს ეჭვს და დაუშვებელი იყო ამის საფუძველზე ვ. კ-ისათვის ბრალდების წარდგენა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ადვოკატი ბ. გ-ავა ითხოვს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებას და ვ. კ-ის მიმართ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას.

### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილია და არც მსჯავრდებული უარყოფს, რომ ჰქონდა საინიექციო შპრიცში და შუშის ფლაკონში მოთავსებული სითხე, რაც ამოუღეს პირადი ჩხრევისას. ვ. კ-იამ მიუთითა, რომ აღნიშნული საგნები იპოვა, ათვლიერებდა, პოლიციელების გამოჩენისას შეეშინდა და შეინახა.

საქმის წინასწარი გამოძიებისას ექსპერტმა თ. ჯ-ავამ განმარტა, რომ სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხრეთ საექსპერტო-კრიმინალისტიკურ განყოფილებაში არ აქვთ ის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომლითაც შესაძლებელია ხსნარის დეტალური გამოკვლევა. ექსპერტიზისას გამოყენებული მეთოდით მან ვერ დაადგინა ხსნარში ნარკოტიკის არსებობა. თ. ჯ-ავამ მიუთითა, რომ უთხრა გამოძიებულს დამატებითი ექსპერტიზის ჩატარების მიზანშეწონილობის შესახებ.

2006 წლის 21 ნოემბერს ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნით დადგინდა, რომ ვ. კ-იასგან ამოღებულ შპრიცში არსებული ხსნარი შეიცავს 0,0021 გრამ ბუპრენორფინს.

სააპელაციო პალატამ სწორად აღნიშნა, რომ ექსპერტმა თ. ჯ-ავამ პირდაპირ მიუთითა თავისი დასკვნის არასრულყოფილებაზე და ასეთ ვითარებაში ექსპერტთა შორის აზრთა სხვადასხვაობაზე მითითება უსაფუძვლოა. გასაჩივრებულ განაჩენში ასევე სწორადაა აღნიშნული, რომ განმეორებით ჩატარებული ქიმიური ექსპერტიზის დასკვნა წარედგინათ მსჯავრდებულსა და მის დამცველს, რომლებსაც ამასთან დაკავშირებით რაიმე შუამდგომლობა არ განუცხადებიათ და არ არსებობს ამ დასკვნის დაუშვებელ მტკიცებულებად მიჩნევის საფუძველი, მიუხედავად იმისა, რომ მათ გასაცნობად არ წარედგინათ ამ ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ დადგენილება.

ამასთან, საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ ვ. კ-იას არ დაუნიშნა დამატებითი სასჯელი. მას ჯარიმა განესაზღვრა როგორც ძირითადი სასჯელი.

სააპელაციო პალატამ ვ. კ-იას წინა და ბოლო განაჩენით საბოლოოდ მიუსაჯა 4 წლით, 7 თვით და 2 დღით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო ჯარიმა დაუნიშნა დამატებით სასჯელად, რისი უფლებაც არ ჰქონდა, სსსკ-ის 540-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად.

გარდა ზემოაღნიშნულისა, სისხლის სამართლის საპროცესო კანონი არსებითად არ დარღვეულა (რამაც შეზღუდა მსჯავრდებულისა და მისი დამცველის უფლებები, ხელი შეუშალა საქმის ყოელმხრივ, სრულად და ობიექტურად განხილვას, გავლენა მოახდინა კანონიერი, საფუძვლიანი და სამართლიანი განაჩენის დადგენაზე), ხოლო ვ. კ-იას ქმედება სწორადაა დაკვალიფიცირებული.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

მსჯავრდებულ ვ. კ-იას ინტერესების დამცველის, ადვოკატ ბ. გ-ავას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 12 ოქტომბრის განაჩენიდან ამოირიცხოს მითითება დამატებით სასჯელად ჯარიმის - 2000 ლარის გადახდის დანიშვნის შესახებ და მსჯავრდებულ ვ. კ-იას საბოლოოდ მიესაჯოს 4 წლით, 7 თვითა და 2 დღით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწესოს 2007 წლის 25 აგვისტოდან.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **ნარკოტიკული დანაშაული**

#### **განჩინება**

#1488-აპ

5 მარტი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**მ. ოშარელი (თავმჯდომარე),**

**ლ. მურუსიძე,**

**ი. ტყეშელაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ე. ა-ოვის ინტერესების დამცველის, ადვოკატ დ. ჯ-ავასა და მსჯავრდებულ დ. ა-ოვის საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 4 ივლისის განაჩენზე.

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 17 აპრილის განაჩენით:

დ. ხ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა», «ბ», «დ» ქვეპუნქტებით, ამავე მუხლის მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით და მიესაჯა 14 წლით თავისუფლების აღკვეთა;

ე. ა-ოვი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა», «ბ», «დ» ქვეპუნქტებით, ამავე მუხლის მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით და მიესაჯა 13 წლით თავისუფლების აღკვეთა;

დ. ა-ოვი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა», «ბ», «დ» ქვეპუნქტებით, ამავე მუხლის მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით და მიესაჯა 14 წლით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულების - დ. ხ-შვილის, ე. ა-ოვისა და დ. ა-ოვის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

დ. ხ-შვილმა, ე. ა-ოვმა და დ. ა-ოვმა ერთად, გასაღების მიზნით, გამოძიებით დაუდგენელ სხვადასხვა დროსა და ვითარებაში, გამოძიებით დაუდგენელი პირისაგან უკანონოდ შეიძინეს და შეინახეს განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფის“ შემცველი 126 ცალი აბი და 4 ცალი აბის ნატეხი და დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“.

გატარებული ღონისძიებების შედეგად, 2006 წლის 13 ოქტომბერს, 19.40 საათზე, ქ. თბილისში, ცაბაძის ქ. #2 კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე, შს სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა დააკავეს დ. ხ-შვილი და ე. ა-ოვი, რომელთაც კანონით დადგენილი წესით ჩაუტარდათ პირადი ჩხრეკა. დ. ხ-შვილის პირადი ჩხრეკისას, მისი ქურთუკის შიდა ჯიბიდან ამოღებულ იქნა 21 ცალი აბი, რომელიც შეიცავს განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკულ საშუალება „ბუპრენორფინს“ - 0.1680 გრამის ოდენობით. იმავე ჯიბიდან ამოღებულია ვერცხლისფერ ქაღალდში გახვეული დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“, წონით 0.0461 გრამი. ე. ა-ოვის პირადი ჩხრეკისას, მისი ქურთუკის შიდა ჯიბიდან ამოღებულ იქნა 14 ცალი აბი, რომელიც შეიცავს დიდი ოდენობით ნარკოტიკულ საშუალება „ბუპრენორფინს“, საერთო წონით 0.1120 გრამს. იმავე ჯიბიდან ასევე ამოღებულ იქნა 2 ცალი აბის ნატეხი, რომელიც შეიცავს ნარკოტიკულ საშუალება „ბუპრენორფინს“, საერთო წონით 0.0077 გრამს. იმავე ჯიბიდან ამოღებულ იქნა ვერცხლისფერ ქაღალდში შეფუთული დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“, წონით 0.0595 გრამი.

იმავე დღეს, 20.40 საათზე, თავის დროებით საცხოვრებელ ბინაში, მდებარე ქ. თბილისში, ..., ბინა #97-ში შს სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა დააკავეს დ. ა-ოვი, რომელსაც, გადაუდებელი აუცილებლობის გამო, კანონით დადგენილი წესით ადგილზევე ჩაუტარდა პირადი ჩხრეკა, რა დროსაც მისი შარვლის უკანა, მარცხენა ჯიბიდან ამოღებულ იქნა 2 ცალადა, ვერცხლისფერ ქაღალდში ცალ-ცალკე დაფასოებული, ერთში - ოვალური ფორმის აბის 2 ნატეხი, რომელიც შეიცავს ნარკოტიკულ საშუალება „ბუპრენორფინს“ 0.0077 გრამის ოდენობით, ხოლო მეორეში - დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“, წონით 0.0502 გრამი. იმავე დღეს გაჩხრეკილ იქნა მისი მეორე დროებითი საცხოვრებელი ბინა, მდებარე ქ. თბილისში, ..., ბინა #93-ში, რის შედეგადაც მის საძინებელ ოთახში, ელექტროლუმლიდან ამოღებულ იქნა 91 ცალი აბი, რომელიც შეიცავს განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკულ საშუალება „ბუპრენორფინს“, საერთო წონით 0.7280 გრამის ოდენობით.

სულ დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებისაგან ამოღებულ იქნა მათ მიერ წინასწარი შეთანხმებით, უკანონოდ შეძენილი და შენახული 126 ცალი აბი და 4 ცალი აბის ნატეხი, საერთო წონით 1.0234 გრამი და დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“, საერთო წონით 0.1558 გრამი.

აღნიშნულ განაჩენში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 4 ივლისის განაჩენით შევიდა ცვლილება, კერძოდ:

მსჯავრდებულებს - დ. ხ-შვილს, ე. ა-ოვსა და დ. ა-ოვს ამოერიცხათ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა», «ბ», «დ» ქვეპუნქტებით წარდგენილი ბრალდება, როგორც ზედმეტად წარდგენილი.

დ. ხ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით და მიესაჯა 14 წლით თავისუფლების აღკვეთა;

ე. ა-ოვი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით და მიესაჯა 13 წლით თავისუფლების აღკვეთა;

დ. ა-ოვი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით და მიესაჯა 14 წლით თავისუფლების აღკვეთა.

მსჯავრდებულ ე. ა-ოვის ინტერესების დამცველი, ადვოკატი დ. ჯ-ავა საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენში ცვლილების შეტანას, კერძოდ: ე. ა-ოვის დამნაშავედ ცნობას საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის ზომად ამ დანაშაულისათვის განსაზღვრული სასჯელის მინიმუმის დანიშვნას.

მსჯავრდებული დ. ა-ოვი საკასაციო საჩივრით ითხოვს, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებების გათვალისწინებით, სასჯელის შემსუბუქებას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საქართველოს სსსკ-ის 567-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმე სრული მოცულობით, გაანალიზა საკასაციო საჩივრების მოტივთა საფუძვლიანობა და მიიჩნია, რომ საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა თვლის, რომ მსჯავრდებულების - დ. ხ-შვილის, დ. ა-ოვისა და ე. ა-ოვის ქმედებებში არ დასტურდება ნარკოტიკული საშუალებების გასაღების მიზანი, კერძოდ, საქმის წინასწარი და სასამართლო გამოძიების პროცესში დაკითხულ პოლიციელებს არ დაუსახელებით მსჯავრდებულების მიერ ნარკოტიკული საშუალების გასაღების არც ერთი ფაქტი. რაიმე უტყუარი მტკიცებულება, რაც მიანიშნებს გასაღების მიზანზე, ბრალდების მხარეს არ წარმოუდგენია და არც პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოებს გამოუკვლევიათ. საქართველოს სსსკ-ის 496-ე მუხლის მეცამე ნაწილისა და 508-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, განაჩენში ჩამოყალიბებული ყველა დასკვნა დასაბუთებული უნდა იყოს. გამამტყუნებელ განაჩენში აღნიშნული უნდა იყოს მტკიცებულება, რომელსაც ემყარება სასამართლოს დასკვნა. კანონის აღნიშნულ მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ, სააპელაციო სასამართლომ განაჩენში არ დაასაბუთა, თუ რა გარემოე ბებზე დაყრდნობით ჩათვალა მსჯავრდებულების ქმედებაში ნარკოტიკული საშუალების გასაღების მიზნის არსებობა და ასეთი ფორმულირება მსჯავრდებულებს შეერაცხათ სამართლებრივი შეფასების გარეშე.

გასაჩივრებული განაჩენით დადასტურებულად იქნა მიჩნეული, რომ მსჯავრდებულებმა - დ. ხ-შვილმა, ე. ა-ოვმა და დ. ა-ოვმა ჩაიდინეს ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვა წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფურად, მაშინ, როდესაც საქმის მასალებით უტყუარად არ დასტურდება დ. ხ-შვილისა და ე. ა-ოვის მიერ ჯგუფურად ნარკოტიკული საშუალების შეძენის ფაქტი დ. ა-ოვთან ერთად, რაც ჩხრევისას აღმოაჩნდათ.

საქმეში არსებული მტკიცებულებებით: მოწმეების - ა. მ-შვილის, გ. რამაზაშვილის, ლ. კ-ანის ჩვენებებით, ქიმიური და ნარკოლოგიური ექსპერტიზების დასკვნებით, დაკავების, პირადი ჩხრევისა და ამოღების ოქმებით, ასევე საქმეში არსებული სხვა მასალებით უტყუარად არის დადასტურებული მსჯავრდებულების მიერ ნარკოტიკული საშუალების არაერთგზის შეძენა-შენახვის ფაქტი. ამავე მტკიცებულებებით, რაც განაჩენით საფუძვლად უდევს დ. ხ-შვილის, ე. ა-ოვისა და დ. ა-ოვის მიერ ჯგუფურად ნარკოტიკების შეძენას, დასტურდება მხოლოდ დ. ხ-შვილისა და ე. ა-ოვის მიერ ჯგუფურად ნარკოტიკული საშუალებების შეძენა. ასევე აღნიშნული ბრალდება დასტურდება იმ მტკიცებულებებითაც, რომ დ. ხ-შვილი და ე. ა-ოვი ერთად დააკავეს მანქანაში, რა დროსაც თითოეულს ცალ-ცალკე აღმოაჩნდა ერთი და იმავე სახეობის ნარკოტიკული საშუალება; აღნიშნული დასტურდება ასევე მსჯავრდებულთა დაკავებამდე და დაკავების დღეს - 2006 წლის 6, 9, 10 და 13 ოქტომბერს განხორციელებული სატელეფონო საუბრების ჩანაწერებით, რომლებითაც უდავოდ დგინდება მათი ერთიანი მიზანი და საერთო განზრახვა, რაც მეტყველებს მათ მიერ კონკრეტული ქმედების ჯგუფურად ჩადენაზე. აქ მოხდა არსებული მტკიცებულებების ობიექტურ შეფასებას.

რაც შეეხება დ. ა-ოვის ბინისა და პირადი ჩხრევისას ამოღებულ ნარკოტიკულ საშუალებებს - 0.0077 გრამ „ბუპრენორფინს“, 0.0502 გრამ „ჰეროინს“ და 0.7280 გრამ „ბუპრენორფინს“, საკასაციო პალატა თვლის, რომ აღნიშნული ნარკოტიკული საშუალებების შეძენა და შენახვა არ შეიძლება შეერაცხოდ დ. ხ-შვილსა და ე. ა-ოვს, ვინაიდან მათთან ამ უკანასკნელის შემხებლობა საქმის მასალებით უტყუარად არ დასტურდება. ამავე საფუძველით, დ. ა-ოვს არ შეიძლება ბრალად შეერაცხოს დ. ხ-შვილისა და ე. ა-ოვისაგან ამოღებული ნარკოტიკული საშუალებების შეძენა-შენახვის ფაქტი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ დ. ხ-შვილსა და ე. ა-ოვს მსჯავრი უნდა დაედოთ მხოლოდ იმ ნარკოტიკული საშუალების სახეობისა და ოდენობის მიხედვით, რაც მათ ერთობლივად უშუალოდ აღმოაჩნდათ, ხოლო დ. ა-ოვს მსჯავრი უნდა დაედოს მხოლოდ იმ ნარკოტიკული საშუალების სახეობისა და ოდენობის მიხედვით, რაც მას პირადი და ბინის ჩხრევისას აღმოაჩნდა.

ამდენად, მსჯავრდებულ დ. ა-ოვს ბრალდების ფორმულირებიდან უნდა ამოერიცხოს მაკვალიფიცირებელი გარემოება - წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ.

რადგან დ. ხ-შვილისა და ე. ა-ოვისაგან, ასევე, დ. ა-ოვისაგან ამოღებული ნარკოტიკული საშუალება წარმოადგენს განსაკუთრებით დიდ ოდენობას, ხოლო მათ მიერ ჩადენილი ქმედების სამართლებრივი კვალიფიკაცია კანონიერია და დანიშნული სასჯელიც შეესაბამება მათ მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების სიმძიმესა და პიროვნებებს, განაჩენი ამ ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, 567-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 568-ე მუხლით და

## და ა დ გ ი ნ ა :

საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 4 ივლისის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

განაჩენიდან მსჯავრდებულების - დ. ხ-შვილის, ე. ა-ოვისა და დ. ა-ოვის მიმართ ამოირიცხოს მითითება ნარკოტიკული საშუალებების გასაღების მიზნით შეძენასა და შენახვაზე.

მსჯავრდებულ დ. ა-ოვს ბრალდების ფორმულირებიდან ამოირიცხოს მაკვალიფიცირებელი გარემოება - წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## ნარკოტიკული დანაშაული

### განჩინება

#1601-აპ

5 მარტი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),**

**ლ. მურუსიძე,**

**დ. სულაქველიძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ მ. ს-შვილის ინტერესების დამცველის, ადვოკატი ი. თ-უას საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 13 ივლისის განაჩენზე.

### აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 29 მარტის განაჩენით მ. ს-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, მე-19, 260-ე მუხლის პირველი ნაწილით - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულ მ. ს-შვილის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

2007 წლის 8 იანვარს მ. ს-შვილმა განიზრახა ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანას“ გასაღება გამოიძიებით დაუდგენელ პირზე. თავისი მართლსაწინააღმდეგო განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, იგი შვილთან - ლ. ს-შვილთან ერთად ქ. თბილისში, მეტროს სადგურ „ნაძალადევის“ მიმდებარე ტერიტორიაზე მივიდა. მ. ს-შვილმა შვილს პოლიეთილენის პარკი მისცა, რომელშიც სხვა ნივთებთან ერთად მოთავსებული იყო 8,6 გრამი ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანა“, მაგრამ აღნიშნულის შესახებ შვილისათვის არ უთქვამს და სთხოვა, რომ პოლიეთილენის პარკი მეტროს სადგურ „ნაძალადევის“ ტერიტორიაზე მყოფ, ვინმე «რობიზონისათვის» გადაეცა, რაზეც მან თანხმობა განუცხადა. დედას პოლიეთილენის პარკი გამოართვა, მაგრამ, მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, ვინმე «რობიზონს» ვერ გადასცა, ვინაიდან იგი დააკავეს პოლიციის თანამშრომლებმა. ჩატარებული პირადი ჩხრეკისას მ. ს-შვილისაგან ამოიღეს ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანა“. ასევე გადაუდებელი აუცილებლობის გამო ჩატარდა მ. ს-შვილის ბინის ჩხრეკა, საიდანაც ამოიღეს 38.1 გრამი ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანა“, რის საფუძველზე იგი დააკავეს.

აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა მ. ს-შვილმა და პროკურორმა გ. გ-შვილმა. მსჯავრდებულ მ. ს-შვილი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა სასჯელის შემსუბუქებას, ხოლო პროკურორი - სასჯელის გამკაცრებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 13 ივლისის განაჩენით არ დაკმაყოფილდა მსჯავრდებულის სააპელაციო საჩივარი, დაკმაყოფილდა პროკურორის სააპელაციო საჩივარი და თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 29 მარტის განაჩენში შევიდა ცვლილება, კერძოდ:

მ. ს-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით - 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, მე-19, 260-ე მუხლის პირველი ნაწილით - 3 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა.

მსჯავრდებულ მ. ს-შვილის ინტერესების დამცველი, ადვოკატი ი. თ-უა საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენში ცვლილების შეტანას იმ მიმართებით, რომ მ. ს-შვილს პასუხისმგებლობა დაეკისროს

საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით, როგორც ერთიანი განგრძობადი დანაშაულის ჩადენისათვის, ვინაიდან მსჯავრდებულმა ნარკოტიკული ნივთიერება შეიძინა და შეინახა იმ მიზნით, რომ მოეხდინა მისი შემდგომი რეალიზება, მას ამოძრავებდა ერთიანი მიზანი და საერთო განზრახვა. ადვოკატი მ. ს-შვილის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებების გათვალისწინებით, ითხოვს მსჯავრდებულისათვის დანიშნული სასჯელის ზომის შემცირებას.

**სამოტივაციო ნაწილი:**

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, საკასაციო საჩივრის მოტივთა საფუძვლიანობა და მიიჩნია, რომ საჩივრის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით, მსჯავრდებულის აღიარებითი ჩვენებით, მოწმე ლ. ს-შვილის დაკითხვის ოქმით, ამოღებული ნივთმტკიცებებით, ჩხრეკის ოქმებით, ქიმიური ექსპერტიზის დასკვნით, მ. ს-შვილის მიერ მასზე ბრალად შერაცხული დანაშაულის ჩადენა დადასტურებულია, რასაც სადავოდ არც საკასაციო საჩივარი ხდის.

რაც შეეხება გასაჩივრებული განაჩენით მსჯავრდებულ მ. ს-შვილის მიმართ დანიშნულ სასჯელს, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული შემდეგი გარემოება: მის მიერ ქმედების ჩადენის დროს მოქმედი კანონის შესაბამისად, ვინაიდან სახეზე იყო არაერთგზისი დანაშაული, მიუხედავად იმისა, რომ ორი ეპიზოდისა და ერთი დამთავრებულ დანაშაულს წარმოადგენდა, ხოლო მეორე - დანაშაულის მცდელობას, მსჯავრდებულს უნდა დანიშნონდა ერთი სასჯელი. წინააღმდეგ შემთხვევაში, აღნიშნული ქმედებების გამო, თითოეული მათგანისათვის სასჯელის ცალ-ცალკე დანიშვნით, როგორც ეს გააკეთა სააპელაციო სასამართლომ, დაირღვა სისხლის სამართლის ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპი ქმედების სიმძიმისა და სასჯელის თანაზომობის თაობაზე, რადგან მსგავს შემთხვევაში, თუკი მეორე ეპიზოდშიც დანაშაულის მცდელობის ნაცვლად მ. ს-შვილი ჩაიდენდა უფრო მძიმე ქმედებას - დამთავრებულ დანაშაულს, მაშინ მთლიანობაში კვალიფიკაცია განისაზღვრებოდა ერთი მუხლით - არაერთგზისობის ნიშნის საფუძველზე და მსჯავრდებულ მ. ს-შვილის მიმართ დანიშნებოდა ერთი სასჯელი, ე.ი. უფრო მსუბუქი სასჯელი, ვიდრე დაინიშნა შედარებით ნაკლები სიმძიმის ქმედებისათვის.

საკასაციო პალატა თვლის, რომ სათანადო ცვლილება უნდა შევიდეს გასაჩივრებული განაჩენის სასჯელის ნაწილშიც, კერძოდ, მსჯავრდებულ მ. ს-შვილს ჩადენილი დანაშაულისათვის უნდა დაენიშნოს ერთი სასჯელი, რომლის ზომა არ შეიძლება აღემატებოდეს აღნიშნული განაჩენით უფრო მძიმე ქმედებისათვის მის მიმართ დანიშნულ სასჯელს - 5 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთას. ვინაიდან საქმეში არ მოიპოვება სამართლებრივი საფუძველი მსჯავრდებულ მ. ს-შვილის მიმართ კანონით გათვალისწინებული სასჯელის მინიმუმის დანიშვნისათვის, საკასაციო საჩივრის მოთხოვნა სასჯელის შემსუბუქების თაობაზე შეიძლება დაკმაყოფილდეს მხოლოდ ნაწილობრივ - იმ თვალსაზრისით, რომ გასაჩივრებულ განაჩენში შეტანილი ცვლილების შედეგად მას გარკვეული ზომით უმცირდება ამ განაჩენით თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 13 ივლისის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულ მ. ს-შვილის მიმართ.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

**და ა ა დ გ ი ნ ა :**

საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 13 ივლისის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

მსჯავრდებულ მ. ს-შვილს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილისა და მე-19, 260-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე სასჯელის ზომად განესაზღვროს 5 წლით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## ნარკოტიკული დანაშაული

### განჩინება

#1553-აპ

11 მარტი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

ი. ტყეშელაშვილი (თავმჯდომარე),  
ლ. მურუსიძე,  
მ. ოშხარელი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულების - გ. კ-შვილისა და ხ. მ-შვილის ინტერესების დამცველი ადვოკატების - ნ. კ-იას, თ. კ-ძის, გ. ს-ძისა და კ. ხ-ანის საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 21 ივნისის განაჩენზე.

#### აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 20 დეკემბრის განაჩენით: გ. კ-შვილი და ხ. მ-შვილი ცნობილ იქნენ დამნაშავეებად საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებითა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით იმაში, რომ წინასწარი შეთანხმებით ჯგუფურად ჩაიდინეს დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა-შენახვა და ასევე ჯგუფურად განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა-შენახვა.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

გ. კ-შვილმა და ხ. მ-შვილმა პირადი მოხმარებისა და გასაღების მიზნით განიზრახეს ერთდროულად დიდი ოდენობით «ჰეროინისა» და განსაკუთრებით დიდი ოდენობით «ბუპრენორფინის» შემცველი პრეპარატის უკანონოდ შექმნა. ამისათვის მათ დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, დაუდგენელი პირისაგან უკანონოდ შეიძინეს დიდი ოდენობით «ჰეროინი» და განსაკუთრებით დიდი ოდენობით «ბუპრენორფინის» შემცველი პრეპარატი. ამ ნივთიერებათა ნაწილს გ. კ-შვილი და ხ. მ-შვილი ინახავდნენ გ. კ-შვილის ბინაში, ხოლო «ბუპრენორფინის» შემცველი პრეპარატის ნაწილს კი - პირადად.

2006 წლის 16 მაისს ხ. მ-შვილი და გ. კ-შვილი მოძრაობდნენ ავტომანქანა «BM3»-თი, რა დროსაც ისინი დააკავეს პოლიციელებმა. პირადი ჩხრეკისას გ. კ-შვილს აღმოაჩნდა ორი ოვალური აბი წარწერით «B8», ხოლო ხ. მ-შვილს - ასეთივე 8 აბი. გარდა ამისა, გ. კ-შვილის ბინიდან ამოიღეს 11 აბი წარწერით «B8» და აბის ნატეხი წარწერით «B». ასევე ამოღებულ იქნა ე.წ. წონაკად დაფასობული ფხვნილისებრი ნივთიერება.

მთლიანობაში, გ. კ-შვილისა და ხ. მ-შვილისაგან ამოიღეს მათ მიერ გასაღების მიზნით შექმნილი 0,1651 გრამი «ბუპრენორფინის» შემცველი აბები და 0,149 გრამი «ჰეროინი».

აღნიშნული ქმედებისათვის გ. კ-შვილსა და ხ. მ-შვილს განესაზღვრათ 14-14 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყოთ 2006 წლის 16 მაისიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულების ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა - გ. ს-ძემ და რ. კ-შვილმა.

აპელანტებმა მოითხოვეს ხ. მ-შვილისა და გ. კ-შვილის დამნაშავედ ცნობა მხოლოდ სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით და სასჯელის მინიმუმის დანიშვნა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 21 ივნისის განაჩენით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

კასატორები საკასაციო საჩივრებში აღნიშნავენ, რომ სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა ნარკოტიკული საშუალების გასაღების მიზანთან დაკავშირებით. პოლიციის მუშაკების ჩვენებებით ირკვევა, რომ მათ ჰქონდათ ინფორმაცია გ. კ-შვილისა და ხ. მ-შვილის მიერ ნარკოტიკების შექმნა-შენახვასა და გასაღების თაობაზე, მაგრამ მათ არ დაუსახელებიათ გასაღების არცერთი ფაქტი. სხვა რაიმე მტკიცებულება ნარკოტიკების გასაღების ბრალდებასთან დაკავშირებით არ არსებობს. მოცემულ შემთხვევაში მსჯავრდებულებს გასაღების მიზანი ბრალად შეერაცხათ სამართლებრივი შეფასების გარეშე. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ გ. კ-შვილსა და ხ. მ-შვილს ბრალად შერაცხა ის დანაშაული, რაც ბრალდების ფორმულირებით არ ჰქონდათ შერაცხული და უკანონოდ დაუმძიმა ბრალი. დანაშაულის ჯგუფურად ჩადენის თაობაზე თავის დასკვნას სასამართლომ საფუძვლად დაუდო ვარაუდი და ეჭვი, რითაც დაარღვია სსკ-ის მე-10 მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილების და 503-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნები.

ხ. მ-შვილმა გულწრფელად აღიარა, რომ ჩაიდინა სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაული და განმარტა, რომ ნარკოტიკები გ. კ-შვილთან ერთად არ შეუქმენია, შესაბამისად, არ იცოდა, რომ გ. კ-შვილს სახლშიც ჰქონდა ნარკოტიკული ნივთიერება.

სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ ჩათვალა, რომ ორივე მსჯავრდებულისაგან ამოღებული ნარკოტიკული ნივთიერებები მათ წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფურად შეიძინეს. ამასთან, გ. კ-



შვილისაგან პირადი და ბინის ჩხრეკისას ამოღებული «ბუპრენორფინის» ოდენობა 0,1079 გრამია, რაც არ წარმოადგენს განსაკუთრებით დიდ ოდენობას. გარდა ამისა, ფარული აუდიო ჩანაწერი არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს მტკიცებულებად, რადგან ფირი საქმეს არ ეერთოდა. ამის მიუხედავად, ამ ჩანაწერებში საუბარი არ არის ნარკოტიკების შეძენა-მოხმარებაზე ან გასაღებაზე.

აქედან გამომდინარე, კასატორები ითხოვენ გ. კ-შვილის მიმართ სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით ბრალდების ნაწილში საქმის შეწყვეტას, ხოლო 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით - 6 წლით თავისუფლების აღკვეთის დანიშვნას, საიდანაც მსჯავრდებულს 1 წელი და 6 თვე უნდა ჩათვალოს პირობით.

მსჯავრდებულ ხ. მ-შვილის ადვოკატები ითხოვენ თავიანთი დაცვის ქვეშ მყოფის მიმართ სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით ბრალდების ნაწილში საქმის შეწყვეტას, ხოლო 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით - სასჯელის მინიმუმის დანიშვნას, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებების გათვალისწინებით.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრების საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ისინი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა თვლის, რომ გ. კ-შვილის და ხ. მ-შვილის ქმედებებში არ დასტურდება ნარკოტიკული საშუალებების გასაღების მიზანი. კერძოდ, საქმის წინასწარი და სასამართლო გამოძიების პროცესში დაკითხულ პოლიციელებს არ დაუსახელებიათ მსჯავრდებულების მიერ ნარკოტიკული საშუალების გასაღების არცერთი ფაქტი. რაიმე უტყუარი მტკიცებულება, რაც მიანიშნებს გასაღების მიზანზე, ბრალდების მხარეს არ წარმოუდგენია და არც პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოებს გამოუვლევიათ. საქართველოს სსკ-ის 496-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და 508-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, განაჩენში ჩამოყალიბებული ყველა დასკვნა დასაბუთებული უნდა იყოს. გამამტყუნებელ განაჩენში აღნიშნული უნდა იყოს მტკიცებულება, რომელსაც ემყარება სასამართლოს დასკვნა. კანონის აღნიშნულ მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ, სააპელაციო სასამართლომ განაჩენში არ დაასაბუთა, თუ რა გარემოებებზე დაყრდნობით ჩათვალა მსჯავრდებულების ქმედებაში ნარკოტიკული საშუალების გასაღების მიზნის არსებობა და ასეთი ფორმულირება მსჯავრდებულებს შეერაცხათ სამართლებრივი შეფასების გარეშე.

საკასაციო პალატა ეთანხმება ადვოკატების - გ. ს-მის და კ. ხ-ანის საკასაციო საჩივრის მოტივის იმის შესახებ, რომ ხ. მ-შვილს არ ჩაუდენია საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქმედება, მაგრამ არ იზიარებს მოტივს იმის შესახებ, რომ მას არ ჩაუდენია ამ მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაული. პალატა ასევე არ იზიარებს ადვოკატების - ნ. კ-ის და თ. კ-მის საჩივრის მოტივს იმის შესახებ, რომ გ. კ-შვილს არ ჩაუდენია ამავე მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაული, შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ სწორად მიუთითა, რომ ხ. მ-შვილი და გ. კ-შვილი არიან ნარკოტიკების მომხმარებლები, ისინი დაავადებული არიან ნარკომანიით და ერთად დააკავეს ერთი სახეობის ნარკოტიკული საშუალებებით, მსჯავრდებულთა დაკავების დღეს - 2006 წლის 16 მაისს განხორციელებული სატელეფონო საუბრების ჩანაწერებით უდავოდ დგინდება მათი ერთიანი განზრახვა, რაც მეტყველებს მათ მიერ კონკრეტული ქმედების ჯგუფურად ჩადენაზე. აქ ადგილი აქვს საქმეში არსებული მტკიცებულებების ობიექტურ შეფასებას.

რაც შეეხება გ. კ-შვილის ბინაში აღმოჩენილ 0,0919 გრ. «ბუპრენორფინს» და 0,149 გრ. «ჰეროინს», სასამართლო პალატა თვლის, რომ აღნიშნული ნარკოტიკული საშუალებების შეძენა და შენახვა არ შეიძლება შეერაცხოს ხ. მ-შვილსაც, ვინაიდან მათთან ამ უკანასკნელის შემხებლობა საქმის მასალებით არ დასტურდება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გასაჩივრებული განაჩენიდან გ. კ-შვილის და ხ. მ-შვილის მიმართ უნდა ამოირიცხოს მითითება გასაღების მიზნით ნარკოტიკული საშუალებების შეძენა-შენახვაზე. ამასთან, უდავოდ დადგენილია, რომ გ. კ-შვილმა წინასწარი შეთანხმებით ჯგუფურად და დიდი ოდენობით შეიძინა და შეინახა ნარკოტიკული საშუალება. მანვე დამოუკიდებლად შეიძინა და შეინახა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება.

პალატა აღნიშნავს, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის ყოველი მომდევნო ნაწილი მოიცავს წინას, რის გამოც გასაჩივრებული განაჩენიდან გ. კ-შვილის მიმართ უნდა ამოირიცხოს აღნიშნული მუხლის მე-2 ნაწილის «ა» და «ბ» ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მსჯავრი და გ. კ-შვილის ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით.

გასაჩივრებული განაჩენიდან ხ. მ-შვილის მიმართ უნდა ამოირიცხოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით გათვალისწინებული მსჯავრი და მისი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს 2007 წლის 3 აგვისტომდე მოქმედი სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» და «ბ» ქვეპუნქტებით, შესაბამისად, ხ. მ-შვილს უნდა შეუმსუბუქდეს სასჯელი.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილით, 568-ე მუხლით და

**და ა ა დ გ ი ნ ა:**

მსჯავრდებულ გ. კ-შვილის ინტერესების დამცველი ადვოკატების - ნ. კ-იას და თ. კ-ძის, მსჯავრდებულ ხ. მ-შვილის ინტერესების დამცველი ადვოკატების - გ. ს-ძისა და კ. ხ-ანის საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 21 ივნისის განაჩენიდან გ. კ-შვილისა და ხ. მ-შვილის მიმართ ამოირიცხოს მითითება ნარკოტიკული საშუალებების გასაღების მიზნით შეძენასა და შენახვაზე;

გასაჩივრებული განაჩენიდან გ. კ-შვილის მიმართ ამოირიცხოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» და «ბ» ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მსჯავრი;

განაჩენი გაუქმდეს ხ. მ-შვილის სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით მსჯავრდების ნაწილში და ამ ნაწილში მის მიმართ უშეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა;

ხ. მ-შვილს საქართველოს 2007 წლის 3 აგვისტომდე მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» და «ბ» ქვეპუნქტებით მიესაჯოს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში, მათ შორის, მსჯავრდებულ გ. კ-შვილისათვის დანიშნული სასჯელი, დარჩეს უცვლელად

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული საშუალების მოხმარება**

**განჩინება**

#167-აპ

21 აპრილი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

- ი. ტყეშელაშვილი (თავმჯდომარე),**
- ლ. მურუსიძე,**
- დ. სულაქველიძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ დ. ჟ-ტისა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ნ. ბ-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 27 დეკემბრის განაჩენზე.

**აღწერილობითი ნაწილი:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 22 ნოემბრის განაჩენით დ. ჟ-ტი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით იმაში, რომ ჩაიდინა ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება, ჩადენილი ასეთი დანაშაულისათვის ნასამართლევი პირის მიერ, რაც გამოიხატა შემდეგში:

დ. ჟ-ტი 2007 წლის 2 აგვისტოს გაასამართლა თბილისის საქალაქო სასამართლომ და სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების ჩადენისათვის მიუსაჯა 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც ჩაუთვალა პირობით, 1 წლის გამოსაცდელი ვადით. მსჯავრდებულს დამატებით სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით.

გამოსაცდელი ვადის გასვლამდე დ. ჟ-ტმა დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, დაუდგენელი პირისაგან, უკანონოდ შეიძინა მცირე ოდენობით «ბუპრენორფინის» შემცველი ნარკოტიკული საშუალება, რაც ასევე უკანონოდ მოიხმარა. 2007 წლის 26 ოქტომბერს, დაახლოებით 20 საათზე დ. ჟ-ტი დააკავეს პოლიციელებმა და წარადგინეს შსს-ს საექსპერტო-კრიმინალისტიკურ მთავარ სამმართველოში, სადაც გამოკვლევის შედეგად დაუდგინდა «ბუპრენორფინის» შემცველი ნარკოტიკული საშუალების მიღების ფაქტი.

აღნიშნული ქმედებისათვის დ. ჟ-ტს მიესაჯა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რასაც დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელი და საბოლოოდ განესაზღვრა 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყო 2007 წლის 26 ოქტომბრიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა და მისმა ადვოკატმა. აპელანტებმა ითხოვეს სასჯელის შემსუბუქება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 27 დეკემბრის განაჩენით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი დ. ჟ-ტის მიმართ დარჩა უცვლელად.

კასატორები - მსჯავრდებული და ინტერესების დამცველი ადვოკატი საკასაციო საჩივარში აღნიშნავენ, რომ სააპელაციო სასამართლომ ზეპირი მოსმენის გარეშე, დაცვის მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების უგულვებელყოფით, უცვლელად დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი.

დ. ჟ-ტმა საქმის წინასწარი და სასამართლო გამოძიებისას წარდგენილ ბრალდებაში თავი სრულად ცნო დამნაშავედ, გულწრფელად ინანიებდა და ინანიებს ჩადენილ დანაშაულს, დაავადებულია «ჩ» ჰეპატიტით და საჭიროებს ინტენსიურ მკურნალობას, ჰყავს მეუღლე და ორი მცირეწლოვანი შვილი, ხასიათდება დადებითად, რაც სააპელაციო სასამართლოს არ გაუთვალისწინებია და შემამსუბუქებელი გარემოებების გაუთვალისწინებლად უცვლელად დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი.

კასატორის აზრით, მოცემულ შემთხვევაში უკანონოა პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად ნასამართლობის მითითება.

ამდენად, კასატორები ითხოვენ გასაჩივრებული განაჩენის მსჯავრდებულის სასიკეთოდ შეცვლას და დ. ჟ-ტისათვის დანიშნული სასჯელის - 1 წლით თავისუფლების აღკვეთის ჯარიმით შეცვლას.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და თვლის, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დ. ჟ-ტის მიერ სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების ჩადენა უდავოდ დადასტურებულია საქმეში არსებული და სასამართლო სხდომაზე გამოკვლეული მტკიცებულებებით, რაც საკმარისია საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად. ამდენად, სააპელაციო პალატის განაჩენი დადგენილია საქართველოს სსსკ-ის 496-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნათა დაცვით და იგი დასაბუთებულია.

ამავე კოდექსის 475-ე მუხლის მე-9 ნაწილის შესაბამისად, სასამართლო იკვლევს იმ მტკიცებულებებსაც, რომლებიც ახასიათებს განსასჯელის (მსჯავრდებულის) პიროვნებას, შეეხება პასუხისმგებლობის დამამძიმებელ და შემამსუბუქებელ გარემოებებს.

პირველი ინსტანციის სასამართლომ დ. ჟ-ტის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად მიიჩნია მხოლოდ ის, რომ მან აღიარა და მოინანია ჩადენილი დანაშაული. ამასთან, პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად სასამართლომ მიიჩნია დანაშაულის ჩადენა გამოსაცდელი ვადის გასვლამდე.

აპელანტები თავიანთ საჩივარში მიუთითებდნენ მსჯავრდებულის მახასიათებელ და პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ მთელ რიგ გარემოებებზე, მათ შორის იმაზე, რომ დ. ჟ-ტს ჰყავს მეუღლე და ორი მცირეწლოვანი შვილი, ხასიათდება დადებითად და ა.შ. აღნიშნულის დამადასტურებელი მასალები თან ერთვოდა სააპელაციო საჩივარს.

ამასთან დაკავშირებით სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სასჯელის დანიშვნისას სათანადოდ შეაფასა მსჯავრდებულის პიროვნება, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები და ისე განუსაზღვრა სასჯელი.

საქართველოს სსსკ-ის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, საქმის გარემოებათა გამოკვლევა უნდა იყოს ყოველმხრივი, სრული და ობიექტური, რაც ასევე გულისხმობს, რომ ერთნაირი გულმოდგინებით უნდა გაირკვეს პირის პასუხისმგებლობის როგორც დამამძიმებელი, ისე შემამსუბუქებელი გარემოებები. ეს კი მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს არ გაუკეთებია.

მსჯავრდებულის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებების სათანადოდ შეუფასებლობამ გავლენა მოახდინა სამართლიანი განაჩენის დადგენაზე, რაც, სსსკ-ის 563-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, სისხლის სამართლის საპროცესო კანონის არსებითი დარღვევაა.

ამასთან პალატა აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ არასწორად ჩათვალა პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად გამოსაცდელი ვადის გასვლამდე დანაშაულის ჩადენა, კერძოდ:

დ. ჟ-ტს ბრალი დაედო იმაში, რომ, იყო რა ნასამართლევი სსსკ-ის 273-ე მუხლით, ექიმის დანიშნულების გარეშე, უკანონოდ მოიხმარა ნარკოტიკული საშუალება.

სსსკ-ის 79-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტის შესაბამისად, პირობით მსჯავრდებულის ნასამართლობა გაქარწყლდება გამოსაცდელი ვადის გასვლის შემდეგ. ამდენად, გამოსაცდელი ვადის გასვლის შემთხვევაში დ. ჟ-ტი ვერ ჩათვლებოდა იმ პირად, რომელიც ნასამართლევი იყო სსსკ-ის 273-ე მუხლით. სსსკ-ის 273-ე მუხლის შემადგენლობის ეს ნიშანი ბრალად აქვს შერაცხული მსჯავრდებულს და მისი პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად მითითება, სსსკ-ის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, არასწორია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას, რომელმაც გადაწყვეტილება უნდა მიიღოს განჩინებაში მითითებული გარემოებების გათვალისწინებით.

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით, 570-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და

**და ა ა დ გ ი ნ ა :**

მსჯავრდებულ დ. ჟ-ტისა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ნ. ბ-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 27 დეკემბრის განაჩენი დ. ჟ-ტის მიმართ და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## ნარკოტიკული დანაშაული

### განჩინება

#1803-აპ

24 აპრილი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე),**

**დ. სულაქველიძე,**

**ი. ტყემელაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ო. მ-ძის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატის 2007 წლის 6 სექტემბრის განაჩენზე, რომლითაც ო. მ-ძე ცნობილ იქნა ბრალეულად საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით, 236-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენაში.

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

საბრალდებო დასკვნით ო. მ-ძეს ბრალი დაედო იმაში, რომ ჩაიდინა ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა და შენახვა. მანვე ჩაიდინა ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შექმნა, შენახვა და დამზადება.

აღნიშნული გამოიხატა შემდეგში:

ო. მ-ძემ დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, უკანონოდ შეიძინა ნარკოტიკული საშუალება «მარიხუანა» 19 გრამის ოდენობით, რომელსაც ასევე უკანონოდ ინახავდა შარვლის უკანა, მარცხენა ჯიბეში, რაც მისგან ამოღებულ იქნა 2007 წლის 30 მარტს ჩატარებული პირადი ჩხრეკის შედეგად.

მანვე დაუდგენელ დროსა და ვითარებაში შეიძინა 16 მმ კალიბრიანი, საქარხნო წესით დამზადებული #39583 ორლულიანი სანადირო თოფი, რის შემდეგ ასევე დაუდგენელ დროსა და ვითარებაში აღნიშნული თოფის ლულისა და კონდახის გადაჭრის გზით მართლსაწინააღმდეგოდ დაამზადა ცეცხლსასროლი იარაღი, ე.წ «აბრეზი», რაც მისგან შსს ზუგდიდის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა ამოიღეს 2007 წლის 30 მარტს ჩატარებული პირადი ჩხრეკის შედეგად.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 7 ივნისის განაჩენით ო. მ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით, 236-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენაში და მას საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვრა 18 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

აპელანტმა, მსჯავრდებულმა ო. მ-ძემ და მისმა ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა თ. ჯ-უამ სააპელაციო საჩივრით მოითხოვეს გასაჩივრებულ განაჩენში, სასჯელის ნაწილში ცვლილების შეტანა, კერძოდ, მსჯავრდებულისათვის 6 წლით თავისუფლების აღკვეთის შეფარდება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატის 2007 წლის 6 სექტემბრის განაჩენით ცვლილება შევიდა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს განაჩენში, კერძოდ, ო. მ-ძეს სასჯელის ზომად განესაზღვრა 12 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორი საჩივარში აღნიშნავს, რომ მის მიერ დანაშაულთა აღიარება გამოწვეული იყო იმ გარემოებით, რომ მისი დამცველი დაჰპირდა საპროცესო შეთანხმების გაფორმებას პროკურატურასთან. სინამდვილეში მას დანაშაული არ ჩაუდენია. იმის გათვალისწინებით, რომ კმაყოფაზე ჰყავს მეუღლე, არასრულწლოვანი შვილები და ინვალიდი მამა, კასატორი მოითხოვეს მის მიმართ დანიშნული სასჯელის მინიმუმამდე შემცირებას.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრების საფუძვლიანობა და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატას მიაჩნია, რომ საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით, მოწმეთა ჩვენებებით, ჩხრევის ოქმებით, ქიმიური და ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნებით ო. მ-ძის მიერ სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით, 236-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით ჩადენილი ქმედებები დადასტურებულია და მას სწორი სამართლებრივი შეფასება აქვს მიცემული.

ამასთან, პალატა თვლის, რომ ო. მ-ძის მიმართ უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა დანაშაულისათვის, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით. საქართველოს სსკ-ის მე-19 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, განაჩენი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობას. მსჯავრდებულმა საკასაციო საჩივარში უარყო მის მიერ სასამართლოში მიცემული ჩვენება და განაცხადა, რომ აღიარება განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ მისი დამცველი აღიარების შემთხვევაში ჰპირდებოდა საპროცესო შეთანხმების გაფორმებას. ამდენად, პალატა თვლის, რომ მხოლოდ გადაჭრილი, გლუვლულიანი სანადირო თოფის ამოღების ფაქტი არ შეიძლება საფუძვლად დაედოს გამამტყუნებელ განაჩენს. სსკ-ის მე-10 მუხლის თანახმად, ყოველგვარი ეჭვი რომელიც არ დასტურდება დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ, ხოლო გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატას მიაჩნია, რომ ასევე ცვლილება უნდა შევიდეს მსჯავრდებულის მიმართ დანიშნული სასჯელის ნაწილში, კერძოდ: ო. მ-ძეს უნდა მოეხსნას საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით დანიშნული სასჯელი - 6 წლით თავისუფლების აღკვეთა და მას საბოლოო სასჯელის ზომად უნდა განესაზღვროს 6 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «ა» და „დ» ქვეპუნქტებით, 568-ე მუხლით,

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

მსჯავრდებულ ო. მ-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 6 სექტემბრის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ შემდეგი მიმართებით:

ო. მ-ძის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა დანაშაულისათვის, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით.

ო. მ-ძეს საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვროს 6 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

სხვა ნაწილში განაჩენი დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **პირადი მოხმარებისათვის ნარკოტიკული საშუალების შეძენა, შენახვა, დამზადება**

#### **განჩინება**

#1811-აპ

22 მაისი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),**

**მ. ოშხარელი,**

**დ. სულაქველიძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ კ. ტ-ძისა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ნ. ბ-იას საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 25 სექტემბრის განაჩენზე.

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ლანჩხუთის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 4 ივლისის განაჩენით კ. ტ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით იმაში, რომ ჩაიდინა ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ, განმეორებით ნარკოტიკული საშუალების მოხმარება ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ, რაც გამოიხატა შემდეგში:

2004 წლის 16 ნოემბერს ფოთის საქალაქო სასამართლოს განაჩენით კ. ტ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და მიესაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალია პირობით, 5 წლის გამოსაცდელი

ვადით. მიუხედავად აღნიშნულისა, იგი არ დაადგა გამოსწორების გზას, არ გააკეთა სათანადო დასკვნები, ექიმის დანიშნულების გარეშე მოიხმარა ნარკოტიკული საშუალება და ფოთის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 22 ნოემბრის დადგენილებით დაედო ადმინისტრაციული სახდელი 500 ლარის ოდენობით.

2007 წლის 8 მარტს, დაახლოებით 22<sup>20</sup> საათზე, ლანჩხუთის რაიონის სოფელ გრიგოლეთში გამავალ სენაკი-ფოთი-ურევი-სარფის საავტომობილო გზის 50-ე კილომეტრზე კ. ტ-მე, მგზავრობდა რა „ვაზ-2106« მოდელის ავტომანქანით, შეაჩერეს საპატრულო პოლიციის მუშაკებმა. ნარკოტიკულ თრობაზე შემოწმებისას ლაბორატორიული გამოკვლევით მას დაუდგინდა პირადი მოხმარებისათვის ექიმის დანიშნულების გარეშე ოპიუმის ჯგუფის ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ მოხმარების ფაქტი, ჩადენილი ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ.

აღნიშნული დანაშაულისათვის კ. ტ-მეს მიესაჯა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რასაც დაემატა წინა განაჩენით დანიშნული მოუხდელი სასჯელი - 3 წელი და საბოლოოდ განესაზღვრა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყო 2007 წლის 19 აპრილიდან. მას სასჯელის მოხდაში ჩათვალა წინასწარ პატიმრობაში ყოფნის დრო - 2007 წლის 9 მარტიდან 2007 წლის 10 მარტამდე.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა და მისმა ადვოკატმა. მათ ითხოვეს დანიშნული სასჯელის შემსუბუქება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 25 სექტემბრის განაჩენით ლანჩხუთის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 4 ივლისის განაჩენი კ. ტ-მის მიმართ დარჩა უცვლელად.

კასატორები - მსჯავრდებული კ. ტ-მე და ადვოკატი ნ. ბ-ია საკასაციო საჩივარში აღნიშნავენ, რომ დანიშნული სასჯელი შეუსაბამოა ქმედების სიმძიმესა და მსჯავრდებულის პიროვნებასთან; კ. ტ-მე გულწრფელად აღიარებდა ჩადენილ დანაშაულს და ინანიებდა მას; ხასიათდება დადებითად; ჰყავს მეუღლე და არასრულწლოვანი შვილი; დაავადებულია ჰეპატიტით, რის გამოც ითხოვენ კ. ტ-მისათვის შეფარდებული სასჯელის შემსუბუქებას.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა აღნიშნავს, რომ საქმეში არსებული მასალებით უდავოდ დადგენილია და ეჭვს არ იწვევს, რომ კ. ტ-მემ ჩაიდინა სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება, რასაც არც მსჯავრდებული უარყოფს.

მსჯავრდებულისათვის სასჯელის დანიშვნისას გათვალისწინებულია მისი პასუხისმგებლობის დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებები, კ. ტ-მეს სასჯელი განესაზღვრა განაჩენთა ერთობლიობით და მისი შემსუბუქების საფუძველი არ არსებობს.

ამდენად, გასაჩივრებული განაჩენი დასაბუთებულია, ხოლო სასჯელის დანიშვნის ნაწილში - სამართლიანი.

ფოთის საქალაქო სასამართლოს 2004 წლის 16 ნოემბრის განაჩენით ირკვევა, რომ კ. ტ-მე დაკავებული იყო.

დადგენილია, რომ კ. ტ-მე წინა დანაშაულისათვის დააკავეს 2004 წლის 21 აგვისტოს და იმავე წლის 23 აგვისტოს მას აღკვეთის ღონისძიებად შეეფარდა პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ გადაცემა.

პალატა აღნიშნავს, რომ სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს მთლიანად უნდა დაემატოს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი, მოცემულ შემთხვევაში - 2 წელი, 11 თვე და 28 დღე. შესაბამისად, გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს.

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

მსჯავრდებულ კ. ტ-მისა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ნ. ბ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 25 სექტემბრის განაჩენი შეიცვალოს: კ. ტ-მისათვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით დანიშნულ სასჯელს - 1 წლით თავისუფლების აღკვეთას მთლიანად დაემატოს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - თავისუფლების აღკვეთა 2 წლის, 11 თვისა და 28 დღის ვადით და საბოლოოდ კ. ტ-მეს განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 3 წლით, 11 თვითა და 28 დღით.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## ნარკოტიკული დანაშაული

### განჩინება

#2225-აპ

25 ივნისი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

- ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),**
- დ. სულაქველიძე,**
- ლ. მურუსიძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ა. ს-ავას ინტერესების დამცველის, ადვოკატ გ. ს-ავას საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 22 ოქტომბრის განაჩენზე ა. ს-ავასა და გ. მ-ოვის მიმართ.

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 6 ივლისის განაჩენით ა. ს-ავა და გ. მ-ოვი ცნობილ იქნენ დამნაშავეებად საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით იმაში, რომ ჩაიდინეს ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა, შენახვა და გასაღება, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, რაც გამოიხატა შემდეგში:

გ. მ-ოვმა დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, დაუდგენელი პირისაგან უკანონოდ შეიძინა ნარკოტიკული საშუალება - „ბუპრენორფინის“ შემცველი ფხვნილი. მან განიზრახა ამანათის შეგზავნის გზით უკანონოდ შეძენილი ნარკოტიკული საშუალების გასაღება თავის სიძეზე, სასჯელადსრულების დეპარტამენტის #... საპრობილის ... საკანში მოთავსებულ პატიმარ გ. რ-ძეზე.

განზრახვის სისრულეში მოსაყვანად გ. მ-ოვმა უკანონოდ შეძენილი ნარკოტიკული საშუალება მოათავსა მცირე ზომის ხუთ პოლიეთილენის ფუთაში, რომლებიც გადაანაწილა სიგარეტ „პირველის“ ხუთ ღერში. აღნიშნულის შემდეგ, იმყოფებოდა რა ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედების ქვეშ, იგი დანაშაულის ჩადენის გაადვილების მიზნით, დანაშაულებრივად დაუკავშირდა ა. ს-ავას, რომლის მეუღლე გ. გ-ძე მოთავსებული იყო იმავე საკანში გ. რ-ძესთან ერთად და გაანდო საკუთარი განზრახვის შესახებ, რომლის განხორციელებაშიც სთხოვა დახმარება. ა. ს-ავა დაეთანხმა გ. მ-ოვს და ერთობილივი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად, 2007 წლის 16 აპრილს, დაახლოებით 18 საათზე, სიგარეტ „პირველის“ ღერებში შენიღბული ფორმით მოთავსებული, ზემოხსენებული ნარკოტიკული საშუალება სხვა ნივთებთან ერთად ამანათის სახით წარადგინეს იუსტიციის ს-ისტროს სასჯელადსრულების დეპარტამენტის #... საპრობილის საამანათო განყოფილებაში. ა. ს-ავამ ასევე შეავსო წერილობითი განცხადება, რომლითაც მიმართა საპრობილის ადმინისტრაციას და მოითხოვა, რომ მის მიერ წარდგენილი ამანათი, რომელშიც აკრძალული საგნები (მათ შორის - ნარკოტიკული საშუალება, ფსიქოტროპული და ძლიერმოქმედი ნივთიერებები) არ ინახებოდა და ასეთის აღმოჩენის შემთხვევაში გაფრთხილებული იყო საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის შესახებ, გადაეცათ მისი მეუღლისათვის - პატიმარ გ. გ-ძისათვის.

შემოწმების შედეგად ა. ს-ავას მიერ წარდგენილ ამანათში, კერძოდ, სიგარეტ „პირველის“ ხუთ ღერში აღმოაჩინეს ხუთი ცალი მცირე ზომის ფუთა საეჭვო შიგთავსით, რომელიც ინახებოდა საამანათო განყოფილების კონტროლიორ ი. ო-ავასთან. აღნიშნულიდან გამომდინარე, გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ჩატარდა მითითებული ფუთების ამოღება, ხოლო გ. მ-ოვი დააკავეს ეჭვმიტანილის სახით.

2007 წლის 16 აპრილის სასამართლო-ქიმიური ექსპერტიზის დასკვნით, ა. ს-ავასა და გ. მ-ოვის მიერ წარმოდგენილი ამანათის დათვალიერებისას ამოღებული, 5 ცალად დაფასოებული თეთრი ფერის ფხვიერი ნივთიერება (მცირე ზომის აბის ნატეხებთან ერთად), საერთო წონით - 0,3484 გრამი, წარმოადგენს ნარკოტიკული ნივთიერება „ბუპრენორფინის“ შემცველი აბის ნატეხებს ფხვნილთან ერთად, რომელშიც ნარკოტიკული ნივთიერება „ბუპრენორფინის“ რაოდენობაა 0,0069 გრამი.

აღნიშნული ქმედებისათვის გ. მ-ოვს მიესაჯა 8 წლით, ხოლო ა. ს-ავას - 6 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. გ. მ-ოვს სასჯელის ათვლა დაეწყო 2007 წლის 16 აპრილიდან, ა. ს-ავას - 2007 წლის 6 ივლისიდან, მასვე სასჯელის მოხდაში ჩათვალა წინასწარ პატიმრობაში ყოფნის დრო - 2007 წლის 16 აპრილიდან 2007 წლის 3 მაისამდე. გაუქმდა ა. ს-ავას მიმართ შერჩეული აღკვეთის ღონისძიება - გირაო და გირაოს შემტანს განაჩენის აღსრულებიდან ერთი თვის ვადაში დაუბრუნდა გირაოს სახით შეტანილი 5 ათასი ლარი.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ ა. ს-ავას ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა გ. ს-ავამ. მან ითხოვა გასაჩივრებული განაჩენის გაუქმება და ა. ს-ავას მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 22 ოქტომბრის განაჩენით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 6 ივლისის განაჩენი დარჩა უცვლელად.

კასატორი - მსჯავრდებულ ა. ს-ავას ინტერესების დამცველი, ადვოკატი გ. ს-ავა საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი უკანონო, დაუსაბუთებელია და უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

ა. ს-ავამ როგორც წინასწარი, ისე სამსჯავრო გამოძიების დროს თავი არ ცნო დამნაშავედ და აჩვენა, რომ 2007 წლის 16 აპრილს გამოცხადდა თბილისის #... საპრობილემში, რათა ამანათი შეეგზავნა ... საკანში მოთავსებული მეუღლისათვის; საამანათო განყოფილებაში მისვლისას მას მობილურ ტელეფონზე დაუკავშირდა უცნობი მამაკაცი, რომელმაც სთხოვა, მის მოსვლამდე არ შეეგზავნა ამანათი, ასევე, სთხოვა რიგის დათმობა და დალოდება, რაზეც ა. ს-ავამ უარი განუცხადა, მაგრამ შეპირდა, რომ რიგში ადგილს დაუკავებდა. დაახლოებით 20 წუთის შემდეგ მას კვლავ დაუკავშირდა უცნობი პირი და როცა გაიგო, რომ ა. ს-ავა უკვე საამანათო განყოფილებაში იყო და მის მიერ შეტანილ ამანათს კონტროლიორი ამოწმებდა, შევიდა უცნობი მამაკაციც და სთხოვა, თავის ამანათთან ერთად შეეგზავნა მისი ამანათიც, რადგან ისიც ... საკანში აგზავნიდა. მათი საუბარი ესმოდა კონტროლიორს, რომელმაც ა. ს-ავას უკან მიაწოდა საპრობილის დირექტორის სახელზე შევსებული განცხადების ბლანკი და უთხრა, რომ შეეძლო განცხადებაში ჩაემატებინა ამ მამაკაცის მიერ მოტანილი ნივთების ჩამონათვალი, რის შემდეგაც მან მის მიერ შესაგზავნი ნივთების დასახელებას მიამატა უცნობი მამაკაცის - გ. მ-ოვის მიტანილი ნივთების ჩამონათვალი და განცხადებასთან ერთად ეს ნივთები გადასცა კონტროლიორს. შემოწმების დროს გ. მ-ოვის მიერ მიტანილ ამანათში, სიგარეტის ღერებში, აღმოაჩინეს პატარა ზომის საეჭვო ფუთები, რის შემდეგაც გ. მ-ოვი დააკავეს; გარკვეული დროის შემდეგ დააკავეს ა. ს-ავაც; ა. ს-ავამ განცხადების ბლანკის დამატებით შევსებისას არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცნოდნოდა, თუ რა კანონსაწინააღმდეგო ნივთები შეიძლებოდა ყოფილიყო გ. მ-ოვის მიერ მიტანილ შენიღბულ ამანათში; აღნიშნულს ადასტურებს თვით გ. მ-ოვიც და „ჯეოსელიდან» ამოღებული, ა. ს-ავას ტელეფონზე შემავალი და გამავალი ზარების ნუსხა.

კასატორი ასევე აღნიშნავს, რომ ამ საქმეზე მოწმის სახით დაიკითხნენ საამანათო განყოფილების კონტროლიორები - ი. ო-ავა და ბ. ო-ანი, რომლებმაც არ დაადასტურეს მსჯავრდებულების ჩვენების ის ნაწილი, სადაც ნათქვამია, რომ ა. ს-ავამ გ. მ-ოვის მიერ შეტანილი ნივთები დამატებით ჩაწერა განცხადების ბლანკში; მათი ჩვენებები ეწინააღმდეგება #5 საპრობილის უფროსი ინსპექტორის - გ. კ-შვილის მიერ შედგენილ ოქმის შინაარსს, რომელშიც არსად არ წერია, რომ ა. ს-ავა საამანათო განყოფილებაში შევიდა გ. მ-ოვთან ერთად და მასთან ერთად წარადგინა ამანათი, რომელშიც მოთავსებული იყო 5 ცალი პატარა ფუთა საეჭვო შიგთავსით; აღნიშნული ადასტურებს, რომ ი. ო-ავასა და ბ. ო-ანის ჩვენებები სიცრუეა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სასამართლომ ეს ჩვენებები დაუსაბუთებლად და კრიტიკის გარეშე გაიზიარა.

ადვოკატ გ. ს-ავას განმარტებით, მოცემულ საქმეზე წინასწარი და სამსჯავრო გამოძიება წარიმართა ცალმხრივად, მხოლოდ დამამძიმებელი მიმართულებით; ა. ს-ავასა და გ. მ-ოვის მიმართ საქმე უნდა წარმართულიყო საქართველოს სსკ-ის 378<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილის „გ» და „დ» ქვეპუნქტებით, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსში შეიტანეს 2005 წლის 20 დეკემბრის კანონით და წარმოადგენს ნოვაციას სისხლის სამართლის კანონმდებლობაში; ეს მუხლი არის სპეციალური ნორმა, რომელიც, მართალია, დანაშაულის შემადგენლობის ელემენტებით ახლოს დგას სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობასთან, მაგრამ სსკ-ის 378<sup>1</sup> მუხლი უფრო სპეციალური ნორმაა და აწესებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას სასჯელადსრულების დაწესებულებაში ჩადენილი დანაშაულისათვის; აღნიშნულიდან გამომდინარე, ა. ს-ავასა და გ. მ-ოვის ქმედება (თუ გამოძიება ან სასამართლო არ გაიზიარებდა ა. ს-ავას უდანაშაულობას) უნდა დაკვალიფიცირებულიყო სსკ-ის 378<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილის „გ» და „დ» ქვეპუნქტებით; ყოველივე ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ სასამართლომ არსებითად დაარღვია საპროცესო კანონი და უგულვებელიყო საქართველოს კონსტიტუცია; სასამართლოს უტყუარ მტკიცებულებებზე დაყრდნობით უნდა დაედგინა დასაბუთებული და კანონიერი განაჩენი, რომელსაც საფუძვლად ვერ დაედება ვარაუდი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ადვოკატი გ. ს-ავა ითხოვს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებას და ა. ს-ავას გამართლებას.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

სსკ-ის 567-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, საკასაციო პალატამ შეამოწმა საქმე სრული მოცულობით, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მოტივს იმის შესახებ, რომ ა. ს-ავამ არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა, რა იყო მოთავსებული ამანათში.

მსჯავრდებულმა ა. ს-ავამ სასამართლოს განუმარტა, რომ გ. მ-ოვს არ იცნობდა, პირველად ნახა საპრობილის საამანათო განყოფილებასთან და მის მიერ მოტანილი ნივთებიც თავის განცხადებაში ჩაწერა.



მსჯავრდებულმა გ. მ-ოვმა განაცხადა, რომ ა. ს-ავასთვის არ უთხოვია თავისი ამანათის შეგზავნა. როდესაც საპრობილის თანამშრომლებმა გაიგეს, რომ ორივე ამანათი ერთ საკანში იგზავნებოდა, თავად უთხრეს ა. ს-ავას, რომ მეორე ამანათიც თავის განცხადებაში დაეფიქსირებინა. გ. მ-ოვმა მიუთითა, რომ თავად შეიძინა ნარკოტიკი და შეაგზავნა საპრობილში.

აღნიშნულის საპირისპიროდ, მოწმეების - ი. ო-ავას და ბ. ო-ანის ჩვენებებით ირკვევა, რომ ა. ს-ავამ და გ. მ-ოვმა გადასაცემად მიიტანეს ერთი ამანათი, დახლთან ერთად მივიდნენ. ი. ო-ავას მოვალეობას ისიც წარმოადგენდა, რომ გაერკვია, რა ურთიერთობა ჰქონდათ ერთმანეთთან ამანათის წარმომდგენ პირებს. მსჯავრდებულთა საუბრიდან გაირკვა, რომ ისინი მეგობრები იყვნენ. ა. ს-ავას განემარტა, რომ პასუხს აგებდა ამანათის შემადგენლობაზე. ამ უკანასკნელმა დაადასტურა, რომ ამანათი მისი შედგენილი იყო, რის შესახებ დაწერა განცხადება. ი. ო-ავამ მიუთითა, რომ გ. მ-ოვის ნივთების ჩასაწერად ა. ს-ავასათვის განცხადება არ დაუბრუნებია. განაცხადს ავსებს ის პირი, ვისაც თან აქვს პირადობის მოწმობა. მოცემულ შემთხვევაში პირადობის მოწმობა მხოლოდ ა. ს-ავამ წარმოადგინა.

პალატა აღნიშნავს, რომ ი. ო-ავას და ბ. ო-ანის ჩვენებები თანმიმდევრული და დამაჯერებელია და კასატორის მითითება ამ ჩვენებათა სიყალბის შესახებ ყოველგვარ საფუძველსა მოკლებული.

თავად ა. ს-ავას ჩვენებიდან არ გამომდინარეობს, რომ გ. მ-ოვის ნივთები საპრობილის თანამშრომლების მითითებით ჩაწერა განცხადებაში. მან მიუთითა, რომ ორივე ამანათს ცალ-ცალკე ამოწმებდნენ. ი. ო-ავამ დაუბრუნა განაცხადი და ამის შემდეგ ა. ს-ავამ განცხადებაში გ. მ-ოვის ნივთებიც აღნიშნა. ა. ს-ავამ ვერ ახსნა, რამ გამოიწვია, მისივე თქმით, უცნობი პირის ნივთების განცხადებაში ჩაწერა, როდესაც თავდაპირველად მას რიგში ჩადგომაზეც უარი განუცხადა და კითხვას - იცნობდა თუ არა გ. მ-ოვს, არ უპასუხა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმეში არსებული მასალების ურთიერთშეჯერებითა და გაანალიზებით უდავოდ დადასტურებულია და სააპელაციო პალატამაც სწორად მიიჩნია დადგენილად, რომ ა. ს-ავამ და გ. მ-ოვმა ჩაიდინეს მათთვის ბრალად შერაცხული ქმედება.

პალატა ვერ გაიზიარებს საჩივრის მოტივს ქმედების კვალიფიკაციასთან დაკავშირებით და განმარტავს, რომ სსკ-ის 378<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილის «გ» და «დ» ქვეპუნქტები არ ითვალისწინებს ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენასა და შენახვას (რისთვისაც ასევე მსჯავრდებულნი არიან ა. ს-ავა და გ. მ-ოვი) და კასატორის მითითება მსჯავრდებულთა ქმედების სსკ-ის 378<sup>1</sup> მუხლით დაკვალიფიცირების შესახებ უსაფუძვლოა.

აღსანიშნავია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენით ა. ს-ავას მიესაჯა 6 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. გასაჩივრებული განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში მითითებულია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი დარჩა უცვლელად, თუმცა ამავდროულად ა. ს-ავას სასჯელად განსაზღვრული აქვს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა.

სსკ-ის 535-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს განაჩენი ცვლის პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენს, რის გამოც ა. ს-ავას საბოლოოდ უნდა განესაზღვროს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გასაჩივრებული განაჩენი დასაბუთებულია, იგი ეყრდნობა არა ვარაუდს, როგორც კასატორი აღნიშნავს, არამედ საქმეში არსებულ და ობიექტურად შეფასებულ მტკიცებულებებს, მსჯავრდებულთა ქმედება სწორადაა დაკვალიფიცირებული და მათ დანიშნული აქვთ სამართლიანი სასჯელები, ამიტომ, გარდა ა. ს-ავასათვის განსაზღვრული სასჯელის დაზუსტებისა, სხვა ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

მსჯავრდებულ ა. ს-ავას ინტერესების დამცველის, ადვოკატ გ. ს-ავას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 22 ოქტომბრის განაჩენი დარჩეს უცვლელად და ა. ს-ავას სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით საბოლოოდ განესაზღვროს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## ნარკოტიკული დანაშაული

### განჩინება

#446-აპ

21 ივლისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

მ. ოშარელი (თავმჯდომარე),  
ლ. მურუსიძე,  
დ. სულაქველიძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ბ. კ-ძის ინტერესების დამცველის, ადვოკატ გ. ზ-შვილის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 28 იანვრის განაჩენზე.

#### აღწერილობითი ნაწილი:

საბრალდებო დასკვნით ბ. კ-ძეს ბრალი დაედო საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილითა და ამავე მუხლის მეორე ნაწილის «ა», «ე» ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, რაც გამოიხატა შემდეგში:

ბ. კ-ძე 2004 წლის 1 ნოემბერს გაასამართლა ქ. თბილისის გლდანი-ნამალადევის რაიონულმა სასამართლომ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა», «დ» ქვეპუნქტებით და მიესაჯა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც ჩაეთვალია პირობით, 5 წლის გამოსაცდელი ვადით. მიუხედავად ამისა, იგი არ დაადგა გამოსწორების გზას და პირობითი მსჯავრის გამოსაცდელ ვადაში კვლავ ჩაიდინა დანაშაული, კერძოდ, 2007 წლის 27 მაისს ქ. თბილისში გამოძიებით დაუდგენელი ვინმე «რასიმისგან» 200 აშშ დოლარად უკანონოდ შეიძინა დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება «ჰეროინი», რომლის ნაწილიც მოიხმარა პირადად, ხოლო დარჩენილი - 0,970 გრამი კუსტარული წესით დამზადებული ნარკოტიკული საშუალება «ჰეროინი» დააფასოვა ერთ პაკეტად და მოათავსა თეთრი ფერის პოლიეთილენის პარკში, რომელსაც უკანონოდ ინახავდა თავისი კუთვნილი «მიცუბიშის» მარკის ავტომანქანის საჭის გვერდით არსებული კარის უჯრაში. იმავე დღეს ბ. კ-ძემ ზემოაღნიშნული ნარკოტიკული საშუალება უკანონოდ გადაზიდა ქობულეთის რაიონის დაბა . . . , რა დროსაც 17 საათსა და 15 წუთზე იგი დააკავეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის ა/რ მთავარი სამმართველოს მუშაკებმა და ავტომანქანის ჩხრეკის შედეგად ამოიღეს ბ. კ-ძის მიერ უკანონოდ შეძენილი 0,970 გრამი კუსტარული წესით დამზადებული ნარკოტიკული საშუალება «ჰეროინი».

ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 30 ნოემბრის განაჩენით:

ბ. კ-ძეს ბრალდებიდან ამოერიცხა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილი, როგორც ზედმეტად წარდგენილი და ამ ნაწილში გამართლდა.

ბ. კ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა», «ე» ქვეპუნქტებით და მიესაჯა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის მეხუთე ნაწილის საფუძველზე მსჯავრდებულ ბ. კ-ძეს დამატებითი სასჯელის სახით განესაზღვრა ჯარიმა 5000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მეხუთე ნაწილის შესაბამისად, გაუქმდა ქ. თბილისის გლდანი-ნამალადევის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 1 ნოემბრის განაჩენით ბ. კ-ძის მიმართ დანიშნული პირობითი მსჯავრი.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე ამ განაჩენით დანიშნულ სასჯელს მთლიანად დაემატა ქ. თბილისის გლდანი-ნამალადევის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 1 ნოემბრის განაჩენით დანიშნული მოუხდელი სასჯელი - 5 წლით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 12 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 5000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

საქართველოს სსკ-ის 52-ე მუხლის თანახმად, საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილი «მიცუბიში მონტეროს» მარკის ავტომანქანა უსასყიდლოდ უნდა ჩამოერთვას ბ. კ-ძეს სახელმწიფოს სასარგებლოდ.

აღნიშნულ განაჩენში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 28 იანვრის განაჩენით შევიდა ცვლილება, კერძოდ:

ბ. კ-ძეს ბრალდებიდან ამოერიცხა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილი, როგორც ზედმეტად წარდგენილი და ამ ნაწილში გამართლდა.

ბ. კ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა», «ე» ქვეპუნქტებით (2006 წლის 25 ივლისის რედაქცია) და მიესაჯა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის მეხუთე ნაწილის საფუძველზე მსჯავრდებულ ბ. კ-ძეს დამატებითი სასჯელის სახით განესაზღვრა ჯარიმა 5000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მეხუთე ნაწილის შესაბამისად, გაუქმდა ქ. თბილისის გლდანი-ნამალადევის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 1 ნოემბრის განაჩენით ბ. კ-ძის მიმართ დანიშნული პირობითი მსჯავრი.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე ამ განაჩენით დანიშნულ სასჯელს მთლიანად დაემატა ქ. თბილისის გლდანი-ნამალადევის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 1 ნოემბრის განაჩენით დანიშნული მოუხდელი სასჯელი - 5 წლით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 12 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 5000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

საქართველოს სსკ-ის 52-ე მუხლის თანახმად, საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილი «მიცუბიში მონტეროს» მარკის ავტომანქანა უსასყიდლოდ უნდა ჩამოერთვას ბ. კ-ძეს სახელმწიფოს სასარგებლოდ, რომლის აღსრულება საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა დაევალოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროში არსებულ საჯარო სამართლი იურიდიულ პირს - საფინანსო სააგენტოს.

მსჯავრდებულ ბ. კ-ძის ინტერესების დამცველი, ადვოკატი გ. ზ-შვილი საკასაციო საჩივრით ითხოვს სასჯელის შემსუბუქებას, კერძოდ: საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა», «ე» ქვეპუნქტებით (2006 წლის 25 ივლისის რედაქცია) 6 წლით თავისუფლების აღკვეთის შეფარდებას. ასევე ითხოვს, რომ სსკ-ის 50-ე მუხლის გამოყენებით სასჯელის ერთი მეოთხედი მას ჩათვალოს პირობით და საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვროს 9 წლითა და 5 თვით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო 1 წელი და 7 თვე ჩათვალოს პირობით. კასატორი ასევე ითხოვს, რომ «მიცუბიში მონტეროს» მარკის ავტომანქანა დაუბრუნდეს პატრონს, რადგან იგი არის მისი მეუღლის პირადი საკუთრება და მას სარჩენად დარჩა ოთხი შვილი. კასატორი აღნიშნავს, რომ ბ. კ-ძე არის ნარკოტიკების მომხმარებელი, ოთხი შვილის მამა, ოჯახის ერთადერთი მარჩენალი, ჰყავს მოხუცი დედა; იგი აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით, მსჯავრდებულის აღიარებითი ჩვენებით, მოწმეების: ზ. ც-ძის, პ. კ-იას ჩვენებებით, ავტომანქანის ჩხრეკის ოქმით, სასამართლო-ქიმიური ექსპერტიზის დასკვნითა და საქმეში არსებული სხვა მასალებით ბ. კ-ძის მიერ მასზე ბრალად შერაცხული დანაშაულის ჩადენა დადასტურებულია, რასაც სადავოდ არც საკასაციო საჩივარი ხდის.

საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა და მისი პიროვნების მახასიათებელი მონაცემების გათვალისწინებით, ბ. კ-ძეს დაუნიშნა ისეთი სასჯელი, რომლის შეცვლისა და საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

ამასთან, მსჯავრდებულ ბ. კ-ძის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება არასწორად არის დაკვალიფიცირებული საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის «ე» ქვეპუნქტით (ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა, შენახვა და გადაზიდვა იმის მიერ, ვისაც წინათ ჩადენილი აქვს საქართველოს სსკ-ის XXXIII თავით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული).

საქმის მასალების მიხედვით, ბ. კ-ძე 2004 წლის 1 ნოემბერს გასამართლებული იყო ქ. თბილისის გლდანი-ნამალადევის რაიონული სასამართლოს მიერ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა», «დ» ქვეპუნქტებით. მან გამოსაცდელი ვადის პერიოდში, 2007 წლის 27 მაისს, კვლავ ჩაიდინა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული.

განსახილველი დანაშაულის ჩადენის დროს მოქმედი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-15 მუხლის შინაარსიდან გამომდინარე (საქართველოს კანონის 2007 წლის 4 ივლისის ცვლილება), არაერთგზისობა გულისხმობს ამავე მუხლით გათვალისწინებული ორი ან მეტი დანაშაულის ჩადენას. მოცემულ შემთხვევაში განსახილველი დანაშაულის არაერთგზისად ცნობისათვის მნიშვნელობა არა აქვს, პირი ადრე ჩადენილი დანაშაულისათვის იყო ნასამართლევი თუ არა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ მსჯავრდებულ ბ. კ-ძის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება, დაკვალიფიცირებული საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის «ე» ქვეპუნქტით, უნდა გადაკვალიფიცირდეს ამავე მუხლის მეორე ნაწილის «დ» ქვეპუნქტზე (ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა, შენახვა და გადაზიდვა, ჩადენილი არაერთგზის).

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «ა», «დ» ქვეპუნქტებით, 568-ე მუხლით და

### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 28 იანვრის განაჩენში შევიდეს ცვლილება, კერძოდ:

მსჯავრდებულ ბ. კ-ის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება, დაკვალიფიცირებული საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის «ე» ქვეპუნქტით, გადაკვალიფიცირდეს ამავე მუხლის მეორე ნაწილის «დ» ქვეპუნქტზე.

განაჩენი სხვა ნაწილში, მათ შორის ძირითადი და დამატებითი სასჯელები დარჩეს უცვლელად. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## ნარკოტიკული დანაშაული

### განჩინება

#59-აპ

22 ივლისი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),  
ლ. მურუსიძე,  
დ. სულაქველიძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ კ. ძ-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 20 ნოემბრის განაჩენზე.

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

გორის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 7 აგვისტოს განაჩენით:

კ. ძ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით 9 წლით თავისუფლების აღკვეთა, 236-ე მუხლის პირველი ნაწილით - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ვ. ქ-ელი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა», «ე» ქვეპუნქტებით და მიესაჯა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენის მიხედვით, კ. ძ-შვილისა და ვ. ქ-ელის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

კ. ძ-შვილმა გამოიძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში შეიძინა და საცხოვრებელ სახლში შეინახა ერთი ცალი «ფ-1» ტიპის ხელყუმბარა, აგრეთვე, სამი ცალი ვაზნა და ერთი ცალი ელექტრო-ფეთქებადი პაკეტი. კ. ძ-შვილი 2007 წლის 7 თებერვალს გორის რაიონის სოფელ ... შეხვდა თავის ნაცნობს, ვინმე «გინალის», რომლისგანაც უკანონოდ შეიძინა დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება - «ბუპრენორფინის» შემცველი პრეპარატის «სუბოტექსის» ცხრა აბი. 2007 წლის 14 თებერვალს, მან უკანონოდ გადაზიდა დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება - «ბუპრენორფინის» შემცველი პრეპარატის «სუბოტექსის» 9 აბი და ქ. გორში, ჭავჭავაძის ქუჩაზე, სამხედრო ჰოსპიტლის მიმდებარე ტერიტორიაზე, დიდი ოდენობით გაასადა ვ. ქ-ელზე, ხოლო ვ. ქ-ელმა უკანონოდ შეიძინა და შეინახა დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შემცველი ორი აბი «სუბოტექსი». ამავე დროს, გორის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 31 მაისის განაჩენით ვ. ქ-ელი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის «დ» ქვეპუნქტით და სასჯელად დაენიშნა თავისუფლების აღკვეთა 1 წლისა და 6 თვის ვადით.

აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 20 ნოემბრის განაჩენით დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებული კ. ძ-შვილი საკასაციო საჩივრით ითხოვს სასჯელის შემსუბუქებას, კერძოდ, საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით - 6 წლით თავისუფლების აღკვეთის შეფარდებას, ხოლო 236-ე მუხლის პირველი ნაწილით - 6 თვით თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრას. ასევე ითხოვს, რომ სსკ-ის 50-ე მუხლის გამოყენებით, 1 წელი და 7 თვე ჩაეთვალოს პირობით, ხოლო მოსახდელად განესაზღვროს 4 წლითა და 11 თვით თავისუფლების აღკვეთა, დამატებითი სასჯელის სახით დაეკისროს ჯარიმა. კასატორი აღნიშნავს, რომ ჰყავს მეუღლე და ორი მცირეწლოვანი შვილი, ავადმყოფი დედა, არის ოჯახის ერთადერთი მარჩენალი, აღიარებს და იზიარებს ჩადენილ დანაშაულს.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით, მსჯავრდებულის აღიარებითი ჩვენებით, სასამართლო-ბალისტიკური, ქიმიური ექსპერტიზების დასკვნებითა და საქმეში არსებული სხვა

მასალებით ვ. ძ-შვილის მიერ მასზე ბრალად შერაცხული დანაშაულის ჩადენა დადასტურებულია, რასაც სადავოდ არც საკასაციო საჩივარი ხდის.

საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა და მისი პიროვნების მახასიათებელი მონაცემების გათვალისწინებით, ვ. ძ-შვილს დაუნიშნა ისეთი სასჯელი, რომლის შეცვლისა და საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

სააპელაციო სასამართლომ მსჯავრდებულ ვ. ძ-შვილის მიმართ სასჯელის დანიშვნისას გაითვალისწინა მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე, საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათი და ხარისხი, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი ყველა გარემოება და შეუფარდა კანონით გათვალისწინებული სამართლიანი სასჯელი.

რაც შეეხება ამავე საქმეზე მსჯავრდებულ ვ. ქ-ელს, რომელსაც განაჩენი საკასაციო წესით არ გაუსაჩივრებია, საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 567-ე მუხლის პირველი ნაწილით, სრული მოცულობით შეამოწმა საქმე მსჯავრდებულ ვ. ქ-ელის მიმართაც და მიიჩნია, რომ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით, მსჯავრდებულის აღიარებითი ჩვენებით, ქიმიური ექსპერტიზის დასკვნითა და საქმეში არსებული სხვა მასალებით ვ. ქ-ელის მიერ მასზე ბრალად შერაცხული დანაშაულის ჩადენა დადასტურებულია.

ამასთან, მსჯავრდებულ ვ. ქ-ელის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება არასწორად არის დაკვალიფიცირებული საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის «ე» ქვეპუნქტით (ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა, შენახვა და გადაზიდვა იმის მიერ, ვისაც წინათ ჩადენილი აქვს საქართველოს სსკ-ის XXXIII თავით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული).

საქმის მასალების მიხედვით, ვ. ქ-ელი 2001 წლის 31 მაისს გასამართლებული იყო გორის რაიონული სასამართლოს მიერ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის «დ» ქვეპუნქტით.

განსახილველი დანაშაულის ჩადენის დროს მოქმედი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-15 მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, (საქართველოს კანონის 2007 წლის 4 ივლისის ცვლილება), არაერთგზისობა გულისხმობს ამავე მუხლით გათვალისწინებული ორი ან მეტი დანაშაულის ჩადენას. მოცემულ შემთხვევაში, განსახილველი დანაშაულის არაერთგზისად ცნობისათვის მნიშვნელობა არა აქვს, პირი ადრე ჩადენილი დანაშაულისათვის იყო ნასამართლევი თუ არა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ მსჯავრდებულ ვ. ქ-ელის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება, დაკვალიფიცირებული საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის «ე» ქვეპუნქტით, უნდა გადაკვალიფიცირდეს ამავე მუხლის მეორე ნაწილის «დ» ქვეპუნქტზე (ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა, შენახვა და გადაზიდვა, ჩადენილი არაერთგზის).

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «ა», «დ» ქვეპუნქტებით, 567-ე მუხლის პირველი ნაწილით, 568-ე მუხლით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა :**

საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 20 ნოემბრის განაჩენში შევიდეს ცვლილება, კერძოდ:

მსჯავრდებულ ვ. ქ-ელის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება, დაკვალიფიცირებული საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის «ე» ქვეპუნქტით, გადაკვალიფიცირდეს ამავე მუხლის მეორე ნაწილის «დ» ქვეპუნქტზე.

განაჩენი სხვა ნაწილში, აგრეთვე, მსჯავრდებულების - ვ. ძ-შვილისა და ვ. ქ-ელის მიმართ დანიშნული სასჯელები დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## ნარკოტიკული დანაშაული

### განჩინება

#155-აპ

22 ივლისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

მ. ოშარელი (თავმჯდომარე),  
დ. სულაქველიძე,  
ლ. მურუსიძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ზ. მ-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 13 დეკემბრის განაჩენზე.

#### აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 24 სექტემბრის განაჩენით ზ. მ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა», «დ» ქვეპუნქტებით და მიესაჯა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის შესაბამისად, დანიშნულ სასჯელს მთლიანად დაემატა ზ. მ-შვილის მიმართ 2007 წლის 30 იანვრის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 1 წელი და საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა. ზ. მ-შვილს დანიშნული სასჯელის ვადის ათვლა დაეწყო 2007 წლის 30 აგვისტოდან.

«ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ» საქართველოს კანონის მე-2 და მე-3 მუხლების თანახმად, მსჯავრდებულ ზ. მ-შვილს განესაზღვრა სატრანსპორტო საშუალებების მართვის, საექიმო, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში - საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო და იარაღის დამზადების, შექმნის, შენახვისა და ტარების უფლება 5 წლის ვადით.

განაჩენით მსჯავრდებულ ზ. მ-შვილის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

ზ. მ-შვილი გაასამართლა თბილისის საქალაქო სასამართლომ და 2007 წლის 30 იანვრის განაჩენით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე-64-ე მუხლების თანახმად, დანიშნული სასჯელი ჩაეთვალა პირობით და გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა ერთი წელი. მიუხედავად ამისა, იგი არ დაადგა გამოსწორების გზას და კვლავ ჩაიდინა ანალოგიური დანაშაული, კერძოდ: მან დაუდგენელ დროსა და ვითარებაში შეიძინა პრეპარატი ეფედრონი, აცეტილსალიცილის მჟავა და კალიუმის პერმანგანატი, რომლისგანაც უკანონოდ დაამზადა ნარკოტიკული საშუალება ეფედრონი, რაც მოათავსა გამჭვირვალე ჭიქაში და ინახავდა უკანონოდ.

2007 წლის 30 აგვისტოს, 3.30 საათზე, როდესაც ის იმყოფებოდა ქ. თბილისში, ... ქუჩის #305 კორპუსის ტერიტორიაზე, დააკავეს საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა, რა დროსაც ჩატარებული პირადი ჩხრეკის შედეგად მისი შარვლის წინა, მარჯვენა ჯიბიდან ამოღებულ იქნა გამჭვირვალე ჭიქა მოშავო ფერის ნალექით, რაც 2007 წლის 30 აგვისტოს ქიმიური ექსპერტიზის 31109\საქ დასკვნით, ზ. მ-შვილის პირადი ჩხრეკის დროს ამოღებული გამჭვირვალე ჭიქაში მოთავსებული 2 მლ მოშავო ფერის ხსნარი შავი ფერის ნალექით შეიცავს ნარკოტიკულ საშუალებას ეფედრონს - 0,53 გრამის ოდენობით.

აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 13 დეკემბრის განაჩენით დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებული ზ. მ-შვილი საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენში ცვლილების შეტანას, კერძოდ: საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის «დ» ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში - გამართლებას, ხოლო დანარჩენ ნაწილში, სასჯელის შემსუბუქებას. კასატორი აღნიშნავს, რომ მას არ ჩაუდენია დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების დამზადება, შენახვა არაერთგზის; სასჯელის დანიშვნისას სასამართლომ არ გაითვალისწინა მისი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებები.

#### სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით, მსჯავრდებულის აღიარებითი ჩვენებით, მოწმეების: რ. ფ-ძის, ლ. ბ-ძის ჩვენებებით, დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმით, ჩხრეკის ოქმით, ექსპერტიზის დასკვნითა და საქმეში არსებული სხვა მასალებით ზ. მ-შვილის მიერ მასზე ბრალად შერაცხული დანაშაულის ჩადენა დადასტურებულია.

საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა და მისი პიროვნების მახასიათებელი მონაცემების გათვალისწინებით, ზ. მ-შვილს დაუნიშნა ისეთი სასჯელი, რომლის შეცვლის სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

ამასთან, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ზ. მ-შვილის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება არასწორად არის დაკვალიფიცირებული საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის «დ» ქვეპუნქტით (ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა, შენახვა და გადაზიდვა, ჩადენილი არაერთგზის), კერძოდ:

საქმის მასალების მიხედვით, ზ. მ-შვილი გაასამართლა თბილისის საქალაქო სასამართლომ და 2007 წლის 30 იანვრის განაჩენით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე-64-ე მუხლების თანახმად, დანიშნული სასჯელი ჩაეთვალა პირობით და გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა ერთი წელი. მიუხედავად ამისა, იგი არ დაადგა გამოსწორების გზას და კვლავ ჩაიდინა ანალოგიური დანაშაული.

ამჟამად მოქმედი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-15 მუხლის შინაარსიდან გამომდინარე (საქართველოს კანონის 2007 წლის 4 ივლისის ცვლილება), საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლში არაერთგზისობა გულისხმობს ამ მუხლით წინათ ნასამართლევ პირის მიერ ამავე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას. თუ პირს ადრე ჩადენილი ჰქონდა ამ თავით (ნარკოტიკული დანაშაული) გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული მისი ქმედება დაკვალიფიცირდება 260-ე მუხლის მეორე ნაწილის «ე» ქვეპუნქტით და არა - «დ» ქვეპუნქტით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ მსჯავრდებულ ზ. მ-შვილის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება, დაკვალიფიცირებული საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, უნდა გადაკვალიფიცირდეს ამავე მუხლის მეორე ნაწილის «ე» ქვეპუნქტზე (ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა, შენახვა და გადაზიდვა იმის მიერ, ვისაც წინათ ჩადენილი აქვს საქართველოს სსკ-ის XXXIII თავით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული).

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «ა», «დ» ქვეპუნქტებით, 568-ე მუხლით და

#### დ ა ა დ გ ი ნ ა :

საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 13 დეკემბრის განაჩენში შევიდეს ცვლილება, კერძოდ:

მსჯავრდებულ ზ. მ-შვილის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება, დაკვალიფიცირებული საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, გადაკვალიფიცირდეს ამავე მუხლის მეორე ნაწილის «ე» ქვეპუნქტზე.

განაჩენი სხვა ნაწილში, მათ შორის - მსჯავრდებულ ზ. მ-შვილის მიმართ დანიშნული სასჯელი, დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

#### ნარკოტიკული დანაშაული

##### განჩინება

#2096-აპ

25 ივლისი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე),**

**ზ. მეიშვილი,**

**ი. ტყეშელაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურის განყოფილების პროკურორ გ. ლ-მის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 17 ოქტომბრის განაჩენზე, რომლითაც გ. მ-შვილი ცნობილ იქნა ბრალეულად საქართველოს სსკ-ის 262-ე მუხლის IV ნაწილის «ა» ქვეპუნქტით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში.

### **აღწერილობითი ნაწილი:**

მარნეულის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 24 ივლისის განაჩენით გ. ბ-შვილი ამჟამად პატიმარი, - ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის «ა» და 262-ე მუხლის მე-4 ნაწილის «ა» ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, რისთვისაც საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, შეკრების პრინციპით, სასჯელად განესაზღვრა 23 წლით თავისუფლების აღკვეთა.

იგი სასჯელს იხდის 2007 წლის 30 იანვრიდან.

განაჩენით გ. ბ-შვილს მსჯავრი დაედო განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შექმნა, შენახვასა და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების საქართველოში უკანონოდ შემოტანაში, რაც გამოიხატა შემდეგში:

გ. ბ-შვილმა განიზრახა, უკანონოდ შეეძინა, შეენახა და საქართველოში უკანონოდ შემოეტანა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება «ჰეროინი» მისი შემდგომი გასაღების მიზნით.

2007 წლის 30 იანვარს მან გადაკვეთა საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარი, კერძოდ, «წითელი ხიდის» საკონტროლო გამშვები პუნქტი, სადაც გამოძიებით დაუდგენელ ვითარებაში უკანონოდ შეიძინა და შეინახა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება «ჰეროინი», რომელიც «წითელი ხიდის» საკონტროლო გამშვები პუნქტის გავლით უკანონოდ შემოიტანა საქართველოში. იმავე დღეს, 13.50 საათზე, შსს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამხარეო სამმართველოს თანამშრომლებმა შს სასაზღვრო პოლიციის საკონტროლო გამშვები პუნქტის «წითელი ხიდის» გადმოლაზვისთანავე დააკავეს გ. ბ-შვილი. მას ჩაუტარდა პირადი ჩხრეკა, რა დროსაც მისი საცვლის გარეთა ჯიბიდან ამოიღეს მის მიერ უკანონოდ შეძენილი, შენახული და საქართველოში უკანონოდ შემოტანილი განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება «ჰეროინი» - წონით 31,5287 გრ.

აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა გ. ბ-შვილმა და მისმა ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ი. მ-შვილმა, რომლებმაც ითხოვეს გ. ბ-შვილის მიმართ საქართველოს სსკ-ის 262-ე მუხლის მე-4 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში გამამართლებელი განაჩენის დადგენა იმ მოტივით, რომ მას არ ჩაუდენია სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული აღნიშნული ქმედება.

სასამართლო სხდომაზე მსჯავრდებულის ადვოკატმა თ. შ-იამ დააზუსტა სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა და იშუამდგომლა გ. ბ-შვილის მიმართ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში გამამართლებელი განაჩენის დადგენა იმ მოტივით, რომ საქართველოს სსკ-ის 262-ე მუხლი მოიცავს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებასაც.

სახელმწიფო ბრალდებელმა გ. ლ-ძემ მხარი არ დაუჭირა სააპელაციო საჩივრის მოთხოვნას და იშუამდგომლა მარნეულის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 24 ივლისის განაჩენის უცვლელად დატოვება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 17 ოქტომბრის განაჩენით მარნეულის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 24 ივლისის განაჩენი შეიცვალა შემდეგი მიმართებით:

გ. ბ-შვილს მოეხსნა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის «ა» ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდება და იგი ამ ნაწილში გამართლდა.

გ. ბ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 262-ე მუხლის IV ნაწილის «ა» ქვეპუნქტით და სასჯელად განესაზღვრა 15 წლით თავისუფლების აღკვეთა.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურის განყოფილების პროკურორმა გ. ლ-ძემ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორმა ითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს უკანონო განაჩენის გაუქმება და საქმის დაბრუნება ხელახალი სასამართლო განხილვისათვის მისი გამკაცრების მიზნით.

მსჯავრდებულ გ. ბ-შვილის ინტერესების დამცველი, ადვოკატი თ. შ-ია შესაგებლით ითხოვეს პროკურორის საკასაციო საჩივრის მოთხოვნაზე უარის თქმასა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 17 ოქტომბრის განაჩენის უცვლელად დატოვებას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და თვლის, რომ პროკურორის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 17 ოქტომბრის განაჩენი გ. ბ-შვილის მიმართ უნდა გაუქმდეს და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის უნდა გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას შემდეგი გარემოებების გამო:

პალატა თვლის, რომ საქმეზე წარმოდგენილ მტკიცებულებათა ერთობლიობით: მსჯავრდებულ გ. ბ-შვილის აღიარებითი ჩვენებით, მოწმეების: ი. ბ-შვილის, დ. რ-შვილის, ი. ზ-შვილის ჩვენებებით,



სასამართლო-ქიმიური ექსპერტიზის დასკვნით, საქართველოს სასაზღვრო პოლიციის მიერ მოწოდებული ინფორმაციითა და საქმის სხვა მასალებით მსჯავრდებულისათვის ბრალად შერაცხული მართლ-საწინააღმდეგო ქმედების ჩადენა დადასტურებულია, მაგრამ, პალატის აზრით, სწორი სამართლებრივი შეფასება არა აქვს მიცემული.

პალატა არ იზიარებს მსჯავრდებულ გ. ბ-შვილის ინტერესების დამცველი ადვოკატის - თ. შ-ის შესაგებლის მოთხოვნას პროკურორის საკასაციო საჩივრის მოთხოვნაზე უარის თქმისა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენის უცვლელად დატოვების შესახებ, უსაფუძვლოების გამო.

პალატა მიიჩნევს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 17 ოქტომბრის განაჩენი გ. ბ-შვილის მიმართ მისი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის III ნაწილის «ა» ქვეპუნქტით გამართლების ნაწილში არის უკანონო და ის უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სისხლის სამართლის საქმეში არსებული მტკიცებულებებით ცალსახად არის დადასტურებული, რომ გ. ბ-შვილმა 2007 წლის 30 იანვარს საქართველოში უკანონოდ შემოიტანა ნარკოტიკული საშუალება «ჰეროინი». დადასტურებულია ისიც, რომ ამ ფაქტს წინ უსწრებდა დასახელებული ნივთიერების საქართველოს საზღვრის გარეთ უკანონოდ შექმნა, შენახვა. შესაბამისად, სახეზე გვაქვს განსასჯელის მიერ სისხლის სამართლის კოდექსის სხვადასხვა მუხლით გათვალისწინებული ორი დამოუკიდებელი დანაშაულის ჩადენა: ერთი - განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შექმნა და შენახვა, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის III ნაწილის «ა» ქვეპუნქტით, მეორე კი განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების საქართველოში უკანონოდ შემოტანა, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 262-ე მუხლის IV ნაწილის «ა» ქვეპუნქტით.

გ. ბ-შვილის ქმედება წინასწარმა გამოძიებამ და პირველი ინსტანციის სასამართლომ სრულიად სამართლიანად და კანონიერად დააკვალიფიცირა სისხლის სამართლის კოდექსის ორი, სხვადასხვა მუხლით, ვინაიდან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 262-ე მუხლის დისპოზიცია არ მოიცავს ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შექმნასა და შენახვას და დასჯად ქმედებად ხდის მხოლოდ ნარკოტიკული საშუალების საქართველოში უკანონოდ შემოტანას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, განსასჯელ გ. ბ-შვილის მიერ ჩადენილი დანაშაულები უნდა დააკვალიფიცირდეს როგორც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის III ნაწილის «ა» ქვეპუნქტით, ასევე - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 262-ე მუხლის IV ნაწილის «ა» ქვეპუნქტით.

ამდენად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო პალატამ საქმის ხელმეორედ განხილვის დროს, სსსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დაცვით, სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად უნდა გამოიკვლიოს საქმისა და საკასაციო საჩივარში მითითებული გარემოებები გ. ბ-შვილის მიმართ წარდგენილ ბრალდებასთან მიმართებით და საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების ანალიზისა და სამართლებრივი შეფასების შედეგად, მიიღოს კანონის შესაბამისი გადაწყვეტილება.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურის განყოფილების პროკურორ გ. ლ-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 17 ოქტომბრის განაჩენი გ. ბ-შვილის მიმართ და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## ნარკოტიკული დანაშაული

### განჩინება

#930-აპ

29 ივლისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე),
- დ. სულაქველიძე,
- ი. ტყეშელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ზ. დ-ძის ინტერესების დამცველი ადვოკატის - პ. ბ-ძის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 19 მაისის განაჩენზე, რომლითაც ზ. დ-ძე ცნობილ იქნა ბრალეულად საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის «ა» ქვეპუნქტით, 273-ე მუხლითა (2007 წლის 4 აპრილის ეპიზოდი) და 273-ე მუხლით (2007 წლის 10 ივნისის ეპიზოდი) გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენაში.

#### აღწერილობითი ნაწილი:

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 4 მარტის განაჩენით ზ. დ-ძე ამჟამად პატიმარი, - ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის «ე» და ამავე მუხლის III ნაწილის «ა» ქვეპუნქტებით, 273-ე მუხლით - 2007 წლის 4 აპრილისა და 2007 წლის 10 ივნისის ეპიზოდებში და საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის I ნაწილის გამოყენებით, შეკრების პრინციპით, მას სასჯელად განესაზღვრა 12 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის V ნაწილის საფუძველზე გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 6 თებერვლის განაჩენით დანიშნული 10 თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც დაემატა ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს და ზ. დ-ძეს, განაჩენთა ერთობლიობით, საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 12 წლითა და 10 თვით თავისუფლების აღკვეთა. მასვე საქართველოს სსკ-ის 41-ე-42-ე მუხლების გამოყენებით, დამატებით სასჯელად დაენიშნა ჯარიმა - 5000 ლარი. იგი სასჯელს იხდის 2007 წლის 10 ივნისიდან.

განაჩენით ზ. დ-ძეს მსჯავრი დაედო ნარკოტიკული დანაშაულის ჩადენის შემდეგ, ნარკოტიკული საშუალების განსაკუთრებით დიდი ოდენობით უკანონოდ შეძენა-შენახვაში, ასევე ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარებაში, ჩადენილი ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ, რაც გამოიხატა შემდეგში:

ზ. დ-ძეს ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარებისათვის ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 30 იანვრის დადგენილებით დაედო ადმინისტრაციული სახდელი - ჯარიმა 500 ლარი, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. მიუხედავად ამისა, მან უკანონოდ, ექიმის დანიშნულების გარეშე, განმეორებით მოიხმარა ნარკოტიკული საშუალება, რაც დადგინდა 2007 წლის 4 აპრილს ნარკოლოგიური შემოწმებით. მანვე ნარკოტიკული დანაშაულის ჩადენის შემდეგ, დაუდგენელ დროსა და დაუდგენელ ვითარებაში, დაუდგენელი პირისაგან უკანონოდ შეიძინა განსაკუთრებით დიდი ოდენობით - 2,541 გრამი ნარკოტიკული საშუალება «ჰეროინი», რაც დააფასოვა 13 ნაწილად, მოათავსა ქაღალდის ნაკეცებში და შეინახა თავის საცხოვრებელ სახლში, ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ... . აღნიშნული ნარკოტიკული საშუალება გადაუდებელი ჩხრეკის შედეგად ამოღებულ იქნა 2007 წლის 10 ივნისს, კერძოდ, საძინებელ ოთახში, საწოლზე დადებული ხელჩანთიდან ამოიღეს 4 ცალ ქაღალდის ნაკეცში მოთავსებული ნარკოტიკული საშუალება «ჰეროინი»; იმავე ოთახში, ჯინსის შარვლის გარეთა, მარჯვენა ჯიბიდან ამოიღეს 4 ქაღალდის ნაკეცსა და სამედიცინო შპრიცში მოთავსებული ნარკოტიკული საშუალება - «ჰეროინი», ხოლო მეორე საძინებელი ოთახიდან, საწოლის ლეიბის ქვემოდან, ამოიღეს 5 ცალ ვერცხლისფერ ქაღალდის ნაკეცში მოთავსებული ნარკოტიკული საშუალება - «ჰეროინი».

მასვე დაკავების დროს - 2007 წლის 10 ივნისს დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე განმეორებით უკანონოდ მოხმარება, რაზედაც მას ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 30 იანვრის დადგენილებით ერთხელ უკვე შეფარდებული ჰქონდა ადმინისტრაციული სახდელი - ჯარიმა - 500 ლარი.

მსჯავრდებულის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა პ. ბ-ძემ სააპელაციო საჩივრით ითხოვა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 4 მარტის განაჩენში ცვლილების შეტანა და დანიშნული სასჯელის შემცირება იმ საფუძველით, რომ ზ. დ-ძემ წარდგენილ ბრალდებაში მთლიანად ცნო თავი დამნაშავედ, რითაც ხელი შეუწყო საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენას, იგი აქტიურად თანამშრომლობდა გამოძიებასთან, აღიარებს და ინანიებს თავის მიერ ჩადენილ დანაშაულს, კმაყოფაზე ჰყავს მეუღლე და მცირეწლოვანი შვილი, ავადმყოფი, პენსიონერი მშობლები.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 19 მაისის განაჩენით ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 4 მარტის განაჩენი დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ ზ. დ-მის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა პ. ბ-მემ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორმა ითხოვა უკანონო, გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და საქმის დაბრუნება ხელახალი სასამართლო განხილვისათვის საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დასადგენად.

**სამოტივაციო ნაწილი:**

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 19 მაისის განაჩენი ზ. დ-მის მიმართ უნდა გაუქმდეს და საქმე გადაეგზავნოს იმავე სასამართლოს ახალი სასამართლო განხილვისათვის შემდეგი გარემოებების გამო:

მსჯავრდებულის ინტერესების დამცველს, ადვოკატ პ. ბ-მეს განაჩენი მიაჩნია აშკარად დაუსაბუთებლად, უკანონოდ და აღნიშნავს, რომ როგორც პირველი, ისე მეორე ინსტანციის სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ერთი მტკიცებულებაც კი არ არსებობს ზ. დ-მის მიმართ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში ბრალის დასადასტურებლად. იგი აღნიშნავს, რომ წინასწარი გამოძიების პერიოდში, ზ. დ-მის საცხოვრებელ სახლში ჩატარებული ჩხრეკისას და ასევე მისი პირადი ჩხრეკის დროს, დაირღვა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა, კერძოდ, ჩხრეკის ჩატარების წინ ზ. დ-მეს, მიუხედავად მისი მოთხოვნისა, არ მისცეს საშუალება, მოეწვია მოწმეები, ასევე - ადვოკატი. დაკავებისა და ჩხრეკის დროს მასზე განხორციელდა ზეწოლა, რის გამოც იგი იძულებული გახდა, დოკუმენტების წაუკითხავად მოეწერა მათზე ხელი.

აღსანიშნავია ის, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ საქმე განიხილა ზეპირი მოსმენის გარეშე.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმე უნდა განიხილოს ზეპირი მოსმენით, ამასთან, საქმის ხელმეორედ განხილვის დროს, სსსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დაცვით, სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად უნდა გამოიკვლიოს საკასაციო საჩივარში მითითებული გარემოებები, რის შემდეგაც სააპელაციო პალატამ უნდა მიიღოს კანონის შესაბამისი გადაწყვეტილება.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

**და ა ა დ გ ი ნ ა :**

მსჯავრდებულ ზ. დ-მის ინტერესების დამცველი ადვოკატის - პ. ბ-მის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 19 მაისის განაჩენი ზ. დ-მის მიმართ და საქმე გადაეგზავნოს იმავე სასამართლოს ახალი სასამართლო განხილვისათვის.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა დიდი ოდენობით; არაერთგზის მოხმარება**

**განჩინება**

#488-აპ

17 სექტემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე),

დ. სულაქველიძე,

ი. ტყემელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ი. მ-მის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 5 თებერვლის განაჩენზე, რომლითაც ი. მ-მე ცნობილ იქნა ბრალეულად საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის „ა“, „დ“ ქვეპუნქტებითა და 273-ე მუხლით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენაში.

### აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 20 ნოემბრის განაჩენით ი. მ-მე ამჟამად პატიმარი, ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის „ა», „დ» ქვეპუნქტებით 6 წლით, სსკ-ის 273-ე მუხლით - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის I ნაწილის თანახმად, შეკრების წესით, მას სასჯელად განესაზღვრა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა.

იგი სასჯელს იხდის 2007 წლის 26 აპრილიდან.

საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილი, ი. მ-მეს ა/მანქანა „რენაულტი», რომელსაც მართავდა, დაუბრუნდა მის კანონიერ მესაკუთრეს, ოჯახის წევრს.

თბილისის საქალაქო სასამართლომ სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 13 დეკემბრის დადგენილებით თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 20 ნოემბრის განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში, საქართველოს სსკ-ის 615-ე მუხლის „ე» ქვეპუნქტის თანახმად, შეიტანა დაზუსტება, რომლის მიხედვითაც, ი. მ-მე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის „ა», „დ» ქვეპუნქტებით - 8 წლით, სსკ-ის 273-ე მუხლით - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის I ნაწილის თანახმად, შეკრების წესით, მას საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენით ი. მ-მეს მსჯავრი დაედო არაერთგზის და დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა, შენახვა, გადაზიდვისა და ნარკოტიკული საშუალების მცირე ოდენობით, ექიმის დანიშნულების გარეშე, უკანონოდ მოხმარებისათვის, ჩადენილი ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ, რაც გამოიხატა შემდეგში:

ი. მ-მე მცხეთის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 12 დეკემბრის განაჩენით ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით, რაც საქართველოს სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე შეეცვალა პირობით, იმავე გამოსაცდელი ვადით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 1 დეკემბრის განაჩენით ი. მ-მე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ» ქვეპუნქტითა და სსკ-ის 362-ე მუხლის პირველი ნაწილით, რისთვისაც სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 1 წლისა და 6 თვის ვადით.

2007 წლის 26 აპრილს ი. მ-მემ გამოძიებით დაუდგენელ ვითარებაში, ასევე დაუდგენელი პირისაგან უკანონოდ შეიძინა დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის» შემცველი, პრეპარატ „სუბოტექსის» აბის ნატეხი და დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება „ჰერონი», რომელიც მან უკანონოდ შეინახა შარვლის უკანა, მარცხენა ჯიბეში, ხოლო ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის» შემცველი, პრეპარატ „სუბოტექსის» აბის ნატეხი - „რენაულტის» მოდელის ავტომანქანაში, რომელსაც თავად მართავდა 2007 წლის 26 აპრილს, 22 საათსა და 34 წუთზე, თბილისში, ნავთლუღის ქუჩის #6-ის მიმდებარე ტერიტორიაზე, საქართველოს შს სამინისტროს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა დააკავეს ი. მ-მე, რომელიც მოძრაობდა თავისი მართვის ქვეშე მყოფი ზემოაღნიშნული ავტო მანქანით. დაკავების მომენტში მან სცადა, თავიდან მოეშორებინა ნივთიერი მტკიცებულებები და მოასწრო ნარკოტიკული საშუალების ნაწილის გადაყლაპვა, რომელიც მან დაკავების ადგილზე ამოიღო ლეზინების გზით, ბიოლოგიური მასის სახით. ი. მ-მეს ფაქტობრივი დაკავების ადგილზევე ჩაუტარდა პირადი ჩხრეკა, რის შედეგადაც ამოღებულ იქნა 0,0321 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰერონი», ხოლო ა/მანქანის ჩხრეკის შედეგად ამოღებულ იქნა 0,00414 გრამი „ბუპრენორფინის» შემცველი „სუბოტექსის» აბის ნატეხი.

მარნეულის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 28 დეკემბრის დადგენილებით ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარებისათვის ი. მ-მე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე მუხლის საფუძველზე დაჯარიმდა 500 ლარით.

საქართველოს შს სამინისტროს საქსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს 2007 წლის 27 აპრილის #2664 გამოკვლევის ლაბორატორიული დასკვნით ი. მ-მე იმყოფებოდა ნარკოტიკული საშუალების (ოპიუმის ჯგუფი) ზემოქმედების ქვეშ.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ი. მ-მემ. აპელანტმა ითხოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენში ცვლილების შეტანა და საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში გამართლება. მისი აზრით, საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მის მიერ წინასწარ გამოძიებასა და სასამართლოში მიცემული ჩვენებები, კერძოდ ის, რომ პოლიციის თანამშრომლებმა მისი დაკავებისას დაარღვიეს როგორც საპროცესო, ასევე, კონსტიტუციური ნორმები, მასზე მოახდინეს ფიზიკური ზეწოლა, არ მისცეს მოწმის დასწრების საშუალება და ჩაუდეს ნარკოტიკული საშუალებები, ხოლო საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში მან თავი მთლიანად ცნო დამნაშავედ და ითხოვა ბრალდების ამ ნაწილში განსაზღვრული სასჯელის უცვლელად დატოვება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 5 თებერვლის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007

წლის 20 ნოემბრის განაჩენი ი. მ-ის მიმართ დარჩა უცვლელად (ი. მ-მეს სასჯელად დარჩა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა).

საპედაგოგო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა ი. მ-მემ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

კასატორი, იქიდან გამომდინარე, რომ მსჯავრდებულს ნარკოტიკული ნივთიერება პოლიციელებმა ჩაუდეს, რის გამოც მსჯავრდების ამ ნაწილში თავს დამნაშავედ არ ცნობს, ითხოვს განაჩენში ცვლილების შეტანასა და საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის „ა», „დ» ქვეპუნქტებით შერაცხული ბრალდების ამორიცხვას.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა არ იზიარებს მსჯავრდებულ ი. მ-ის საკასაციო საჩივრის მოთხოვნას განაჩენიდან საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის „ა», „დ» ქვეპუნქტებით შერაცხული მსჯავრდების ამორიცხვის შესახებ, უსაფუძვლობის გამო.

პალატას მიაჩნია, რომ საქმეზე წარმოდგენილ მტკიცებულებათა ერთობლიობით: მოწმეების - ზ. თ-ძის, ზ. მ-შვილის, შსს-ს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის უფროსი ინსპექტორ-გამომძიებლის - კ. კ-ძის ჩვენებებით, ი. მ-ის პირადი ჩხრეკის, მისი ავტომანქანის ჩხრეკისა და ადგილმდებარეობის დათვალიერების ოქმებით, 2007 წლის 27 აპრილის ქიმიური ექსპერტიზის #594/სქ და შსს-ს საექსპერტო კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს #2664 გამოკვლევის ლაბორატორიული დასკვნებით, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ს კლინიკური საავადმყოფოს 2007 წლის 28 მაისის ამონაწერით ავადმყოფის სტაციონარის #853 სამედიცინო ბარათიდან, დიაგნოზით - ნარკოტიკული საშუალებით ინტოქსიკაცია, ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილებით მსჯავრდებულისათვის ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენა დადასტურებულია, სწორი სამართლებრივი შეფასება აქვს მიცემული კვალიფიკაციის ნაწილში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ 2007 წლის 13 დეკემბრის დადგენილებით საქართველოს სსსკ-ის 615-ე მუხლის „ე» ქვეპუნქტის საფუძველზე შეცვალა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 20 ნოემბრის განაჩენის სარეზოლუციო ნაწილი სასჯელთან დაკავშირებით, რაც, პალატის აზრით, არასწორია, რადგან საქართველოს სსსკ-ის 615-ე მუხლის თანახმად, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს უფლება აქვს, აღმოფხვრას გადაწყვეტილებაში არსებული ის ბუნდოვანება - უზუსტობები, რაც, არ გამოიწვევს მის გაუქმებას ან შეცვლას; საქალაქო სასამართლომ კი თავისი გადაწყვეტილებით შეიტანა ისეთი დაზუსტება, რომელმაც გავლენა მოახდინა სასამართლოს დასკვნაზე, კერძოდ - სასჯელის ღონისძიებაზე.

აღნიშულიდან გამომდინარე, პალატას მიაჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 20 ნოემბრის განაჩენის სარეზოლუციო ნაწილი უნდა შეიცვალოს შემდეგი მიმართებით:

მსჯავრდებული ი. მ-მე ცნობილ უნდა იქნეს დამნაშავედ და მიესაჯოს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის „ა», „დ» ქვეპუნქტებით 6 წლით, სსკ-ის 273-ე მუხლით - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ი. მ-მეს საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის I ნაწილის თანახმად, სასჯელად უნდა განესაზღვროს 7 წლით თავისუფლების აღკვეთა.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის I ნაწილის „ა» და „დ» ქვეპუნქტებით, 568-ე მუხლებით,

### **და ა ა დ გ ი ნ ა :**

მსჯავრდებულ ი. მ-ის საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის საპედაგოგო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 5 თებერვლის განაჩენი შეიცვალოს შემდეგი მიმართებით:

მსჯავრდებული ი. მ-მე ცნობილ იქნეს დამნაშავედ და მიესაჯოს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის „ა», „დ» ქვეპუნქტებით 6 წლით, ხოლო სსკ-ის 273-ე მუხლით - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ი. მ-მეს საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის I ნაწილის გამოყენებით საბოლოო სასჯელად განესაზღვროს 7 წლით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## ნარკოტიკული დანაშაული

### განჩინება

#482-აპ

19 სექტემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),  
ზ. მეიშვილი,  
ლ. მურუსიძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ი. მ-დეს ინტერესების დამცველის, ადვოკატ ვ. ს-ძის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 23 იანვრის განაჩენზე.

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 15 სექტემბრის განაჩენით ი. მ-დე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 353-ე მუხლის 1-ლი ნაწილით იმაში, რომ ჩაიდინა ნარკოტიკული საშუალების დიდი ოდენობით უკანონოდ შექმნა და შენახვა; ასევე - წინააღმდეგობა საზოგადოებრივი წესრიგის დამცველის მიმართ, რაც გამოიხატა შემდეგში:

ი. მ-დემ დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, დაუდგენელი პირისაგან უკანონოდ შეიძინა დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება „ამფეტამინი“, რომლის ნაწილი მოიხმარა, ხოლო დარჩენილი ნაწილი - 7 აბი, საერთო წონით - 1,233 გრამი, რომელიც შეიცავს ნარკოტიკულ საშუალება „ამფეტამინს“, საერთო წონით - 0,035 გრამს და 25 აბი, რომლისგანაც 15 დანალექი ამორფული კონსისტენციის, საერთო წონით - 3.0 გრამი შეიცავს „ამფეტამინს“ 0,045 გრამის ოდენობით, 11 ტენიანი აბი, საერთო წონით - 2,506 გრამი, მშრალ ნივთიერებაზე გაანგარიშებით, 0,054 გრამი „ამფეტამინის“ შემცველობით შეინახა თავის ავტომანქანაში. აღნიშნული ნივთიერება 2005 წლის 8 აგვისტოს ქ. ბათუმში, ... ქ. #4-ში მდებარე სახლის ეზოში, ი. მ-დეს კუთვნილი ავტომანქანა „ჯიპ-გრანდ-ჩეროკის“ ჩხრეკისა და იქვე, ავტომანქანის გვერდით, მიწიდან ამოიღეს შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს. ამ აბების გადაყრა მან მოახერხა პოლიციის მუშაკების დანახვისას, რა დროსაც ის შემთხვევის ადგილზე დააკავეს.

ი. მ-დე 2005 წლის 8 აგვისტოს, დანაშაულის ჩადენის მომენტში, არ დაემორჩილა პოლიციის თანამშრომლების კანონიერ მოთხოვნას და გაუწია მათ წინააღმდეგობა, რა დროსაც გამოიყენა ძალადობა და პოლიციელ გ. გ-ძეს მიაყენა სხეულის მსუბუქი ხარისხის დაზიანება.

აღნიშნული ქმედებისათვის ი. მ-დეს საბოლოოდ მიესაჯა 8 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყო 2007 წლის 16 მაისიდან; მასვე სასჯელის მოხდის ვადაში ჩათვალა 2005 წლის 8 აგვისტოდან 2006 წლის 4 იანვრამდე პატიმრობასა და შინაპატიმრობაში ყოფნის დრო; ი. მ-დეს დამატებითი სასჯელის სახით განესაზღვრა ჯარიმა 5 ათასი ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ვ. ს-ძემ. მან ითხოვა განაჩენის გაუქმება, ი. მ-დეს გამართლება და მის მიმართ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 23 იანვრის განაჩენით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

კასატორი - მსჯავრდებულ ი. მ-დეს ინტერესების დამცველი, ადვოკატი ვ. ს-ძე საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი უკანონო და დაუსაბუთებელია შემდეგ გარემოებათა გამო:

როგორც ოპერატიული ინფორმაციიდან პოლიციისათვის გახდა ცნობილი, ბათუმში, ... ქ. #4-ში, სახლის ეზოში მდგარ მანქანაში, ს. ბ-მე ასაღებდა ნარკოტიკებს; მიუხედავად ამისა, პოლიციელებს არ გაუჩნდათ ეჭვი, რომ ეს ნარკოტიკული საშუალება მართლაც ს. ბ-ძის საკუთრება იყო, მით უფრო, რომ ი. მ-დეს მანქანიდან გადაყვანის შემდეგ ის დიდხანს იჯდა ავტომანქანაში და შეეძლო აბების ჩაყრა; ამასთან, ი. მ-დეს ცოტა ხნით ადრე ბანკიდან გამოტანილი ფული უკლებლივ ედო ჯიბეში; საქმეში დევს წერილობითი მტკიცებულება, რომ ი. მ-დე ერთსა და იმავე დროს დაკითხვაზე იყო პოლიციის შენობაში, მანქანის ჩხრეკასაც ესწრებოდა და თურმე, უარსაც ამბობდა დამსწრეების მოყვანაზე; სასამართლომ არ დაკითხა მოწმე, რომელიც ფლობდა ინფორმაციას ეზოში მომხდარი სამარცხვინო ძალადობის შესახებ.

ადვოკატ ვ. ს-ძის აზრით, „დიდი არაფერი ცოდვას“, თუ არასაკმარისი მტკიცებულებების გამო ნარკოტიკების მომხმარებელი დაუსჯელი დარჩება, რადგან ასეთი დანაშაული არ არის მიმართული სხვისი სიცოცხლის, საკუთრებისა და თავისუფლების წინააღმდეგ, განსხვავებით პოლიციელების მიერ

ჩადენილი დანაშაულისა, რომელიც მიმართული იყო სხვისი თავისუფლებისა და ქონების წინააღმდეგ და ჩადენილი იყო ძალადობითა და სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი ითხოვს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 23 იანვრის უკანონო, დაუსაბუთებელი და უსამართლო განაჩენის გაუქმებას, ი. მ-დეს გამართლებას, მის მიმართ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტასა და პატიმრობიდან განთავისუფლებას.

**სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

უსაფუძვლოა და პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მოტივს, თითქოს გასაჩივრებული განაჩენი დაუსაბუთებელია და საქმეში არ მოიპოვება ი. მ-დეს მამხილებელი უტყუარი მტკიცებულებები, კერძოდ:

დაზარალებულ გ. გ-ძის, მოწმეების - ე. გ-ძის, ვ. ქ-ძისა და რ. ი-ძის ჩვენებებით ირკვევა, რომ შემთხვევის დროს ეგვათ პოლიციის ფორმა, ავტომანქანაში მყოფ პირებს მოსთხოვეს გადმოსვლა, მაგრამ მათ აამუშავეს ძრავა და სცადეს მიმალვა, რაც ვერ შეძლეს და ჩაკეტეს კარები. მცირე ხნის საუბრის შემდეგ მძღოლმა გააღო კარი, გადაყარა ყვითელი აბები და გ. გ-ძეს ხელი დაარტყა სახეში. ავტომანქანის სალონში მიმობნეული იყო ყვითელი აბები.

შემთხვევის ადგილთან მცხოვრები მ. გ-შვილის ჩვენებებით დადგენილია, რომ ავტომანქანასთან მოხდა ჩხუბი. «ჯიპის» მძღოლმა რაღაც საგნები გადააგდო და წინააღმდეგობას უწევდა პოლიციელებს, მაგრამ დააკავეს. დაკავებულს თან ახლდა ს. ბ-ძე.

მოწმე ს. ბ-ძემ სასამართლოს განუცხადა, რომ პოლიციელებმა თავი წარუდგინეს და მცირე ხანში ი. მ-დე გადავიდა ავტომანქანიდან. ამ უკანასკნელსა და პოლიციელებს შორის რა მოხდა, არ იცის, მაგრამ ი. ს მანქანაში ჰქონდა კოლბაში მოთავსებული ყვითელი აბები. დაზარალებულისა და მოწმის სახით დაკითხულ პოლიციელთა ჩვენებების ობიექტურობაზე მეტყველებს საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებიც, მათ შორის - ავტომანქანის ჩხრეკისა და შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმები. ამასთან, შემთხვევის ადგილი და ავტომანქანა ფოტოგრაფირებულ იქნა. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით დადგენილია, რომ დაზარალებულ გ. გ-ძეს აღენიშნებოდა დაზიანებები ნაჭდეუების სახით წარბისა და კისრის მიდამოში, რაც ხანდაზმულობით შეესაბამება მომხდარს.

ი. მ-დეს მიერ დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვა ასევე დადასტურებულია სასამართლო-ქიმიური ექსპერტიზის დასკვნით.

ამასთან, საქმის მასალებით ირკვევა, რომ მსჯავრდებული თავდაპირველად დააკავეს 2005 წლის 8 აგვისტოს. მას აღკვეთის ღონისძიებად შეეფარდა პატიმრობა, რაც შეეცვალა შინაპატიმრობით, თუმცა მისი ვადა სასამართლოს გადაწყვეტილებით არ დადგენილა.

სსსკ-ის 680<sup>ა</sup>-ე მუხლის შესაბამისად, შინაპატიმრობა მოქმედებს მისი გამოყენების შესახებ ბრძანების მოქმედების ვადით. მართალია, ი. მ-დესათვის შერჩეული აღკვეთის ღონისძიების - შინაპატიმრობის ვადა არ განსაზღვრულა, მაგრამ ადრე მოქმედი რედაქციის სსსკ-ის 152-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, პატიმრობისა და შინაპატიმრობის ვადა არ შეიძლებოდა ყოფილიყო 9 თვეზე მეტი. ამის გამო, მსჯავრდებულს სასჯელის მოხდის ვადაში უნდა ჩაეთვალოს პატიმრობასა და შინაპატიმრობაში ყოფნის დრო - 9 თვე.

გარდა აღნიშნულისა, გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანია და უნდა დარჩეს უცვლელად.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

**და ა ა დ გ ი ნ ა :**

მსჯავრდებულ ი. მ-დეს ინტერესების დამცველის, ადვოკატ ვ. ს-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 23 იანვრის განაჩენი შეიცვალოს: მსჯავრდებულ ი. მ-დეს სასჯელის ვადაში მოხდილად ჩაეთვალოს დაპატიმრებისა და შინაპატიმრობაში ყოფნის დრო - 9 თვე.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ნარკოტიკული საშუალების გამოძალვა

### განჩინება

#1911-აპ

29 სექტემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

ი. ტყეშელაშვილი (თავმჯდომარე),  
ზ. მეიშვილი,  
ლ. მურუსიძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ი. გ-შვილისა და მსჯავრდებულ შ. მ-ელის ინტერესების დამცველი ადვოკატების - დ. კ-შვილისა და ი. კ-შვილის საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 5 ოქტომბრის განაჩენზე.

#### აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 4 დეკემბრის განაჩენით ი. გ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა», „გ», „ე», „თ» ქვეპუნქტებით იმაში, რომ ჩაიდინა თავისუფლების უკანონო აღკვეთა წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, ორი ან მეტი პირის, მათ შორის წინასწარი შეცნობით ორსული ქალის მიმართ, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ასეთი ძალადობის მუქარით;

ამავე განაჩენით შ. მ-ელი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა», „გ», „ე», „ზ», „თ» ქვეპუნქტებით, 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა», „დ» ქვეპუნქტებითა და 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, მე-3 ნაწილის „ა» ქვეპუნქტით იმაში, რომ ჩაიდინა თავისუფლების უკანონო აღკვეთა წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, ორი ან მეტი პირის, მათ შორის, წინასწარი შეცნობით ორსული ქალის მიმართ, სხვა დანაშაულის ჩადენის გაადვილების მიზნით, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ასეთი ძალადობის მუქარით; ასევე - ყაჩაღობა ჯგუფურად, დიდი ოდენობით ნივთის დაუფლების მიზნით; ასევე - წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა და შენახვა; ასევე - ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა და შენახვა.

ი. გ-შვილისა და შ. მ-ელის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში: შ. მ-ელი, ი. გ-შვილი და სხვა პირები, დიდი ოდენობით სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო დაუფლებისა და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენის გაადვილების მიზნით, დანაშაულებრივად დაუკავშირდნენ ერთმანეთს. მოლაპარაკების თანახმად, ისინი თავდასხმას განახორციელებდნენ ნ. ო-ოვსა და მის ფეხმძიმე მეუღლეზე - რ. ტ-ერზე, თავისუფლებას აღუკვეთდნენ მცხეთის რაიონის სოფელ ... ი. გ-შვილის საცხოვრებელი სახლის ეზოში მდებარე ავტოფარეხში, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში მუქარით გაიტაცებდნენ დასახელებულ პირთა ქონებას და აიძულებდნენ, ჯგუფის წევრებისათვის გამოსასყიდის სახით მიეტანათ განსაკუთრებით დიდი ოდენობის ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი».

განზრახვის სისრულეში მოსაყვანად 2004 წლის 26 დეკემბერს, 17 საათზე, შ. მ-ელი და სხვა პირები თბილისში, ... მდებარე რესტორან „ბაბილოს» მიმდებარე ტერიტორიაზე თავს დაესხნენ რ. ტ-ერსა და ნ. ო-ოვს, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობისა და მუქარის გამოყენებით, ნ. ო-ოვისათვის დანით მრავლობითი ჭრილობების მიყენების შედეგად ისინი გადასვეს თავიანთ ავტომანქანაში, გადაიყვანეს ი. გ-შვილის ავტოფარეხში, აღუკვეთეს თავისუფლება და გაიტაცეს 6600 აშშ დოლარად ღირებული „მერსედის» მარკის ავტომანქანა, 1500 აშშ დოლარად ღირებული კომპიუტერი, 700 აშშ დოლარად ღირებული ოქროს სამაჯური და 2700 ლარი. თავისუფლების უკანონო აღკვეთისთანავე ბოროტმოქმედებმა ნ. ო-ოვს შეუკრეს ხელ-ფეხი, ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფითა და სიცოცხლისათვის საშიში მუქარით მოსთხოვეს, მათთვის მიეტანა 20 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი», წინააღმდეგ შემთხვევაში დაემუქრნენ მისი და მისი მეუღლის ფიზიკური განადგურებით. ნ. ო-ოვი დარწმუნდა, რომ მუქარა იყო რეალური, აღმოჩნდა უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში, რის გამოც იძულებული გახდა, მათ შეჰპირებოდა, რომ შეასრულებდა მოთხოვნას, რის შემდეგაც 2004 წლის 27 დეკემბერს ის გაუშვეს, ხოლო მისი მეუღლე დაიტოვეს. პირობის თანახმად, 27 დეკემბერს ნ. ო-ოვმა გარდაბნის რაიონის სოფელ ... 1500 აშშ დოლარად შეიძინა განსაკუთრებით დიდი ოდენობის - 20 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი» და იმავე დღეს, თავისი მეგობრის მეშვეობით გადასცა შ. მ-ელს, ი. გ-შვილსა და სხვა პირებს, რის შემდეგ რ. ტ-ერი 2004 წლის 28 დეკემბერს, დაახლოებით 1 საათზე, გაათავისუფლეს უკანონოდ თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან.



აღნიშნული დანაშაულის შედეგად რ. ტ-ერმა და ნ. ო-ოვმა მიიღეს მორალური, ხოლო ამ უკანასკნელმა - ფიზიკური ზიანი, სხეულის მსუბუქი დაზიანება ჯანმრთელობის მოშლის გარეშე, ხოლო ორივემ ერთად - 8800 აშშ დოლარისა და 2700 ლარის მატერიალური ზიანი.

შ. მ-ელმა გამოძიებით დროსა და ვითარებაში უკანონოდ შეიძინა ნარკოტიკული საშუალება „მორფინის ჰიდროქლორიდი“, წონით 0,07 გრამი და ნარკოტიკული საშუალება „მარბუანა“, წონით 0,08 გრამი, რომელსაც ასევე უკანონოდ ინახავდა თბილისში, . . . , ბინა 15-ში, საიდანაც იმავე წლის 28 დეკემბერს ჩატარებული ჩხრეკის შედეგად ამოღებულ იქნა.

აღნიშნული ქმედებისათვის შ. მ-ელს საქართველოს 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებით მიესაჯა 7 წლით, 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „გ“, „ე“, „ზ“, „თ“ ქვეპუნქტებით - 7 წლით, 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით - 3 წლით, 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით - 9 წლით თავისუფლების აღკვეთა; საბოლოოდ შ. მ-ელს განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 13 წლის ვადით, რომლის ათვლა დაეწყო 2004 წლის 28 დეკემბრიდან; ი. გ-შვილი გამართლდა საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „დ“ ქვეპუნქტებით, 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში; მას სსკ-ის 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „გ“, „ე“ და „თ“ ქვეპუნქტებით მიესაჯა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყო 2005 წლის 25 იანვრიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა ი. გ-შვილმა და მისმა ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა თ. გ-შვილმა, ასევე - მსჯავრდებულ შ. მ-ელის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა გ. ჯ-ძემ. მათ ითხოვეს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმება და მსჯავრდებულების გამართლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 5 ოქტომბრის განაჩენით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა; ამასთან, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 4 დეკემბრის განაჩენი შეიცვალა: შ. მ-ელი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს ამჟამად მოქმედი რედაქციის სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „გ“, „ე“, „თ“ ქვეპუნქტებით, 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და საბოლოოდ მიესაჯა 13 წლით თავისუფლების აღკვეთა; ი. გ-შვილს საქართველოს 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „გ“, „ე“, „თ“ ქვეპუნქტებით განესაზღვრა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა.

კასატორი - მსჯავრდებული ი. გ-შვილი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ წინასწარი და სასამართლო გამოძიება მიმდინარეობდა ცალმხრივად, არაობიექტურად და მიკერძოებით, პროცესულური დარღვევებით; საქმეში არ არსებობს მისი დანაშაულის დამადასტურებელი არც ერთი მტკიცებულება, მეტიც, დაზარალებულების ჩვენებებით დადგენილია, რომ მათ მოტაცებაში ი. გ-შვილს ბრალი არ მიუძღვის და როდესაც მისთვის ცნობილი გახდა მოტაცებულების ავტოფარეხში ყოფნის ფაქტი, მან კატორიულად მოსთხოვა შ. მ-ელსა და სხვა პირებს წასვლა; ი. გ-შვილი სწორედ ამ იმედით წავიდა მეუღლის დეიდაშვილის ნათლობაზე, რომ უკან დაბრუნებულს იქ აღარავინ დახვდებოდა; მის ეზოს არა აქვს ჭიშკარი და ამიტომ ავტოფარეხით ნებისმიერ შემთხვევაში სარგებლობა; გამოძიების არც ერთ ეტაპზე ბრალდებას არ მოუპოვებია რაიმე მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა მის ბრალეულობას, ხოლო ყოველგვარი ეჭვი უნდა გადაწყდეს ექვიტანის სასარგებლოდ.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მსჯავრდებული ი. გ-შვილი ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 5 ოქტომბრის განაჩენის გაუქმებასა და მისი ქმედების დაკვალი-ფიცირებას სსკ-ის 375-ე მუხლით.

მსჯავრდებულ შ. მ-ელის ინტერესების დამცველი ადვოკატები - დ. კ-შვილი და ი. კ-შვილი საკასაციო საჩივარში აღნიშნავენ, რომ განაჩენი უკანონო, დაუსაბუთებელი და უსამართლოა, რადგან სააპელაციო სასამართლოს დასკვნები გამოტანილია საქართველოს კონსტიტუციისა და საპროცესო კანონმდებლობის ნორმების არსებითი დარღვევებით, რომლებმაც გავლენა მოახდინეს კანონიერი, სამართლიანი და საფუძვლიანი განაჩენის დადგენაზე; სააპელაციო სასამართლომ არ გამოიკვლია სრულად, ობიექტურად და მიუკერძოებლად და არ შეაფასა დაცვის მხარის მიერ მითითებული მტკიცებულებები, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოიყენებინა და არ გამოიყენა ის კანონი, რომლითაც უნდა ეხელმძღვანელა.

კასატორთა მოსაზრებით, განაჩენს საფუძვლად უდევს დაუშვებელი მტკიცებულებები, რომლებიც მოპოვებულია საამისოდ არაუფლებამოსილი პირების მიერ; მოცემულ საქმეზე წინასწარ გამოძიებას 2004 წლის 28 დეკემბრიდან 2005 წლის 11 იანვრამდე აწარმოებდა სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს კონტრტერორისტული დეპარტამენტის საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლები; „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის უფლებამოსილებისა და წესის შესახებ“ 2004 წლის 24 დეკემბერს შეტანილი ცვლილებით ერთი თვის ვადაში უნდა განხორციელებულიყო სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ლიკვიდაციასთან დაკავშირებული ღონისძიებები; გაუქმდა კონტრტერორისტული დეპარტამენტი; იმ პირებს, რომლებმაც 2004 წლის 28 დეკემბრის შემდგომ წარმოებაში მიიღეს სს საქმე, ჩაატარეს

სხვადასხვა საგამოძიებო მოქმედება, 2004 წლის 27 დეკემბრიდან შეწყვეტილი ჰქონდათ უფლებამოსილება; ისინი მოქმედებდნენ ძველი, გაუქმებული კონტრტერორისტული დეპარტამენტის თანამშრომელთა სტატუსით, რის გამოც მათ მიერ მოპოვებული მტკიცებულებები წარმოადგენენ დაუშვებელ მტკიცებულებებს, ხოლო მათ მიერ მიღებული საპროცესო გადაწყვეტილებები წარმოადგენენ უკანონო საპროცესო აქტებს.

გარდა აღნიშნულისა, ადვოკატები კატეგორიულად არ ეთანხმებიან განაჩენის დასკვნას შ. მ-ელის 0,08 გრამი ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანას“ უკანონო შექმენა-შენახვისათვის დამნაშავედ ცნობის შესახებ, რადგან აღნიშნული რაოდენობის „მარიხუანა“, მცირე ოდენობის გამო, არ წარმოადგენს სს კოდექსით გათვალისწინებულ დასჯად ქმედებას; შ. მ-ელის მიმართ გამამტყუნებელ განაჩენს საფუძვლად დაედო 2005 წლის 11 იანვრის ქიმიური ექსპერტიზის დასკვნა და ექსპერტ ლ. ნ-შვილის მოწმის სახით მიცემული ჩვენებები; ექსპერტმა დაკითხვების დროს ვერ შეავსო დასკვნაში არსებული ხარვეზები; პირველი ინსტანციის სასამართლომ გამოიკვლია დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი მცოდნე პირის - ფარმაცევტთა საერთაშორისო ფედერაციის ჰააგის საბჭოს წევრის, ქიმიკოს-ტოქსიკოლოგის, ფარმაცევტულ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ქ. ბ-ძის მიერ გაცემული დასკვნა, რომლითაც დგინდება, რომ ექსპერტ ლ. ნ-შვილს შპრიცებში არსებულ სითხეში უნდა განესაზღვრა „მორფინის“ ჰიდროქლორიდის რაოდენობა გრამებში დენსიტომეტრიული ან პლანიმეტრიული მეთოდით, ან ნივთმტკიცებაში არსებული სითხის კონცენტრაცია უნდა გამოეთვალა ტიტრაციის მეთოდით და გადაეანგარიშებინა მშრალ ნივთიერებაზე; ექსპერტს ეს მეთოდები არ გამოუყენებია და, შესაბამისად, არც კონცენტრაცია და „მორფინის“ რაოდენობა არ განუსაზღვრავს, რაც იმას ნიშნავს, რომ ზეპირი გაანგარიშება ეყრდნობა მხოლოდ ვარაუდს; აღსანიშნავია ისიც, რომ უტყუარ მტკიცებულებად მიჩნეულ ჩხრეკის ოქმში მითითებულია, რომ შ. მ-ელის ბინის ჩხრეკისას ამოიღეს სამი ცალი 2-გრამიანი შპრიცი მოთეთრო ფერის სითხით, ხოლო ექსპერტის მიერ გამოკვლეული 7 მლ სითხე ვერანაირად ვერ მოთავსდებოდა ჩხრეკის ოქმსა და განაჩენში მითითებულ სამ ცალ 2-გრამიან, ერთჯერადი ხმარების შპრიცში; მოცემულ შემთხვევაში, საქართველოს სსკ-ის 373-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ექსპერტის დასკვნა დაუშვებელ მტკიცებულებას წარმოადგენს, რადგან ის არ დასტურდება ექსპერტის ზეპირი ჩვენებით სასამართლოში.

კასატორთა მოსაზრებით, აშკარაა ბინის ჩხრეკის ოქმში და ექსპერტის მიერ გამოკვლეული საგნების ინდივიდუალური და გვარეობითი ნიშნების სხვადასხვაობა, რაც მიუთითებს ამოღებული საგნების შესაძლო გამოცვლის და მათი ნიშანთვისებათა არსებითი ცვლილების შესახებ; ამ შემთხვევაში, სსკ-ის 121-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ზემოაღნიშნული მტკიცებულებაც დაუშვებელ მტკიცებულებას წარმოადგენს; საყურადღებოა ისიც, რომ მოწმეების - ვ. ნ-ძისა და მ. ბ-ოვას ჩვენებებით, ბინის ჩხრეკა ჩატარებულია კანონით დადგენილი წესის დარღვევით, ხოლო ვ. ნ-ძის ჩვენებით, ამოღებული სამედიცინო შპრიცები იყო ცარიელი; შ. მ-ელი ისეა ცნობილი დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, რომ არც ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“ ამოღებული და არც შესაბამისი ქიმიური ექსპერტიზის დასკვნა არსებობს; არავის აუწონავს თითქოსდა არსებული ნარკოტიკული ნივთიერება; საქმეში არ არსებობს არც ერთი მტკიცებულება იმისა, რომ ვინმემ თავისი თვალთ ნახა 20 გრამი „ჰეროინი“.

საჩივრის ავტორები ასევე მიუთითებენ, რომ დაზარალებულ ნ. ო-ოვის ჩვენებით, მას არ უნახავს ნარკოტიკი; დაზარალებულ რ. ტ-ერს ჩვენების მიცემის დროს არ უსარგებლია თარჯიმნის მომსახურებით, როდესაც თარჯიმნის ყოფნა სავალდებულო იყო; მისი ჩვენებით უტყუარად დადგინდა, რომ შ. მ-ელს მასზე განხორციელებულ ყაჩაღურ თავდასხმაში მონაწილეობა არ მიუღია, პირიქით, უთითებს, რომ შ. მ-ელმა ის გადაარჩინა, ორჯერ დაუბრუნა ოქროსულობა და უნდოდა მისი გაშვება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორები ითხოვენ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 5 ოქტომბრის განაჩენის გაუქმებას და შ. მ-ელის მიმართ სისხლის-სამართლებრივი დევნის შეწყვეტას საქართველოს სსკ-ის 28-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა საჩივრების საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ ისინი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

დაზარალებულმა ნ. ო-ოვმა სასამართლო სხდომაზე დაადასტურა, რომ ერთ-ერთი გამტაცებელი შ. მ-ელი იყო და გატაცებისას დაახლოებით 5-ჯერ დაარტყეს დანა. შემდეგ თავისივე ავტომანქანით ნ. ო-ოვი და მისი მეუღლე - რ. ტ-ერი მიიყვანეს ი. გ-შვილის ავტოფარეხში და დაზარალებულის მანქანა სრულად დაშალეს, რა დროსაც ი. გ-შვილმა იპოვა იარაღი და საბუთები და რადგან ნ. ო-ოვი პოლიციელად აღიქვა, დაიწყო ჩხუბი და დაზარალებულს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. ბოროტმოქმედები ძალადობით და მოკვლის მუქარით ითხოვდნენ 50 ათას აშშ დოლარს, შემდეგ მოითხოვეს 20 გრამი «ჰეროინი» და მის მოსატანად გაათავისუფლეს ნ. ო-ოვი, ხოლო ამ უკანასკნელის მეუღლე მძევლად დაიტოვეს. ყველაფერი ი. გ-შვილის თვალწინ ხდებოდა. ნ. ო-ოვმა მეგობრის დამხარებით შეიძინა მოთხოვნილი ნარკოტიკული საშუალება. დაზარალებულის განცხადებით, მას მიადგა 10 ათასი აშშ დოლარის ოდენობის მატერიალური ზიანი.

ანალოგიური ჩვენება მისცა და შ. მ-ელი და ი. გ-შვილი დამაჯერებლად ამხილა დაზარალებულმა რ. ტ-ერმაგ. მან განაცხადა, რომ გატაცების შემდეგ ი. გ-შვილმა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა, რაზეც დაზარალებულმა სთხოვა - ორსულად ვარ და ნუ მცემო. გარდა ამისა, ი. გ-შვილმა გადაყარა დაშლილი ავტომანქანის ნაწილები. დაზარალებულმა ისიც აღნიშნა, რომ ბოროტმოქმედები ერთიანი განზრახვით და საერთო მიზნის მისაღწევად მოქმედებდნენ.

2004 წლის 28 დეკემბრის ჩხრევის ოქმით ირკვევა, რომ შ. მ-ელის ბინიდან, სხვა ნივთებთან ერთად, დამსწრეთა მონაწილეობით ამოღებულ იქნა სამი ორ გრამიანი შპრიცი მოთეთრო სითხით და მორფინის 22 ცარიელი ამპულა. შენიშვნა არავის გამოუთქვამს და ოქმს ხელი მოაწერა შ. მ-ელმაგ. მასვე გადაეცა ოქმის ასლი.

საქმის მასალებით ირკვევა, რომ შ. მ-ელის ბინის ჩხრევისას ამოღებული საგნები დაილუქა და იმ დღესვე გაიგზავნა გამოსაკვლევად. მომდევნო დღეს გაიცა სპეციალისტის ცნობა, რომლის მიხედვით ნივთმტკიცებათა შეფუთვისა და ლუქის მთლიანობა დარღვეული არ იყო. ქიმიური ექსპერტიზის დასკვნით, სამი ერთჯერადი მოხმარების შპრიცის შიგთავსი წარმოადგენს 6,9 მლ მორფინის ჰიდროქლორიდს (საწყისი - 7 მლ).

პალატა აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს ნივთმტკიცების შესაძლო გამოცვლის, მისი ნიშნებისა და თვისებების არსებითად შეცვლის ვარაუდის საფუძველი. ის გარემოება, რომ ჩხრევის ოქმში მითითებული სამი ორგრამიანი შპრიცის ნაცვლად გამოკვლევისათვის წარდგენილი შპრიცებიდან ორი აღმოჩნდა 2,5 მილილიტრიანი, არ წარმოადგენს მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის საფუძველს.

სასამართლოში დაიკითხა შ. მ-ელის ბინის ჩხრევის დამსწრე პირები. მათგან ვ. ნ-ძემ განმარტა, რომ ჩხრევის შედეგად ამოიღეს ცარიელი შპრიცები. ვ. ნ-ძემ აღნიშნა, რომ ოქმი წაუკითხეს და მას ხელი მოაწერა. მოწმე მ. ბ-ოვამ აღნიშნა, რომ შპრიცები მისი თანდასწრებით ამოიღეს და არ ახსოვს, ისინი «სავსე იყო თუ ცარიელი».

ასევე დაიკითხა ქიმიური ექსპერტიზის დასკვნის ავტორი, რომელმაც განაცხადა, რომ შპრიცების შიგთავსი წარმოადგენდა მორფინს, რაც თვისობრივად დადგინდა. ექსპერტმა კატეგორიულად დაადასტურა დასკვნის ობიექტურობა.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს ადვოკატების - დ. კ-შვილის და ი. კ-შვილის საჩივრის მოტივს იმის შესახებ, რომ 2007 წლის 27 დეკემბრიდან მოცემულ საქმეზე ჩატარებული საგამომიებო მოქმედებების ავტორებს შეწყვეტილი ჰქონდათ უფლებამოსილება.

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის უფლებამოსილებისა და წესის შესახებ» 2004 წლის 24 დეკემბრის კანონის მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, ამ კანონის ამოქმედებიდან 1 თვის ვადაში უნდა განხორციელებულიყო სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ლიკვიდაცია და შინაგან საქმეთა სამინისტროს რეორგანიზაცია, რაც განხორციელდა 2005 წლის 25 იანვარს. საქმეშია პირთა თანამდებობაზე დანიშნვის ბრძანებები და შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციის მიმართვა, რომელთა მიხედვით საკასაციო საჩივარში აღნიშნული პირები შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის თანამდებობებზე დაინიშნენ 2004 წლის 27 და 30 დეკემბრიდან, ასევე - 2005 წლის 3 იანვრიდან, ხოლო მანამდე მათ ეკავათ თანამდებობები უშიშროების სამინისტროში.

საქმეში არსებული უტყუარი მტკიცებულებების ერთობლივი ანალიზის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, შ. მ-ელმა ჩაიდინა არა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვა, არამედ მისი გამოძალვა, რასაც ითვალისწინებს სსკ-ის 264-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტი (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციით). შესაბამისად, შ. მ-ელის ქმედება სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტიდან უნდა გადაკვალიფიცირდეს 264-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტზე.

საკასაციო პალატა იზიარებს ადვოკატების - დ. კ-შვილის და ი. კ-შვილის საჩივრის მოტივს იმის შესახებ, რომ 0,08 გრამი ნარკოტიკული საშუალება «მარიხუანას» უკანონო შეძენა და შენახვა არ წარმოადგენს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ ქმედებას, რის გამოც გასაჩივრებული განაჩენიდან უნდა ამოირიცხოს მითითება ამის შესახებ.

სააპელაციო პალატის განაჩენი სხვა ნაწილში კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანია და უნდა დარჩეს უცვლელად.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა :**

მსჯავრდებულ ი. გ-შვილისა და მსჯავრდებულ შ. მ-ელის ინტერესების დამცველი ადვოკატების - დ. კ-შვილისა და ი. კ-შვილის საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 5 ოქტომბრის განაჩენი შეიცვალოს: მსჯავრდებულ შ. მ-ელის ქმედება სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3

ნაწილის «ა» ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდეს 264-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტზე (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციით) და მიესაჯოს 9 წლით თავისუფლების აღკვეთა;

სააპელაციო პალატის განაჩენიდან შ. მ-ელის მიმართ ამოირიცხოს მითითება 0.08 გრამი ნარკოტიკული საშუალება «მარიხუანას» უკანონო შეძენა-შენახვის თაობაზე.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში, მათ შორის - მსჯავრდებულებისათვის სასჯელის დანიშვნის ნაწილში, დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## ნარკოტიკული დანაშაული; სასჯელის შემცირება

### განჩინება

#878-აპ

15 ოქტომბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე),

მ. ოშხარელი,

ი. ტყეშელაშვილი

განიხილა მსჯავრდებულ ი. ჯ-ძის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 16 აპრილის განაჩენზე, რომლითაც ი. ჯ-მ ცნობილ იქნა ბრალეულად საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის „ა« და 236-ე მუხლის I ნაწილით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენაში.

#### აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 27 სექტემბრის განაჩენით ი. ჯ-მე ამჟამად პატიმარი, ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის „ა« ქვეპუნქტით, 236-ე მუხლის I ნაწილით და სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე მას სასჯელად განესაზღვრა 14 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. მასვე სსკ-ის 42-ე მუხლის საფუძველზე დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა - 1000 ლარი.

განაჩენით ი. ჯ-მეს მსჯავრი დაედო განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენა-შენახვაში; მანვე ჩაიდინა საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა, რაც გამოიხატა შემდეგში:

ი. ჯ-მემ განიზრახა ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენა. აღნიშნული დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად მან გამოიძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, ასევე გამოძიებით დაუდგენელი პირისაგან შეიძინა 52 ცალი ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის« შემცველი აბი და 46 ცალი ამავე სახის აბის ნატეხი, რასაც ასევე უკანონოდ ინახავდა.

2007 წლის 30 იანვარს, 17.30 საათზე, ი. ჯ-მე თანმხლებ პირთან, ზ. ჭ-მესთან ერთად თავისი კუთვნილი, ა/მანქანით „ოპელ-ვექტრათი« მივიდა ქ. თბილისში, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის ეზოში, რა დროსაც 17 საათსა და 40 წუთზე იგი დააკავს საქართველოს შსს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა.

ი. ჯ-მეს ადგილზე, გადაუდებელი აუცილებლობის გამო, ჩატარდა პირადი ჩხრეკა, რა დროსაც მას აღმოაჩნდა 7 ცალი თეთრი, ოვალური ფორმის აბის ნატეხი, რაც 2007 წლის 31 იანვრის ქიმიური ექსპერტიზის #137/სქ დასკვნის თანახმად, წარმოადგენს ნარკოტიკულ საშუალება „ბუპრენორფინის« შემცველ აბის ნატეხს, საერთო წონით 1, 0614 გრამს, რომელშიც ნარკოტიკულ საშუალება „ბუპრენორფინის« საერთო წონაა - 0, 021 გრამი.

ი. ჯ-ძის ექვმიტანილი სახით დაკავების შემდეგ, გადაუდებელი აუცილებლობის გამო, ჩატარდა ჩხრეკა მის საცხოვრებელ ბინაში - ... ბინა #10-ში, საიდანაც ამოღებულ იქნა 52 ცალი თეთრი, ოვალური ფორმის აბი და 39 ცალი ანალოგიური ფორმის აბის ნატეხი, რაც 2007 წლის 31 იანვრის ქიმიური ექსპერტიზის #137/სქ დასკვნის თანახმად, წარმოადგენს ნარკოტიკულ საშუალება „ბუპრენორფინის« შემცველ აბებს და აბის ნატეხებს, საერთო წონით 25,7905 გრამს, რომელშიც ნარკოტიკულ საშუალება „ბუპრენორფინის« საერთო წონაა 0,516 გრამი.

ი. ჯ-ძის პირადი და საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას სულ ამოღებულ იქნა 52 ცალი ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის« შემცველი აბი და 46 ცალი აბის ნატეხი, საერთო წონით - 26,8519 გრამი, რომელშიც ნარკოტიკულ საშუალება „ბუპრენორფინის« საერთო წონაა - 0, 537 გრამი.

ი. ჯ-ძის ბინის ჩხრეკისას ასევე ამოღებულ იქნა 6 ცალი საბრძოლო ვაჭნა, რომლებიც მან გამოიძიებით დაუდგენელი პირისაგან მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა და ინახავდა. 2007 წლის 31 იანვრის ბალისტიკური ექსპერტიზის #6/6-25/ბ დასკვნის თანახმად, ისინი წარმოადგენს ქარხნული

წესით დამზადებულ, 9 მმ კალიბრიან, 1908 წლის ნიმუშის „ბორხატ-ლუგერის» პისტოლეტის ვაზნებს, განეკუთვნება საბრძოლო მასალათა კატეგორიას და ვარგისია გამოსაყენებლად.

აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ი. ჯ-მემ. აპელანტმა აღნიშნა, რომ სასჯელი არის მეტად მკაცრი, არ გამომდინარეობს სისხლის სამართალწარმოების პრინციპებიდან, არ შეესაბამება მის პიროვნებას, კერძოდ, იგი არ არის ნასამართლევ, გულწრფელად აღიარა დანაშაულის ჩადენა, ჰყავს მცირეწლოვანი შვილი, არის პედაგოგი, ხასიათდება დადებითად, ითანამშრომლა გამოძიებასთან და ითხოვა მის მიმართ შეფარდებული სასჯელის შემსუბუქება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 16 აპრილის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 27 სექტემბრის განაჩენში შევიდა ცვლილება სასჯელის ნაწილში და ი. ჯ-მეს სასჯელად განესაზღვრა 13 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა ი. ჯ-მემ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას და ითხოვა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის I ნაწილის «დ» ქვეპუნქტის საფუძველზე განაჩენში ცვლილების შეტანა თავის სასიკეთოდ და საქართველოს სსსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილით განსაზღვრული სასჯელის შემსუბუქება.

საკასაციო პალატის სხდომაზე მსჯავრდებულ ი. ჯ-მის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ელისო ბუცხრიკიძემ აღნიშნა, რომ მსჯავრდებულმა აღიარა და მოინანია თავის მიერ ჩადენილი ქმედება, თავს ცნობს დამნაშავედ, ითანამშრომლა გამოძიებასთან, პირველად არის სამართალში, ჰყავს მცირეწლოვანი შვილი. იგი იყო ნარკოტიკული საშუალების მომხმარებელი, ინახავდა თავისთვის და გასაღების მიზანი არ ჰქონია. აღნიშნულიდან გამომდინარე მან ითხოვა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის I ნაწილის „დ« ქვეპუნქტის საფუძველზე განაჩენში ცვლილების შეტანა მსჯავრდებულის სასიკეთოდ და საქართველოს სსსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილით განსაზღვრული სასჯელის შემცირება 2 წლით.

მსჯავრდებული ი. ჯ-მე დაეთანხმა თავისი ადვოკატის მოთხოვნას.

სახელმწიფო ბრალდების მხარდამჭერმა, პროკურორმა დ. მ-შვილმა აღნიშნა, რომ მსჯავრდებული თავს ცნობს დამნაშავედ და დაკავების მომენტიდან ეთანხმება წარდგენილ ბრალდებას კვალიფიკაციის ნაწილში. ამდენად, პროკურორმა მხარი დაუჭირა მსჯავრდებულისათვის სასჯელის 2 წლით შემცირებას.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მოისმინა მხარეების პოზიცია და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

საქმეზე წინასწარი გამოძიება და სასამართლო განხილვა ჩატარებულია სრულყოფილად, საპროცესო კანონმდებლობის დაცვით. განაჩენით მსჯავრდებულისათვის შერაცხული ბრალდება არვითარ ეჭვს არ იწვევს. სააპელაციო სასამართლომ, საქართველოს სსსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დაცვით, სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად გამოიკვლია საქმის ფაქტობრივი გარემოებები.

პალატა თვლის, რომ საქმეზე წარმოდგენილ მტკიცებულებათა ერთობლიობით: მსჯავრდებულის მიერ ბრალის აღიარებით, მოწმეების: კ. კ-მის, ზ. ჩ-შვილის, ვ. ჩ-შვილის ჩვენებებით, ი. ჯ-მის დაკავების, პირადი და საცხოვრებელი ბინის ჩხრეკის ოქმებით, სასამართლო-ქიმიური ექსპერტიზის, ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნებითა და საქმის სხვა მასალებით მსჯავრდებულისათვის ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა დადასტურებულია და, პალატის აზრით, სწორი სამართლებრივი შეფასება აქვს მიცემული.

საქმეში არ მოიპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც საფუძვლად დაედება განაჩენის გაუქმებას.

საქართველოს სსსკ-ის 565-ე მუხლის თანახმად, მსჯავრდებულის ქმედების სიმძიმისა და პიროვნების შეუსაბამოდ ითვლება სასჯელი, რომელიც, თუმცა არ სცილდება კანონით გათვალისწინებული სანქციის ფარგლებს, მაგრამ თავისი სახითა და ზომით, მეტისმეტი სიმკაცრის ან სიმსუბუქის გამო, აშკარად უსამართლოა.

საკასაციო პალატის აზრით, ი. ჯ-მისათვის დანიშნული სასჯელი, მეტისმეტი სიმკაცრის გამო, აშკარად უსამართლოა.

პალატა ითვალისწინებს რა დამნაშავეს პიროვნებას, მის ოჯახურ მდგომარეობას, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებებს, რომ იგი არ არის ნასამართლევ, აღიარებს და ინანიებს დანაშაულის ჩადენას, ითანამშრომლა გამოძიებასთან, არის ნაკოტიკული ნივთიერების მომხმარებელი, პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება არ გააჩნია, შესაძლებლად მიაჩნია, რომ გასაჩივრებულ განაჩენში შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულის სასიკეთოდ და ი. ჯ-მეს საქართველოს სსსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის «ა» ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელი - 13 წლით თავისუფლების აღკვეთა - შეუმცირდეს 2 წლით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 16 აპრილის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულ ი. ჯ-მის

სასიკეთოდ და მას საბოლოო სასჯელად უნდა განესაზღვროს 11 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის I ნაწილის „დ“ ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

**და ა ა დ გ ი ნ ა:**

მსჯავრდებულ ი. ჯ-მის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 16 აპრილის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ შემდეგი მიმართებით:

ი. ჯ-მეს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის «ა» ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელი - 13 წლით თავისუფლების აღკვეთა - შეუმცირდეს 2 წლით და საბოლოოდ, საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე, სასჯელად განესაზღვროს 11 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული საშუალების მოხმარება**

**განჩინება**

#573-აპ

30 ოქტომბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),**

**დ. სულაქველიძე,**

**ი. ტყეშელაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურის პროკურორ გ. ლ-ავას საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 28 თებერვლის განაჩენზე, რომლითაც ზ. ა-მე ცნობილ იქნა ბრალეულად საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში.

**აღწერილობითი ნაწილი:**

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 15 იანვრის განაჩენით ზ. ა-მე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, რისთვისაც სასჯელად განესაზღვრა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც იმავე კოდექსის 63-ე-64-ე მუხლების გამოყენებით შეეცვალა პირობით, 1 წლის გამოსაცდელი ვადით.

მასვე საქართველოს სსკ-ის 41-ე-42-ე მუხლების საფუძველზე დამატებით სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა - 500 ლარი, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. ზ. ა-მეს წინასწარ პატიმრობაში ყოფნის პერიოდი - 2007 წლის 5 აგვისტოდან 2008 წლის 15 იანვრამდე - ჩაეთვალა სასჯელის ვადაში.

განაჩენით ზ. ა-მეს მსჯავრი დაედო ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარებისათვის, ჩადენილი ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ, რაც გამოიხატა შემდეგში:

ლანჩხუტის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 19 დეკემბრის დადგენილებით ზ. ა-მეს ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ მოხმარებისათვის დაედო ადმინისტრაციული სახდელი, ჯარიმა - 500 ლარი.

2007 წლის 5 აგვისტოს, დაახლოებით 16.50 საათზე, ქუთაისში, ჭავჭავაძის გამზირზე, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის იმერეთის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა არასწორი მანევრირებისათვის გააჩერეს ავტომანქანა „BMჰ“, რომლის მგზავრი - ზ. ა-მე ექვის საფუძველზე შემოწმდა ნარკოტიკულ თრობაზე. მას ნარკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით დაუდგინდა ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული საშუალება „ტეტრაპიდროკანაბინოლის“ (მარხიუნა) უკანონოდ მოხმარების ფაქტი, ჩადენილი ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ.

აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა აპელანტმა - დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურის პროკურორმა გ. ლ-ავამ, რომელმაც სააპელაციო საჩივრით ითხოვა სასჯელის გამკაცრება და მსჯავრდებულისათვის 1 წლით თავისუფლების აღკვეთის შეფარდება, დამატებითი სასჯელის სახით კი ჯარიმის - 2000 ლარის დანიშვნა, რასაც ასაბუთებს მსჯავრდებულის პიროვნული მახასიათებლების, მის მიერ ჩადენილი დანაშაულის ხასიათისა და სიმძიმის გათვალისწინებით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატის 2008 წლის 28 თებერვლის განაჩენით ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 15 იანვრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურის პროკურორმა გ. ლ-ავამ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორმა ითხოვა ლმობიერების მოტივით ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს უკანონო განაჩენის გაუქმება და საქმის დაბრუნება იმავე სასამართლოში ხელახლა განსახილველად სასჯელის გამკაცრების მიზნით.

მსჯავრდებულმა ზ. ა-ძემ მხარი არ დაუჭირა საკასაციო საჩივარს და თავისი შესაგებლით ითხოვა გასაჩივრებული განაჩენის უცვლელად დატოვება.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და თვლის, რომ დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურის პროკურორ გ. ლ-ავას საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატის 2008 წლის 28 თებერვლის განაჩენი ზ. ა-ძის მიმართ გაუქმდეს და საქმე გადაეგზავნოს იმავე სასამართლოს ახალი სასამართლო განხილვისათვის, შემდეგი გარემოებების გამო:

პალატა იზიარებს პროკურორ გ. ლ-ავას საკასაციო საჩივრის მოთხოვნას განაჩენის გაუქმებისა და ხელახლა განსახილველად საქმის იმავე სასამართლოში დაბრუნების თაობაზე სასჯელის გამკაცრების მიზნით.

პალატას მიაჩნია, რომ საქმეზე წარმოდგენილ მტკიცებულებათა ერთობლიობით: მსჯავრდებულ ზ. ა-ძის აღიარებითი ჩვენებით, ნარკოლოგიური ექსპერტიზის #3432627 დასკვნით, პირადი ჩხრევის ოქმით, ლანჩხუთის რაიონული სასამართლოს დადგენილებითა და საქმის სხვა მასალებით მსჯავრდებულისათვის ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა დადასტურებულია.

საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად შეაფასა საქმის ფაქტობრივი გარემოებები და სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა ზ. ა-ძის მიერ განხორციელებულ ქმედებას, მაგრამ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ ზ. ა-ძის მიმართ შეფარდებულმა აღკვეთის ღონისძიებამ - გირამ ვერ უზრუნველყო მისი სათანადო ქცევა, მოსალოდნელი პასუხისმგებლობისაგან თავის არიდების მიზნით ის დაემალა წინასწარ გამოძიებას, რის გამოც აღკვეთის ღონისძიება შეეცვალა უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით - დაპატიმრებით და მხოლოდ დაკავების შემდეგ გახდა შესაძლებელი მისი სასამართლოში წარდგენა. სასამართლომ ასევე არ გაითვალისწინა მსჯავრდებულის პასუხისმგებლობის ის დამამძიმებელი გარემოება, რომ იგი არ დაადგა გამოსწორების გზას, ადმინისტრაციული სახდელის მოქმედების პერიოდში განმეორებით ჩაიდინა საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული განზრახი დანაშაული და, ამდენად, ზ. ა-ძეს შეუფარდა ზედმეტად ლმობიერი სასჯელი, რაც თავისი ზომით აშკარად შეუსაბამოა მსჯავრდებულის ქმედების ხასიათსა და მის პიროვნებასთან.

სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა. მართალია, საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის II ნაწილის თანახმად: „თუ ამ კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის შესაბამისი მუხლის სანქცია სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას სამ წლამდე ვადით, ჯარიმის მინიმალური ოდენობა არ უნდა იყოს 500 ლარზე ნაკლები», მაგრამ მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს მიერ ზ. ა-ძისათვის დამატებით სასჯელად ჯარიმის - 500 ლარის დაკისრება არასწორია, რადგან 2007 წლის 3 ივლისის კანონის საფუძველზე დაირღვა საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლის შენიშვნის იმპერატიული მოთხოვნა, სადაც აღნიშნულია რომ: „ამ მუხლით გათვალისწინებული ჯარიმა არ უნდა იყოს ამ ქმედებისათვის საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისი მუხლით განსაზღვრული ჯარიმის ორმაგ ოდენობაზე ნაკლები», მაშინ, როდესაც აღნიშნული კოდექსის 45-ე მუხლით ადმინისტრაციული ჯარიმის ოდენობა შეადგენს 500 ლარს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ზ. ა-ძის ქმედების საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით მსჯავრდებისას დამატებით სასჯელად დანიშნული ჯარიმის ოდენობა არ უნდა იყოს 1000 ლარზე ნაკლები, რაც იმაზე მეტყველებს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა სისხლის სამართლის კანონი. მითითებული გარემოება საქართველოს სსკ-ის 562-ე მუხლის „ბ» ქვეპუნქტის თანახმად, განაჩენის გაუქმებისა და საქმის ახალი სასამართლო განხილვისათვის გაგზავნის საფუძველია.

ამდენად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელმეორედ განხილვის დროს, მსჯავრდებულის მიმართ სასჯელის დანიშვნისას, სწორი სამართლებრივი შეფასება უნდა მისცეს საქმეში არსებულ გარემოებებს და მიიღოს კანონის შესაბამისი გადაწყვეტილება.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის I ნაწილის „ბ» ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

## და ა ა დ გ ი ნ ა :

დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურის პროკურორ გ. ლ-ავას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 28 თებერვლის განაჩენი ზ. ა-ძის მიმართ და საქმე გადაეცეს იმავე სასამართლოს ახალი სასამართლო განხილვისათვის.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## ნარკოტიკული დანაშაული

### განჩინება

#799-აპ

30 ოქტომბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე),**

**პ. სილაგაძე,**

**ი. ტყეშელაშვილი**

განიხილა მსჯავრდებულების: ზ. ს-ძისა და ჯ. ბ-შვილის ინტერესების დამცველი ადვოკატის - მ. ქ-ძის საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 14 აპრილის განაჩენზე, რომლითაც მსჯავრდებულები - ჯ. ბ-შვილი და ზ. ს-ძე ცნობილ იქნენ ბრალეულად საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის „ა« ქვეპუნქტით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენაში.

### **აღწერილობითი ნაწილი:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 30 ნოემბრის განაჩენით ჯ. ბ-შვილი, ამჟამად პატიმარი და ზ. ს-ძე ამჟამად პატიმარი ცნობილ იქნენ დანაშაულად საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის „ა« ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, რისთვისაც სასჯელად განესაზღვრა 15-15 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ჯ. ბ-შვილს დამატებითი სასჯელის სახით, საქართველოს სსკ-ის 52-ე მუხლის შესაბამისად, სახელმწიფოს სასარგებლოდ, უსასყიდლოდ ჩამოერთვა საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილი, 2007 წლის 12 აპრილს პირადი ჩხრეკისას ამოღებული, „ნოკიას« ფირმის მობილური ტელეფონი, როგორც დანაშაულის ჩასადენად გამოზნული ნივთი.

ზ. ს-ძის მიმართ, საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის თანახმად, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 13 თებერვლის განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი და საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის II ნაწილის თანახმად, დანიშნულ სასჯელს დაემატა აღნიშნული განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 2 წელი, 11 თვე, 27 დღე და საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 17 წლით, 11 თვითა და 27 დღით თავისუფლების აღკვეთა.

მასვე დამატებითი სასჯელის სახით, საქართველოს სსკ-ის 52-ე მუხლის შესაბამისად, სახელმწიფოს სასარგებლოდ, უსასყიდლოდ ჩამოერთვა საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილი, 2007 წლის 12 აპრილს პირადი ჩხრეკისას ამოღებული, „ნოკიას« ფირმის, 8800 მოდელის მობილური ტელეფონი და „კრაისლერის« მარკის ავტომანქანა, რომელიც მოთავსებულია შს სამინისტროს #2 ადმინისტრაციული კორპუსის საჯარიმო ავტოსადგომზე, როგორც დანაშაულის ჩასადენად გამოზნული ნივთი.

ისინი სასჯელს იხდიან 2007 წლის 12 აპრილიდან.

განაჩენით ჯ. ბ-შვილსა და ზ. ს-ძეს მსჯავრი დაედოთ წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფურად, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენა, შენახვასა და დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ გასაღებაში, რაც გამოიხატა შემდეგში:

ჯ. ბ-შვილმა ზ. ს-ძესთან წინასწარი შეთანხმებით, შემდგომი გასაღების მიზნით, დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, დაუდგენელი პირისაგან, უკანონოდ შეიძინა და შეინახა განსაკუთრებით დიდი ოდენობით - 0,176 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის« შემცველი 22 აბი. ზ. ს-ძემ და ჯ. ბ-შვილმა, წინასწარი შეთანხმებით, 2007 წლის 10 აპრილს ქ. თბილისში, კოსტავას ქუჩაზე, 200 აშშ დოლარის საფასურად გ. ჯ-შვილზე უკანონოდ გაასაღეს დიდი ოდენობით - 0, 016 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის« შემცველი 2 აბი. 2007 წლის 12 აპრილს, დაახლოებით 14.20 საათზე, ქ. თბილისში, ... ქუჩა #25-ის მიმდებარე ტერიტორიაზე, ზ. ს-ძის „კრაისლერის« მარკის ავტომანქანით, რომელსაც ზ. ს-ძე მართავდა, მოძრაობისას დააკავეს ჯ. ბ-შვილი და ზ. ს-ძე.



პირადი ჩხრეკისას ჯ. ბ-შვილისაგან ამოღებულ იქნა დიდი ოდენობით - 0,024 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველი 15 აბი; ადგილზევე გაჩხრიკეს „კრაისლერის« მარკის ავტომანქანა, რომელსაც ზ. ს-ძე მართავდა, საიდანაც ამოღებულ იქნა დიდი ოდენობით - 0,016 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველი 2 აბი, სულ ჯ. ბ-შვილისა და ზ. ს-ძის პირადი და ავტომანქანის ჩხრეკისას ამოღებულ იქნა განსაკუთრებით დიდი ოდენობით - 0,16 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველი 20 აბი.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულებმა - ზ. ს-ძემ, ჯ. ბ-შვილმა და მათმა ინტერესების დამცველმა ადვოკატმა. მათ ითხოვეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 30 ნოემბრის განაჩენის გაუქმება იმ მოტივით, რომ მსჯავრდებულებს არ ჩაუდენიათ ბრალად შერაცხული დანაშაული. სასამართლომ სათანადო შეფასება არ მისცა საქმის მასალებს, რომლებითაც დასტურდება, რომ დაკავების დროს არც ზ. ს-ძეს და არც ჯ. ბ-შვილს ნარკოტიკული საშუალება არ ჰქონიათ და ასეთი მათ „დაუდეს« პოლიციის თანამშრომლებმა ცემისა და უკანონო ძალადობის გზით, რის შესახებაც (სხეულის დაზიანების ფაქტზე) საქმეში არსებობს საკმარისი მტკიცებულებები. საქმეში არ მოიპოვება უტყუარი მტკიცებულებები იმის დასადასტურებლად, რომ ჯ. ბ-შვილმა და ზ. ს-ძემ გაასაღეს ნარკოტიკული საშუალება. რაც შეეხება მოწმე გ. ჯ-შვილის ჩვენებას, სასამართლომ უნდა გაეთვალისწინებინა, რომ აღნიშნულ მოწმესთან პროკურატურამ გააფორმა საპროცესო შეთანხმება და მან, თავისივე ინტერესებიდან გამომდინარე, უსაფუძვლოდ ამხილა ზ. ს-ძე და ჯ. ბ-შვილი ნარკოტიკული საშუალების რეალიზაციაში. აპელანტები მიიჩნევენ, რომ განაჩენი უკანონო დამატებითი სასჯელის შეფარდების ნაწილშიც, რადგან, დაცვის მხარის აზრით, არც მობილური ტელეფონები და არც ა/მანქანა, საიდანაც, თითქოსდა, ამოღებულ იქნა ნარკოტიკული საშუალება, დანაშაულებრივი გზით არ ყოფილა შეძენილი და ჩამორთმევას არ ექვემდებარებოდა. აღნიშნულისა და სააპელაციო საჩივარში მითითებული სხვა მოტივების გათვალისწინებით, აპელანტებმა მოითხოვეს ზ. ს-ძისა და ჯ. ბ-შვილის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 14 აპრილის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 30 ნოემბრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულების ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა მ. ქ-ძემ საკასაციო საჩივრებით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

კასატორმა აღნიშნა, რომ საპელაციო სასამართლოს განაჩენი არის უკანონო, დაუსაბუთებელი; საქმე განხილულია საპროცესო კანონმდებლობის დარღვევით; არასწორად შეფასდა საქმეში არსებული მტკიცებულებები; ეჭვი არ გადაწყდა ბრალდებულთა სასარგებლოდ. ამდენად, ადვოკატმა ითხოვა განაჩენის გაუქმება, სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტა და მსჯავრდებულების - ზ. ს-ძისა და ჯ. ბ-შვილის გამართლება.

საკასაციო პალატის სხდომაზე მსჯავრდებულის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა მ. ქ-ძემ დააზუსტა საკასაციო საჩივრის მოთხოვნა. მან აღნიშნა, რომ მსჯავრდებულმა აღიარა, მოინანია დანაშაული და ითხოვა სასჯელის შემსუბუქება, კერძოდ: ჯ. ბ-შვილისათვის 9 წლით თავისუფლების აკვეთისა და ჯარიმის - 20 000 ლარის შეფარდება.

მსჯავრდებული ჯ. ბ-შვილი დაეთანხმა თავისი ადვოკატის დაზუსტებული საკასაციო საჩივრის მოთხოვნას.

სახელმწიფო ბრალდების მხარდამჭერი პროკურორი ლ. ქ-შვილი დაეთანხმა დაზუსტებული საკასაციო საჩივრის მოთხოვნას სასჯელის შემსუბუქების თაობაზე.

საკასაციო პალატის სხდომაზე გამოქვეყნებული იქნა მსჯავრდებულ ზ. ს-ძის განცხადება, რომლის თანახმადაც, იგი უარს აცხადებს საკასაციო საჩივარზე და ითხოვს საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვებას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და თვლის, რომ მსჯავრდებულ ჯ. ბ-შვილის ინტერესების დამცველი ადვოკატის - მ. ქ-ძის დაზუსტებული საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 14 აპრილის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულის სასიკეთოდ, შემდეგი გარემოებების გამო:

საქართველოს შს სამინისტროს თანამშრომლების: მ. ფ-იას, ვ. მ-შვილისა და ბ. გ-იას წინასწარი და სასამართლო გამოძიების დროს მიცემული ჩვენებებით დადგენილია, რომ მათ 2007 წლის 12 აპრილს ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, რომ მსჯავრდებულები ეწეოდნენ ნარკოტიკული საშუალების რეალიზაციას, ქ. თბილისში, ... ქუჩაზე, დააკავეს ა/მანქანა „კრაისლერით« მოძრავი ჯ. ბ-შვილი და ზ. ს-ძე, რა დროსაც მსჯავრდებულებმა ჩაკეტეს ა/მანქანის კარი და ცდილობდნენ ნარკოტიკული საშუალების განადგურებას. ვ. მ-შვილმა იარაღის ტარით ჩამტვრია ა/მანქანის უკანა კარის მინა, გადაძვრა მასში, გააღო კარი და გადმოიყვანეს მსჯავრდებულები. პირადი ჩხრეკისას ზ. ს-ძეს აღმოაჩნდა 15 აბი, ხოლო ჯ. ბ-შვილს - 3 აბი ნარკოტიკული საშუალება „სუბოტექსი«. 2 აბი

ნარკოტიკული საშუალება „სუბოტექსი» ამოიღეს მანქანის წინა სავარძლებს შორის არსებული სათავსიდან.

მოწმე გ. ჯ-შვილმა საქმის სასამართლო განხილვის დროს ამხილა ზ. ს-ძე და ჯ. ბ-შვილი მითითებული დანაშაულის ჩადენაში და აჩვენა, რომ მისი დაკავების წინა დღეს, ე.ი. 2007 წლის 10 აპრილს, მან თბილისში, კოსტავას ქუჩაზე, სასტუმრო „ევროპასთან», ჯ. ბ-შვილს წინასწარი შეთანხმებისამებრ გადასცა 200 აშშ დოლარი ნარკოტიკული საშუალების შესაძენად, რის შემდეგ იმავე დღეს ჯ. ბ-შვილმა ზ. ს-ძესთან ერთად ა/მანქანა «კრაისლერში» მას გადასცა 2 აბი „სუბოტექსი».

მოწმე გ. ჯ-შვილის აღნიშნულ ჩვენებასთან დაკავშირებით, პალატა ვერ დაეთანხმება სააპელაციო საჩივრის მოტივაციას, რომ მოწმემ პირადი დაინტერესებით, პროკურატურასთან საპროცესო შეთანხმების მიღწევის მიზნით, უსაფუძვლოდ ამხილა მსჯავრდებულები დანაშაულის ჩადენაში.

ასევე უსაფუძვლოა აპელირება დამატებითი სასჯელის სახით ავტომანქანის ჩამორთმევის თაობაზე იმ მოტივით, რომ რადგან ვერ დადასტურდა აღნიშნული მანქანის დანაშაულებრივი გზით შექმნა, იგი არ ექვემდებარებოდა ჩამორთმევას. საქართველოს სსსკ-ის 52-ე მუხლის შესაბამისად, ქონების ჩამორთმევას ექვემდებარება აგრეთვე დანაშაულის საგანი ან/და იარაღი, ასევე დანაშაულის ჩასადენად გამოზნული ნივთი.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ ჯ. ბ-შვილი და ზ. ს-ძე ხსენებული ავტომანქანით გადაადგილდებოდნენ ნარკოტიკული საშუალების რეალიზაციის დროს და ჩხრეკის შედეგად მანქანაშივე იქნა აღმოჩენილი უკანონოდ შენახული ნარკოტიკული საშუალება. აქედან გამომდინარე, პალატა კონკრეტულ შემთხვევაში სავსებით საფუძვლიანად მიიჩნევს დამატებითი სასჯელის სახით ქონების ჩამორთმევას.

ამდენად, საქმეზე წარმოდგენილ მტკიცებულებათა ერთობლიობით, მოწმეების ჩვენებებით, სასამართლო-ქიმიური ექსპერტიზის დასკვნით, პირადი და ა/მანქანის ჩხრეკის ოქმებით, ამოღებულ ნივთმტკიცებითა და საქმის სხვა მასალებით მსჯავრდებულ ჯ. ბ-შვილისათვის ბრალად შერაცხულ მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა დადასტურებულია.

პალატა, ნაწილობრივ იზიარებს შეცვლილი საკასაციო საჩივრის მოთხოვნას, რომლითაც ადვოკატი მ. ქ-ძე ითხოვს სასჯელის შემსუბუქებას, კერძოდ: ჯ. ბ-შვილისათვის 9 წლით თავისუფლების აღკვეთასა და ჯარიმის - 20 000 ლარის შეფარდებას.

საქართველოს სსსკ-ის 565-ე მუხლის თანახმად, მსჯავრდებულის ქმედების სიმძიმისა და პიროვნების შეუსაბამოდ ითვლება სასჯელი, რომელიც, თუმცა არ სცილდება კანონით გათვალისწინებული სანქციის ფარგლებს, მაგრამ თავისი სახითა და ზომით, მეტისმეტი სიმკაცრის გამო, აშკარად უსამართლოა.

ამდენად, ითვალისწინებს რა იმას, რომ ჯ. ბ-შვილმა აღიარა და მოინანია დანაშაული, პირველად სასამართლოში, არ გააჩნია პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებები, დანიშნული სასჯელი არის ზედმეტად მკაცრი და არ შეესაბამება მსჯავრდებულის ქმედების სიმძიმესა და პიროვნებას, საკასაციო პალატა შესაძლებლად თვლის, რომ გასაჩივრებულ განაჩენში შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულის სასიკეთოდ, კერძოდ, ჯ. ბ-შვილს საქართველოს სსსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის „ა» ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელი - 15 წლით თავისუფლების აღკვეთა - შეუმცირდეს 5 წლით და სასჯელის ზომად განესაზღვროს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსსკ-ის 567-ე მუხლის I ნაწილის შესაბამისად, სარევიზიო წესით პალატამ შეამოწმა საქმე სრული მოცულობით და მიიჩნევს, რომ განაჩენი მსჯავრდებულ ზ. ს-ძის მიმართ უნდა დარჩეს უცვლელად.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის I ნაწილის „დ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით,

#### **და ა ა დ გ ი ნ ა :**

მსჯავრდებულ ჯ. ბ-შვილის ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. ქ-ძის დაზუსტებული საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 14 აპრილის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ შემდეგი მიმართებით:

მსჯავრდებულ ჯ. ბ-შვილს საქართველოს სსსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის „ა» ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელი - 15 წლით თავისუფლების აღკვეთა - შეუმცირდეს 5 წლით და საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვროს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ნარკოტიკული საშუალების შეძენა, შენახვა, დამზადება; ექიმის დანიშნულების გარეშე  
ნარკოტიკული საშუალების მოხმარება**

**განჩინება**

#1091-აპ

7 ნოემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი  
შემადგენლობით:**

**მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),  
დ. სულაქველიძე,  
ი. ტყეშელაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ლ. კ-ელის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 30 ივნისის განაჩენზე.

**აღწერილობითი ნაწილი:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 27 მარტის განაჩენით:

ლ. კ-ელია ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით 10 წლით თავისუფლების აღკვეთა, 273-ე მუხლით - 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 10 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. ლ. კ-ელის სასჯელის მოხდა დაეწყო 2007 წლის 27 ნოემბრიდან.

ლ. კ-ელის, როგორც ნარკოტიკული ნივთიერების გამსაღებელს, «ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ» საქართველოს კანონის შესაბამის მუხლის თანახმად, 5 წლის ვადით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, 15 წლის ვადით - საექიმო, საადვოკატო, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის უფლება, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში - საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლება; პასიური საარჩევნო უფლება; იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლება. მსჯავრდებულ ლ. კ-ელის აღნიშნული შეზღუდვების მოქმედების ვადის ათვლა უნდა დაეწყო განაჩენით დანიშნული სასჯელის მოხდისთანავე.

ნივთმტკიცება - ლ. კ-ელის პირადი და ავტოფარების ჩხრეკის შედეგად ამოღებული ნარკოტიკული საშუალება «ბუპრენორფინი», საერთო წონით 0,0266 გრ (ინახება შსს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის საცავში) - საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა განადგურდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით; ლ. კ-ელის პირადი ჩხრეკის შედეგად ამოღებული თანხა - 425 ლარი და «ნოკიას» ფირმის მობილური ტელეფონი (ინახება დიდუბე-ჩუღურეთის შს სამმართველოს II განყოფილებაში) - საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა ჩამოერთვას საქართველოს სსკ-ის 52-ე მუხლის საფუძველზე, ხოლო ლ. კ-ელისათვის ჩამორთმეული პირადობისა და მართვის მოწმობები (ინახება დიდუბე-ჩუღურეთის შს სამმართველოს II განყოფილებაში) საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა დაუბრუნდეს მის კანონიერ მფლობელს.

განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულ ლ. კ-ელის ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

ლ. კ-ელიამ გამოიძიებით დაუდგენელ დროსა და ადგილას, დაუდგენელი პირისაგან შეიძინა ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის» შემცველი „სუბოტექსი», რაც გაამზადა საინიექციოდ და ინსულინის ერთჯერადი შპრიცით 2007 წლის 27 ნოემბერს გაასალა თავის მუდმივ მომხმარებელზე, გ. ვ-შვილზე, რომელმაც ნარკოტიკული საშუალება მაშინვე მოიხმარა.

მანვე 2007 წლის 26 ნოემბერს დაუდგენელი პირისაგან შემდგომი რეალიზაციის მიზნით, 1200 ლარად უკანონოდ შეიძინა 2 მთლიანი და 4 ნახევარ-ნახევარი ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის» შემცველი აბები, რასაც ასევე უკანონოდ ინახავდა.

2007 წლის 27 ნოემბერს ლ. კ-ელია დააკავეს თბილისის მთავარი სამმართველოს დიდუბე-ჩუღურეთის სამმართველოს მე-2 განყოფილების თანამშრომლებმა ... გამზირის #11 კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე და ადგილზე ჩატარებული პირადი ჩხრეკისას მისგან ამოღებულ იქნა თეთრი აბის ნატეხი, რაც, ქიმიური ექსპერტიზის დასკვნით, წარმოადგენს ნარკოტიკულ საშუალება „ბუპრენორფინის» შემცველ აბის ნატეხს, რომელშიც ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის» რაოდენობაა 0, 0033 გრამი.

დაკავების შემდეგ პოლიციის თანამშრომლებმა გაჩხრიკეს ლ. კ-ელის საცხოვრებელი ბინა, მდებარე თბილისში, ... გამზირის #110, ბინა #44-ის და ამავე საცხოვრებელი კორპუსის ეზოში არსებული მისივე ავტოფარები, საიდანაც ამოღებულ იქნა 7 ცალი თეთრი აბის ნატეხი და ერთჯერადი მოხმარების 1 მგ-იანი შპრიცი, რომელშიც მოთავსებული იყო მოთეთრო ფერის ხსნარი. ქიმიური ექსპერტიზის დასკვნით ამოღებული ხსნარი წარმოადგენს ნარკოტიკულ საშუალება „ბუპრენორფინის» შემცველ ხსნარს, რომელშიც „ბუპრენორფინის» რაოდენობაა 0,0014 გრამი, ხოლო თეთრი ფერის აბები ასევე

წარმოადგენს ნარკოტიკულ საშუალებას „ბუპრენორფინის“ შემცველ აბებს, რომელშიც „ბუპრენორფინის“ შემცველობაა 0,02 გრამი.

საერთო ჯამში ლ. კ-ელიასაგან ამოღებულ იქნა ნარკოტიკული ნივთიერება „ბუპრენორფინი“, წონით - 0,0266 გრამი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ 2007 წლის 11 თებერვალს ლ. კ-ელიას, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევითა კოდექსის 45-ე მუხლის შესაბამისად, ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ მოხმარებისათვის დაედო ადმინისტრაციული სახდელი. მიუხედავად ამისა, სახდელის დადების შემდეგ ერთი წლის განმავლობაში მან ექიმის დანიშნულების გარეშე კვლავ უკანონოდ მოიხმარა ნარკოტიკული საშუალება. კერძოდ, 2007 წლის 27 ნოემბერს, დაკავებისთანავე, ლ. კ-ელია ნარკოტიკულ თრომბაზე შემოწმების მიზნით, წარადგინეს საქართველოს შს სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკურ მთავარ სამმართველოში, რა დროსაც ლაბორატორიულად დაუდგინდა ნარკოტიკულ საშუალებას „ბუპრენორფინის“ მოხმარების ფაქტი.

აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 30 ივნისის განაჩენით დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებული ლ. კ-ელია საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენში ცვლილების შეტანას, კერძოდ, ნარკოტიკული ნივთიერების გასაღების ნაწილში - გამართლებას, ხოლო დამნაშავედ ცნობას - ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვაში და სასჯელის ზომად ამ დანაშაულისათვის განსაზღვრული სასჯელის მინიმუმის დანიშვნას.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში არსებული მტკიცებულებებით: მსჯავრდებულის აღიარებითი ჩვენებით, მოწმეების: გ. ა-შვილის, ვ. ფ-შვილის ჩვენებებით, ქიმიური ექსპერტიზის, ნარკოლოგიური გამოკვლევის დასკვნებით, დაკავების, პირადი და ავტოფარების ჩხრეკისა და ამოღების ოქმებით, ასევე, საქმეში არსებული სხვა მასალებით უტყუარად არის დადასტურებული მსჯავრდებულ ლ. კ-ელიას მიერ ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვის ფაქტი.

ამასთან, საკასაციო პალატა თვლის, რომ მსჯავრდებულ ლ. კ-ელიას ქმედებაში არ დასტურდება ნარკოტიკული საშუალების გასაღების ფაქტი, კერძოდ: განაჩენი ამ ნაწილში ეყრდნობა მხოლოდ მოწმე გ. ვ-შვილის ჩვენებას, რომლის თანახმად, ლ. კ-ელიას არაერთხელ გაუსაღებია მასზე ნარკოტიკული საშუალება. სხვა რაიმე უტყუარი მტკიცებულება, რაც მიანიშნებს გასაღების ფაქტზე, ბრალდების მხარეს არ წარმოდგენია და არც პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოებს გამოუკვლევიათ. საქართველოს სსსკ-ის 496-ე მუხლის მესამე ნაწილისა და 508-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, განაჩენში ჩამოყალიბებული ყველა დასკვნა დასაბუთებული უნდა იყოს. გამამტყუნებელ განაჩენში აღნიშნული უნდა იყოს უტყუარი და საკმარისი მტკიცებულებები, რომელსაც ემყარება სასამართლოს დასკვნა. კანონის აღნიშნულ მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ, სააპელაციო სასამართლომ განაჩენში არ დაასაბუთა, მოწმე გ. ვ-შვილის ჩვენების გარდა რა მტკიცებულებებზე დაყრდნობით მიიჩნია დადასტურებულად მსჯავრდებულის ქმედებაში ნარკოტიკული საშუალების გასაღების ფაქტი.

საკასაციო პალატა თვლის, რომ მხოლოდ მოწმე გ. ვ-შვილის ჩვენება, როდესაც საქმეში არ არსებობს ბრალდების ამ ეპიზოდში სხვა უტყუარი და საკმარისი მტკიცებულებები, რაც მოწმის ჩვენების უტყუარობის შემოწმების საშუალებას მოგვცემს, არ არის საკმარისი მტკიცებულება იმისათვის, რომ პირი დამნაშავედ იქნეს ცნობილი მსჯავრდების ამ ეპიზოდში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ ლ. კ-ელიას განაჩენიდან უნდა ამოერიცხოს ნარკოტიკული საშუალებების გასაღება. ლ. კ-ელიას, მისი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებების გათვალისწინებით, კერძოდ, რომ იგი პირველად სასამართლოში, ხასიათდება დადებითად, ჰყავს ორი მცირეწლოვანი შვილი, უნდა შეუმსუბუქდეს დანიშნული სასჯელი.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 30 ივნისის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

განაჩენიდან მსჯავრდებულ ლ. კ-ელიას მიმართ ამოერიცხოს ნარკოტიკული საშუალების გასაღება.

მსჯავრდებულ ლ. კ-ელის საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელი - 10 წლით თავისუფლების აღკვეთა - შეუმცირდეს და მიესაჯოს 7 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

მსჯავრდებულ ლ. კ-ელის საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით, 273-ე მუხლით საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვროს 8 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ლ. კ-ელის, როგორც ნარკოტიკული ნივთიერების მომხმარებელს, «ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ» საქართველოს კანონის მესამე მუხლის თანახმად, 3 წლის ვადით ჩამოერთვას: სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, 15 წლის ვადით - საექიმო, საადვოკატო, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის უფლება, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში - საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლება; პასიური საარჩევნო უფლება; იარაღის დამზადების, შექმნის, შენახისა და ტარების უფლება.

მსჯავრდებულ ლ. კ-ელის აღნიშნული შეზღუდვების მოქმედების ვადის ათვლა უნდა დაეწყოს განაჩენით დანიშნული სასჯელის მოხდისთანავე.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## ნარკოტიკული საშუალების შექმნა, მოხმარება

### განჩინება

#736-აპ

11 ნოემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**მ. ოშარელი (თავმჯდომარე),**

**დ. სულაქველიძე,**

**ი. ტყემელაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ დ. ნ-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 26 მარტის განაჩენზე.

#### აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 30 ნოემბრის განაჩენით:

საქართველოს გენერალური პროკურატურის შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის, კრიმინალური პოლიციის, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტებსა და სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის პროკურორ დ. ჩ-ელის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა.

დამტკიცდა ი. ვ-კისა და საქართველოს გენერალური პროკურატურის შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის, კრიმინალური პოლიციის, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტებსა და სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის პროკურორ დ. ჩ-ელს შორის 2007 წლის 26 ოქტომბერს დადებული საპროცესო შეთანხმება ბრალზე.

ი. ვ-კი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით და სსკ-ის 55-ე მუხლის გამოყენებით მიესაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2007 წლის 26 მარტიდან.

მასვე სსკ-ის 41-ე-42-ე მუხლების საფუძველზე დამატებითი სასჯელის სახით განესაზღვრა ჯარიმა 5000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

დ. ნ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, 260-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით - 7 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა. დ. ნ-შვილს სასჯელის მოხდა დაეწყო 2007 წლის 26 მარტიდან.

განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულ დ. ნ-შვილის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

დ. ნ-შვილმა გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, ასევე გამოძიებით დაუდგენელი პირისაგან, შემდგომი რეალიზაციის მიზნით, შეიძინა მცირე ზომის მინის ქილაში ხსნარის სახით მოთავსებული, დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი«, წონით - 0,1013 გრამი და დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის« შემცველი აბის ნატეხები და ფხვნილი, წონით - 0,0126 გრამი, რასაც უკანონოდ ინახავდა. დ. ნ-შვილმა 2007 წლის 25 მარტს ი. ვ-კიზე

უკანონოდ გაასაღა დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის» შემცველი აბის ნატეხები და ფხვნილი, წონით - 0,0126 გრამი.

2007 წლის 26 მარტს თბილისში, მეტროსადგურ „დელისის» მიმდებარე ტერიტორიაზე, საქართველოს შს სამინისტროს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა დააკავეს დ. ნ-შვილი. დაკავების ადგილზე ჩატარებული პირადი ჩხრეკის შედეგად, მას მარჯვენა ხელის მტევანში აღმოაჩნდა მცირე ზომის მინის ქილაში ჩასხმული, მის მიერ შეძენილი 0,1013 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი» - ხსნარის სახით.

2007 წლის 3 მარტს დ. ნ-შვილი იმყოფებოდა ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედების ქვეშ, რაც დადასტურდა საქართველოს შს სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს 2007 წლის 3 მარტის #1472 ლაბორატორიული გამოკვლევის დასკვნით. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 5 მარტის დადგენილებით დ. ნ-შვილი ცნობილ იქნა ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად საქართველოს ადმინისტრაციული სამართლის კოდექსის 45-ე მუხლით და სახდელის ზომად განესაზღვრა ჯარიმა 500 ლარის ოდენობით.

2007 წლის 26 მარტს, დაკავებისას, დ. ნ-შვილი კვლავ იმყოფებოდა ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედების ქვეშ, რაც დადასტურდა საქართველოს შს სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს 2007 წლის 26 მარტის #2041 გამოკვლევის ლაბორატორიული დასკვნით.

აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 2008 წლის 26 მარტის განაჩენით დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებული დ. ნ-შვილი საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენში ცვლილების შეტანას, კერძოდ: ნარკოტიკული ნივთიერების გასაღების ნაწილში - გამართლებასა და სასჯელის შემსუბუქებას იმ საფუძველზე, რომ განაჩენი არის დაუსაბუთებელი; არ არის დამტკიცებული საქმის ყველა ფაქტობრივი გარემოება; განაჩენში არ არის იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ დ. ნ-შვილმა ჩაიდინა ნარკოტიკული ნივთიერების გასაღება; სასჯელის დანიშვნისას სასამართლომ არ გაითვალისწინა შემამსუბუქებელი გარემოება - დ. ნ-შვილის შეზღუდული შერაცხადობა.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში არსებული მტკიცებულებებით: მოწმეების - ა. ს-შვილის, დ. ც-ძის, გ. ყ-ძის, ა. გ-შვილის ჩვენებებით, სასამართლო-ქიმიური ექსპერტიზის, ნარკოლოგიური შემოწმების დასკვნით, დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმებით, ასევე საქმეში არსებული სხვა მასალებით უტყუარად არის დადასტურებული მსჯავრდებულ დ. ნ-შვილის მიერ ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვის ფაქტი.

ამასთან, საკასაციო პალატა თვლის, რომ მსჯავრდებულ დ. ნ-შვილის ქმედებაში არ დასტურდება ნარკოტიკული საშუალების გასაღების ფაქტი, კერძოდ: განაჩენი ამ ნაწილში ეყრდნობა მხოლოდ ამავე საქმეზე მსჯავრდებულ ი. ვ-კის ჩვენებას, რომლის თანახმად, ნარკოტიკული საშუალებები მას მისცა დ. ნ-შვილმა. იგი თვითონ მივიდა დ. ნ-შვილთან და სთხოვა რაიმე დამაწყნარებელი საშუალება, რის შემდეგაც მან გადასცა აბები. სხვა რაიმე უტყუარი მტკიცებულება, რაც მიანიშნებს გასაღების ფაქტზე, ბრალდების მხარეს არ წარმოდგენია და არც პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოებს გამოუკვლევიათ. საქართველოს სსსკ-ის 496-ე მუხლის მესამე ნაწილისა და 508-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, განაჩენში ჩამოყალიბებული ყველა დასკვნა დასაბუთებული უნდა იყოს. გამამტყუნებელ განაჩენში აღნიშნული უნდა იყოს უტყუარი და საკმარისი მტკიცებულებები, რომლებსაც ემყარება სასამართლოს დასკვნა. კანონის აღნიშნულ მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ, სააპელაციო სასამართლომ განაჩენში არ დაასაბუთა, ი. ვ-კის ჩვენების გარდა, რა მტკიცებულებებზე დაყრდნობით მიიჩნია დადასტურებულად მსჯავრდებულის ქმედებაში ნარკოტიკული საშუალების გასაღების ფაქტი.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მხოლოდ ი. ვ-კის ჩვენება, როდესაც საქმეში არ არსებობს ბრალდების ამ ეპიზოდში სხვა უტყუარი და საკმარისი მტკიცებულებები, რაც მისი ჩვენების უტყუარობის შემოწმების საშუალებას მოგვცემს, არ არის საკმარისი მტკიცებულება იმისათვის, რომ პირი დამნაშავედ იქნეს ცნობილი მსჯავრდების ამ ეპიზოდში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ დ. ნ-შვილს განაჩენიდან უნდა ამოერიცხოს ნარკოტიკული საშუალებების გასაღება და, მისი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებების გათვალისწინებით, შეუმსუბუქდეს დანიშნული სასჯელი.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

## და ა ა დ გ ი ნ ა :

საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 26 მარტის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

განაჩენიდან მსჯავრდებულ დ. ნ-შვილს ამოერიცხოს ნარკოტიკული საშუალების გასაღება.

მსჯავრდებულ დ. ნ-შვილს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელი - 7 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა - შეუმცირდეს და მიესაჯოს 7 წლით თავისუფლების აღკვეთა.

მსჯავრდებულ დ. ნ-შვილს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით, 273-ე მუხლით საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვროს 7 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## ნარკოტიკული საშუალების შექენა, შენახვა, განსაკუთრებით დიდი ოდენობით

### განჩინება

#740-აპ

11 ნოემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),

დ. სულაქველიძე,

ი. ტყემელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულების - ნ. ა-ძის, ბ. გ-შვილის, ი. ა-ძის, ა. ა-ძის, მსჯავრდებულ ტ. გ-შვილისა და მსჯავრდებულ მ. ს-შვილის ინტერესების დამცველის, ადვოკატ დ. ლ-ძის საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 31 მარტის განაჩენზე.

### აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 1 დეკემბრის განაჩენით:

ა. ა-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, 260-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებით - 11 წლით თავისუფლების აღკვეთა, 262-ე მუხლის მეოთხე ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებით - 15 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 27 წლით თავისუფლების აღკვეთა. ა. ა-ძეს სასჯელის მოხდა დაეწყო 2007 წლის 11 მარტიდან.

ი. ა-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებით 12 წლით თავისუფლების აღკვეთა, 262-ე მუხლის მეოთხე ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებით - 15 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 27 წლით თავისუფლების აღკვეთა. ი. ა-ძეს სასჯელის მოხდა დაეწყო 2007 წლის 11 მარტიდან.

ნ. ა-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებით 12 წლით თავისუფლების აღკვეთა, 262-ე მუხლის მეოთხე ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებით - 15 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 27 წლით თავისუფლების აღკვეთა. ნ. ა-ძეს სასჯელის მოხდა დაეწყო 2007 წლის 11 მარტიდან.

ბ. გ-შვილს მოეხსნა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებითა და 262-ე მუხლის მეოთხე ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებით წარდგენილი ბრალდება და აღნიშნულ ბრალდებაში გამართლდა.

ბ. გ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით და მიესაჯა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2007 წლის 11 მარტიდან.

მ. ს-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებით 12 წლით თავისუფლების აღკვეთა, 262-ე მუხლის მეოთხე ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებით - 15 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის

თანახმად, საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 27 წლით თავისუფლების აღკვეთა. მ. ს- შვილს სასჯელის მოხდა დაეწყო 2007 წლის 11 მარტიდან.

ტ. გ- შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებით 12 წლით თავისუფლების აღკვეთა, 262-ე მუხლის მეოთხე ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებით - 15 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 27 წლით თავისუფლების აღკვეთა. ტ. გ- შვილს სასჯელის მოხდა დაეწყო 2007 წლის 11 მარტიდან.

საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილი ა. ა-ძის დროებითი საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას ამოღებული, მართლსაწინააღმდეგოდ შეძენილი «ტტ-ს» სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი, ექვსი ცალი 7,62 მმ კალიბრიანი საბრძოლო ვაზნა და თანხა - 2450 აშშ დოლარი, რომელიც ინახება შს სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის სპეციალურ საცავში, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ «ტტ-ს» სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი ექვსი ცალი 7,62 მმ კალიბრიანი საბრძოლო ვაზნით უნდა ჩაჰბარდეს საქართველოს შს სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტს ბალანსზე ასაყვანად, ხოლო თანხა 2450 აშშ დოლარის ოდენობით - გადაეცეს სახელმწიფო ბიუჯეტს.

საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილი 2007 წლის 11 მარტს ტ. გ- შვილის მართვის ქვეშ მყოფი, ა. ა- ძის კუთვნილი «მერსედეს-ბენცის» მარკის ავტომანქანის ჩხრეკის შედეგად ამოღებული განსაკუთრებით დიდი ოდენობით - 15,208 გრამი ნარკოტიკული საშუალება «ბუპრენორფინის» შემცველი პრეპარატ «სუბოტექსის» 1901 აბი, 2007 წლის 11 მარტს ა. ა-ძის პირადი ჩხრეკისას ამოღებული და ი. ა-ძის მიერ 2006 წლის 24 ნოემბერს გ. ტ- შვილზე უკანონოდ გასაღებული განსაკუთრებით დიდი ოდენობით - 2,52 გრამი ნარკოტიკული საშუალება «ბუპრენორფინის» შემცველი პრეპარატ «სუბოტექსის» 320 აბი, 19 აბის ნატეხი და დიდი ოდენობით - 0,972 გრამი ნარკოტიკული საშუალება «ჰეროინი»; 2007 წლის 11 მარტს ბ. გ- შვილის პირადი ჩხრეკისას ამოღებული დიდი ოდენობით - 0,048 გრამი ნარკოტიკული საშუალება «ბუპრენორფინის» შემცველი პრეპარატ «სუბოტექსის» 6 აბი; 2007 წლის 11 მარტს ი. ა-ძის პირადი ჩხრეკისას ამოღებული დიდი ოდენობით - 0,024 გრამი ნარკოტიკული საშუალება «ბუპრენორფინის» შემცველი პრეპარატ «სუბოტექსის» 4 აბი; 2007 წლის 11 მარტს მ. ს- შვილის პირადი ჩხრეკისას ამოღებული დიდი ოდენობით - 0,024 გრამი ნარკოტიკული საშუალება «ბუპრენორფინის» შემცველი პრეპარატ «სუბოტექსის» 3 აბი; 2007 წლის 11 მარტს ნ. ა-ძის პირადი ჩხრეკისას ამოღებული დიდი ოდენობით - 0,056 გრამი ნარკოტიკული საშუალება «ბუპრენორფინის» შემცველი პრეპარატ «სუბოტექსის» 7 აბი, რომლებიც ინახება შს სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის საცავში, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა განადგურდეს.

მსჯავრდებულ ტ. გ- შვილის კუთვნილი ავტომანქანა «ფორდ-სიერა», რომელსაც 2007 წლის 13 აპრილის ბრძანებით დაედო ყადაღა, განთავსებულია #2 ადმინისტრაციული შენობის ავტომანქანების დაკავების სადგომზე და ცნობილია საქმეზე ნივთიერ მტკიცებულებად, ყადაღის გაუქმების შემდეგ უსასყიდლოდ უნდა ჩამოერთვას მის კანონიერ მფლობელ ტ. გ- შვილს და უსასყიდლოდ გადაეცეს სახელმწიფოს.

მსჯავრდებულ მ. ს- შვილის კუთვნილი ავტომანქანა «BM3», რომელსაც 2007 წლის 13 აპრილის ბრძანებით დაედო ყადაღა, განთავსებულია #2 ადმინისტრაციული შენობის ავტომანქანების დაკავების სადგომზე და ცნობილია საქმეზე ნივთიერ მტკიცებულებად, ყადაღის გაუქმების შემდეგ უსასყიდლოდ უნდა ჩამოერთვას მის კანონიერ მფლობელ მ. ს- შვილს და უსასყიდლოდ გადაეცეს სახელმწიფოს.

მსჯავრდებულ ა. ა-ძის კუთვნილ ავტომანქანებს: «OPEL VEQA», «მერსედეს-ბენცი», «მერსედეს-ბენცი», რომლებსაც 2007 წლის 13 აპრილის ბრძანებით დაედო ყადაღა, განთავსებულია #2 ადმინისტრაციული შენობის ავტომანქანების დაკავების სადგომზე და ცნობილია საქმეზე ნივთიერ მტკიცებულებად, ყადაღის გაუქმების შემდეგ უსასყიდლოდ უნდა ჩამოერთვას მის კანონიერ მფლობელ ა. ა-ძეს და უსასყიდლოდ გადაეცეს სახელმწიფოს.

მსჯავრდებულ ი. ა-ძის კუთვნილი ავტომანქანა «OPEL Aშთა», რომელსაც 2007 წლის 13 აპრილის ბრძანებით დაედო ყადაღა, განთავსებულია #2 ადმინისტრაციული შენობის ავტომანქანების დაკავების სადგომზე და ცნობილია საქმეზე ნივთიერ მტკიცებულებად ყადაღის გაუქმების შემდეგ უსასყიდლოდ უნდა ჩამოერთვას მის კანონიერ მფლობელ მ. ს- შვილს და უსასყიდლოდ გადაეცეს სახელმწიფოს.

ასევე მ. ს- შვილის ბინის ჩხრეკისას ამოღებული, საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილი «ლЕНАUთ-ის» მარკის სათამაშო ტრაქტორი, რომელიც ინახება საქართველოს შს სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის სპეციალურ საცავში, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უსასყიდლოდ უნდა გადაეცეს სახელმწიფოს. ასევე საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების შედეგად მოპოვებული სატელეფონო საუბრების ფარული ჩანაწერები, რომლებიც ერთგის სისხლის სამართლის საქმეს, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა დარჩეს სისხლის სამართლის საქმესთან მისი შენახვის ვადით.

განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულების მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

საქართველოს მოქალაქემ, დროებით დაბა ... ქ. #44-ში მცხოვრებმა ა. ა-ძემ ორგანიზებულ დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებთან: თავის ძმასთან - ი. ა-ძესთან, დედასთან - ნ. ა-ძესთან, მეგობრებთან - მ. ს- შვილსა და ტ. გ- შვილთან ერთად გამოძიებით დაუდგენელ დროსა და



ვითარებაში, ასევე გამოძიებით დაუდგენელი პირისაგან გასაღების მიზნით უკანონოდ შეიძინა განსაკუთრებით დიდი ოდენობით – 2,68 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის» შემცველი პრეპარატ „სუბოტექსის» 340 აბი და 19 აბის ნატეხი, აგრეთვე, დიდი ოდენობით – 0,972 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი», რომელიც შემდეგ ერთმანეთში გაინაწილეს, საიდანაც პრეპარატ „სუბოტექსის» 320 აბი და 19 აბის ნატეხი, რომელიც ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის» რაოდენობა შეადგენს 2,252 გრამს და „ჰეროინი» წონით 0,972 გრამი აღმოაჩნდა მას 2007 წლის 11 მარტს პირადი და მისი დროებითი საცხოვრებელი ბინის ჩხრევისას.

ა. ა-ძის ზემოხსენებული დროებითი საცხოვრებელი ბინის ჩხრევისას ამოღებულ იქნა, აგრეთვე, ა. ა-ძის მიერ გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში მართლსაწინააღმდეგოდ შექმნილი „ტტ-ს» სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი ექვსი საბრძოლო ვაზნით.

ა. ა-ძემ თავის ძმასთან – ი. ა-ძესთან, დედასთან – ნ. ა-ძესთან, მეგობრებთან – მ. ს-შვილსა და ტ. გ-შვილთან ერთად შეიმუშავა დანაშაულებრივი გეგმა, რომლის თანახმადაც, ისინი დასავლეთ ევროპის ქვეყნებში უკანონოდ შეიძენდნენ ნარკოტიკულ საშუალებას, უკანონოდ შემოიტანდნენ საქართველოში და სისტემატიურად მოახდენდნენ მის რეალიზაციას ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში.

ამ დანაშაულებრივი გეგმის განხორციელების გაადვილების მიზნით აღნიშნული ორგანიზებული ჯგუფის წევრებმა გაინაწილეს როლები, რომლის თანახმადაც მ. ს-შვილი და ტ. გ-შვილი უზრუნველყოფდნენ უკანონოდ შექმნილი ნარკოტიკული საშუალების საქართველოში შემოტანას, ხოლო ა. ა-ძე, ი. ა-ძე, ნ. ა-ძე, მათთან ერთად მოახდენდნენ ნარკოტიკული საშუალების გასაღებას.

2007 წლის მარტის დასაწყისში მ. ს-შვილი გაემგზავრა საფრანგეთში, სადაც, ა. ა-ძის მითითებით, გამოძიებით დაუდგენელი პირისაგან უკანონოდ შეიძინა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის» შემცველი პრეპარატ „სუბოტექსის» აბები, რომლებიც შენობის ფორმით მოათავსა სათამაშო ტრაქტორში და საფრანგეთშივე შექმნილი «ბმვ-ს» მარკის ავტომანქანით გადაზიდა თურქეთში.

ამავე პერიოდში თურქეთში, მან ნარკოტიკი შენობის ფორმით მოათავსა ა. ა-ძის კუთვნილ ავტომანქანა „მერსედეს-ბენცის» სათადარიგო საბურავში და გადაზიდა საქართველოს მიმართულებით. 2007 წლის 11 მარტს ვალეს სასაზღვრო გამშვები პუნქტის გავლით უკანონოდ შემოიტანა საქართველოში, შემდეგ კი გადაზიდა თბილისში.

2007 წლის 11 მარტს, დაახლოებით 18.40 საათზე, დაბა ... ქ.#44-ში მდებარე დროებით საცხოვრებელ ბინაში საქართველოს შს სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა გაჩხრიკეს ა. ა-ძის კუთვნილი „მერსედეს-ბენცის» მარკის ავტომანქანა, რომელსაც მართავდა ტ. გ-შვილი. ჩხრევის შედეგად ამოღებულ იქნა განსაკუთრებით დიდი ოდენობით – 15,208გრამი ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის» შემცველი პრეპარატ „სუბოტექსის» 1901 აბი.

ამასთან, ი. ა-ძემ გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, ასევე დაუდგენელი პირისაგან უკანონოდ შეიძინა და შეინახა განსაკუთრებით დიდი ოდენობით – 0,1898 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის» შემცველი პრეპარატ „სუბოტექსის» 28 აბი და აბის ნატეხი, რომლებიც 2006 წლის 24 ნოემბერს მცხეთაში, არმაზის წყაროსთან, უკანონოდ გაასაღა გ. ტ-შვილზე, რაც ამოიღეს გ. ტ-შვილისა და სხვათა დაკავებისას.

აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 31 მარტის განაჩენით დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებულები – ნ. ა-ძე, ბ. გ-შვილი, ი. ა-ძე, ა. ა-ძე საკასაციო საჩივრით ითხოვენ ნ. ა-ძის, ბ. გ-შვილის, ი. ა-ძის მიმართ განაჩენის გაუქმებასა და სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას, ხოლო ა. ა-ძის ქმედების დაკვალიფიცირებას საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილით და შესაბამისი სასჯელის დანიშვნას. კასატორების მოსაზრებით, როგორც პირადი, ასევე ბინისა და ავტომანქანის ჩხრეკები ჩატარებულია კანონის მოთხოვნათა უხეში დარღვევით; საქმეში არ მოიპოვება იმის დამადასტურებელი მტკიცებულებები, რომ შექმნილი იყო ორგანიზებული ჯგუფი, რომელსაც საქართველოში უკანონოდ შემოჰქონდა ნარკოტიკული საშუალებები; საქმის მასალების მიხედვით, არ დასტურდება ი. ა-ძის მიერ ნარკოტიკული საშუალების გასაღების ფაქტი; კასატორებს სრულიად უკანონოდ მიაჩნიათ ავტომანქანების ჩამორთმევა, რადგან არც ერთი ა/მანქანა, რომლის კუთვნილებაც შერაცხულია ა. ა-ძეზე, სინამდვილეში მისი არასოდეს ყოფილა და ამის დამადასტურებელი დოკუმენტაცია საქმეშია; ბ. გ-შვილის მიმართ მოპოვებული მტკიცებულებები ეფუძნება ვარაუდს; ა. ა-ძე იყო ნარკოტიკების მომხმარებელი და არა – რეალიზატორი, რაც დაადასტურა სამედიცინო შემოწმებამ და ჯიბეში აღმოჩენილმა «ჰეროინმა».

მსჯავრდებული ტ. გ-შვილი საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას იმ მოტივით, რომ განაჩენი არის უკანონო, დაუსაბუთებელი; განაჩენი ეფუძნება სრულიად გაუგებარი ეჭვისა და ვარაუდის დონეზე შეკოწიწებულ მტკიცებულებებს.

მსჯავრდებულ მ. ს-შვილის ინტერესების დამცველი, ადვოკატი დ. ლ-ძე საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებას.

**სამოტივაციო ნაწილი:**

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრების საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში არსებული მტკიცებულებებით: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალურ-ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლების: ა. მ-შვილის, ბ. გ-იას, მ. ჩ-შვილის, ს. ხ-შვილისა და სხვათა ჩვენებებით, ჩხრეკის ოქმებით, ფარული სატელეფონო საუბრების აუდიო ჩანაწერებით, ქიმიური, ბალისტიკური ექსპერტიზების დასკვნებითა და საქმეში არსებული სხვა მასალებით უტუარად არის დადასტურებული მსჯავრდებულების მიერ მათზე ბრალად შერაცხული დანაშაულების ჩადენა.

ამასთან, საკასაციო პალატა თვლის, რომ მსჯავრდებულ ი. ა-ძის ქმედებაში არ დასტურდება ნარკოტიკული საშუალების გასაღების ფაქტი, კერძოდ: განაჩენი ამ ნაწილში ეყრდნობა მხოლოდ გ. ტ-შვილის ჩვენებას, რომლის თანახმად, იგი შეხვდა ი. ა-ძეს არმაზის წყაროსთან და ი-მ გადასცა 2 ფირფიტა «სუბოტექსი», სულ 14 აბით. სხვა რაიმე უტყუარი მტკიცებულება, რაც მიანიშნებს გასაღების ფაქტზე, ბრალდების მხარეს არ წარმოდგენია და არც პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოებს გამოუკვლევიათ. საქართველოს სსსკ-ის 496-ე მუხლის მესამე ნაწილისა და 508-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, განაჩენში ჩამოყალიბებული ყველა დასკვნა დასაბუთებული უნდა იყოს. გამამტყუნებელ განაჩენში აღნიშნული უნდა იყოს უტყუარი და საკმარისი მტკიცებულებები, რომლებსაც ემყარება სასამართლოს დასკვნა. კანონის მითითებულ მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ, სააპელაციო სასამართლომ განაჩენში არ დაასაბუთა, მოწმე გ. ტ-შვილის ჩვენების გარდა, რა მტკიცებულებებზე დაყრდნობით მიიჩნია დადასტურებულად მსჯავრდებულის ქმედებაში ნარკოტიკული საშუალების გასაღების ფაქტი.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მხოლოდ მოწმე გ. ტ-შვილის ჩვენება, როდესაც საქმეში არ არსებობს ბრალდების ამ ეპიზოდში სხვა უტყუარი და საკმარისი მტკიცებულებები, რაც მოწმის ჩვენების უტყუარობის შემოწმების საშუალებას მოგვცემს, არ არის საკმარისი მტკიცებულება, რომ პირი დამნაშავედ იქნეს ცნობილი მსჯავრდების ამ ეპიზოდში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ ი. ა-ძეს განაჩენიდან უნდა ამოერიცხოს ნარკოტიკული საშუალებების გასაღება. ი. ა-ძეს, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებების გათვალისწინებით, უნდა შეუმსუბუქდეს დანიშნული სასჯელი.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

**დ ა ა დ გ ი ნ ა:**

მსჯავრდებულების - ნ. ა-ძის, ბ. გ-შვილის, ი. ა-ძის, ა. ა-ძის, მსჯავრდებულ ტ. გ-შვილისა და მსჯავრდებულ მ. ს-შვილის ინტერესების დამცველის, ადვოკატ დ. ლ-ძის საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 31 მარტის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

განაჩენიდან მსჯავრდებულ ი. ა-ძის მიმართ ამოირიცხოს ნარკოტიკული საშუალების გასაღება.

მსჯავრდებულ ი. ა-ძეს საქართველოს სსსკ-ის 260-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებით დანიშნული სასჯელი - 12 წლით თავისუფლების აღკვეთა - შეუმცირდეს და მიესაჯოს 11 წლით თავისუფლების აღკვეთა.

მსჯავრდებულ ი. ა-ძეს საქართველოს სსსკ-ის 260-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებით, 262-ე მუხლის მეოთხე ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებით საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვროს 26 წლით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვა და გასაღება**

**განჩინება**

#772-აპ

12 ნოემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყეშელაშვილი (თავმჯდომარე),
- დ. სულაქველიძე,

### პ. სილაგამე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. გ-ძის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 24 მარტის განაჩენზე.

#### აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის განაჩენით გ. გ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით იმაში, რომ ჩაიდინა დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვა და გასაღება.

ამავე განაჩენით დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება პროკურორსა და განსასჯელებს - ლ. ბ-ძესა და კ. ი-შვილს შორის, რომლებიც ცნობილ იქნენ დამნაშავეებად სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით და ამავე კოდექსის 55-ე მუხლის საფუძველზე მიესაჯათ: ლ. ბ-ძეს - 3 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 5000 ლარის ოდენობით, ხოლო კ. ი-შვილს - თავისუფლების აღკვეთა 2 წლით და ჯარიმა 10000 ლარის ოდენობით.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

გ. გ-ძემ დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, დაუდგენელი პირისაგან უკანონოდ შეიძინა დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება «ბუპრენორფინის» შემცველი აბები, წონით 0.0422 გრამი. 2007 წლის 26 აპრილს გ. გ-ძემ 0.0203 გრამი «ბუპრენორფინის» შემცველი აბის ნატეხები 720 ლარად მიჰყიდა ლ. ბ-ძესა და კ. ი-შვილს. იმავე დღეს გ. გ-ძე დააკავს და პირადი ჩხრეკის შედეგად ამოუღეს ერთი აბი, აბის ნატეხი და თეთრი ფხვნილი, რომლებიც შეიცავდნენ დიდი ოდენობით - 0.0219 გრამ «ბუპრენორფინს».

აღნიშნული ქმედებისათვის გ. გ-ძეს მიესაჯა 9 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყო 2007 წლის 26 აპრილიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა გ. გ-ძემ და მოითხოვა გამართლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 24 მარტის განაჩენით საჩივარი არ დაკმაყოფილდა და პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი დარჩა უცვლელად.

კასატორი - მსჯავრდებული გ. გ-ძე საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ დანაშაული არ ჩაუდენია, რაზეც ისიც მეტყველებს, რომ პირადი ჩხრეკისას მისგან არ ამოღებულა თანხა, რომელიც თითქოსდა გადასცეს ლ. ბ-ძემ და კ. ი-შვილმა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი მოითხოვს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებას და მის მიმართ საქმის შეწყვეტას.

#### სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში არსებული მასალები უდავოდ დადასტურებულია და ეჭვს არ იწვევს, რომ გ. გ-ძემ ჩაიდინა დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვა და გასაღება. აღნიშნული დასკვნის საფუძველს წარმოადგენს საქმის წინასწარი გამოძიებისას სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა დაცვით მოპოვებული და სასამართლო სხდომაზე გამოკვლეული უტყუარი მტკიცებულებები, მათ შორის - გ. გ-ძის პირადი ჩხრეკის ოქმი, სასამართლო-ქიმიური ექსპერტიზის დასკვნა, მოწმეების: ა. მ-შვილის, ი. გ-შვილის, გ. ს-ძის და ლ. ს-ძის, ასევე მსჯავრდებულების - ლ. ბ-ძისა და კ. ი-შვილის ჩვენებები. ამ უკანასკნელებმა სასამართლოშიც დაადასტურეს, რომ ნარკოტიკული საშუალება შეიძინეს გ. გ-ძისაგან. საქმის მასალებით დადგენილია, რომ გ. გ-ძე დააკავს სწორედ ლ. ბ-ძისა და კ. ი-შვილის ჩვენებების საფუძველზე.

ამასთან, გასაჩივრებული განაჩენიდან გ. გ-ძის მიმართ უნდა ამოირიცხოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით გათვალისწინებული მსჯავრი, რადგან ამ უკანასკნელს ბრალი არ ედებოდა ნარკოტიკული დანაშაულის ჯგუფურად ჩადენაში. ამასთან, პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის სამოტივაციო ნაწილში მითითებულია, რომ გ. გ-ძემ ჩაიდინა სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქმედება, რის მიუხედავად ეს უკანასკნელი დამნაშავედაა ცნობილი ამავე მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტითაც.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად, რადგან კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანია.

#### სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

**დ ა ა დ გ ი ნ ა :**

მსჯავრდებულ გ. გ-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 24 მარტის განაჩენიდან გ. გ-ძის მიმართ ამოირიცხოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით გათვალისწინებული მსჯავრი.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში, მათ შორის - გ. გ-ძისათვის დანიშნული სასჯელი, დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული საშუალების მოხმარება

### განჩინება

#1152-აპ

18 ნოემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),**

**დ. სულაქველიძე,**

**ლ. მურუსიძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ კ. ა-შვილის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ლ. გ-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 17 ივნისის განაჩენზე.

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 27 სექტემბრის განაჩენით კ. ა-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით (2007 წლის 23 იანვრისა და 19 თებერვლის ეპიზოდები) იმაში, რომ ჩაიდინა პირადი მოხმარებისათვის ნარკოტიკული საშუალების მცირე ოდენობით უკანონო შექმნა-შენახვა და ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონო მოხმარება, ჩადენილი ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციულ სახდელშეფარდებული პირის მიერ, რაც გამოიხატა შემდეგში:

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 14 ოქტომბრის დადგენილებით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის გამო კ. ა-შვილს შეეფარდა ადმინისტრაციული სახდელი. 2007 წლის 11 იანვარს კ. ა-შვილმა იპოვა «ბუპრენორფინის» შემცველი აბის ნატეხი, რომელიც შეინახა და დაუდგენელ დროს უკანონოდ მოიხმარა. იმავე წლის 23 იანვარს კ. ა-შვილი დააკავეს და შესამოწმებლად გადაიყვანეს საქართველოს შს სამინისტროს ნარკოლოგიის კვლევით ცენტრში, სადაც შემოწმებისას დაუდგინდა ნარკოლოგიური საშუალება „ბუპრენორფინის» მოხმარების ფაქტი.

ამის შემდეგ კ. ა-შვილმა კვლავ უკანონოდ მოიხმარა ნარკოტიკული საშუალება და 2007 წლის 19 თებერვალს ჩატარებული ნარკოლოგიური შემოწმებისას დადგინდა, რომ იგი იმყოფებოდა «ბუპრენორფინისა» და «ოპიუმის» ზემოქმედების ქვეშ.

კ. ა-შვილს 2007 წლის 23 იანვარს და 19 თებერვალს ჩადენილი ქმედებებისათვის მიესაჯა თითო წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 3-3 ათასი ლარის ოდენობით. მსჯავრდებულს განესაზღვრა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 6 ათასი ლარის ოდენობით, რასაც დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი და საბოლოოდ მიესაჯა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 6 ათასი ლარის ოდენობით.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა და მოითხოვა სასჯელის შემსუბუქება.

გასაჩივრებული განაჩენით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და კ. ა-შვილს საბოლოოდ მიესაჯა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყო 2008 წლის 11 მარტიდან. მასვე დამატებით სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა 4 ათასი ლარის ოდენობით.

კასატორი - მსჯავრდებულის ადვოკატი ლ. გ-შვილი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს განაჩენი უსამართლოა, რადგან სასჯელის დანიშვნისას არ იქნა გათვალისწინებული პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებები, კერძოდ, კ. ა-შვილი მძიმე ავადმყოფია, დაავადებულია ნარკომანიით და საჭიროებს მუდმივ მეთვალყურეობას, იყო უმუშევარი და არ გააჩნდა შემოსავლის წყარო. გარდა ამისა, სასამართლომ არ გაითვალისწინა მსჯავრდებულის გულწრფელი აღიარება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი ითხოვს კ. ა-შვილისათვის 6 წლით თავისუფლების აღკვეთის შეფარდებას და ჯარიმის ოდენობის შემცირებას 2 ათას ლარამდე.

**სამოტივაციო ნაწილი:**

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში არსებული მასალებით უდავოდ დადასტურებულია და ეჭვს არ იწვევს, რომ კ. ა-შვილმა ჩაიდინა მისთვის ბრალად შერაცხული ქმედებები. აღნიშნული დასკვნის საფუძველს წარმოადგენს უტყუარი მტკიცებულებები, რაც საკმარისია საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად და გასაჩივრებული განაჩენი დასაბუთებულია.

სასჯელის დანიშვნისას სააპელაციო პალატამ მხედველობაში მიიღო კ. ა-შვილის ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობა და მისი წარსული ცხოვრების გათვალისწინებითაც განსაზღვრა სასჯელი, რომელიც ვერ ჩაითვლება მეტისმეტად მკაცრად და აშკარად უსამართლოდ. ამრიგად, სააპელაციო პალატის განაჩენი სამართლიანია.

პალატა აღნიშნავს, რომ პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოებმა სათანადო ყურადღება არ გაამხვილეს საქმის წინასწარი გამოძიებისას კ. ა-შვილის დაკავების ფაქტზე. ეს უკანასკნელი ეჭვმიტანილის სახით დააკავეს 2007 წლის 23 იანვარს და იგი გათავისუფლდა გირაოს თანხის შეტანის შემდეგ - იმავე წლის 26 იანვარს, შესაბამისად, მსჯავრდებულს სასჯელის მოხდის ვადაში უნდა ჩაეთვალოს დაკავების დრო - 3 დღე.

გარდა აღნიშნულისა, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნები არ დარღვეულა, ხოლო მატერიალური კანონი სწორადაა გამოყენებული, რის გამოც გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად.

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

**და ა ა დ გ ი ნ ა:**

მსჯავრდებულ კ. ა-შვილის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ლ. გ-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 17 ივნისის განაჩენი შეიცვალოს: მსჯავრდებულ კ. ა-შვილს დანიშნული სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალოს დაკავების დრო - 2007 წლის 23 იანვრიდან 2007 წლის 26 იანვრამდე - 3 დღე.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ნარკოტიკული საშუალების შეძენა, შენახვა, დამზადება; ექიმის დანიშნულების გარეშე მისი მოხმარება**

**განჩინება**

#1388-აპ

27 ნოემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

- მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),**
- დ. სულაქველიძე,**
- ი. ტყემელაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ მ. ნ-შვილის ინტერესების დამცველი ადვოკატების - ი. ჯ-შვილისა და ა. რ-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 1 ოქტომბრის განაჩენზე.

**აღწერილობითი ნაწილი:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 6 ივნისის განაჩენით მ. ნ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, 260-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით - 10 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 11 წლით თავისუფლების აღკვეთა. მ. ნ-შვილს სასჯელის მოხდა დაეწყო 2007 წლის 5 დეკემბრიდან.

მ. ნ-შვილს «ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ» საქართველოს კანონის მესამე მუხლის თანახმად, 5 წლის ვადით ჩამოერთვა: სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, 15 წლის ვადით - საექიმო, საადვოკატო, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებებში

საქმიანობის უფლება, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში - საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლება; პასიური საარჩევნო უფლება; იარაღის დამზადების, შექმნის, შენახვის და ტარების უფლება.

საქმეზე არსებული ნივთიერი მტკიცებულება - კუსტარული წესით მიღებული «ჰერონის» ფხვნილი, წონით 0,16065 გრამი, რომელიც ინახება საქართველოს შს სამინისტროს სპეციალურ-ოპერატიულ დეპარტამენტში, უნდა განადგურდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.

საქმეზე არსებული ნივთიერი მტკიცებულება - რვა 100 აშშ დოლარიანი კუპიურა, ორი 50 აშშ დოლარიანი კუპიურა, ერთი 10 აშშ დოლარიანი კუპიურა, ერთი 200-ლარიანი კუპიურა, თხუთმეტი 20-ლარიანი კუპიურა, ხუთი 10-ლარიანი კუპიურა, სამი 5-ლარიანი კუპიურა, რაც ინახება თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის შს სამმართველოში, უნდა გადაეცეს სახელმწიფო ბიუჯეტს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.

საქმეზე არსებული ნივთიერი მტკიცებულება - «მოტოროლა V-3» ფირმის მობილური ტელეფონი სიმ-ბარათი, 1 გასაღები, ოქროსფერი საათი, სამაჯური, «MEMA-M» ფირმის ვერცხლისფერი ბეჭედი წმინდა გიორგის გამოსახულებით, ვერცხლისფერი ყელსაბამი, რომლებიც ინახება თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის შს სამმართველოში, უნდა გადაეცეს მ. ნ-შვილის ნდობით აღჭურვილ პირს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.

განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულ მ. ნ-შვილის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

მ. ნ-შვილი სისტემატურად ეწეოდა რა ნარკოტიკული საშუალების რეალიზაციას შემდგომი გასაღების მიზნით, დაუდგენელი პირისაგან იძენდა ნარკოტიკულ საშუალება „ჰერონის“, რასაც ასევე უკანონოდ ინახავდა.

2007 წლის 4 დეკემბერს მ. ნ-შვილმა თავის მუდმივ მომხმარებელ მ. ბ-მეზე 150 ლარად უკანონოდ გაასხვისა ნარკოტიკული საშუალება „ჰერონი“, რის შემდეგაც იმავე დღეს მ. ბ-მე შექმნილ ნარკოტიკულ საშუალებასთან ერთად დააკავეს საქართველოს შს სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს დიდუბე-ჩუღურეთის სამმართველოს თანამშრომლებმა. მ. ბ-მემ ითანამშრომლა გამოძიებასთან და დაასახელა მ. ნ-შვილი, როგორც მისთვის ნარკოტიკული საშუალების მუდმივი მიმწოდებელი, რის შემდეგაც პოლიციის თანამშრომლებმა 2007 წლის 5 დეკემბერს, 14.15 საათზე, მ. ნ-შვილი დააკავეს ქ. თბილისში, ბავშვთა სამყაროს მიმდებარე ტერიტორიაზე. დაკავების ადგილზე ჩატარებული პირადი ჩხრეკისას მ. ნ-შვილისაგან ამოღებულ იქნა სარეალიზაციოდ გამზადებული, ერთი, ე.წ. „შაში“ დაფასობებული, მოყავისფრო-მოყვითალო ფერის ნივთიერება ფხვნილის სახით, რაც ქიმიური ექსპერტიზის #1554/სქ დასკვნის თანახმად, მიეკუთვნება ნარკოტიკულ საშუალება „ჰერონის ფხვნილს“, რომელშიც „ჰერონის“ წონა შეადგენს 0,08355 გრამს.

დაკავების შემდეგ მ. ნ-შვილი გადაიყვანეს საქართველოს შს სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკურ მთავარ სამმართველოში, სადაც ნარკოლოგიური შემოწმების დასკვნა #3217295-ით მას დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალება „ოპიუმის“ ჯგუფის მოხმარების ფაქტი. ადმინისტრაციული წესით იგი დაჯარიმებული იყო 2007 წლის 4 ოქტომბერს.

აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 1 ოქტომბრის განაჩენით დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებულ მ. ნ-შვილის ინტერესების დამცველი ადვოკატები - ი. ჯ-შვილი და ა. რ-შვილი საკასაციო საჩივრით ითხოვენ განაჩენში ცვლილების შეტანას, კერძოდ: საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში მ. ნ-შვილის გამართლებას იმ მოტივით, რომ ამ ნაწილში განაჩენი არის უკანონო, ცალმხრივი, იგი დადგენილია საპროცესო ნორმების უხეში დარღვევით და აგებულია მსჯავრდებულ მ. ბ-მის ცრუ ჩვენებაზე, ხოლო 273-ე მუხლით - სასჯელის შემსუბუქებას.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში არსებული მტკიცებულებებით: მოწმეების - რ. ხ-შვილის, გ. მ-შვილის, ა. კ-მის ჩვენებებით, ქიმიური ექსპერტიზის დასკვნით, დაკავების, პირადი ჩხრეკისა და ამოღების ოქმებით, ასევე საქმეში არსებული სხვა მასალებით უტყუარად არის დადასტურებული მსჯავრდებულ მ. ნ-შვილის მიერ ნარკოტიკული საშუალების შექმნა-შენახვის ფაქტი.

ამასთან, საკასაციო პალატა თვლის, რომ მსჯავრდებულ მ. ნ-შვილის ქმედებაში არ დასტურდება ნარკოტიკული საშუალების გასაღების ფაქტი, კერძოდ: განაჩენი ამ ნაწილში ეყრდნობა მხოლოდ მოწმე მ. ბ-მის ჩვენებას, რომლის თანახმად, იგი ნარკოტიკულ საშუალებებს იძენდა მ. ნ-შვილისაგან და ხვდებოდა სასტუმრო «კოლხეთის» მიმდებარე ტერიტორიაზე. სხვა რაიმე უტყუარი მტკიცებულება, რაც მიანიშნებს გასაღების ფაქტზე, ბრალდების მხარეს არ წარმოდგენია და არც პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოებს გამოუკვლევიათ. საქართველოს სსკ-ის 496-ე მუხლის მესამე ნაწილისა და 508-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, განაჩენში ჩამოყალიბებული ყველა დასკვნა დასაბუთებული უნდა იყოს. გამამტყუნებელ განაჩენში აღნიშნული უნდა იყოს უტყუარი და საკმარისი მტკიცებულებები, რომლებსაც ემყარება სასამართლოს დასკვნა. კანონის აღნიშნულ მოთხოვნათა

საწინააღმდეგოდ, სააპელაციო სასამართლომ განაჩენში არ დაასაბუთა, მოწმე მ. ბ-ძის ჩვენების გარდა, რა მტკიცებულებებზე დაყრდნობით მიიჩნია დადასტურებულად მსჯავრდებულის ქმედებაში ნარკოტიკული საშუალების გასაღების ფაქტი.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მხოლოდ მოწმე მ. ბ-ძის ჩვენება, როდესაც საქმეში არ არსებობს ბრალდების ამ ეპიზოდში სხვა უტყუარი და საკმარისი მტკიცებულებები, რაც მოწმის ჩვენების უტყუარობის შემოწმების საშუალებას მოგვცემს, არ არის საკმარისი მტკიცებულება იმისათვის, რომ პირი დამნაშავედ იქნეს ცნობილი მსჯავრდების ამ ეპიზოდში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ მ. ნ-შვილს განაჩენიდან უნდა ამოერიცხოს ნარკოტიკული საშუალებების გასაღება.

ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ «ამნისტიის შესახებ» 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის მეორე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე მსჯავრდებულ მ. ნ-შვილს საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნული სასჯელი - 6 თვით თავისუფლების აღკვეთა - უნდა გაუნახევრდეს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «ა», «დ» ქვეპუნქტებით, 568-ე მუხლით და

### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 1 ოქტომბრის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

მსჯავრდებულ მ. ნ-შვილს განაჩენიდან ამოერიცხოს ნარკოტიკული საშუალების გასაღება.

მსჯავრდებულ მ. ნ-შვილს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელი - 10 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა - შეუმცირდეს და მიესაჯოს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა.

«ამნისტიის შესახებ» 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის მეორე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე მსჯავრდებულ მ. ნ-შვილს საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნული სასჯელი - 6 თვით თავისუფლების აღკვეთა - გაუნახევრდეს.

მსჯავრდებულ მ. ნ-შვილს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით, 273-ე მუხლით საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვროს 10 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონო მოხმარება; ნარკოტიკული საშუალების შეძენა, შენახვა, დამზადება**

#### **განჩინება**

#1271-აპ

28 ნოემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

- ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),**
- მ. ოშხარელი,**
- პ. სილაგაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ვ. ხ-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 16 ივლისის განაჩენზე.

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

გორის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 7 აპრილის განაჩენით ვ. ხ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა», „ბ», „დ» ქვეპუნქტებითა და 273-ე მუხლით იმაში, რომ ჩაიდინა დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა არაერთგზის, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, შენახვა, გადაზიდვა და გასაღება; ასევე - ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონო მოხმარება, ჩადენილი ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ.

ამავე განაჩენით დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება პროკურორსა განსასჯელ მ. კ-მეს შორის, რომლის თანახმად, მ. კ-მე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა», „ბ» ქვეპუნქტებით, 273-ე მუხლით (2007 წლის 30 იანვრის, 12 აპრილისა და 12 ივლისის ეპიზოდები) და დანაშაულთა ერთობლიობით მიესაჯა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა; სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენებით, მ. კ-მემ დანიშნული სასჯელიდან 2 წელი უნდა მოიხადოს სასჯელადსრულების დაწესებულებაში, ხოლო დარჩენილი 5 წლით თავისუფლების აღკვეთა ჩათვალა პირობით, 5 წლის გამოსაცდელი ვადით; მასვე დამატებით სასჯელად დაეკისრა ჯარიმა 5 ათასი ლარის ოდენობით.

განაჩენით დადგენილად იქნა მიჩნეული შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2007 წლის 9 ივლისს საქართველოს შს სამინისტროს შიდა ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა მოიპოვეს ოპერატიული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ვ. ხ-შვილი იყო ნარკოტიკული საშუალების აქტიური მომხმარებელი და რეალიზატორი.

აღნიშნულის გამო, 2007 წლის 10 ივლისს, „ოპერატიული თანამშრომლის დანაშაულებრივ ჯგუფში ჩართვის შესახებ» დადგენილების საფუძველზე, დანაშაულებრივ ჯგუფში „საკონტროლო შესყიდვი-სათვის», „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ» საქართველოს კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით, ჩართულ იქნა ოპერატიული თანამშრომელი.

2007 წლის 11 ივლისს, დაახლოებით 22 საათზე, ვ. ხ-შვილმა გორში, ე.წ. „ვერხვების» დასახლებაში, უკანონოდ შეძენილი და შენახული დიდი რაოდენობით - 2,26 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი» 240 ლარად უკანონოდ გაასალა ოპერატიულ თანამშრომელზე.

2007 წლის 12 ივლისს, დაახლოებით 16.05 საათზე, გორის რაიონის სოფელ ხურვალეთის საავტომობილო გზაზე, „ვაზ-2106» მარკის ტაქსით გადაადგილებისას პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს ვ. ხ-შვილი და მ. კ-მე, რომლებსაც, გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, ადგილზე ჩაუტარდათ პირადი ჩხრეკა, რა დროსაც ვ. ხ-შვილს ლურჯი ჯინსის შარვლის უკანა, მარჯვენა ჯიბიდან ამოუღეს უკანონოდ შეძენილი და შენახული დიდი რაოდენობით - 0,12 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი».

ვ. ხ-შვილს 2007 წლის 16 მარტს ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარებისათვის გორის რაიონული სასამართლოს დადგენილებით დაედო ადმინისტრაციული სახდელი - ადმინისტრაციული პატიმრობა 7 დღე-ღამით. ამის მიუხედავად, ის არ დაადგა გამოსწორების გზას და 2007 წლის 12 აპრილს უკანონოდ, ექიმის დანიშნულების გარეშე მოიხმარა ნარკოტიკული საშუალება „მეტადონი».

აღნიშნული ქმედებისათვის ვ. ხ-შვილს მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა», „ბ» და „დ» ქვეპუნქტებით (2007 წლის 2 აგვისტომდე მოქმედი რედაქციით) - თავისუფლების აღკვეთა 8 წლისა და 6 თვის ვადით, დამატებით სასჯელად დაენიშნა ჯარიმა - 4000 ლარი, ამავე კოდექსის 273-ე მუხლით - თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით. საბოლოოდ ვ. ხ-შვილს სასჯელად განესაზღვრა 9 წლისა და 6 თვის ვადით, დამატებით სასჯელად ჯარიმა - 4000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. სასჯელის ათვლა დაეწყო 2007 წლის 12 ივლისიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ვ. ხ-შვილმა. მან ითხოვა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა», „ბ», „დ» ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში გამართ-ლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 16 ივლისის განაჩენით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებული ვ. ხ-შვილი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ ის თავს დამნაშავედ არ თვლის, ხოლო მისთვის დანიშნული სასჯელი საკმაოდ მკაცრია.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გაანალიზა საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატას აღნიშნავს, რომ ვ. ხ-შვილისათვის ბრალად შერაცხული ქმედებები სრულადაა დადასტურებული საქმეზე შეკრებილი და სასამართლოში განხილული მტკიცებულებებით, კერძოდ: მოწმეთა ჩვენებებით, ექსპერტიზის დასკვნებით, ჩხრეკისა და ამოღების ოქმებით. სასჯელი დანიშნულია კანონის შესაბამისად, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების გათვალისწინებით. ამდენად, გასაჩივრებული განაჩენი კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანია და იგი უნდა შეიცვალოს მხოლოდ „ამნისტიის შესახებ» საქართველოს 2008 წლის 21 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, კერძოდ, მსჯავრდებულ ვ. ხ-შვილს საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნული სასჯელი - თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით, უნდა გაუნახევრდეს.



**სარეზოლუციო ნაწილი:**

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით, „ამნისტიის შესახებ» საქართველოს 2008 წლის 21 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით და

**და ა ა დ გ ი ნ ა:**

მსჯავრდებულ ვ. ხ-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 16 ივლისის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ.

„ამნისტიის შესახებ» საქართველოს 2008 წლის 21 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ვ. ხ-შვილისათვის საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით განსაზღვრული სასჯელი - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა განახევრდეს და დაენიშნოს თავისუფლების აღკვეთა 6 თვის ვადით. საბოლოოდ ვ. ხ-შვილს განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 9 წლის ვადით.

სხვა ნაწილში განაჩენი დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ნარკოტიკული საშუალების შეძენა, შენახვა, დამზადება**

**განჩინება**

#1420-აპ 28 ნოემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

- ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),**
- მ. ოშარელი,**
- პ. სილაგაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ს. ფ-ავას და მისი ინტერესების დამცველის - ადვოკატ ბ. ჭ-უას საკასაციო საჩივრები ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 6 ოქტომბრის განაჩენზე.

**აღწერილობითი ნაწილი:**

ჩხოროწყუს რაიონული სასამართლოს 2008 წლის 6 ივნისის განაჩენით ს. ფ-ავა გამართლდა საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით წარდგენილ ბრალდებაში; იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, მე-4 ნაწილის „ბ» ქვეპუნქტით და 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით იმაში, რომ ჩაიდინა ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის შეძენა, შენახვა, მართლსაწინააღმდეგო გადაზიდვა და გასაღება არაერთგზის; ასევე - ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა და შენახვა, რაც გამოიხატა შემდეგში:

ჩხოროწყუს რაიონის სოფ. ... მცხოვრებმა ს. ფ-ავამ #090070872 სისხლის სამართლის საქმეზე „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ» საქართველოს კანონის მეორე თავის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის „გ», „ი» და „კ» ქვეპუნქტების საფუძველზე, დანაშაულებრივი დაჯგუფების წევრად ჩართული, შსს-ს ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს უფროსის მოადგილეს, პოლიციის მაიორ ვ. ჩ-ძესა და სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო სამმართველოს უფროს ინსპექტორ-გამომძიებელს, პოლიციის ლეიტენანტ ა. გ-იას ჩხოროწყუს რაიონის სოფ. ..., თავის საცხოვრებელ სახლში, პერიოდულად, მართლსაწინააღმდეგოდ მიჰყიდა დანიშნულებისამებრ ვარგისი ცეცხლსასროლი იარაღები და საბრძოლო მასალა. მანვე 2007 წლის 11 აგვისტოს თავისივე საცხოვრებელ სახლში ოპერატიულ მუშაკებს - ვ. ჩ-ძესა და ა. გ-იას წინასწარ გადაახდევინა 1200 ლარი შემდგომში ორი ერთეული ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის შესაძენად, მაგრამ აღნიშნული ქმედება ვერ განახორციელა.

2007 წლის 12 სექტემბერს ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ..., შსს-ს მუშაკებმა დააკავეს ს. ფ-ავა თავისივე საცხოვრებელ სახლში, რომლის ჩხრეკისას ამოიღეს «პ-7» სისტემის ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარმტყორცნი, მისთვის განკუთვნილი 2 ჭურვი, ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარმტყორცნის ჭურვის ორი კაფსულ-დეტონატორი, „აკ-74» სისტემის ატომატური ცეცხლსასროლი იარაღი ერთი მჭიდითა და 23 ცალი საბრძოლო ვაზნით და ნარკოტიკული საშუალება, 91,7 გრამი ნედლი „მარიხუანა».

აღნიშნული ქმედებისათვის ს. ფ-ავა ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის I ნაწილით - თავისუფლების აღკვეთა 6 თვის ვადით, დამატებით სასჯელად - ჯარიმა 1000 ლარი; ამავე მუხლის მე-4 ნაწილით - თავისუფლების აღკვეთა 7 წლის და 9 თვის ვადით, დამატებით სასჯელად - ჯარიმა 3500 ლარი; ამავე კოდექსის 260-ე მუხლის I ნაწილით -

თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით. საბოლოოდ ს. ფ-ავას სასჯელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 13 წლისა და 3 თვის ვადით, დამატებით სასჯელად - ჯარიმა 4500 ლარი, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

მსჯავრდებულს სასჯელის მოხდა დაეწყო 2007 წლის 12 სექტემბრიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულის ადვოკატმა ბ. ჭ-უამ. მან ითხოვა ს. ფ-ავას ქმედების სსკ-ის 236-ე მუხლის მე-4 ნაწილიდან ამავე მუხლის მე-3 ნაწილზე გადაკვალიფიცირება; მისი გამართლება ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის გადაზიდვის ნაწილში, ხოლო სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით - მინიმალური სასჯელის განსაზღვრა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 6 ოქტომბრის განაჩენით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი შეიცვალა: ს. ფ-ავა გამართლდა ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის გადაზიდვისა და მათი არაერთგზის გასაღების ნაწილში და მისი ქმედება, ნაცვლად სსკ-ის 236-ე მუხლის მე-4 ნაწილისა, დაკვალიფიცირდა ამავე მუხლის მე-3 ნაწილით; აღნიშნული ქმედებისათვის ს. ფ-ავა ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის I ნაწილით - თავისუფლების აღკვეთა 6 თვის ვადით, დამატებით სასჯელად - ჯარიმა 1000 ლარი; ამავე მუხლის III ნაწილით - თავისუფლების აღკვეთა 5 წლის და 6 თვის ვადით, დამატებით სასჯელად - ჯარიმა 3000 ლარი; ამავე კოდექსის 260-ე მუხლის I ნაწილით - თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით. საბოლოოდ ს. ფ-ავას სასჯელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 9 წლის ვადით, დამატებით სასჯელად - ჯარიმა 4000 ლარი, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

ს. ფ-ავა ცნობილ იქნა დამნაშავედ იმისათვის, რომ მან ოპერატიული მიზნით ჩართულ პოლიციის თანამშრომლებს - კ. ჩ-მეს და ა. გ-იას ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ..., თავის საცხოვრებელ სახლში, პერიოდულად - 2007 წლის 27 ივლისს, 6 აგვისტოს და 11 აგვისტოს, მართლსაწინააღმდეგოდ მიჰყიდა დანიშნულებისამებრ ვარგისი ცეცხლსასროლი იარაღები და საბრძოლო მასალა. იგი 2007 წლის 12 სექტემბერს დაკავებულ იქნა თავის საცხოვრებელ სახლში, სადაც ჩხრევისას ამოღებულ იქნა ცეცხლსასროლი იარაღები და საბრძოლო მასალა, ასევე - ნარკოტიკული საშუალება.

საკასაციო საჩივრებში მსჯავრდებული და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატი ითხოვენ საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის III ნაწილით და 260-ე მუხლის I ნაწილით განსაზღვრული სასჯელების შემცირებას, მათი სიმკაცრის მოტივით.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა საჩივრების საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ ისინი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატას კასატორების მოტივი უსაფუძვლოდ მიაჩნია, ვინაიდან მსჯავრდებულ ს. ფ-ავას ხსენებული მუხლებით სასჯელის ზომა განესაზღვრა კანონით გათვალისწინებული და ერთიანი სასამართლო პრაქტიკით დამკვიდრებულ ფარგლებში, ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ ს. ფ-ავა პირველად სასამართლოში და სრულად აღიარებდა ჩადენილ დანაშაულს, სააპელაციო სასამართლომ სსკ-ის 260-ე მუხლის I ნაწილით დანიშნული სასჯელი - 5 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუმცირა 2 წლით.

საკასაციო პალატა ასევე აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული განაჩენი დადგენილია სსსკ-ის 496-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილების მოთხოვნათა შესაბამისად, იგი სამართლიანია და ეყრდნობა საქმეში არსებულ უტყუარ მტკიცებულებებს, რაც საკმარისია საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად.

ამასთან, ვინაიდან ს. ფ-ავას საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის I ნაწილით გათვალისწინებული მსჯავრდება ეხება მხოლოდ ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვას, „ამნისტიის შესახებ» საქართველოს 2008 წლის 21 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, მას ამ დანაშაულისათვის დანიშნული სასჯელი - 3 წლით თავისუფლების აღკვეთა უნდა გაუნახვერდეს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით, „ამნისტიის შესახებ» საქართველოს 2008 წლის 21 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით და

### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

მსჯავრდებულ ს. ფ-ავას და მისი ინტერესების დამცველის - ადვოკატ ბ. ჭ-უას საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 6 ოქტომბრის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ.

«ამნისტიის შესახებ» საქართველოს 2008 წლის 21 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ს. ფ-ავასათვის საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით განსაზღვრული სასჯელი - 3 წლით თავისუფლების აღკვეთა განახვერდეს და დაენიშნოს თავისუფლების აღკვეთა 1

წლისა და 6 თვის ვადით. გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად და ს. ფ-ავას საბოლოოდ განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 7 წლისა და 6 თვის ვადით. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ნარკოტიკული საშუალების შეძენა, შენახვა, დამზადება; ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული საშუალების მოხმარება; ნარკოტიკის საქართველოში შემოტანა**

**განჩინება**

#1421-აბ

28 ნოემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

- მ. ოშარელი (თავმჯდომარე),**
- დ. სულაქველიძე,**
- ი. ტყეშელაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ მ. ჯ-ძის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 6 ოქტომბრის განაჩენზე.

**აღწერილობითი ნაწილი:**

ფოთის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 5 ივნისის განაჩენით:

მ. ჯ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 262-ე მუხლის მეოთხე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით 15 წლით თავისუფლების აღკვეთა, 260-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით – 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, 273-ე მუხლით (2007 წლის 17 სექტემბრის ეპიზოდი) – 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, 273-ე მუხლით (2007 წლის 31 ოქტომბრის ეპიზოდი) – 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 24 წლით თავისუფლების აღკვეთა. მ. ჯ-ძეს სასჯელის მოხდა დაეწყო 2007 წლის 31 ოქტომბრიდან.

მ. ჯ-ძეს «ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ» საქართველოს კანონის მესამე მუხლის თანახმად, 5 წლის ვადით ჩამოერთვა: სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, საექიმო, საადვოკატო, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის უფლება, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლება; პასიური საარჩევნო უფლება; იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლება.

განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულ მ. ჯ-ძის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 29 დეკემბრის დადგენილებით მ. ჯ-ძე ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარებისათვის ცნობილ იქნა საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენ პირად და დაედო ადმინისტრაციული სახდელი ჯარიმის სახით 500 ლარის ოდენობით. 2007 წლის 17 სექტემბერს, 20 საათსა და 50 წუთზე, მ. ჯ-ძე იმყოფებოდა ქ. ფოთში, ... ქუჩაზე, რა დროსაც ადმინისტრაციული წესით დააკავეს ქ. ფოთის საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა და შესამოწმებლად წარადგინეს ნარკოლოგიურ ცენტრში, სადაც ლაბორატორიულად დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალება „ოპიუმის“ ჯგუფისა და ტეტრაჰიდროკანაბინოლის «მარიხუანას» მიღების ფაქტი.

2007 წლის 30 ოქტომბერს მ. ჯ-ძემ კანონით დადგენილი წესით, „სარფის“ გავლით გადაკვეთა საქართველოს საბაჟო საზღვარი და გადავიდა თურქეთის რესპუბლიკაში, სადაც ქალაქ რიზეში, დაუდგენელ დროსა და ვითარებაში თურქი ეროვნების მოქალაქისაგან უკანონოდ შეიძინა ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“, რომლის ნაწილი შეამზადა მოხმარებისათვის ერთჯერად ე.წ. „ინსულინის« შპრიცში და იქვე მოიხმარა ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ, ხოლო გარკვეული ნაწილი 0,275 მლ კუსტარული წესით მიღებული „ჰეროინის« შემცველი ხსნარი, 0,0605 გრ ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინის« შემცველობით – შეინახა მარცხენა ფეხზე ჩაცმულ შავი ფერის წინდაში. 2,0487 გრამი უკანონოდ შეძენილი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი« მოათავსა გამჭირვალე პოლიეთილენის პარკში, რომელსაც შემოახვია შავი საიზოლაციო ლენტის და შეინახა თეთრი ვილვეტის შარვლის წინა, მარცხენა ჯიბეში. მ. ჯ-ძემ 2007 წლის 30 ოქტომბერს, დაახლოებით 23.00 საათზე, საქართველოს საბაჟო სასაზღვრო «სარფის» გამშვები პუნქტის გავლით თურქეთის რესპუბლიკიდან საქართველოში უკანონოდ შემოიტანა, განსაკუთრებით დიდი ოდენობით – 2,0478 გრ ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი« და 0,275 მლ კუსტარული წესით მიღებული „ჰეროინის« შემცველი ხსნარი, რის შემდეგაც „მიცუბიშის« მარკის სამგზავრო ავტობუსით, რომელსაც მართავდა გ. მ-ძე, გაემგზავრა და გადაზიდა აღნიშნული ნარკოტიკული საშუალება ქ. ფოთის მიმართულებით. ქ. ფოთში, მალთაყვის უბანში, ბათუმი-ფოთის საავტომობილო გზაზე, შსს

სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო სამმართველოს თანამშრომლებმა გააჩერეს „მიცუბიშის» მარკის, სამგზავრო ავტობუსი, რომელსაც მართავდა გ. მ-ძე. ავტობუსიდან ჩამოსვეს მ. ჯ-ძე, რომელიც დააკავეს ექვმიტანილის სახით. მას ჩაუტარდა პირადი ჩხრეკა და ამოღებულ იქნა ზემოხსენებული ნარკოტიკული ნივთიერებები.

აღნიშნულ განაჩენში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 6 ოქტომბრის განაჩენით შევიდა ცვლილება, კერძოდ:

მ. ჯ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 262-ე მუხლის მეოთხე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით 15 წლით თავისუფლების აღკვეთა, 260-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით – 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, 273-ე მუხლით (2007 წლის 17 სექტემბრის ეპიზოდი) – ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით, 273-ე მუხლით (2007 წლის 31 ოქტომბრის ეპიზოდი) – ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 23 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

მ. ჯ-ძეს «ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ» საქართველოს კანონის მესამე მუხლის თანახმად, 5 წლის ვადით ჩამოერთვა: სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, საექიმო, საადვოკატო, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის უფლება, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლება; პასიური საარჩევნო უფლება; იარაღის დამზადების, შეძენის, შენახისა და ტარების უფლება.

მსჯავრდებული მ. ჯ-ძე საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენში ცვლილების შეტანას, კერძოდ: საქართველოს სსკ-ის 262-ე მუხლის მეოთხე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში გამართლებას.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე სასამართლო გამოკვლევა ჩატარებულია სრულყოფილად, ობიექტურად და საპროცესო კანონმდებლობის დაცვით.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ მას არ ჩაუდენია საქართველოს სსკ-ის 262-ე მუხლის მეოთხე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაული, კერძოდ:

მოწმეების – საქართველოს შსს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო სამმართველოს თანამშრომლების – თ. შ-იას, ა. ლ-ავას, გ. გ-იას ჩვენებებით, ისინი სამსახურში მიღებული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე საბაჟო «სარფთან» დახვდნენ და უთვალთვალდნენ მ. ჯ-ძეს, რომელიც სარფიდან ბათუმის ავტოსადგურამდე მივიდა ტაქსით, სადაც ჩაჯდა ბათუმი-თბილისის ავტობუსში. თ. შ-ია ჩაჯდა იმავე ავტობუსში, ხოლო გ. გ-ია და ა. ლ-ავა ავტობუსს მიჰყვებოდნენ უკან მსუბუქი ავტომანქანით. გზაზე მ. ჯ-ძე არავის შეხვედრია. ქ. ფოთში, მალთაყვის უბანში, მათ გააჩერეს ავტობუსი, საიდანაც გადმოიყვანეს მ. ჯ-ძე, რომელიც დააკავეს ექვმიტანილის სახით. მას გამომძიებელმა ჩაუტარა ჩხრეკა, რა დროსაც მისი შარვლის ჯიბიდან ამოიღეს საიზოლაციო ლენტით შეკრული, პოლიეთილენის პარკში მოთავსებული, მოყავისფრო ფხვიერი მასა, ხოლო წინდიდან ამოიღეს ერთჯერადი საინიექციო შპრიცი, რომელშიც მოთავსებული იყო სითხე.

განაჩენით მ. ჯ-ძის მიმართ შერაცხული ბრალდებები დადასტურებულია ასევე მსჯავრდებულის ნაწილობრივ აღიარებითი ჩვენებებით, 2007 წლის 17 სექტემბრისა და 31 ოქტომბრის ნარკოლოგიური შემოწმების დასკვნებით, მ. ჯ-ძის საქართველოს მოქალაქის პასპორტში არსებული ბეჭდების დამღებით, პირადი ჩხრეკის ოქმითა და ამოღებული ნივთმტკიცებებით, ქიმიური ექსპერტიზის დასკვნითა და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებით.

ამდენად, პალატა თვლის, რომ როგორც I-ლი ინსტანციის, ასევე სააპელაციო სასამართლოებს საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებები გააჩნდათ მსჯავრდებულების მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის დასადგენად.

ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ «ამნისტიის შესახებ» 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის მეორე მუხლის პირველი პუნქტისა და მესამე მუხლის მეორე პუნქტის საფუძველზე (ამ კანონით გათვალისწინებული ამნისტია არ ვრცელდება გადახდილ ჯარიმებზე, რომლებიც შეფარდებულია, როგორც ძირითადი სასჯელი) მსჯავრდებულ მ. ჯ-ძეს საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით (2007 წლის 17 სექტემბრისა და 2007 წლის 31 ოქტომბრის ეპიზოდები) დანიშნული სასჯელები – ჯარიმა 1000-1000 ლარის ოდენობით – უნდა გაუნახვედრდეს. მსჯავრდებულ მ. ჯ-ძეს საქართველოს სსკ-ის 262-ე მუხლის მეოთხე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით, 260-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით, 273-ე მუხლით (2007 წლის 17 სექტემბრის ეპიზოდი), 273-ე მუხლით (2007 წლის 31 ოქტომბრის ეპიზოდი) საბოლოოდ მოსახდელად უნდა განესაზღვროს 23 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «ა», «დ» ქვეპუნქტებით, «ამნისტიის შესახებ» 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის მეორე მუხლის პირველი პუნქტითა და მესამე მუხლის მეორე პუნქტით, 568-ე მუხლით და

**და ა ა დ გ ი ნ ა:**

საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 6 ოქტომბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

მსჯავრდებულ მ. ჯ-ძეს საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით (2007 წლის 17 სექტემბრისა და 2007 წლის 31 ოქტომბრის ეპიზოდები) დანიშნული სასჯელები - ჯარიმა 1000-1000 ლარის ოდენობით - გაუნაზღვრდეს.

მსჯავრდებულ მ. ჯ-ძეს საქართველოს სსკ-ის 262-ე მუხლის მეოთხე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით, 260-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით, 273-ე მუხლით (2007 წლის 17 სექტემბრის ეპიზოდი), 273-ე მუხლით (2007 წლის 31 ოქტომბრის ეპიზოდი) საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვროს 23 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ნარკოტიკული საშუალების შეძენა, შენახვა, დამზადება; ექიმის დანიშნულების გარეშე  
ნარკოტიკული საშუალების მოხმარება**

**განჩინება**

#1444-აპ

1 დეკემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი  
შემადგენლობით:**

**მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),**

**დ. სულაქველიძე,**

**ი. ტყემელაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ე. მ-იანის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 10 ოქტომბრის განაჩენზე.

**აღწერილობითი ნაწილი:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 4 აგვისტოს განაჩენით ე. მ-იანი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით - 13 წლით თავისუფლების აღკვეთა, 273-ე მუხლით - 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 13 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. ე. მ-იანს სასჯელის მოხდა დაეწყო 2007 წლის 6 მაისიდან.

ე. მ-იანს «ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ» საქართველოს კანონის თანახმად, 5 წლის ვადით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, ხოლო 15 წლის ვადით - საექიმო, საადვოკატო, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის უფლება, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში - საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლება; პასიური საარჩევნო უფლება; იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლება.

განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულ ე. მ-იანის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის 2007 წლის 10 მაისის დადგენილების საფუძველზე ე. მ-იანს ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე, უკანონოდ მოხმარებისათვის ადმინისტრაციული სახდელის სახით დაეკისრა ჯარიმა 500 ლარის ოდენობით.

ე. მ-იანმა გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, გამოძიებით დაუდგენელი პირისაგან უკანონოდ შეიძინა და შეინახა განსაკუთრებით დიდი ოდენობით - 26,253 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰერონი« და 2,295 გრამი ნარკოტიკული საშუალება „მეტადონი«.

2008 წლის 6 მაისს, 16.25 საათზე, საქართველოს შსს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა თბილისში, . . . , ზემო პლატოს, #47-ე კორპუსის პირველ სადარბაზოში დააკავეს ე. მ-იანი, რომლის პირადი ჩხრეკისას ამოიღეს განსაკუთრებით დიდი ოდენობით - 3,652 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“, ხოლო მისი საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას - განსაკუთრებით დიდი ოდენობით 22,628 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“ და 2,295 გრამი ნარკოტიკული საშუალება „მეტადონი“. იმავე დღეს ე. მ-იანი ნარკოტიკული შემოწმების მიზნით გადაიყვანეს შს სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკურ მთავარ სამმართველოში, სადაც ნარკოლოგიური შემოწმებისას დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტი.

აღნიშნულ განაჩენში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 10 ოქტომბრის განაჩენით შევიდა ცვლილება, კერძოდ:

ე. მ-იანის მსჯავრდებიდან ამოირიცხა ნარკოტიკული ნივთიერების განსაკუთრებით დიდი ოდენობით გასაღება.

ე. მ-იანი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით 12 წლით თავისუფლების აღკვეთა, 273-ე მუხლით - 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 12 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

ე. მ-იანს «ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ» საქართველოს კანონის თანახმად, 5 წლის ვადით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, ხოლო 15 წლის ვადით - საეიძო, საადვოკატო, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის უფლება, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში - საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლება; პასიური საარჩევნო უფლება; იარაღის დამზადების, შექმნის, შენახისა და ტარების უფლება.

მსჯავრდებული ე. მ-იანი საკასაციო საჩივრით ითხოვს სასჯელის შემსუბუქებას იმ საფუძველით, რომ აღიარებს და ინანიებს ჩადენილ დანაშაულს, ჰყავს მეუღლე და მცირეწლოვანი შვილი, არის ოჯახის ერთადერთი მარჩენალი, პირველადაა სამართალში, ხასიათდება დადებითად.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით: მსჯავრდებულის აღიარებითი ჩვენებით, მოწმეთა ჩვენებებით, ექსპერტიზების დასკვნებით, დაკავების ოქმით, პირადი, ბინის, ავტოფარების, ავტომანქანის ჩხრეკის ოქმებით, ამოღების ოქმებით, ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილებითა და საქმეში არსებული სხვა მასალებით ე. მ-იანის მიერ მასზე ბრალად შერაცხული დანაშაულების ჩადენა დადასტურებულია, რასაც სადავოდ არც საკასაციო საჩივარი ხდის.

რაც შეეხება მსჯავრდებულ ე. მ-იანის საკასაციო საჩივრის მოთხოვნას სასჯელის შემსუბუქების თაობაზე, პალატა ვერ გაიზიარებს და მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა და მისი პიროვნების მახასიათებელი მონაცემების გათვალისწინებით, ე. მ-იანს დაუნიშნა ისეთი სასჯელი, რომლის შეცვლისა და საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ «ამნისტიის შესახებ» 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის მეორე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე მსჯავრდებულ ე. მ-იანს საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნული სასჯელი - 6 თვით თავისუფლების აღკვეთა - უნდა გაუნახევრდეს. მას საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით, 273-ე მუხლით საბოლოოდ მოსახდელად უნდა განესაზღვროს 12 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «ა», «დ» ქვეპუნქტებით, «ამნისტიის შესახებ» 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის მეორე მუხლის პირველი პუნქტით, 568-ე მუხლით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 10 ოქტომბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

«ამნისტიის შესახებ» 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის მეორე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე მსჯავრდებულ ე. მ-იანს საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნული სასჯელი - 6 თვით თავისუფლების აღკვეთა - გაუნახევრდეს.

მსჯავრდებულ ე. მ-იანს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით, 273-ე მუხლით საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვროს 12 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.  
განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ნარკოტიკული საშუალების შეძენა, შენახვა, დამზადება; ექიმის დანიშნულების გარეშე  
ნარკოტიკული საშუალების მოხმარება**

**განჩინება**

#1122-აპ 2 დეკემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი  
შემადგენლობით:**

- ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),**
- დ. სულაქველიძე,**
- მ. ოშხარელი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ დ. თ-ძისა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ი. ფ-ავას საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 19 ივნისის განაჩენზე.

**აღწერილობითი ნაწილი:**

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 2 მაისის განაჩენით დ. თ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით იმაში, რომ ჩაიდინა მცირე ოდენობით ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონო მოხმარება ასეთი ქმედების ჩადენისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ, რაც გამოიხატა შემდეგში:

დ. თ-ძეს 2005 წლის 5 სექტემბერს მსჯავრი დაედო საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლით და სასჯელის ზომად შეეფარდა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც შეეცვალა პირობით, 5 წლის გამოსაცდელი ვადით. 2007 წლის 28 თებერვალს, ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ მოხმარებისათვის ბათუმის საქალაქო სასამართლოს დადგენილებით დ. თ-ძეს დაედო ადმინისტრაციული სახდელი - ჯარიმა 500 ლარის ოდენობით, რის შემდეგაც, 2007 წლის 13 ივლისს, ნარკოლოგიური შემოწმების დროს, კვლავ დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტი.

აღნიშნული ქმედებისათვის დ. თ-ძეს მიესაჯა 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რასაც დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 4 წელი და საბოლოოდ განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 4 წლისა და 6 თვის ვადით, რომლის მოხდა დაეწყო 2008 წლის 2 მაისიდან; მასვე სასჯელის მოხდის ვადაში ჩათვალა პატიმრობაში ყოფნის დრო - 2007 წლის 19 ივლისიდან 2007 წლის 21 ივლისამდე.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულის ადვოკატმა დ. ჩავლეიშვილმა და მოითხოვა დ. თ-ძის გამართლება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 19 ივნისის განაჩენით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

კასატორები - მსჯავრდებული დ. თ-ძე და მისი ინტერესების დამცველი, ადვოკატი ი. ფ-ავა საკასაციო საჩივარში აღნიშნავენ, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება უკანონოა, რადგან საქმე განხილულია მნიშვნელოვანი სამართლებრივი და საპროცესო დარღვევებით; დ. თ-ძეს ნარკოტიკული საშუალება არ მოუხმარია, ამიტომ იგი ითხოვდა შემოწმებისა და ექსპერტიზის განმეორებით ჩატარებას; საქმეზე არ ჩატარებულა სრულყოფილი ნარკოლოგიური გამოკვლევა, თუმცა ჭეშმარიტების დასადგენად საჭირო იყო განმეორებითი ექსპერტიზის ჩატარება; სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ არ გაიზიარა დაცვის მხარის ეს მოთხოვნა, ასევე - მოთხოვნა საქმის სრული მოცულობით განხილვის თაობაზე და საქმე განიხილა ზეპირი მოსმენის გარეშე ისე, რომ არ მიუთითა ნორმასა და იმ მიზეზზე, თუ რატომ არ ატარებდა საქმის განხილვას სრული მოცულობით; მოცემულ შემთხვევაში დ. თ-ძეს სასჯელი შეფარდებული აქვს ნაკლებად მძიმე (სსკ-ის 273-ე მუხლი) და განსაკუთრებით მძიმე (სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილი) დანაშაულთა ჩადენისათვის, ამიტომ სააპელაციო სასამართლოს საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის უფლება კანონით არ ჰქონდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორები ითხოვენ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 19 ივნისის განაჩენის გაუქმებას და დ. თ-ძის სისხლის სამართლის საქმის დაბრუნებას იმავე სასამართლოში ხელახლა განსახილველად.

**სამოტივაციო ნაწილი:**

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

უსაფუძვლოა კასატორების მითითება, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მნიშვნელოვანი სამართლებრივი და საპროცესო დარღვევით. დ. თ-ძეს ბრალი ედებოდა სსკ-ის 273-ე მუხლით - ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენაში და სსსკ-ის 529-ე მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო პალატა უფლებამოსილი იყო, საჩივარი განეხილა ზეპირი მოსმენის გარეშე.

რაც შეეხება გასაჩივრებული განაჩენის დასაბუთებულობას, საქმეში არსებული მასალები უდავოდ ადასტურებს მსჯავრდებულის მიერ მისთვის ბრალად შერაცხული ქმედების ჩადენას. ამასთან, ნარკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით, დ. თ-ძე დაავადებულია ნარკომანიით.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული განაჩენი დადგენილია სსსკ-ის 496-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილების მოთხოვნათა შესაბამისად, იგი დასაბუთებული და სამართლიანია და მისი გაუქმების საფუძველი არ არსებობს.

ამასთან, «ამნისტიის შესახებ» საქართველოს 2008 წლის 21 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დ. თ-ძეს უნდა გაუნახევრდეს სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნული სასჯელი - 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რასაც მთლიანად უნდა დაემატოს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - თავისუფლების აღკვეთა 3 წლითა და 9 თვით.

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით, «ამნისტიის შესახებ» საქართველოს 2008 წლის 21 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილი და

**და ა დ გ ი ნ ა :**

მსჯავრდებულ დ. თ-ძის და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ი. ფ-ავას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 19 ივნისის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ: «ამნისტიის შესახებ» საქართველოს 2008 წლის 21 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დ. თ-ძეს გაუნახევრდეს სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნული სასჯელი - 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და განესაზღვროს 3 თვით თავისუფლების აღკვეთა, რასაც მთლიანად დაემატოს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - თავისუფლების აღკვეთა 3 წლით და 9 თვით და საბოლოოდ მიესაჯოს 4 წლით თავისუფლების აღკვეთა.

დ. თ-ძეს სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალოს დაკავების დრო - 2007 წლის 19 ივლისიდან იმავე წლის 21 ივლისამდე - 3 დღე და სასჯელის მოხდა დაეწყოს 2008 წლის 2 მაისიდან.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ნარკოტიკული საშუალების შეძენა, შენახვა, დამზადება; ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული საშუალების მოხმარება**

**განჩინება**

#1445-აპ

5 დეკემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

- მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),**
- დ. სულაქველიძე,**
- ი. ტყეშელაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ლ. ფ-შვილის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ზ. რ-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 15 ოქტომბრის განაჩენზე.

**აღწერილობითი ნაწილი:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 23 ივნისის განაჩენით ლ. ფ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით 10 წლით თავისუფლების აღკვეთა, 273-ე მუხლით - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მას მიესაჯა



11 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მეხუთე ნაწილის თანახმად, გაუქმდა წინა განაჩენით ლ. ფ-შვილის მიმართ დანიშნული პირობითი მსჯავრი და სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დანიშნულ სასჯელს დაემატა ზემოაღნიშნული განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 1 წელი და საბოლოოდ ლ. ფ-შვილს სასჯელის ზომად განესაზღვრა 12 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2008 წლის 4 აპრილიდან.

მასვე «ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ» საქართველოს კანონის თანახმად, 5 წლის ვადით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, საექიმო, საადვოკატო, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის უფლება, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში - საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლება; პასიური საარჩევნო უფლება; იარაღის დამზადების, შექმნის, შენახვისა და ტარების უფლება.

განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულ ლ. ფ-შვილის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 29 აგვისტოს განაჩენით ლ. ფ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით და მიესაჯა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების თანახმად, ჩათვალა პირობით, იმავე გამოსაცდელი ვადით, ხოლო დამატებითი სასჯელის სახით განესაზღვრა ჯარიმა 3000 ლარის ოდენობით.

მიუხედავად აღნიშნულისა, იგი არ დაადგა გამოსწორების გზას და გამოსაცდელი ვადის განმავლობაში კვლავ ჩაიდინა დანაშაული, კერძოდ: 2008 წლის 4 აპრილს ლ. ფ-შვილი ნათესავთან ი. გ-მესთან ერთად „ოპელ-ვექტრას» მარკის ავტომანქანით, რომელსაც მართავდა ი. გ-მე, იმყოფებოდა მარნეულის რაიონში, სადაც დაუდგენელ ვითარებაში უკანონოდ შეიძინა და მართლსაწინააღმდეგოდ ინახავდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკულ საშუალებას. აღნიშნული ნარკოტიკული საშუალებიდან მან ნაწილი შეინახა პირადად, ხოლო ნაწილი, ი. გ-მესთან შეუთანხმებლად, მოათავსა სივარდის „კომეტის» კოლოფში და შეინახა მანქანის მარჯვენა სავარძლის ქვეშ არსებული ხალიჩის ქვემოთ. მოსამართლის ბრძანების თანახმად, 2008 წლის 4 აპრილს თბილისის მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველოს IV განყოფილების თანამშრომლებმა თბილისში, ორთაჭალის სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე, ჩაატარეს ლ. ფ-შვილის პირადი ჩხრეკა, რა დროსაც მისი ქურთუკის გარეთა, მარჯვენა ჯიბიდან ამოიღეს ე.წ. ერთ „ბაზად» დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება „ჰერონი», საერთო წონით 0,3267 გრამი, რომელშიც ნარკოტიკული საშუალების სუფთა წონა, საქართველოს შსს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს ექსპერტიზის #381/სქ დასკვნის მიხედვით, შეადგენს 0,2450 გრამს, ხოლო გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, ჩატარებული ჩხრეკის შედეგად ი. გ-მის „ოპელ-ვექტრას» მარკის ავტომანქანიდან, მარჯვენა სავარძლის ხალიჩის ქვემოთ ამოიღეს ე.წ. ხუთ „ბაზად» დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება „ჰერონი», საერთო წონით 3,3484 გრამი, რომელშიც ნარკოტიკული საშუალების სუფთა წონა, საქართველოს შსს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს ექსპერტიზის #381/სქ დასკვნის მიხედვით, შეადგენს 2,4443 გრამს.

2008 წლის 4 აპრილს ლ. ფ-შვილი გადაიყვანეს ნარკოლოგიური შემოწმებისთვის. საქართველოს შსს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს ექსპერტიზის #3211142 დასკვნის მიხედვით, მას კლინიკურად დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალება, ოპიუმის ჯგუფის - „ბუპრენორფინის» მოხმარების ფაქტი.

აღნიშნულ განაჩენში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 15 ოქტომბრის განაჩენით შევიდა ცვლილება, კერძოდ:

ლ. ფ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით - 12 წლით თავისუფლების აღკვეთა, 273-ე მუხლით - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მეხუთე ნაწილის თანახმად, გაუქმდა წინა განაჩენით ლ. ფ-შვილის მიმართ დანიშნული პირობითი მსჯავრი და დანიშნულ სასჯელს დაემატა ზემოაღნიშნული განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 1 წელი და საბოლოოდ, სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, ლ. ფ-შვილს სასჯელის ზომად განესაზღვრა 14 წლით თავისუფლების აღკვეთა.

მასვე «ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ» საქართველოს კანონის თანახმად, 5 წლის ვადით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, საექიმო, საადვოკატო, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის უფლება, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში - საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლება; პასიური საარჩევნო უფლება; იარაღის დამზადების, შექმნის, შენახვისა და ტარების უფლება.

მსჯავრდებულ ლ. ფ-შვილის ინტერესების დამცველი, ადვოკატი ზ. რ-შვილი საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენში ცვლილების შეტანას, კერძოდ: საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დანაშაულში - ლ. ფ-შვილის მიმართ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას. კასატორის მოსაზრებით, განაჩენი არის უკანონო და დაუსაბუთებელი; საქმე განხილულია

საპროცესო ნორმების უხეში დარღვევით; საქმეში არ მოიპოვება უტყუარი მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებენ ლ. ფ-შვილის მიერ სსკ-ის 260-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას.

**სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე წინასწარი გამოძიება და სასამართლო განხილვა ჩატარებულია სრულყოფილად და საპროცესო კანონმდებლობის დაცვით. გამოკვლეულ მტკიცებულებებს მიეცა სწორი სამართლებრივი შეფასება.

საქმეზე შეკრებილი და სასამართლოს მიერ გამოკვლეული მტკიცებულებებით, კერძოდ, მოწმეების: რ. ჩ-ელის, ზ. მ-შვილის, ვ. პ-შვილის, ი. გ-ძის ჩვენებებით, საგამოძიებო მოქმედებათა ოქმებით, ქიმიური ექსპერტიზის დასკვნითა და საქმეში არსებული სხვა მასალებით უდავოდ დასტურდება ლ. ფ-შვილის მიერ სსკ-ის 260-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა. პალატა ვერ გაიზიარებს საკასაციო საჩივრის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ლ. ფ-შვილის ზემოაღნიშნული დანაშაული არ ჩაუდენია, რადგან ასეთი დასკვნისთვის საქმის მასალებში საფუძველი არ მოიპოვება.

საქმეში არ მოიპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც საფუძვლად დაედება განაჩენის გაუქმებას.

საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით ლ. ფ-შვილის მიერ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა დადასტურებულია, რასაც სადავოდ არც საკასაციო საჩივარი ხდის.

ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ «ამნისტიის შესახებ» 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის მეორე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე მსჯავრდებულ ლ. ფ-შვილს საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნული სასჯელი - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა - უნდა გაუნახევრდეს. მას საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით, 273-ე მუხლით უნდა მიესაჯოს 12 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რასაც დაემატოს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 1 წელი და საბოლოოდ მოსახდელად უნდა განესაზღვროს 13 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «ა», «დ» ქვეპუნქტებით, «ამნისტიის შესახებ» 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის მეორე მუხლის პირველი პუნქტით, 568-ე მუხლით და

**და ა ა დ გ ი ნ ა :**

საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 15 ოქტომბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

«ამნისტიის შესახებ» 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის მეორე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე მსჯავრდებულ ლ. ფ-შვილს საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნული სასჯელი - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა - გაუნახევრდეს.

მსჯავრდებულ ლ. ფ-შვილს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით, 273-ე მუხლით მიესაჯოს 12 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რასაც დაემატოს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 1 წელი და საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვროს 13 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## ნარკოტიკული საშუალების შეძენა, შენახვა, გასაღება

### განჩინება

#1467-აპ

9 დეკემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

მ. ოშარელი (თავმჯდომარე),

დ. სულაქველიძე,

ი. ტყეშელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. მ-შვილის ინტერესების დამცველი ადვოკატების - ა. კ-ძისა და თ. ა-იანის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 23 ოქტომბრის განაჩენზე.

#### აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 15 აპრილის განაჩენით გ. მ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით 15 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, 273-ე მუხლით - 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მას მიესაჯა 16 წლით თავისუფლების აღკვეთა. სსკ-ის 67-ე მუხლის მეხუთე ნაწილის თანახმად, გაუქმდა გ. მ-შვილის მიმართ წინა განაჩენით დადგენილი პირობითი მსჯავრი და სსკ-ის 59-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს მთლიანად დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 1 წელი და გ. მ-შვილს საბოლოოდ სასჯელის ზომად განესაზღვრა 17 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2007 წლის 20 აგვისტოდან.

გ. მ-შვილს «ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ» საქართველოს კანონის თანახმად, 5 წლის ვადით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, საადვოკატო, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის უფლება, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში - საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლება; პასიური საარჩევნო უფლება; 15 წლის ვადით - საექიმო საქმიანობის უფლება, იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლება.

საქმეზე არსებული ნივთმტკიცება - გ. მ-შვილის საცხოვრებელი ბინის ჩხრევისას ამოღებული 14 ოვალური ფორმის თეთრი აბი, ამოტვიფრული წარწერით «B8», რომელიც ინახება საქართველოს შს სამინისტროს სპეციალურ ოპერატიულ დეპარტამენტში, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა განადგურდეს.

საქმეზე არსებული ნივთმტკიცება - გ. მ-შვილის პირადი ჩხრევისას ამოღებული ფულადი თანხა - 405 ლარი, ასევე მისი ავტომანქანის ჩხრევისას ამოღებული ფულადი თანხა - 500 ლარი უნდა მიექცეს სახელმწიფო საკუთრებაში საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.

განაჩენის მიხედვით, გ. მ-შვილის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

2006 წლის 25 სექტემბერს თბილისის საპატრულო პოლიციაში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის #08062457 საქმეზე გ. მ-შვილის მიმართ, დანაშაული, გათვალისწინებული სსკ-ის 273-ე მუხლით. 2006 წლის 14 ოქტომბერს გ. მ-შვილის ბრალდების საქმე ქვემდებარეობით, არსებითად განსახილველად წარმართა თბილისის საქალაქო სასამართლოში.

მიუხედავად აღნიშნულისა, გ. მ-შვილმა გამოძიებით დაუდგინებლად დროსა და ვითარებაში, გამოძიებით დაუდგინებელი პირისაგან უკანონოდ შეიძინა ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინი“, რომელსაც უკანონოდ ინახავდა და ასაღებად.

2007 წლის 20 აგვისტოს, დაახლოებით 17.20 საათზე, თბილისში, შეშელიძის ქუჩაზე მდებარე რესტორან „თიშების“ მიმდებარე ტერიტორიაზე, გ. მ-შვილმა ვ. ხ-ძეზე უკანონოდ გაასალა ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინი“, წონით 0,0078 გრამი, რა დროსაც შემთხვევის ადგილზე დააკავეს თბილისის მთავარი სამმართველოს დიდუბე-ჩუღურეთის შს სამმართველოს თანამშრომლებმა და პირადი ჩხრევისას გ. მ-შვილის ლურჯი ჯინსის შარვლის წინა, მარჯვენა ჯიბიდან ამოიღეს თეთრი ფერის, ოვალური ფორმის 1 აბი წარწერით „B8“, რომელშიც, სასამართლო-ქიმიური ექსპერტიზის #2005/სქ დასკვნის თანახმად, ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველობაა 0,008 გრამი. იმავე დღეს გ. მ-შვილი ნარკოტიკულ თრობაზე შესამოწმებლად გადაიყვანეს საქართველოს შსს საექსპერტო-კრიმინალისტიკურ მთავარ სამმართველოში, სადაც ლაბორატორიული გამოკვლევის #3214937 დასკვნით დაუდგინდა „ოპიუმის“ ჯგუფის ნარკოტიკის - „ბუპრენორფინის“ მიღების ფაქტი.

იმავე დღეს თბილისის მთავარი სამმართველოს დიდუბე-ჩუღურეთის შს სამმართველოს თანამშრომლებმა გ. მ-შვილის კუთვნილი ბინის ჩხრევისას, თბილისში, ... კორპუსის, ბ. 76-ში, საძინებელ ოთახში, საწოლის გვერდით მდებარე მუყაოს ყუთიდან, ამოიღეს მოხილური ტელეფონის შალითაში გახვეული თეთრი ფერის 14 აბი წარწერით „B8“, რომელშიც, სასამართლო-ქიმიური

ექსპერტიზის #2010/სქ დასკვნის თანახმად, ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის» შემცველობაა 0,112 გრამი. ამდენად, გ. მ-შვილის მიერ ვ. ხ-მეზე გასაღებული, პირადი ჩხრევისას და მისი საცხოვრებელი ბინიდან ამოღებული ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის» საერთო წონა შეადგენს 0, 1278 გრამს.

აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 23 ოქტომბრის განაჩენით დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებულ გ. მ-შვილის ინტერესების დამცველი ადვოკატები - ა. კ-ძე და თ. ა-იანი საკასაციო საჩივრით ითხოვენ განაჩენში ცვლილების შეტანას, კერძოდ: გ. მ-შვილის გამართლებას სსკ-ის 260-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში, ხოლო 273-ე მუხლით - სასჯელის შემსუბუქებას. კასატორების მოსაზრებით, გასაჩივრებული განაჩენი უკანონოა 260-ე მუხლით დამნაშავედ ცნობის ნაწილში; საქმეში არსებული მასალებითა და სასამართლოში საქმის განხილვისას არ დადგენილა გ. მ-შვილის მიერ ნარკოტიკის გასაღების ფაქტი.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში არსებული დიდუბე-ჩუღურეთის შს სამმართველოს კრიმინალური პოლიციის განყოფილების ინსპექტორ-გამომძიებლის, პოლიციის ლეიტენანტ ა. კ-ძის 2007 წლის 20 აგვისტოს პატაკით ირკვევა, რომ მის ხელთ არსებული ოპერატიული ინფორმაციის თანახმად, მის სამოქმედო ტერიტორიაზე, თბილისში, ... გამზირის #147-ში მცხოვრები ვ. ხ-მე თავის მეგობარ ვინმე გ-სთან ერთად ეწევა ნარკოტიკული საშუალების - «სუბოტექსის» შექმნა-რეალიზაციას.

მოწმე ა. კ-ძის ჩვენებით, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე მისთვის ცნობილი გახდა, რომ ვ. ხ-მე, რომელიც იყო ნარკოტიკული საშუალების ხშირი მომხმარებელი, აღნიშნულ ნივთიერებას ყიდულობდა ვინმე გ-საგან. ა. კ-ძე პოლიციის სხვა თანამშრომლებთან ერთად 2007 წლის 20 აგვისტოს ვ. ხ-ძეს ფარულად უთვალთვალებდა, რა დროსაც ვ. ხ-მე შეხვდა გ. მ-შვილს. ა. კ-ძემ დაინახა, როგორ გადასცა გარკვეული რაოდენობის თანხა ვ. ხ-მემ გ. მ-შვილს, ხოლო გ. მ-შვილმა დათვალა თანხა და ვ. ხ-ძეს გადასცა ფოლგაში გახვეული ნივთიერება. ამ დროს პოლიციის თანამშრომლებმა ვ. ხ-მე და გ. მ-შვილი დააკავეს. მოწმის ჩვენებით, როდესაც ვ. ხ-მემ შენიშნა მის დასაკავებლად მისული პოლიციელები, გადააგდო გ. მ-შვილის მიერ მისთვის გადაცემული ნივთიერება.

ვ. ხ-ძისა და გ. მ-შვილის შეხვედრის, ვ. ხ-ძისაგან გ. მ-შვილის მიერ თანხის მიღების და სანაცვლოდ რაღაც ნივთის გადაცემის ფაქტი ასევე დაადასტურეს მოწმის სახით დაკითხულმა პირებმა - ზ. ყ-ელმა და ტ. მ-შვილმა.

ქიმიური ექსპერტიზის #2005\სქ, #2010\სქ და #2006\სქ დასკვნებით დადგენილია, რომ გ. მ-შვილის პირადი ჩხრევისას და ბინის ჩხრევისას ამოღებული 15 ცალი თეთრი ფერის, ოვალური ფორმის აბი, წარწერით «B8», წარმოადგენს «ბუპრენორფინის» შემცველ აბებს, რომელშიც ნარკოტიკული ნივთიერება «ბუპრენორფინის» შემცველობაა 0,12 გრ, ხოლო ვ. ხ-ძის პირადი ჩხრევისას ამოღებული აბის ნატეხები წარმოადგენს «ბუპრენორფინის» შემცველი აბის ნატეხებს, რომელშიც ნარკოტიკული ნივთიერება «ბუპრენორფინის» შემცველობაა - 0,0078 გრამი.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ გასაჩივრებული განაჩენი გ. მ-შვილის მიმართ დადგენილია სსსკ-ის 496-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილების მოთხოვნათა შესაბამისად, იგი ეყრდნობა საქმეში არსებულ უტყუარ მტკიცებულებებს, რაც უდავოდ ადასტურებს მის მიერ სსკ-ის 260-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენასაც. ამასთან, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნები არ დარღვეულა, ხოლო მატერიალური კანონი სწორადაა გამოყენებული.

რაც შეეხება კასატორის მოთხოვნას სასჯელის შემსუბუქების თაობაზე, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს და თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა და მისი პიროვნების მახასიათებელი მონაცემების გათვალისწინებით, გ. მ-შვილს დაუნიშნა სამართლიანი სასჯელი.

ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ «ამნისტიის შესახებ» 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის მეორე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე მსჯავრდებულ გ. მ-შვილს საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნული სასჯელი - 6 თვით თავისუფლების აღკვეთა - უნდა გაუნახევრდეს. მას საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით, 273-ე მუხლით უნდა მიესაჯოს 15 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა, რასაც უნდა დაემატოს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 1 წელი და გ. მ-შვილს საბოლოოდ მოსახდელად უნდა განესაზღვროს 16 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «ა», «დ» ქვეპუნქტებით, «ამნისტიის შესახებ» 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის მეორე მუხლის პირველი პუნქტით, 568-ე მუხლით და

**და ა ა დ გ ი ნ ა :**

საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 23 ოქტომბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

«ამნისტიის შესახებ» 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის მეორე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე მსჯავრდებულ გ. მ-შვილს საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნული სასჯელი - 6 თვით თავისუფლების აღკვეთა - გაუნახევრდეს.

მსჯავრდებულ გ. მ-შვილს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით, 273-ე მუხლით მიესაჯოს 15 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა, რასაც დაემატოს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 1 წელი და გ. მ-შვილს საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვროს 16 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ნარკოტიკული საშუალების შეძენა, შენახვა, დამზადება; ექიმის დანიშნულების გარეშე  
ნარკოტიკული საშუალების მოხმარება**

**განჩინება**

#1489-აპ

15 დეკემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი  
შემადგენლობით:**

- მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),**
- დ. სულაქველიძე,**
- ი. ტყემელაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულების - ნ. უ-ძისა და ა. უ-ძის ინტერესების დამცველის, ადვოკატ გ. გ-ძის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 13 ნოემბრის განაჩენზე.

**აღწერილობითი ნაწილი:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 30 ივლისის განაჩენით:

ა. უ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის მე-19, 260-ე მუხლის III ნაწილის «ა» და «ბ» ქვეპუნქტებით 9 წლით თავისუფლების აღკვეთა, 273-ე მუხლით - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის I ნაწილის თანახმად, დანიშნული სასჯელები შეიკრიბა მთლიანად და დანაშაულთა ერთობლიობით სასჯელის სახედ განესაზღვრა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 5 ივლისის განაჩენით ა. უ-ძის მიმართ დანიშნული პირობითი მსჯავრი და დანაშაულთა ერთობლიობით დანიშნულ სასჯელს, საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის II ნაწილის თანახმად, დაემატა ზემოაღნიშნული განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 1 წელი და საბოლოოდ ა. უ-ძეს განაჩენთა ერთობლიობით სასჯელის სახედ განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 11 წლის ვადით. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2008 წლის 23 თებერვლიდან.

ნ. უ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის მე-19, 260-ე მუხლის III ნაწილის «ა» და «ბ» ქვეპუნქტებით და მიესაჯა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2008 წლის 10 მარტიდან.

მსჯავრდებულებს - ნ. უ-ძესა და ა. უ-ძეს 5 წლით ჩამოერთვათ სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, 15 წლის ვადით საექიმო, საადვოკატო საქმიანობის, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებაში - საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლება.

განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულების - ნ. უ-ძისა და ა. უ-ძის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 5 ივლისის განაჩენით ა. უ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით და სასჯელის სახით

განესაზღვრა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც საქართველოს სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების თანახმად, ჩაეთვალა პირობით, იმავე გამოსაცდელი ვადით. მასვე დამატებითი სასჯელის სახით განესაზღვრა ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით. ა. უ-მემ, დედამისთან - ნ. უ-მესთან წინასწარი შეთანხმებით, განიზრახა, უკანონოდ, შემდგომი რეალიზაციის მიზნით შეეძინა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება «სუბოტექსის» აბები. დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, ნ. უ-მე დაუკავშირდა საფრანგეთში დროებით მცხოვრებ თ. ჟ-იას და სთხოვა გამოეგზავნა მისთვის განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება «სუბოტექსის» აბები, რომლის რეალიზაციასაც ის მოახდენდა თბილისში. თ. ჟ-იას შექმნილი ჰქონდა ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფი, რომელსაც იგი ხელმძღვანელობდა საფრანგეთიდან. «სუბოტექსის» აბების განსაკუთრებით დიდ ოდენობას იგი თბილისში აგზავნიდა სხვადასხვა გზით. მიღებულ ნარკოტიკულ საშუალებებს დანაშაულებრივი ჯგუფის წევრი კ. ბ-ავა ათავსებდა სხვადასხვა, წინასწარ მონიშნულ სამალავებში, საიდანაც დანაშაულებრივი ჯგუფის სხვა წევრები: ტ. ტ-მე, ი. ჯ-მე, კ. ნ-უა, ნ. უ-მე და გ. ბ-მე იღებდნენ და შემდეგ ახდენდნენ მის რეალიზაციას. აღებულ თანხას ზემოთ ჩამოთვლილი პირები სდებდნენ იმავე სამალავებში, საიდანაც კ. ბ-ავა იღებდა და ბანკის საშუალებით ურიცხავდა თ. ჟ-იას საფრანგეთში. თ. ჟ-იამ თანხმობა განუცხადა ნ. უ-მეს ნარკოტიკების გადმოგზავნაზე და შეუთანხმდა, რომ ტელეფონით უახლოეს მომავალში შეატყობინებდა, თუ როდის და რა რაოდენობის ნარკოტიკებს მიიღებდა იგი შემდგომი რეალიზაციისათვის.

2008 წლის 23 თებერვალს, საღამოს საათებში, თ. ჟ-ია დაუკავშირდა ნ. უ-მეს და ტელეფონით შეატყობინა, რომ მისულოცო თბილისში, ... დასახლების, მე-3 მ\რ-ნის, კორპუსი 31-ის, II სადარბაზოში, I სართულზე, არსებულ ლიფტთან, სადაც მიფარებული იქნებოდა ხის ფანერი, რომლის უკანაც იდებოდა «სუბოტექსის» 400 აბი პაკეტში, რომელსაც ექნებოდა წარწერა «60». ნ. უ-მემ, თავის მხრივ ნარკოტიკული საშუალების ადგილმდებარეობის შესახებ, მისამართის მითითებით, მოკლე ტექსტური შეტყობინებით აცნობა თავის შვილს - ა. უ-მეს. შეტყობინების შემდეგ, დაახლოებით 18.20 საათზე, ეს უკანასკნელი მივიდა აღნიშნულ სამალავთან, საიდანაც ამოიღო პაკეტი (შიდა კონტროლირებადი მიწოდების შედეგად დამზადებული ბუტაფორია), რა დროსაც ის დააკავეს ძველი თბილისის შს სამმართველოს თანამშრომლებმა.

დაკავებული ა. უ-მე ნარკოლოგიური შემოწმების მიზნით იმავე დღეს გადაიყვანეს შს სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს ნარკოლოგიურ კაბინეტში, რომლის გამოკვლევის დასკვნის თანახმად, ა. უ-მეს დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალება «მარბიუანას» მიღების ფაქტი. მოგვიანებით გატარებული საგამომიებო ღონისძიებების შედეგად, 2008 წლის 10 მარტს, ასევე დააკავეს ნ. უ-მე.

აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 13 ნოემბრის განაჩენით დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებულების - ნ. უ-მისა და ა. უ-მის ინტერესების დამცველი ადვოკატი გ. გ-მე საკასაციო საჩივრით ითხოვს მსჯავრდებულების - ა. და ნ. უ-მეების მიმართ გამოტანილი განაჩენის გაუქმებას საქართველოს სსკ-ის მე-19, 260-ე მუხლის III ნაწილის «ა» და «ბ» ქვეპუნქტებით წარდგენილი ბრალდების ნაწილში და სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტას, ხოლო მსჯავრდებულ ა. უ-მის მიმართ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით წარდგენილი ბრალდების ნაწილში - სასჯელის შემსუბუქებას.

კასატორის მოსაზრებით, მსჯავრდებულები - ნ. და ა. უ-მეები საქართველოს სსკ-ის მე-19, 260-ე მუხლის III ნაწილის «ა» და «ბ» ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში არიან უდანაშაულონი; სააპელაციო სასამართლოს განაჩენი არის უკანონო და დაუსაბუთებელი; ბრალდება მთლიანად აგებულია ვარაუდებზე; საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებს არ გამოუყენებიათ კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინათ; დაცვის მხარეს არ მიეცა მტკიცებულებათა გამოკვლევის საშუალება. ა. უ-მე არის 21 წლის, წარმატებული სტუდენტი; ნ. უ-მე აფხაზეთის ომის მონაწილეა, მე-2 ჯგუფის ინვალიდი, ვ. გორგასლის მედლის კავალერი, სამხედრო ექიმი, რომელიც ემსახურებოდა თავის ქვეყანას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გაანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით, მოწმეების: ბ. ა-ურის, ვ. ქ-ელის, კ. ბ-ავას ჩვენებებით, ამოღების ოქმებით, საქართველოს შსს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს 2008 წლის 22 თებერვლის #160/სქ ექსპერტის დასკვნით, ექვმიტანილების დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმებით, ნარკოლოგიური შემოწმების #5032402 დასკვნით, სასამართლო სხდომაზე დათვალიერებული ნივთიერი მტკიცებულებებით თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 2007 წლის 5 ივლისის, 2008 წლის 24 ივნისის განაჩენებითა და საქმეში არსებული სხვა მასალებით ა. უ-მისა და ნ. უ-მის მიერ მათზე ბრალად შერაცხული დანაშაულების ჩადენა უტყუარადაა დადასტურებული.

საქმეში არ მოიპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც საფუძვლად დაედება განაჩენის გაუქმებას.

რაც შეეხება კასატორის მოთხოვნას სასჯელის შემსუბუქების თაობაზე, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს და თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა და მისი პიროვნების მახასიათებელი მონაცემების გათვალისწინებით, მსჯავრდებულ ა. უ-ძეს დაუნიშნა ისეთი სასჯელი, რომლის შეცვლისა და საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

ამავე დროს საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ «ამნისტიის შესახებ» 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის მეორე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე მსჯავრდებულ ა. უ-ძეს საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნული სასჯელი - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა - უნდა გაუნახევრდეს. მას საქართველოს სსკ-ის მე-19, 260-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა» და «ბ» ქვეპუნქტებითა და 273-ე მუხლით საბოლოოდ მოსახდელად უნდა განესაზღვროს 10 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «ა» და «დ» ქვეპუნქტებით, «ამნისტიის შესახებ» 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის მეორე მუხლის პირველი პუნქტით, 568-ე მუხლით და

#### **დ ა ა დ გ ი ნ ა :**

საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 13 ნოემბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

«ამნისტიის შესახებ» 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის მეორე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე მსჯავრდებულ ა. უ-ძეს საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნული სასჯელი - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა - გაუნახევრდეს.

მსჯავრდებულ ა. უ-ძეს საქართველოს სსკ-ის 19,260-ე მუხლის III ნაწილის «ა» და «ბ» ქვეპუნქტებითა და 273-ე მუხლით საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვროს 9 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რასაც მთლიანად დაემატოს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 1 წელი და საბოლოოდ ა. უ-ძეს განაჩენთა ერთობლიობით სასჯელის სახედ განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 10 წლისა და 6 თვის ვადით.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული საშუალების მოხმარება**

#### **განჩინება**

#1425-აპ

17 დეკემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

- ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),**
- დ. სულაქველიძე,**
- პ. სილაგაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. გ-იანის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 30 სექტემბრის განაჩენზე.

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 24 ივნისის განაჩენით გ. გ-იანი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით (2007 წლის 16 მაისისა და 7 ივნისის ეპიზოდები) იმაში, რომ ჩაიდინა ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონო მოხმარება, ჩადენილი ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ, რაც გამოიხატა შემდეგში:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 22 ნოემბრის განაჩენით გ. გ-იანი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის მე-19, 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ« ქვეპუნქტით და მიესაჯა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალა პირობით, იმავე გამოსაცდელი ვადით; მასვე დაეკისრა ჯარიმა 5 ათასი ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

2007 წლის 10 იანვარს გ. გ-იანი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონო მოხმარებისათვის დააჯარიმა 500 ლარით. მიუხედავად ამისა, მან არ გააკეთა სათანადო დასკვნები და კვლავ ჩაიდინა ანალოგიური ქმედება, კერძოდ:

გ. გ-იანმა დაუდგენელ დროსა და ვითარებაში ექიმის დანიშნულების გარეშე, უკანონოდ მოიხმარა ნარკოტიკული საშუალება. 2007 წლის 16 მაისს, დაახლოებით 2<sup>55</sup> საათზე, იგი საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს ადმინისტრაციული წესით და შემოწმების მიზნით გადაიყვანეს მს სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს ნარკოლოგიურ კაბინეტში, სადაც ლაბორატორიული გამოკვლევით დაუდგინდა „ოპიუმისა« და „ბუპრენორფინის« ჯგუფის ნარკოტიკული საშუალების მიღების ფაქტი.

მანვე დაუდგენელ დროსა და ვითარებაში ექიმის დანიშნულების გარეშე კვლავ მოიხმარა ნარკოტიკული საშუალება. 2007 წლის 7 ივნისს, დაახლოებით 00.<sup>20</sup> საათზე, გ. გ-იანი ადმინისტრაციული წესით დააკავეს საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა და ლაბორატორიული გამოკვლევით მას დაუდგინდა „ოპიუმის« ჯგუფის ნარკოტიკული საშუალების მიღების ფაქტი.

აღნიშნული ქმედებისათვის დანაშაულთა ერთობლიობით გ. გ-იანს მიესაჯა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, რასაც დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 4 წელი და საბოლოოდ განესაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყო 2008 წლის 3 ივნისიდან; მასვე სასჯელის მოხდაში ჩათვალა 2006 წლის 19 სექტემბრიდან 2006 წლის 22 ნოემბრამდე პატიმრობაში ყოფნის დრო.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ა. ვ-იანმა. მან ითხოვა გ. გ-იანისათვის დანიშნული სასჯელის - 6 წლით თავისუფლების აღკვეთის შემცირება 3 წლითა და 5 თვით თავისუფლების აღკვეთამდე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 30 სექტემბრის განაჩენით პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი შეიცვალა: გ. გ-იანს დანაშაულთა ერთობლიობით მიესაჯა 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რასაც დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელი - 4 წელი და საბოლოოდ განესაზღვრა 5 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა; განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

კასატორი - მსჯავრდებული გ. გ-იანი საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენით დანიშნული სასჯელის შემცირებას 4 წლითა და 10 თვით თავისუფლების აღკვეთამდე.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს განაჩენი დადგენილია სსსკ-ის 496-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, იგი ეყრდნობა საქმეში არსებულ უტყუარ მტკიცებულებებს, რაც უდავოდ ადასტურებს გ. გ-იანის მიერ სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედებების ჩადენას. ამასთან, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნები არ დარღვეულა, ხოლო მატერიალური კანონი სწორადაა გამოყენებული, მსჯავრდებულს დანიშნული აქვს ზომიერი სასჯელი და გასაჩივრებული განაჩენი სამართლიანია.

უსაფუძვლოა კასატორის მოთხოვნა, რომ სასჯელის მოხდის ვადაში ჩათვალოს პირობითი მსჯავრის ქვეშ ყოფნის დრო. სსსკ-ის 503-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, დანიშნული სასჯელის ვადაში ითვლება დაკავებისა და წინასწარ პატიმრობაში, ასევე - სამედიცინო დაწესებულებაში სტაციონარულ ექსპერტიზაზე ყოფნის დრო.

საკასაციო საჩივარში აღნიშნული მოტივებით სასჯელის შემსუბუქების საფუძველი არ არსებობს, მაგრამ «ამნისტიის შესახებ» საქართველოს 2008 წლის 21 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, გ. გ-იანს უნდა გაუნახევრდეს სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნული სასჯელი - 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით, «ამნისტიის შესახებ» საქართველოს 2008 წლის 21 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილით და

### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

მსჯავრდებულ გ. გ-იანის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 30 სექტემბრის განაჩენი შეიცვალა მსჯავრდებულის სასიკეთოდ: «ამნისტიის შესახებ» საქართველოს 2008 წლის 21 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, გ. გ-იანს გაუნახევრდეს სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნული სასჯელი - 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და განესაზღვროს 9 თვით თავისუფლების აღკვეთა;



გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად და გ. გ-იანს საბოლოოდ მიესაჯოს 4 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა.  
განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული საშუალების მოხმარება

### განჩინება

#-1517-აპ

17 დეკემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- მ. ოშარელი (თავმჯდომარე),
- დ. სულაქველიძე,
- ი. ტყეშელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ზესტაფონის რაიონული პროკურორის მოადგილის, პროკურორ ვ. ჭ-ძის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 5 ნოემბრის განაჩენზე

#### აღწერილობითი ნაწილი:

ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 25 ივლისის განაჩენით:

ბ. შ-მე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით და მიესაჯა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, გაუქმდა ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 5 ივლისის განაჩენით ბ. შ-ძის მიმართ შეფარდებული პირობითი მსჯავრი და საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე დანიშნულ სასჯელს მთლიანად დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით და დამატებითი სასჯელი - ჯარიმა 2000 ლარი. საბოლოოდ ბ. შ-მეს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით და დამატებითი სასჯელი - ჯარიმა 2000 ლარი.

ბ. შ-მეს «ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ» საქართველოს კანონის შესაბამისად, როგორც ნარკოტიკული საშუალების მოხმარებელს, 3 წლის ვადით ჩამოერთა: სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება; საექიმო საქმიანობის უფლება; საადვოკატო საქმიანობის უფლება; პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება; სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო დაწესებულებაში - საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლება; პასიური საარჩევნო უფლება; იარაღის დამზადების, შექმნის შენახვისა და ტარების უფლება. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2008 წლის 20 აპრილიდან.

განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულ ბ. შ-ძის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

2007 წლის 5 ივლისს ბ. შ-მე გაასამართლა ზესტაფონის რაიონულმა სასამართლომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 134-ე მუხლით (1960 წლის რედაქცია) და სასჯელის ზომად განუსაზღვრა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე ჩათვალა პირობით, ხოლო გამოსაცდელ ვადად დაუდგინა 2 წელი, მასვე, სსკ-ის 42-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, დამატებით სასჯელად შეეფარდა ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით.

ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 28 მაისის დადგენილებით ნარკოტიკული საშუალება «ბუპრენორფინის» ექიმის დანიშნულების გარეშე, უკანონო, მოხმარებისათვის ბ. შ-მე ცნობილ იქნა ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად და საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე მუხლის საფუძველზე შეეფარდა ადმინისტრაციული სახდელი - ჯარიმა 500 ლარის ოდენობით.

2008 წლის 20 აპრილს ბ. შ-მე ზესტაფონის შს რაიონული სამმართველოს თანაშრომლებმა შეამოწმეს ნარკოტიკულ თრობაზე და საქართველოს შს სამინისტროს საექსპერტო კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს დასავლეთ საქართველოს რეგიონული საექსპერტო სამსახურის მიერ ჩატარებული ნარკოლოგიური გამოკვლევის #343540 დასკვნის საფუძველზე დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალება «მეტამფეტამინის» მოხმარების ფაქტი.

აღნიშნული განაჩენში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 5 ნოემბრის განაჩენით შევიდა შემდეგი ცვლილება:

ბ. შ-მე, ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით და მიესაჯა 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

დანარჩენ ნაწილში ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 25 ივლისის განაჩენი ბ. შ-ძის მიმართ დარჩა უცვლელი.

საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, გაუქმდა ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 5 ივლისის განაჩენით ბ. შ-ძის მიმართ შეფარდებული პირობითი მსჯავრი და საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე დანიშნულ სასჯელს მთლიანად დამატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით და დამატებითი სასჯელი ჯარიმა - 2000 ლარი. საბოლოოდ ბ. შ-ძეს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 2 წლისა და 6 თვის ვადით და დამატებითი სასჯელი - ჯარიმა 2000 ლარი.

ბ. შ-ძეს «ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ» საქართველოს კანონის შესაბამისად, როგორც ნარკოტიკული საშუალების მომხმარებელს, 3 წლის ვადით ჩამოერთა: სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება; საექიმო საქმიანობის უფლება; საადვოკატო საქმიანობის უფლება; პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება; სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინოდაწესებულებაში - საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლება; პასიური საარჩევნო უფლება; იარაღის დამზადების, შექმნის შენახვისა და ტარების უფლება.

ზესტაფონის რაიონული პროკურორის მოადგილე, პროკურორი ვ. ჭ-ძე საკასაციო საჩივრით ითხოვს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 5 ნოემბრის განაჩენის გაუქმებასა და საქმის ხელახალი განხილვისათვის დაბრუნებას.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ არ გაოთვალისწინა საქართველოს სსკ-ის 58-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნა და მსჯავრდებულ ბ. შ-ძეს, ნაცვლად 1 წლით თავისუფლების აღკვეთისა, არასწორად შეუფარდა სასჯელის ზომად 6 თვის ვადით თავისუფლების აღკვეთა.

კასატორი აღნიშნავს, რომ ამ კატეგორიის საქმეზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ 2008 წლის 25 ივლისის განჩინებით მსჯავრდებულ გოჩა ზარაძის მიმართ გააუქმა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 19 სექტემბრის განაჩენი და საქმე გადასცა იმავე სასამართლოს ახალი სასამართლო განხილვისათვის.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

პალატამ შესწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით, კერძოდ, მოწმე ალექსანდრე წაქაძის ჩვენებით; ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 28 მაისის დადგენილებითა და 5 ივლისის განაჩენებით; საქართველოს შს სამინისტროს საექსპერტო კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს გამოკვლევის #343540 დასკვნით, მოწმის სახით დაკითხული ექსპერტის, ექიმ-ნარკოლოგის კ. თ-ძის ჩვენებით უტყუარად არის დადასტურებული მსჯავრდებულ ბ. შ-ძის მიერ ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ მოხმარების ფაქტი, ჩადენილი ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციულსახდელშეფარდებული პირის მიერ.

საქართველოს შს სამინისტროს საექსპერტო კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს გამოკვლევის #343540 დასკვნით, ბ. შ-ძეს დაუდგინდა, რომ იგი კლინიკურად არ იმყოფებოდა ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედების ქვეშ, ხოლო ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგად ბუნებრივ მასალაში - შარდში დაუდგინდა «მეტამფეტამინი»-ს შემცველობა;

მოწმის სახით დაკითხული ექსპერტის, ექიმ-ნარკოლოგის კ. თ-ძის ჩვენებით, დადგენილია, რომ მასთან ნარკოტიკულ თრობაზე შემოწმების მიზნით მიყვანილ ბ. შ-ძეს დაუდგინდა, რომ იგი კლინიკურად არ იმყოფებოდა ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედების ქვეშ, ხოლო ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგად ბუნებრივ მასალაში - შარდში დაუდგინდა «მეტამფეტამინის» შემცველობა. მან განუმარტა ბ. შ-ძეს, რომ თუ არ დაეთანხმებოდა ექსპერტის დასკვნას, შეეძლო იგი გაესაჩივრებინა 14 დღის ვადაში, რაც მან არ გააკეთა. სპეციალურ გრაფაზე, ბ. შ-ძემ გააკეთა ჩანაწერი, რითაც დაადასტურა, რომ იგი დაესწრო ნიმუშის გამოკვლევას და არანაირი პრეტენზია ექსპერტიზის დასკვნაზე არ გააჩნია.

საქმეში არ მოიპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც საფუძველად დაედება განაჩენის გაუქმებას.

პალატა იზიარებს პროკურორ ვ. ჭ-ძის საკასაციო საჩივრის მოთხოვნას სააპელაციო სასამართლოს განაჩენის გაუქმების თაობაზე და მისი გამკაცრების მიზნით საქმის დაბრუნებას სასამართლოში ხელახლა განსახილველად.

საქართველოს სსკ-ის მე-17 მუხლის შესაბამისად, დანაშაულის რეციდივი ნიშნავს წინათ განზრახი დანაშაულისათვის ნასამართლევი პირის მიერ განზრახი დანაშაულის ჩადენას, რაც მოხდა ბ. შ-ძის მიერ დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენისას.

იმავე კოდექსის 58-ე მუხლის I ნაწილის თანახმად, დანაშაულის რეციდივის დროს ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას მოსახდელი სასჯელის ვადა, სულ მცირე, 1 წლით უნდა აღმატებოდეს ჩადენილი დანაშაულისათვის ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული სასჯელის მინიმალურ ვადას.

კანონით დადგენილი ზემოაღნიშნული წესის გათვალისწინებით, რომელიც ძალაში შევიდა 2007 წლის 22 ივნისის კანონის საფუძველზე, სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა საქართველოს სსკ-ის

58-ე მუხლის I ნაწილით გათვალისწინებული მოთხოვნა და მსჯავრდებულს ნაცვლად, 1 წლისა, არასწორად შეუფარდა სასჯელის ზომა – 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

პალატის აზრით, სააპელაციო სასამართლომ მსჯავრდებულ ბ. შ-ძეს სასჯელი დაუნიშნა კანონით დადგენილი წესის დარღვევით.

საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო პალატამ საქმის ხელმეორედ განხილვის დროს უნდა მიიღოს კანონის შესაბამისი გადაწყვეტილება.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის I ნაწილის «ბ» ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

ზესტაფონის რაიონული პროკურორის მოადგილის, პროკურორ ვ. ჭ-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 5 ნოემბრის განაჩენი ბ. შ-ძის მიმართ და საქმე გადაეცეს იმავე სასამართლოს ახალი სასამართლო განხილვისათვის.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **2. სატრანსპორტო დანაშაული, ავტოავარია**

### **განჩინება**

#1707-აპ

4 იანვარი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**ი. ტყეშელაშვილი (თავმჯდომარე),**

**დ. სულაქველიძე,**

**ლ. მურუსიძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ დ. ო-შვილის ინტერესების დამცველის, ადვოკატ გ. გ-ძის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 6 აგვისტოს განაჩენზე.

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 1 მაისის განაჩენით დ. ო-შვილი გამართლდა საქართველოს სსკ-ის 128-ე მუხლით წარდგენილ ბრალდებაში; იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის მე-5 ნაწილითა და 273-ე მუხლით იმაში, რომ ჩაიდინა პირადი მოხმარებისათვის ნარკოტიკული საშუალების მცირე ოდენობით ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონო მოხმარება, ჩადენილი ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ; ასევე – ავტომობილის მოძრაობის უსაფრთხოების წესის დარღვევა, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა და რაც გამოიხატა შემდეგში:

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 14 ნოემბრის დადგენილებით დ. ო-შვილს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე მუხლით განესაზღვრა ჯარიმა 500 ლარის ოდენობით. ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ მან ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოიხმარა ნარკოტიკული საშუალება, კერძოდ:

2006 წლის 6 დეკემბერს, 20.<sup>40</sup> საათზე, დ. ო-შვილი იმყოფებოდა თბილისში, რუსთაველის გამზირისა და მშენი კაკაბაძეების ქუჩის გადაკვეთაზე. იგი დააკავეს ადმინისტრაციული წესით და შემოწმებისას დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალების (ოპიუმის ჯგუფის) მიღების ფაქტი.

დ. ო-შვილი 2007 წლის 8 იანვარს, დაახლოებით 18.<sup>30</sup> საათზე, „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“, „ბ“, „გ“ ქვეპუნქტების მოთხოვნათა დარღვევით, მძღოლის მოწმობის, სატრანსპორტო საშუალების ფლობის, სარგებლობის ან განკარგვის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტებისა და სახელმწიფო სანომრე ნიშნების გარეშე მართავდა „ვაზ-2121“ ავტომანქანას. იგი მოძრაობდა თბილისში, თამარაშვილის ქუჩაზე, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირის მხრიდან ილია ჭავჭავაძის გამზირის მიმართულებით, დაახლოებით 80 კმ/სთ სიჩქარით. როდესაც ის მიუახლოვდა ამავე ქუჩაზე ელექტროგანათების 33-ე ბოძის მიმდებარე ტერიტორიას, დაარღვია ამავე კანონის 27-ე მუხლის 1-ლი პუნქტისა და 29-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების მოთხოვნები, გადაჭარბებული სიჩქარით მოძრაობის დროს ვერ

უზრუნველყო ავტომანქანის უსაფრთხო მართვა, არ მიიღო სათანადო ზომები შემთხვევის თავიდან ასაცილებლად, გასწრების მიზნით გადავიდა თავისი სავალი გზის მარჯვენა მხარეს და მარჯვენა ტროტუარის კიდესთან დაეჯახა ქვეითად მოსიარულე არასრულწლოვან ლ. კ-მეს, რომელიც შემთხვევის შემდეგ ჩასვა თავის ავტომანქანაში და წაიყვანა უახლოეს სამედიცინო დაწესებულებაში. მიუხედავად მიღებული ზომებისა, დაზიანებების შედეგად ლ. კ-მე საავადმყოფოში მიყვანიდან მე-2 დღეს გარდაიცვალა.

აღნიშნული ქმედებისათვის დ. ო-შვილს სსკ-ის 276-ე მუხლის მე-5 ნაწილით მიესაჯა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, 273-ე მუხლით - 6 თვით თავისუფლების აღკვეთა; სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, დ. ო-შვილს განესაზღვრა 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რასაც მთლიანად დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 1 წელი და დამატებითი სასჯელი - ჯარიმა 2 ათასი ლარის ოდენობით; საბოლოოდ დ. ო-შვილს განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 5 წლითა და 6 თვით და ჯარიმა 2 ათასი ლარის ოდენობით, რომლის ათვლა დაეწყო 2007 წლის 12 იანვრიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა და მისმა ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა თ. ს-შვილმა, ასევე - თბილისის პროკურატურის განყოფილების პროკურორმა მ. მ-შვილმა.

მსჯავრდებულმა და მისმა ადვოკატმა ითხოვეს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმება და ობიექტური განაჩენის დადგენა, ხოლო პროკურორმა - განაჩენში ცვლილების შეტანა და დ. ო-შვილისათვის სსკ-ის 276-ე მუხლის მე-5 ნაწილით, 273-ე მუხლითა და 128-ე მუხლით 8 წლით თავისუფლების აღკვეთისა და 2 ათასი ლარის ოდენობით ჯარიმის განსაზღვრა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 6 აგვისტოს განაჩენი სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებულის ინტერესების დამცველი, ადვოკატი გ. გ-მე საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი დ. ო-შვილის მიმართ უკანონოა შემდეგ გარემოებათა გამო:

მსჯავრდებულმა თავი მთლიანად ცნო დამნაშავედ, მაგრამ სასამართლომ არ გაიზიარა მისი გულწრფელი აღიარება და სსკ-ის 273-ე მუხლით არ დაუნიშნა ჯარიმა; ასევე უკანონოა ძირითადი სასჯელისათვის წინა განაჩენით დანიშნული მოუხდელი სასჯელისა და დამატებითი სასჯელის მთლიანად დამატება, რადგან, სააღსრულებო ფურცლის თანახმად, დ. ო-შვილმა გირაოს სახით შეტანილი თანხა - 2 ათასი ლარი გადარიცხა თბილისის სააღსრულებო ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშზე შემდგომში ბიუჯეტში გადარიცხვის მიზნით, ე.ი. მსჯავრდებულმა გადაიხადა ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით, მიუხედავად ამისა, სასამართლომ განმეორებით მიუსაჯა აღნიშნული თანხის გადახდა.

კასატორის აზრით, სააპელაციო სასამართლომ რეალური დაცვის გარეშე დატოვა მსჯავრდებული, როდესაც ადვოკატს მისცა მხოლოდ ორი საათი 290 ფურცლიანი საქმის მასალების გასაცნობად, რაც თეორიულადაც შეუძლებელი იყო, ე.ი. დაირღვა საქართველოს სსკ-ის 563-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ« ქვეპუნქტის მოთხოვნა, რაც განაჩენის გაუქმების საფუძველია; ავტოტექნიკური ექსპერტიზის წინაშე არ დასმულა შეკითხვა, აწ გარდაცვლილის მხრიდან ადგილი ხომ არ ჰქონდა საგზაო მოძრაობის წესების დარღვევას და, შესაბამისად, შერეულ ბრალს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ადვოკატი გ. გ-მე ითხოვს დ. ო-შვილის მიმართ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 6 აგვისტოს განაჩენის გაუქმებას და საქმის დაბრუნებას იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

მსჯავრდებულ დ. ო-შვილის მიერ მისთვის ბრალად შერაცხული ქმედებების ჩადენა უტყუარადაა დადასტურებული და ეჭვს არ იწვევს, კერძოდ, მოწმე დ. გ-მემ სასამართლოში განმარტა, რომ ავტომანქანა, რომელსაც მართავდა დ. ო-შვილი, ავარდა ბორდიურზე და დაეჯახა გოგონას. დაზარალებული მანქანაში მოათავსეს, რათა საავადმყოფოში მიეყვანათ. შემთხვევის ადგილიდან დაახლოებით 1 კილომეტრში მეორე ავტოსაგზაო შემთხვევა მოუხდათ.

ანალოგიური ჩვენება მისცა მსჯავრდებულმა დ. ო-შვილმა, რომელმაც პირველი ინსტანციის სასამართლოში აღიარა სსკ-ის 273-ე მუხლითა და 276-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული ქმედებების ჩადენა.

ავტოტექნიკური ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისად, «საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ» საქართველოს კანონის 27-ე მუხლის 1-ლი და 29-ე მუხლის 1-ლი, მე-2 პუნქტების მოთხოვნათა შესრულების შემთხვევაში დ. ო-შვილს შეეძლო შეჯახების თავიდან აცილება.

დადგენილია, რომ შემთხვევის ადგილზე, გზის სავალ ნაწილზე, 33 მეტრის სიგრძეზე აღინიშნებოდა ავტომანქანის დამუხრუჭების კვალი. დამუხრუჭებამდე ავტომანქანა მოძრაობდა დაახლოებით 81 კმ/სთ-ში სიჩქარით.

საქმის მასალებით ირკვევა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 14 ნოემბრის დადგენილებით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ მოხმარე-

ბისათვის დ. ო-შვილს განესაზღვრა ჯარიმა და იმავე წლის 6 დეკემბერს მან ექიმის დანიშნულების გარეშე კვლავ უკანონოდ მოიხმარა ნარკოტიკული საშუალება.

გასაჩივრებული განაჩენი ეყრდნობა საქმეში არსებულ, ზემოაღნიშნულ და სხვა უტყუარ მტკიცებულებებს და იგი დასაბუთებულია.

პალატა ვერ გაიზიარებს საჩივრის მოტივს, რომ მსჯავრდებულის დამცველი საქმის ყველა მასალის გაცნობის უფლებით არ იქნა უზრუნველყოფილი. როგორც ირკვევა, სააპელაციო პალატის 2007 წლის 6 აგვისტოს სხდომაზე მსჯავრდებულის ადვოკატმა მოითხოვა დრო საქმის მასალების გასაცნობად, რისთვისაც მიეცა ორი საათი. ამის შემდეგ სხდომა გაგრძელდა და ადვოკატმა განაცხადა, რომ მზად იყო კამათისათვის.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნები არ დარღვეულა.

ამასთან, დ. ო-შვილს უკანონოდ განესაზღვრა სასჯელი სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 67-ე მუხლის გამოყენებით, ვინაიდან წინა განაჩენი გამოტანილ იქნა 2007 წლის 9 იანვარს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენით დადგენილად მიჩნეული ქმედებები დ. ო-შვილმა ჩაიდინა მანამდე - 2006 წლის 6 დეკემბერს და 2007 წლის 8 იანვარს, რა დროსაც იგი არ იყო პირობით მსჯავრდებული.

გარდა ამისა, «ამნისტიის შესახებ» საქართველოს 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად, მსჯავრდებულ დ. ო-შვილს უნდა გაუნახევრდეს საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის მე-5 ნაწილით დანიშნული სასჯელი - 4 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქმეში არ მოიპოვება დ. ო-შვილის მიერ საგარეჯოს რაიონული სასამართლოს 2007 წლის 9 იანვრის განაჩენით დამატებით სასჯელად განსაზღვრული ჯარიმის გადახდის დამადასტურებელი მტკიცებულებები. მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატი თ. ს-შვილი თავის სააპელაციო საჩივარში მიუთითებდა, რომ სააპელაციო სასამართლოში წარადგენდა ჯარიმის გადახდის დამადასტურებელ ქვითარს, ეს დოკუმენტი მას არ წარმოაუდგენია.

ამასთან ცხადია, რომ თუ მსჯავრდებულმა უკვე გადაიხადა გასაჩივრებული განაჩენით დანიშნული ჯარიმა, მან იგი ხელახლა არ უნდა გადაიხადოს.

საკასაციო პალატა ვერ იმსჯელებს მსჯავრდებულისა და მისი ადვოკატის დამატებით საკასაციო საჩივარზე, ვინაიდან იგი შეტანილია კანონით დადგენილი ვადის დარღვევით. კერძოდ, საქართველოს სსკ-ის 554-ე მუხლის შესაბამისად, დამატებითი საკასაციო საჩივარი შეაქვეთ 526-ე მუხლით დადგენილი წესით, რომლის შესაბამისად, დამატებითი საჩივრის შეტანა შესაძლებელია მხოლოდ გასაჩივრებისათვის კანონით დადგენილ, ერთი თვის ვადაში.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით, «ამნისტიის შესახებ» საქართველოს 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

მსჯავრდებულ დ. ო-შვილის ინტერესების დამცველის, ადვოკატ გ. გ-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 6 აგვისტოს განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ: დ. ო-შვილს სსკ-ის 276-ე მუხლის მე-5 ნაწილით დანიშნული სასჯელი - 4 წლით თავისუფლების აღკვეთა გაუნახევრდეს და განესაზღვროს 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, რასაც დაემატოს საგარეჯოს რაიონული სასამართლოს 2007 წლის 9 იანვრის განაჩენით დანიშნული სასჯელი - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა პირობით, 1 წლის გამოსაცდელი ვადით და ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით;

სააპელაციო პალატის განაჩენიდან ამოირიცხოს მითითება სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილსა და 67 მუხლზე;

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად და საბოლოოდ დ. ო-შვილს მიესაჯოს 2 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა შესაბამისი რეჟიმის სასჯელსრულების დაწესებულებაში მოხდით, ასევე - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა პირობით, 1 წლის გამოსაცდელი ვადით და ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით.

მსჯავრდებული დ. ო-შვილი გათავისუფლდეს ჯარიმის სახით 2000 ლარის გადახდისაგან, თუკი ამ განჩინების აღსრულებისას გაირკვევა, რომ აღნიშნული თანხა უკვე გადახდილია.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### 3. სამოხელეო დანაშაული

#### სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება

##### განჩინება

#1662-აპ

15 იანვარი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე),

ზ. მეიშვილი,

ი. ტყემელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ა. ს-შვილის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ფ. ს-შვილის, პ. ჯ-ძის ინტერესების დამცველის, ადვოკატ თ. მ-ხის, მსჯავრდებულ თ. ს-აიას ინტერესების დამცველის, ადვოკატ დ. ჯ-ძის, მსჯავრდებულების კ. ლ-იას და თ. შ-აიას ინტერესების დამცველის, ადვოკატ ა. ბ-აიას საკასაციო საჩივრები ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 12 ივლისის განაჩენზე.

##### აღწერილობითი ნაწილი:

ფოთის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 14 მარტის განაჩენით თ. ს-აია ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 147-ე მუხლის მე-3 ნაწილით - 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, სსკ-ის 369-ე მუხლის მე-3 ნაწილით - 5 წლით თავისუფლების აღკვეთა. სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად მას საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვრა 12 წლით თავისუფლების აღკვეთა. მასვე ორი წლით ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების უფლება.

პ. ჯ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ვ» და «ო» ქვეპუნქტებით 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, სსკ-ის 333-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებით - 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, სსკ-ის 335-ე მუხლის მე-2 ნაწილით - 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, სსკ-ის 369-ე მუხლის მე-3 ნაწილით - 3 წლით თავისუფლების აღკვეთა. სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად მას საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვრა 13 წლით თავისუფლების აღკვეთა. მასვე ორი წლით ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების უფლება.

ა. ს-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებით 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, სსკ-ის 369-ე მუხლის მე-3 ნაწილით - 3 წლით თავისუფლების აღკვეთა. სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად მას საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვრა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა. მასვე ორი წლით ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების უფლება.

თ. შ-აია ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 147-ე მუხლის მე-3 ნაწილით 7 წლით თავისუფლების აღკვეთა.

კ. ლ-ია ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 147-ე მუხლის მე-3 ნაწილით 7 წლით თავისუფლების აღკვეთა.

გ. ხ-ავა ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით 2 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების გამოყენებით ჩათვალა პირობით, 3 წლის გამოსაცდელი ვადით. მასვე ორი წლით ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების უფლება. გ. ხ-ავას დამატებით სასჯელად ასევე დაეკისრა ჯარიმა 20000 ლარი.

რ. კ-ავა ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების გამოყენებით ჩათვალა პირობით, 3 წლის გამოსაცდელი ვადით. მასვე ორი წლით ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების უფლება. გ. ხ-ავას დამატებით სასჯელად ასევე დაეკისრა ჯარიმა 15000 ლარი.

მათ მიერ ჩადენილი ქმედება გამოიხატა შემდეგში:

2001 წლის 14 ივლისს, დაახლოებით 2 საათიდან 4 საათამდე, გამოძიებით დაუდგენელი პირის მიერ, გაქურდულ იქნა ქ. ფოთში, ... ქუჩის #20/1-ში მცხოვრები მოქალაქე მ. ს-აიას ბინა, საიდანაც ფარულად იქნა გატაცებული „ფუნაის“ სისტემის ტელევიზორი, ამავე სახელწოდების მაგნიტოფონი და მართვის პულტი. აღნიშნული საცხოვრებელი ბინა მდებარეობდა ქ. ფოთის შინაგან საქმეთა სამმართველოს ნაბადის ქვეგანყოფილების სამოქმედო ტერიტორიაზე. 2001 წლის 14 ივლისს, დაახლოებით დილის 5 საათზე, ქ. ფოთის სატრანსპორტო პოლიციის რეგიონალური განყოფილების ადმინისტრაციული პოლიციის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ქვეგანყოფილების პოლიციელების თ. შ-აიას და კ. ლ-იას მიერ თავის სამოქმედო, ნაბადის გადასასვლელი ხიდის ქვემოთ მიმდებარე ტერიტორიაზე, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 142-ე მუხლით გათვალისწინებული სავალდებულო საფუძვლების არარსებობის პირობებში დაკავებული იქნა თითქოსდა სხვისი ქონების ქურდობაში ეჭვმიტანილი, ქ. ფოთში, ... ქუჩის #12-ში მცხოვრები თ. მ-ია. მ. ა-ძის, კ. პ-ავას და გ. ლ-იას დახმარებით, ამ უკანასკნელის ვაზ-2107 მარკის ავტომანქანით გადაიყვანეს ქ. ფოთის სატრანსპორტო პოლიციის განყოფილებაში, სადაც თ. მ-ია განზრახ უკანონოდ იყო დაკავებული 7

საათსა და 10 წუთამდე. ის ფაქტი, რომ თითქოსდა ქ. ფოთის ნაზადის ქვეგანყოფილების სამოქმედო ტერიტორიაზე, სხვისი ქონების ქურდობაში ეჭვმიტანილი პირი თ. მ-ია დაკავებული ჰყავდათ ქ. ფოთის ტრანსპორტის პოლიციის თანამშრომლებს, იმავე დილით ცნობილი გახდა ქ. ფოთის შინაგან საქმეთა სამმართველოს ხელმძღვანელობისათვის, მათთვის ასევე ცნობილი გახდა, რომ თ. მ-ია ქ. ფოთის ტრანსპორტის პოლიციის თანამშრომლების მიერ დაკავებული იყო საქართველოს სსსკ-ის 142-ე მუხლის საფუძვლების არარსებობის პირობებში, იმავდროულად არ არსებობდა თ. მ-იას დაკავების ოქმი, რითაც უხეშად იყო დარღვეული კანონის საპროცესო კოდექსის 142-ე, 145-ე და 146-ე მუხლების მოთხოვნები, მიუხედავად ამისა, უკანონოდ დაკავებული თ. მ-ია კანონის უხეში დარღვევით, სატრანსპორტო პოლიციის პასუხისმგებელმა მორიგე რ. კ-ავამ 7 საათსა და 10 წუთზე გადასცა ქ. ფოთის შინაგან საქმეთა სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების უფროსის ყოფილ მოადგილეს მ. მ-შვილს.

თ. ს-აიამ ქ. ფოთის შინაგან საქმეთა სამმართველოს ყოფილმა უფროსმა, არასწორად გაგებული სახელმწიფო ინტერესების, დანაშაულთან ბრძოლის ყალბი გაგების მოტივით, თითქოსდა მომავალში სხვა დანაშაულებათა გახსნის და თანამონაწილეთა დასახელების მიზნით, ასევე, თ. მ-იას დაკავების დროს დაშვებული კანონდარღვევების გამოსწორების მიზნით, მისადმი დაქვემდებარებულ ოპერატიულ სამსახურს, მისცა კანონსაწინააღმდეგო დავალება, რათა თ. მ-ია გაეყვანათ დაკავების ადგილზე და ეწარმოებინათ თითქოსდა გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევის პირობებში პირადი ჩხრეკა და ამოღება, რისთვისაც სისხლის სამართლის სამძებროს უფროსის შ. ბ-აიას მეშვეობით, სისხლის სამართლის სამძებროს უფროსის მოადგილეს მურთაზ მ-შვილს, რომელიც იმ დამით იყო შემოვლის ჯგუფის ხელმძღვანელი, გაუზავნა მის მიერ წინასწარ ხელმოწერილი და ბეჭედდასმული შეუვსებელი დადგენილების ბლანკი, გადაუდებელ შემთხვევაში ჩხრეკისა და ამოღების წარმოების შესახებ. ოპერატიულმა სამსახურმა, შეასრულა რა მისი უკანონო დავალება, თ. მ-ია, მ. მ-შვილმა 7 საათსა და 10 წუთზე, საპროცესო ნორმების უხეში დარღვევით, ქ. ფოთის სატრანსპორტო პოლიციის სამორიგეო ნაწილიდან, გაიყვანა ქ. ფოთის ნაზადის გადასასვლელი ხიდის ქვემოთ, სადაც მ. მ-შვილმა, შ. ბ-აიამ, ქ. ფოთის შინაგან საქმეთა სამმართველოს ოპერატიული სამსახურის მუშაკებმა ე. ს-ნიამ, კ. ხ-ავამ და ნაზადის ქვეგანყოფილების უფროსმა პ. ჯ-ძემ უკანონოდ დაკავებულ თ. მ-იას, გამოძიებით დაუდგინებლად დროსა და ვითარებაში იქ მიტანილ, ქ. ფოთში ... ქუჩის #20/1-ში მცხოვრები მოქალაქე მ. ს-აიას კუთვნილი «ფუნაის» სისტემის ტელევიზორთან, ამავე სახელწოდების ვიდეომაგნიტოფონთან და მართვის პულტთან ერთად, იქ მყოფმა პ. ჯ-ძემ ფოტოაპარატ სმ-111-ით გადაუღო ფოტოსურათები. მათვე 7 საათსა და 50 წუთზე გააფორმეს მ-იას მიმართ ჩატარებული პირადი ჩხრეკის ოქმი და შეავსეს თ. ს-აიასაგან გაგზავნილი, ხელმოწერილი და ბეჭედდასმული დადგენილება, გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ჩხრეკის და ამოღების წარმოების შესახებ, ანუ ხელოვნურად შექმნეს თ. მ-იას მიმართ ყალბი მტკიცებულება, რის შემდეგ 8 საათზე თ. მ-ია კანონის მოთხოვნის დარღვევით, დაკავების ოქმის გარეშე გადმოიყვანეს ქ. ფოთის პოლიციის სამმართველოს შენობაში.

თ. ს-აიას მხრიდან დანაშაულის ჩადენის მისადმი სამსახურებრივად დაქვემდებარებული ოპერატიული მუშაკების - პ. ჯ-ძის და ა. ს-შვილის მიერ თ. მ-იას ქ. ფოთის შინაგან საქმეთა სამმართველოს შენობაში უკანონოდ გადაყვანის შემდეგ, ნაზადის ხიდის ქვეშ მიმდებარე ტერიტორიიდან, ასევე, სამსახურებრივად მისადმი დაქვემდებარებული ნაზადის ქვეგანყოფილების უფროსის პ. ჯ-ძისა და ამავე ქვეგანყოფილების ოპერატიული თანამშრომლის ა. ს-შვილის მიერ, საპროცესო ნორმების უხეში დარღვევით, მომავალში, საქმეზე შესაძლო ნივთიერი მტკიცებულებების მნიშვნელობის ნივთები «ფუნაის» სისტემის ტელევიზორი, ამავე სახელწოდების ვიდეომაგნიტოფონი და მართვის პულტი, თ. ს-აიას ფაქტობრივი ხელშეწყობით, რაც გამოიხატა მისი, როგორც ხელმძღვანელი პირის სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობაში, რომელმაც არ აღკვეთა კონკრეტულ შემთხვევაში კანონდარღვევა - მიიტანა ქ. ფოთში, ... ქუჩის #20/1-ში და წარუდგინა მოქალაქე მ. ს-აიას, რაზეც არ შედგა არანაირი სახის პროცესუალური დოკუმენტი. ამასთან, ამავე ბინაში, ასევე კანონის უხეში დარღვევით, 9 საათსა და 00 წუთიდან 9 საათსა და 30 წუთამდე, პირადად თ. ს-აიას სახელით გამოტანილი და მისი მოადგილე მ. ს-ნის მიერ დამტკიცებული დადგენილების საფუძველზე, თითქოსდა გადაუდებელ პირობებში ჩატარდა შემთხვევის ადგილის დათვალიერება, შედგა დათვალიერების ოქმი. მოხდა შემთხვევის ადგილის ფოტოგადაღება, ამოღებულ იქნა თითქოს ქურდობაში ეჭვმიტანილი პირის თითის ანაბეჭდები, ყალბად დადგენილი გარემოებებიდან გამომდინარე და მასთან მისადაგების მიზნით, სასურველი შინაარსის ახსნა-განმარტება ჩამოერთვა მოქალაქე მ. ს-აიას, ფიზიკური ძალის გამოყენებით პ. ჯ-ძის მიერ მოხდა თ. მ-იასაგან აღიარებითი ჩვენების გამოძალვა. აგრეთვე, პ. ჯ-ძის უშუალოდ და აქტიური მონაწილეობით მისადმი სამსახურებრივად დაქვემდებარებულ ოპერატიულ მუშაკებთან, ე. მ-აძესთან, ჰ. კ-ძესთან, კ. ა-აიასთან ერთად, ჯგუფურად, განსაკუთრებული სისასტიკით თ. მ-იას, უშუალოდ ხელკეტით და მკვრივი ბლაგვი საგნით ცემით, მკვრივ საგანზე არაერთხელ მიხეთქებით მიაყენა სხვადასხვა სახის დაზიანებები, მათ შორის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება.

თ. ს-აიას მიერ უშუალოდ და მისი მითითებით, მისადმი სამსახურებრივად დაქვემდებარებული ოპერატიული მუშაკების მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებების და ფალსიფიცირებული მტკიცებულებების საფუძველზე, მოგვიანებით, ქ. ფოთის შინაგან საქმეთა სამმართველოს პასუხისმგებელმა

მორიგე რ. გ-მემ, 2001 წლის 14 ივლისს, დაახლოებით 11 საათზე, ქ. ფოთის შინაგან საქმეთა სამმართველოს კრიმინალური პოლიციის უფროსის მ. ს-ნის ასევე უკანონო მითითებით, მისი წინამორბედის პასუხისმგებელი მორიგის თ. ბ-ავას სახელით, შეადგინა თითქოსდა დილის 6 საათზე უცნობი მოქალაქის მიერ ტელეფონით შეტყობინების ოქმი, ქ. ფოთში ... ქუჩის #20/1-ში მცხოვრები მოქალაქე მ. ს-აიას ტელევიზორისა და ვიდეომანქანის კურდობის ფაქტზე. ყალბად შედგენილი შეტყობინება, ქ. ფოთის შინაგან საქმეთა სამმართველოს კრიმინალური პოლიციის უფროსის, მ. ს-ნის რეზოლუციით დაეწერა ამავე სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებროს უფროსის მოადგილეს მ. მ-შვილს და ნაზადის ქვეგანყოფილების ყოფილ უფროსს პ. ჯ-მეს, ანუ იმ ოპერატიულ მუშაკებს, რომლებსაც თ. ს-აიასთან ერთად აქტიური მონაწილეობა ჰქონდათ მიღებული ყალბი მტკიცებულებების შექმნაში. მას შემდეგ, რაც თ. ს-აიას და მისი მხრიდან უკანონო მითითებების საფუძველზე, მისადმი სამსახურებრივად დაქვემდებარებული ოპერატიული თანამშრომლების მიერ თ. მ-იას განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენაში მხილების მიზნით ყალბად შექმნილი ფალსიფიცირებული მტკიცებულება, 2001 წლის 14 ივლისს, კანონიერად იქნა ცნობილი ქ. ფოთის სასამართლოს მიერ. თ. მ-იას მიმართ იმავე დღეს განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მესამე ნაწილით აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, რომელიც უკანონოდ დაამტკიცა ქ. ფოთის ყოფილმა პროკურორმა გ. ხ-ავამ, საქმე წარმოებაში მიიღო მ. მ-შვილმა.

იმავე დღეს, 2001 წლის 14 ივლისს 12 საათსა და 40 წუთზე, თ. ს-აიას მიერ თ. მ-იას მიმართ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულებების ფალსიფიკაციის საფუძველზე, მ. მ-შვილის მიერ გამოტანილ იქნა ასევე უკანონო დადგენილება თ. მ-იას ექვმიტანილად ცნობის და დაკავების შესახებ, ხოლო ყოფილი პროკურორის გ. ხ-ავას მიერ აღნიშნული დადგენილების დამტკიცების შემდეგ, თ. მ-ია უკანონოდ იქნა დაკავებული და მოთავსებული ქ. ფოთის შინაგან საქმეთა სამმართველოს დროებითი მოთავსების იზოლატორში, ე.ი. თ. მ-ია 2001 წლის 14 ივლისის 5 საათსა და 50 წუთიდან, 7 საათსა და 10 წუთამდე უკანონოდ იყო მოთავსებული ჯერ ქ. ფოთის სატრანსპორტო პოლიციაში, ხოლო იმავე დღის 8 საათსა და 00 წუთიდან 21 საათსა და 30 წუთამდე ქ. ფოთის შინაგან საქმეთა სამმართველოში. თ. მ-იას მიმართ განხორციელებული უკანონო ქმედების გამო, 2001 წლის 14 ივლისს, დაახლოებით 21 საათსა და 30 წუთზე ქ. ფოთის შინაგან საქმეთა სამმართველოს შენობაში მიღებული სხეულის დაზიანების შედეგად იგი იმავე დღესვე გარდაიცვალა ქ. ფოთის საავადმყოფოში. მოგვიანებით, 2002 წლის სექტემბერში, თ. მ-იას მიმართ სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მესამე ნაწილით აღძრული სისხლის სამართლის საქმე წარმოებით შეწყდა კანონსაწინააღმდეგო ქმედების არარსებობის მოტივით, ხოლო თ. მ-ია სასამართლოს მიერ სრულად იქნა რეაბილიტირებული.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულ ა. ს-შვილის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ფ. ს-შვილმა, დაზარალებულის უფლებამონაცვლის დამცველმა, ადვოკატმა მ. თ-ურმა, თ. ს-აიას ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ს. ჯ-იამ, მსჯავრდებულების კ. ლ-იას და თ. შ-აიას ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ა. ბ-აიამ და საქართველოს გენერალური პროკურატურის პროკურორმა მ. ჯ-მემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 12 ივლისის განაჩენით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა, ხოლო ფოთის საქალაქო სასამართლოს განაჩენში შეტანილი იქნა ცვლილება, კერძოდ, პ. ჯ-მეს და ა. ს-შვილს ამოერიცხათ სსკ-ის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული. პ. ჯ-მეს ასევე ამოერიცხა სსკ-ის 117-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ო» ქვეპუნქტი, როგორც ბეჭდვის დროს დაშვებული შეცდომა. სხვა ნაწილში ფოთის საქალაქო სასამართლოს განაჩენი დარჩა უცვლელი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულ ა. ს-შვილის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ფ. ს-შვილმა, პ. ჯ-მის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა თ. მ-ხმა, მსჯავრდებულ თ. ს-აიას ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა დ. ჯ-მემ, მსჯავრდებულების კ. ლ-იას და თ. შ-აიას ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ა. ბ-აიამ, რომლებიც მოითხოვენ გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებას და მსჯავრდებულთა გამართლებას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გაანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობა და თვლის, რომ საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება, შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა თვლის, რომ მსჯავრდებულ თ. ს-აიას დანაშაულებრივი ქმედება, გათვალისწინებული სსკ-ის 369-ე მუხლის მე-3 ნაწილით, დადასტურებულია დადგენილებით გადაუდებელი აუცილებლობის გამო ჩხრეკისა და ამოღების წარმოების შესახებ, პირადი ჩხრეკის ოქმით, წერილით გადაუდებელი აუცილებლობის გამო ჩატარებული ჩხრეკისა და ამოღების კანონიერად ცნობის შესახებ, სისხლის სამართლის საქმის აღძვრის დადგენილებით და საქმეში არსებული სხვა მასალებით. პალატა თვლის, რომ თ. ს-აიას სსკ-ის 369-ე მუხლის მე-3 ნაწილით სასჯელის ზომად უნდა განესაზღვროს 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც, პალატის აზრით, არის სამართლიანი სასჯელი და რაც შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებას და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს. რაც შეეხება თ. ს-აიას მიერ სსკ-ის 147-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულის ჩადენას, პალატა თვლის,



რომ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული შემდეგი გარემოებები: საქმის მასალებით დგინდება, რომ თ. ს-აიას უშუალოდ მონაწილეობა არ მიუღია თ. მ-იას დაკავებაში. თ. ს-აია მოქმედებდა რა პირადი ინტერესის (დანაშაულის თითქოსდა გახსნის) მიზნით, მან თავისი სამსახურებრივი უფლებამოსილება გამოიყენა ბოროტად, საჯარო ინტერესების საწინააღმდეგოდ, რამაც ფიზიკური პირის და სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების დარღვევა გამოიწვია. ამასთან პალატა თვლის, რომ თ. ს-აიას მიერ აღნიშნული ქმედება განხორციელდა დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით. ამდენად პალატას მიაჩნია, რომ თ. ს-აიას მიერ ჩადენილი ქმედება სსკ-ის 147-ე მუხლის მე-3 ნაწილიდან უნდა გადაკვალიფიცირდეს სსკ-ის 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის «გ» ქვეპუნქტზე და მას აღნიშნული მუხლით სასჯელის ზომად უნდა განესაზღვროს 3 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. საბოლოოდ თ. ს-აიას სასჯელის ზომად უნდა განესაზღვროს 6 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

რაც შეეხება მსჯავრდებულ ა. ს-შვილის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ფ. ს-შვილის, პ. ჯ-ძის ინტერესების დამცველის, ადვოკატ თ. მ-ხის, მსჯავრდებულების კ. ლ-იას და თ. შ-აიას ინტერესების დამცველის, ადვოკატ ა. ბ-აიას საკასაციო საჩივრებს, პალატა მიიჩნევს, რომ არ არსებობს მათი დაკმაყოფილების საფუძველი, ვინაიდან საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით, კერძოდ, პ. ჯ-ძის მიერ მ-იაზე ჩამორთმეული ახსნა-განმარტებით და ჩხრეკის ოქმით, ამოღების ოქმით, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმით, მოწმეების: გ. გ-ძის, ლ. მ-იას, ა. მ-იას, თ. მ-იას, ი. გ-იას, მ. მ-შვილის და სხვათა ჩვენებებით, მ-შვილის შემთხვევის ადგილზე შემოწმების ოქმით, დაქტილოსკოპიური, სასამართლო-სამედიცინო და ფიზიკო-ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნებით, თ. მ-იას გვამის დათვალიერების ოქმით და სხვა მასალებით მსჯავრდებულთა მიერ ჩადენილი ქმედებები დადასტურებულია და მათ ქმედებას სწორი სამართლებრივი შეფასება აქვთ მიცემული.

საქმეში არ მოიპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც საფუძვლად დაედება განაჩენის გაუქმებას.

სააპელაციო სასამართლომ საქართველოს სსსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დაცვით, სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად გამოიკვლია საქმის ფაქტობრივი გარემოებები, მსჯავრდებულების პ. ჯ-ძის, ა. ს-შვილის, თ. შ-აიას, კ. ლ-იას პასუხისმგებლობის როგორც შემამსუბუქებელი, ასევე დამამძიმებელი გარემოებები, რის გამოც, პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ მათ სასჯელი დაუნიშნა იმ ზომით, რაც შეესაბამება მსჯავრდებულთა ქმედების სიმძიმესა და პიროვნებას და არ არსებობს მათი შეცვლის საფუძველი.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, სსსკ-ის 568-ე მუხლით და

#### **დ ა ა დ გ ი ნ ა :**

მსჯავრდებულ ა. ს-შვილის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ფ. ს-შვილის, პ. ჯ-ძის ინტერესების დამცველის, ადვოკატ თ. მ-ხის, მსჯავრდებულ თ. ს-აიას ინტერესების დამცველის, ადვოკატ დ. ჯ-ძის, მსჯავრდებულების კ. ლ-იას და თ. შ-აიას ინტერესების დამცველის, ადვოკატ ა. ბ-აიას საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 12 ივლისის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულ თ. ს-აიას სასიკეთოდ: თ. ს-აიას მიერ ჩადენილი ქმედება სსკ-ის 147-ე მუხლის მე-3 ნაწილიდან გადაკვალიფიცირდეს სსკ-ის 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის «გ» ქვეპუნქტზე და მას აღნიშნული მუხლით სასჯელის ზომად განესაზღვროს 3 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

თ. ს-აიას, სსკ-ის 369-ე მუხლის მე-3 ნაწილით სასჯელის ზომად განესაზღვროს 3 წლით თავისუფლების აღკვეთა.

თ. ს-აიას საბოლოოდ სასჯელის ზომად განესაზღვროს 6 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება

### განჩინება

#1172-აპ

16 იანვარი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),  
ლ. მურუსიძე,  
დ. სულაქველიძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. გ-ძის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 30 მაისის განაჩენზე.

#### აღწერილობითი ნაწილი:

ბაღდათის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 25 დეკემბრის განაჩენით:

გ. გ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის (ძველი რედაქცია) 182-ე მუხლის მეორე ნაწილის «ბ», «დ» ქვეპუნქტებით 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, ამავე მუხლის მესამე ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით - 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, 332-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით - 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, 341-ე მუხლით - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა. გ. გ-ძეს სასჯელის ვადაში ჩათვალა წინასწარ პატიმრობაში ყოფნის დრო - 2004 წლის 24 დეკემბრიდან 2005 წლის 13 იანვრამდე. მასვე, ზიანის ანაზღაურების მიზნით, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა 9100 ლარის გადახდა.

განაჩენით მსჯავრდებულ გ. გ-ძის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება გამოიხატა შემდეგში:

გ. გ-ძემ, ბაღდათის რაიონის საფინანსო განყოფილების მთავარმა ბუხალტერმა, თანამდებობის პირმა და საჯარო მოხელემ, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებით, საჯარო სამსახურის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ, თავისთვის გამორჩენის მისაღებად, არაერთგზის, სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევით, 2002 წლის სამეურნეო-საფინანსო წლის 12 თვის განმავლობაში, სამსახურებრივი სიყალბით, საფულე ჩეკების გაყალბების 43 შემთხვევით, მართლსაწინააღმდეგოდ მიითვისა „სახალხო ბანკის» ბაღდათის ფილიალიდან ბაღდათის რაიონის საფინანსო განყოფილების სახელზე გაწერილი და გატანილი დიდი ოდენობით სახელმწიფო საბიუჯეტო თანხა - 10100 ლარის რამაც მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი გამოიწვია.

აღნიშნული განაჩენი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 30 მაისის განაჩენით დარჩა უცვლელად, კერძოდ:

გ. გ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა სსკ-ის (ძველი რედაქცია) 182-ე მუხლის მეორე ნაწილის «ბ», «დ» ქვეპუნქტებით 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, ამავე მუხლის მესამე ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით - 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, 332-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით - 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, 341-ე მუხლით - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა. გ. გ-ძეს სასჯელის ვადაში ჩათვალა წინასწარ პატიმრობაში ყოფნის დრო - 2004 წლის 24 დეკემბრიდან 2005 წლის 12 იანვრამდე, სულ 20 დღე და სასჯელის მოხდის ვადა გამოეთვალა 2006 წლის 25 დეკემბრიდან, დღიდან დაპატიმრებისა. მის მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება - დაპატიმრება გაუქმდა. მასვე, ზიანის ანაზღაურების მიზნით, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა 9100 ლარის გადახდა.

მსჯავრდებული გ. გ-ძე საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და გამართლებას იმ მოტივით, რომ განაჩენი არის უკანონო, დაუსაბუთებელი, მისთვის წარდგენილი ბრალდება არ შეესაბამება სინამდვილეს, მოკლებულია ყოველგვარ ფაქტებსა და რეალობას.

#### სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, საკასაციო საჩივრის მოტივთა საფუძვლიანობა და მიიჩნია, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო განაჩენში მსჯავრდებულის სასიკეთოდ უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე წინასწარი გამოძიება და სასამართლო განხილვა ჩატარებულია სრულყოფილად და საპროცესო კანონმდებლობის დაცვით. გამოკვლეულ მტკიცებულებებს მიეცა სწორი სამართლებრივი შეფასება.

საქმეზე შეკრებილი და სასამართლოს მიერ გამოკვლეული მტკიცებულებებით, კერძოდ: დაზარალებულ ა. ქ-აკის, მოწმეების - კ. ნ-ძის, დ. ნ-ძის, რ. მ-შვილის, ნ. ფ-ძის, ნ. ი-შვილისა და სხვათა ჩვენებებით, ექსპერტ-ბუღალტერ ა. ჯ-ძის ჩვენებით, საფინანსო განყოფილების უფროსის 2003 წლის 25 სექტემბრის ბრძანებით, საქმეში არსებული უწყისით, სასამართლო-საბუღალტრო ექსპერტიზის დასკვნითა და სხვა მასალებით უდავოდ დასტურდება მსჯავრდებულ გ. გ-ძის მიერ მასზე ბრალად შერაცხული დანაშაულის ჩადენა.

საქმეში არ მოიპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც საფუძვლად დაედება განაჩენის გაუქმებას.

სააპელაციო სასამართლომ მსჯავრდებულ გ. გ-მის მიმართ სასჯელის დანიშვნისას გაითვალისწინა მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებანი და შეუფარდა კანონით გათვალისწინებული სამართლიანი სასჯელი.

ამასთან, პალატა აღნიშნავს, რომ მსჯავრდებულ გ. გ-მეს განაჩენის სარეზოლუციო ნაწილიდან უნდა ამოერიცხოს საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მეორე ნაწილის «ბ» და «დ» ქვეპუნქტებით დანიშნული სასჯელი - 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, რადგან იგი ასევე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მესამე ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით, რაც თავისთავად მოიცავს ამავე მუხლის მეორე ნაწილს.

მსჯავრდებულ გ. გ-მეს შერაცხული ბრალდების კვალიფიკაციიდან ასევე უნდა ამოერიცხოს საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტი, როგორც ზედმეტად წარდგენილი, რადგან იგი ასევე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მეორე ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, რაც მაკვალიფიცირებელ გარემოებად ითვალისწინებს ზემოაღნიშნული დანაშაულის ჩადენას სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით და დამატებით, ზოგადი ნორმით - 332-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით კვალიფიკაციას აღარ საჭიროებს, რის გამოც გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს შესაბამისი ცვლილება მსჯავრდებულ გ. გ-მის სასიკეთოდ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მსჯავრდებულ გ. გ-მეს საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მესამე ნაწილის «ბ» ქვეპუნქტითა და 341-ე მუხლით საბოლოოდ მოსახდელად უნდა განესაზღვროს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ამასთან, აღნიშნული ბრალდების საქმის განხილვისას დაზარალებულს არ წარმოუდგენია სასარჩელო განცხადება და მხარეები არც სამოქალაქო მოსარჩელედ და არც სამოქალაქო მოპასუხედ არ არიან ცნობილი.

I-ლი ინსტანციის სასამართლომ კი მსჯავრდებულ გ. გ-მეს დააკისრა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ თანხის გადახდა. აღნიშნული განაჩენი თანხის დაკისრების ნაწილში სააპელაციო სასამართლომ დატოვა უცვლელად, მიუხედავად იმისა, რომ საქმეზე არ იყო დაწყებული სამოქალაქო სამართალწარმოება.

აღნიშნულის გათვალისწინებით, პალატას მიაჩნია, რომ როგორც პირველი ინსტანციის, ასევე, სააპელაციო სასამართლოები არ იყვნენ უფლებამოსილი, რომ მსჯავრდებულისათვის დაეკისრებინათ 9100 ლარის გადახდა.

პალატას მიაჩნია, რომ განაჩენი მსჯავრდებულ გ. გ-მისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ თანხის დაკისრების ნაწილში უნდა გაუქმდეს.

იმის გამო, რომ საქმეზე სამოქალაქო სამართალწარმოება არ დაწყებულა, პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, სსსკ-ის 561-ე მუხლის მეოთხე ნაწილის შესაბამისად, საქმე სამოქალაქო სარჩელის ნაწილში ხელახლა განსახილველად გადასცეს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. ამავე კოდექსის 33-ე მუხლის მეექვსე ნაწილის შესაბამისად, აღნიშნული გარემოება არ უკარგავს უფლებას დაზარალებულს, წარადგინოს სარჩელი სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «ა», «დ» ქვეპუნქტებით, 568-ე მუხლით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 30 მაისის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

გაუქმდეს განაჩენი მსჯავრდებულ გ. გ-მისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ თანხის დაკისრების ნაწილში.

მსჯავრდებულ გ. გ-მეს ამოერიცხოს საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მეორე ნაწილის «ბ» და «დ» ქვეპუნქტებით დანიშნული სასჯელი - 4 წლით თავისუფლების აღკვეთა.

მსჯავრდებულ გ. გ-მეს ამოერიცხოს საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტი, როგორც ზედმეტად წარდგენილი.

მსჯავრდებულ გ. გ-მეს საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მესამე ნაწილის «ბ» ქვეპუნქტითა და 341-ე მუხლით საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვროს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა.

სხვა ნაწილში განაჩენი დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება

### განჩინება

#1032-აპ

15 თებერვალი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),

ლ. მურუსიძე,

ი. ტყეშელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ე. ქ-ავას დამცველის, ადვოკატ რ. კ-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 12 აპრილის განაჩენზე.

#### აღწერილობითი ნაწილი:

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 30 იანვრის განაჩენით ე. ქ-ავა ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტის საფუძველზე და მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით.

განაჩენის მიხედვით, ე. ქ-ავას მსჯავრი დაედო ისეთი დანაშაულის ჩადენაში, როგორცაა თაღლითობა, ე. ი. მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლება მოტყუებით, ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით.

განაჩენის მიხედვით ე. ქ-ავას მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებელმა ე. ქ-ავამ 2006 წლის 3 მაისს შესასრულებლად მიიღო 2006 წლის 2 მაისის ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცელი, რომლის საფუძველზეც შექმნა სააღსრულებო საქმე #09/06-6-13439. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მიერ 2006 წლის 7 თებერვალს გამოტანილ იქნა გადაწყვეტილება ი. ბ-ძის სამოქალაქო სარჩელის გამო, რომელიც შეეხებოდა ამ უკანასკნელისა და მისი მეუღლის კ. გ-იას განქორწინებას. ამავე გადაწყვეტილებით კ. გ-იას თავისი შვილის დ. გ-იას სასარგებლოდ მის სრულწლოვანებამდე ყოველთვიურად ალიმენტის სახით გადასახდელად დაეკისრა თანხა 30 ლარის ოდენობით, ასევე, სახელმწიფო ბაჟის გადახდა ერთჯერადად - 50 ლარის ოდენობით. სასამართლო გადაწყვეტილებით აღნიშნული თანხის გადახდა უნდა დაწყებულიყო 2005 წლის 11 ოქტომბრიდან.

ე. ქ-ავა გაეცნო რა საქმის მასალებს, მისთვის ცნობილი გახდა, რომ 2006 წლის 2 მაისის სააღსრულებო ფურცელში კ. გ-იაზე დაკისრებული ალიმენტის თანხის გადახდის ათვლის თარიღად მითითებული იყო 2005 წლის 11 თებერვალი. ამავე საქმეში არსებობდა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 7 თებერვლის გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც, კ. გ-იას მისი შვილის - დ. გ-იას სასარგებლოდ ალიმენტის სახით 30 ლარის ოდენობით ყოველთვიურად მის სრულწლოვანებამდე უნდა გადაეხადა 2005 წლის 11 ოქტომბრიდან. გადაწყვეტა რა გამოეყენებინა სააღსრულებო ფურცელში დაშვებული მექანიკური შეცდომა, ე. ქ-ავამ განიზარა სასახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, თაღლითურად, მოტყუებით, მართლსაწინააღმდეგოდ მიესაკუთრებინა მოქალაქე კ. გ-იას მიერ ალიმენტის სახით გადასახდელი თანხის ნაწილი - 190 ლარის ოდენობით. ამ მიზნით მან კ. გ-ია დაიბარა თავისთან სამსახურში და უთხრა, რომ 2005 წლის 11 თებერვლიდან მას გადასახდელი ჰქონდა ალიმენტის თანხა, რაც 2006 წლის ოქტომბრისათვის მთლიანობაში შეადგენდა 600 ლარს და, ასევე, სახელმწიფო ბაჟი 50 ლარის ოდენობით, რაზეც კ. გ-იამ უპასუხა, რომ ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 7 თებერვლის გადაწყვეტილებით მას ალიმენტის თანხა უნდა გადაეხადა 2005 წლის 11 ოქტომბრიდან ნაცვლად 2005 წლის 11 თებერვლისა, რაც მთლიანობაში სახელმწიფო ბაჟის ჩათვლით შეადგენდა 410 ლარს. მიუხედავად ამისა, ე. ქ-ავა კვლავ მოტყუებით ცდილობდა მის დარწმუნებას, რომ გადაეხადა თანხა 600 ლარის ოდენობით, როგორც ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 2 მაისის სააღსრულებო ფურცელში იყო მითითებული დაშვებული მექანიკური შეცდომის გამო. კ. გ-იამ, საეჭვოდ მიიჩნია რა ე. ქ-ავას მოთხოვნა, 2006 წლის 30 სექტემბერს განცხადებით მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალურ სამმართველოს და გამოთქვა სურვილი გამოძიებასთან თანამშრომლობის შესახებ, რის შემდეგაც წინასწარი გამოძიების პროცესში, კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით, მოხდა ე. ქ-ავაზე გადასაცემი თანხის სპეციალური ქიმიური ნივთიერებით დამუშავება და კ. გ-იაზე გადაცემა. 2006 წლის 4 ოქტომბერს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებელმა ე. ქ-ავამ ქ. ზუგდიდში, ... #32-ში, მისსავე სამუშაო კაბინეტის შესასვლელში გამოართვა მოქალაქე კ. გ-იას მის მიერ თაღლითურად მოთხოვნილი თანხა, რა დროსაც დაკავებულ იქნა საქართველოს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალურ სამმართველოსა და დასავლეთის საგამომიებო განყოფილების თანამშრომლების მიერ, რა დროსაც სპეციალური ქიმიური

ნივთიერებით დამუშავებული თანხა 600 ლარის ოდენობით - 12 ცალი 50-ლარიანი ნომინალის ბანკნოტი ამოღებულ იქნა მისი პირადი ჩხრევისას.

განაჩენი სააპელაციო წესით გასაჩივრეს მსჯავრდებულ ე. ქ-ავას ადვოკატებმა - რ. კ-შვილმა და მ. წ-აიამ. აპელანტები საჩივრით ითხოვდნენ რაიონული სასამართლოს განაჩენის გაუქმებასა და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის დადგენას, რასაც ასაბუთებდნენ იმით, რომ საქმეში არ არსებობდა საკმარისი მტკიცებულებანი იმის დასადასტურებლად, რომ ე. ქ-ავას განზრახული ჰქონდა კ. გ-იას მიერ გადახდილი თანხის თაღლითურად დაუფლება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 12 აპრილის განაჩენით სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, ხოლო ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 30 იანვრის განაჩენი მსჯავრდებულ ე. ქ-ავას მიმართ დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ ე. ქ-ავას დამცველმა, ადვოკატმა რ. კ-შვილმა საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორი საჩივრით ითხოვს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 12 აპრილის განაჩენის გაუქმებასა და მსჯავრდებულ ე. ქ-ავას მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას იმ საფუძველით, რომ მას არ ჩაუდენია სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება. აპელანტი ასეთ მოთხოვნას აყენებს შემდეგი მოტივების საფუძველზე: სააღსრულებო წარმოებათა შესახებ კანონის შესაბამისად კრედიტორის სასარგებლოდ თანხების გადახდევინება ხდება სასამართლოს მიერ გამოწერილი სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე, რაც სავალდებულოა შესასრულებლად აღმასრულებლისათვის, ხოლო სააღსრულებო ფურცლის მიხედვით კი გადახდევინებას ექვემდებარებოდა სწორედ იმ ოდენობის თანხა, რასაც მ. ქ-ავა ითხოვდა კ. გ-იასგან; თაღლითობის ჩადენა ე. ქ-ავას მხრივ გამორიცხული იყო იმიტომაც, რომ კ. გ-იამ თავიდანვე იცოდა, რომ სააღსრულებო ფურცელში არასწორად იყო მითითებული კრედიტორის სასარგებლოდ მის მიერ გადასახდელი იმ თანხის გადახდის ვადის ათვლის საწყისი დრო, რომლის გადახდაზეც იგი უარს აცხადებდა; ამასთან, უტყუარად არის დადგენილი: როდესაც კ. გ-იამ პრეტენზია გამოთქვა გადასახდელი თანხის ოდენობაზე, მას ე. ქ-ავამ უთხრა, რომ მიემართა სასამართლოსათვის შეცდომის გასაწორებლად, რის შემდეგაც შესწორებული სააღსრულებო ფურცელი მისთვის მიეტანა და თანხის გადახდევინებაც ამ უკანასკნელის შესაბამისად მოხდებოდა; საქმეში არ არსებობს რაიმე სარწმუნო მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა ე. ქ-ავას მოქმედებაში თაღლითობის ჩადენის განზრახვისა და მიზნის არსებობას.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ ე. ქ-ავას მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძველიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა თვლის, რომ საფუძველიანი და დასაბუთებულია დაცვის მხარის საკასაციო საჩივარში წარმოდგენილი არგუმენტები იმის თაობაზე, რომ მსჯავრდებულ ე. ქ-ავას არ ჰქონია და არც შეიძლებოდა ჰქონოდა თაღლითობის განზრახვა, რადგან შექმნილი ვითარების გარემოებები თავიდანვე გამორიცხავდა მოტყუების შესაძლებლობას და ეს გარემოებები იმთავითვე ცნობილი იყო კ. გ-იასათვის, რის შესახებაც იცოდა ე. ქ-ავამ. აღნიშნულიდან გამომდინარე, მართალია, ე. ქ-ავას ქმედებაში არ არსებობს თაღლითობის შემადგენლობა, მაგრამ მიუხედავად ამისა, საკასაციო პალატა ვერ დაეთანხმება კასატორის მოთხოვნას ე. ქ-ავას უდანაშაულოდ ცნობის, მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტისა და პატიმრობიდან მისი გათავისუფლების შესახებ, რადგან საქმეზე ჩატარებული წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო გამოძიების შედეგად სარწმუნოდ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, რომლებსაც პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოების მიერ მიეცა არასწორი სამართლებრივი შეფასება, აშკარად მიუთითებენ ე. ქ-ავას ქმედებაში საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ისეთი დანაშაულის ნიშნების არსებობაზე, როგორცაა სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, ე. ი. მოხელის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, რამაც ფიზიკური პირის უფლებისა და სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია.

ე. ქ-ავას მიერ აღნიშნული ქმედების ჩადენა გამოიხატა შემდეგში: მან ისე დაიტოვა კ. გ-იას მიერ მისთვის გადაცემული თანხა - 600 ლარი, რომ არ აცნობა ამ უკანასკნელს კანონით გათვალისწინებული სავალდებულო პროცედურების შესრულების აუცილებლობაზე, რაშიც მონაწილეობა უნდა მიეღო კ. გ-იასაც თავისი ინტერესების დასაცავად და რაც მის უფლებას წარმოადგენდა. საკასაციო პალატას მხედველობაში აქვს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ» საქართველოს კანონის 29-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნა, რომლის მიხედვით სააღსრულებო მოქმედების შესრულებისას სასამართლო აღმასრულებელმა უნდა შეადგინოს სათანადო ოქმი, რომელშიც უნდა მიეთითოს: მისი შედგენის ადგილი და დრო; სასამართლო აღმასრულებლისა და იმ პირების ვინაობა, რომლებიც ესწრებოდნენ სააღსრულებო მოქმედების შესრულებას; სააღსრულებო საბუთის დასახელება, რომლის მიხედვით ხდება აღსრულება; კრედიტორისა და მოვალის დასახელება; სააღსრულებო მოქმედების შესრულების საგანი (მოცემულ შემთხვევაში კ. გ-იას მიერ გადაცემული თანხა და მისი ოდენობა). ამასთან, იმავე კანონის თანახმად, ოქმს ხელი უნდა მოაწეროს სასამართლო აღმასრულებელთან ერთად

კრედიტორმა და მოვალემ, ხოლო მოვალეს უნდა გადაეცეს ოქმის ასლი. მოვალის, ე. ი. კ. გ-ის ეს უფლება უხეშად იქნა დარღვეული ე. ქ-ავას მიერ კანონით გათვალისწინებული სავალდებულო პროცედურის შეუსრულებლობით.

ამავე დროს, ე. ქ-ავას აღნიშნული ქმედებით არსებითი ზიანი მიადგა სახელმწიფოს კანონიერ ინტერესებსაც, რაც იმაში მდგომარეობს, რომ სახელმწიფო ინტერესია სახელმწიფო აპარატის ისეთი მნიშვნელოვანი ნაწილი, როგორცაა სააღსრულებო სამსახური, რომელსაც არსებითი შეხება აქვს ფიზიკური პირებისა თუ იურიდიული პირების მნიშვნელოვან ქონებრივ ინტერესებთან, მუშაობდეს გამართულად, სამართლებრივ ნორმათა მოთხოვნების შესაბამისად და იყოს მის საქმიანობასთან დაკავშირებული სამართალურთიერთობის მონაწილე სუბიექტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის გარანტი.

განხილული გარემოებები აშკარად მიუთითებს იმაზე, რომ სააპელაციო სასამართლომ ე. ქ-ავას ბრალდების საქმეზე განაჩენის დადგენისას დაუშვა საქართველოს სსკ-ის 562-ე მუხლის „ბ« ქვეპუნქტიტა და 564-ე მუხლის „ა«, „ბ« ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დარღვევა, კერძოდ, სისხლის სამართლის კანონის არასწორი გამოყენება - არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, რაც განაჩენის შეცვლის საფუძველია.

ამრიგად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ე. ქ-ავამ ზემოხსენებული ქმედებით, როდესაც მან ყოველგვარი სავალდებულო პროცედურების შესრულების გარეშე მიიღო და დაიტოვა კ. გ-ის მიერ მისთვის გადაცემული თანხა - 600 ლარი, აშკარად გადაამეტა თავის სამსახურებრივ უფლებამოსილებას, რითაც არსებითი ზიანი მიაყენა როგორც ფიზიკური პირის - კ. გ-ის უფლებებს, ასევე სახელმწიფოს კანონიერ ინტერესს, რის გამოც მის მიერ ჩადენილი ქმედება საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა« ქვეპუნქტიდან უნდა გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლის პირველ ნაწილზე.

ჩადენილი დანაშაულისათვის ე. ქ-ავას მიმართ სასჯელის ზომის განსაზღვრისას საკასაციო პალატა მხედველობაში იღებს შემდეგ გარემოებებს: იგი პირველად არის სამართალში, მან ჩაიდინა ნაკლებად მძიმე დანაშაული და მისი პიროვნება ხასიათდება დადებითად, რომელთა გათვალისწინებით, მისი გამოსწორებისა და რესოციალიზაციის მიზნით, საკასაციო პალატა საკმარისად თვლის, რომ მას სასჯელის ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 12 აპრილის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილებები მსჯავრდებულ ე. ქ-ავას სასიკეთოდ.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ« ქვეპუნქტიტა და 568-ე მუხლით,

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

მსჯავრდებულ ე. ქ-ავას დამცველის, ადვოკატ რ. კ-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 12 აპრილის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება: მსჯავრდებულ ე. ქ-ავას ქმედება საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა« ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლის პირველ ნაწილზე, ხოლო ამ დანაშაულისათვის მას სასჯელის ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## სამსახურებრივი გულგრილობა

### განჩინება

#8-კოლ

23 ოქტომბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

- ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე),
- მ. ოშხარელი,
- ი. ტყეშელაშვილი

განიხილა მსჯავრდებულ ა. ჩ-ძის ინტერესების დამცველების, ადვოკატების: დ. კ-შვილისა და მ. ჯ-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 12 აპრილის განაჩენზე, რომლითაც იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით, 338-ე მუხლის მე-2 ნაწილის «გ» ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის «ბ» და «ე» ქვეპუნქტებით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) გათვალისწინებული ქმედების ჩადენაში.

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 12 აპრილის განაჩენით ა. ჩ-ძეს ამჟამად პატიმარს, საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 338-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“, „ე“ ქვეპუნქტებით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია), საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის გამოყენებით, სასჯელად განესაზღვრა 11 წლით თავისუფლების აღკვეთა. იგი სასჯელს იხდის 2004 წლის 13 დეკემბრიდან.

საბრალდებო დასკვნით ა. ჩ-ძეს ბრალი დაედო იმაში, რომ მან, როგორც მოხელემ, არაერთგზის ჩაიდინა სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება საჯარო სამსახურის მოთხოვნის საწინააღმდეგოდ, თავისთვის და სხვისთვის გამორჩენის მისაღებად, რამაც სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია; მანვე პირთა ჯგუფთან წინასწარი შეთანხმებით, არაერთგზის ჩაიდინა მოხელის მიერ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის აღება ფულის სახით, ფულის მიმცემის სასარგებლოდ ამა თუ იმ მოქმედების შესრულებისათვის, რომელიც მას, როგორც მოხელეს, უნდა შეესრულებინა თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლის I ნაწილით, 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 338-ე მუხლის I ნაწილით, 338-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“, „ე“ ქვეპუნქტებით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია).

აღნიშნული დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

ა. ჩ-ძე, მუშაობდა რა საქართველოს კონტროლის პალატის მე-4 დეპარტამენტის უფროსად, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის თანახმად, წარმოადგენდა სახელმწიფო მოხელეს. მას, როგორც მე-4 დეპარტამენტის უფროსს, „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ კანონის, სხვა საკანონმდებლო აქტებისა და კონტროლის პალატის რეგლამენტის შესაბამისად, ევალებოდა განსაზღვრული დარგებისა და ტერიტორიული ნიშნის მიხედვით, კონტროლის პალატის თავმჯდომარის ბრძანებით რევიზია-შემოწმების ჩატარების უზრუნველყოფა, დეპარტამენტის სამუშაო გეგმის პროექტების შედგენა, შესრულების უზრუნველყოფის კონტროლი, საკურატორო დარგის ორგანიზაციათა საქმიანობის შედეგების მიხედვით დარგში მიმდინარე პროცესების გაანალიზება, გასატარებელი ღონისძიებების შესახებ წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავება, რევიზია-შემოწმების პროცესში კონტროლის პალატის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან და საკონტროლო სფეროს დაწესებულებებთან თანამშრომლობა, თავმჯდომარის, კურატორი მოადგილისა და პრეზიდიუმის დავალებების შესრულება.

საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის 2001 წლის 13 ივნისის #243, 11 ივლისის #253 და 13 აგვისტოს #306 ბრძანებებისა და მე-4 დეპარტამენტის უფროსის - ა. ჩ-ძის მიერ დამტკიცებული პროგრამის მიხედვით დაიგეგმა სააქციო საზოგადოებებსა - ფოთისა და ქუთაისის წისქვილქარხნებში თემატური შემოწმების ჩატარება „ამერიკის შეერთებული შტატების კრედიტით შესყიდული ხორბლის რეალიზაციის დაჩქარების ღონისძიებათა შესრულების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 18 ოქტომბრის ბრძანებულების შესრულების მიზნით.

რევიზიის ჩატარება დაევალა მე-4 დეპარტამენტის მთავარ ინსპექტორებს - კ. ფ-ავასა (ჯგუფის ხელმძღვანელი) და ჯ. ხ-შვილს.

შემოწმების დაწყებამდე სააქციო საზოგადოება „ფოთის წისქვილქარხნის“ დირექტორმა ნ. ქ-მემ სარევიზიო ჯგუფის წევრ ჯ. ხ-შვილს შესთავაზა უკანონო აქტის შედგენის სანაცვლოდ ქრთამის მიცემა, კერძოდ: თუ სარევიზიო ჯგუფი მათ მიერ შედგენილ აქტში სახელმწიფო ბიუჯეტს სააქციო

საზოგადოება „ფოთის წისქვილქარხნის» სასარგებლოდ უკანონოდ დააკისრებდა თანხის დაბრუნებას, მაშინ ის ჯ. ხ-შვილს ქრთამის სახით მისცემდა დაბრუნებული თანხის 10%-ს. ვინაიდან ჯ. ხ-შვილი ნ. ქ-ძის წინადადებას დამოუკიდებლად ვერ შეასრულებდა, იგი დანაშაულებრივად დაუკავშირდა საქართველოს კონტროლის პალატის მე-4 დეპარტამენტის თავმჯდომარეს - ა. ჩ-ძეს და შესთავაზა ნ. ქ-ძის სასარგებლოდ, უკანონო აქტის შედგენის სანაცვლოდ, ქრთამის აღება ფულის სახით. ა. ჩ-ძე შეთავაზებულ წინადადებას დათანხმდა იმ პირობით, თუ მისთვის და კონტროლის პალატის ხელმძღვანელისათვის ჯ. ხ-შვილი ქრთამის სახით აღებული თანხიდან 75%-ს მას მისცემდა.

სააქციო საზოგადოება „ფოთის წისქვილქარხანაში» თემატური შემოწმების ნაცვლად ჩატარდა 1996 წლის 1 ივლისიდან 2001 წლის 1 ივლისამდე პერიოდის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის კომპლექსური შემოწმება.

2001 წლის 22 ივნისის შემოწმების აქტით სახელმწიფო ბიუჯეტს ზედმეტად დაეკისრა სააქციო საზოგადოება „ფოთის წისქვილქარხნისათვის» 414.2 ათასი ლარის დაბრუნება.

ა. ჩ-ძემ, როგორც მოხელემ, საჯარო სამსახურის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ, ბოროტად გამოიყენა სამსახურებრივი უფლებამოსილება, თავისთვის და სხვისთვის გამორჩენის მისაღებად დაეთანხმა შემოწმების უკანონო აქტს - უკანონოდ სახელმწიფო ბიუჯეტისათვის დაკისრებული 414.2 ათასი ლარის სააქციო საზოგადოება „ფოთის წისქვილქარხნისათვის» დაბრუნების შესახებ, რამაც სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევა გამოიწვია და სახელმწიფო ბიუჯეტმა განიცადა 412.2 ათასი ლარის მნიშვნელოვანი ზიანი.

აღნიშნული უკანონო ქმედების შემდეგ ა. ჩ-ძემ წინასწარი შეთანხმებით პირთა ჯგუფის წევრის - ჯ. ხ-შვილისაგან აიღო ნ. ქ-ძის მიერ ფულის სახით გადაცემული, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამი - 40 000 ლარის ნაწილი - 30 000 ლარი.

ზემოთ მითითებული ბრძანებისა და კონტროლის პალატის მე-4 დეპარტამენტის უფროსის - ა. ჩ-ძის მიერ დამტკიცებული პროგრამის მიხედვით, დაიგეგმა სააქციო საზოგადოება „ქუთაისის წისქვილქარხანაში» თემატური შემოწმების ჩატარება. შემოწმების ჩატარება დაევალა მე-4 დეპარტამენტის მთავარ ინსპექტორებს - კ. ფ-ავას (ჯგუფის ხელმძღვანელი), ჯ. ხ-შვილსა და თ. თ-შვილს.

შემოწმების დაწყებამდე სააქციო საზოგადოება „ქუთაისის წისქვილქარხნის» დირექტორმა ვ. ნ-ძემ სარევიზიო ჯგუფის წევრ ჯ. ხ-შვილს შესთავაზა, უკანონო აქტის შედგენის სანაცვლოდ, ქრთამის მიცემა. ვინაიდან ჯ. ხ-შვილი ნ. ქ-ძის წინადადებას დამოუკიდებლად ვერ შეასრულებდა, იგი დანაშაულებრივად დაუკავშირდა საქართველოს კონტროლის პალატის მე-4 დეპარტამენტის თავმჯდომარეს - ა. ჩ-ძეს და შესთავაზა ქრთამის აღება ფულის სახით ვ. ნ-ძის სასარგებლოდ უკანონო აქტის შედგენის სანაცვლოდ. ა. ჩ-ძე შეთავაზებულ წინადადებას დათანხმდა იმ პირობით, თუ მისთვის და კონტროლის პალატის ხელმძღვანელისათვის ჯ. ხ-შვილი ქრთამის სახით აღებული თანხიდან 75%-ს მას მისცემდა. ა. ჩ-ძესთან მიღწეული შეთანხმების შესახებ ხ-შვილმა აცნობა ვ. ნ-ძეს და სარევიზიო ჯგუფის წევრებს.

საწარმოს 2001 წლის 18 აგვისტოს შემოწმების აქტით და მოგვიანებით - 2003 წლის 23 ივნისის უკანონო დასკვნით, სახელმწიფო ბიუჯეტს უკანონოდ დაეკისრა სააქციო საზოგადოება „ქუთაისის წისქვილქარხნის» სასარგებლოდ 1 131 526 ლარის დაბრუნება.

ა. ჩ-ძემ, როგორც მოხელემ, საჯარო სამსახურის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ, ბოროტად გამოიყენა სამსახურებრივი უფლებამოსილება, თავისთვის და სხვისთვის გამორჩენის მისაღებად დაეთანხმა შემოწმების აქტს და ხელი მოაწერა უკანონო დასკვნას - სახელმწიფო ბიუჯეტისათვის დაკისრებული 1113526 ლარის სააქციო საზოგადოება „ქუთაისის წისქვილქარხნისათვის» დაბრუნების შესახებ, რამაც სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევა გამოიწვია და სახელმწიფო ბიუჯეტმა განიცადა 1131526 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი. აღნიშნული უკანონო ქმედების სანაცვლოდ ა. ჩ-ძემ ჯ. ხ-შვილისაგან აიღო ვ. ნ-ძის მიერ ფულის სახით გადაცემული, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამი - 108 000 ლარის ნაწილი - 75 000 ლარი.

მტკიცებულებათა ერთობლიობით უტყუარად დადასტურდა, რომ ა. ჩ-ძის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების დაკვალიფიცირებისას მას ზედმეტად წარედგინა ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 338-ე მუხლის პირველი ნაწილით, ვინაიდან მათ მთლიანად მოიცავს დასახელებული მუხლების მე-2 და მე-3 ნაწილები. აღნიშნულის გამო მითითებული ნაწილები ამოირიგბა თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 12 აპრილის განაჩენში. სასამართლომ, საბრალდებო დასკვნაში მითითებული ზარალის საერთო ოდენობიდან ამოირიგბა 440500 ლარი.

თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 12 აპრილის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულის ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა - დ. კ-შვილმა და მ. ჯ-შვილმა. კასატორები საკასაციო საჩივრით ითხოვენ თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 12 აპრილის განაჩენის გაუქმებას, სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტასა და ა. ჩ-ძის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენას.

საკასაციო პალატის სხდომაზე მსჯავრდებულ ა. ჩ-ძის ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა - მ. ი-ევმა და დ. კ-შვილმა აღნიშნეს, რომ განაჩენი ა. ჩ-ძის მიმართ არის უკანონო, დაუსაბუთებელი; იგი არ გამოდინარეობს საქმეზე შეკრებილ უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობიდან; განაჩენი გამოტანილია მნიშვნელოვანი სამართლებრივი და საპროცესო დარღვევებით, რასაც შეეძლო, არსებითად



ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, მათ ითხოვეს უკანონო, გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და მსჯავრდებულის გამართლება.

მსჯავრდებულმა ა. ჩ-მემ აღნიშნა, რომ იგი 3 წელი და 11 თვე უკანონო პატიმრობაშია, საქმეზე წინასწარი გამოძიება არ ჩატარებულა და მისთვის არც სასამართლოზე უკითხავთ ქრთამის აღების თაობაზე. იგი თავს არ ცნობს დამნაშავედ და ეთანხმება თავისი ადვოკატების მოთხოვნას.

სახელმწიფო ბრალდების მხარდამჭერმა პროკურორებმა - ი. ი-შვილმა და მ. მ-შვილმა საკასაციო საჩივარს მხარი არ დაუჭირეს. მათ თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 12 აპრილის განაჩენი მიიჩნიეს კანონიერად და მოითხოვეს მისი უცვლელად დატოვება.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და თვლის, რომ მსჯავრდებულ ა. ჩ-მის ინტერესების დამცველი ადვოკატების - დ. კ-შვილისა და მ. ჯ-შვილის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 12 აპრილის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულის სასიკეთოდ, შემდეგი გარემოებების გამო:

პალატა არ იზიარებს მსჯავრდებულ ა. ჩ-მის ინტერესების დამცველი ადვოკატების მოთხოვნას განაჩენის გაუქმებისა და მსჯავრდებულის მიმართ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახებ, უსაფუძვლოდ გამომდინარე.

საქმის მასალებით მსჯავრდებულისათვის ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა დადასტურებულია, მაგრამ, პალატას მიაჩნია, რომ სწორი სამართლებრივი შეფასება არა აქვს მიცემული.

პალატა თვლის, რომ ა. ჩ-მის მსჯავრდება დანაშაულში, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა« ქვეპუნქტით, 338-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ« და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ«, „ე« ქვეპუნქტებით ძირითადად ემყარება ჯ. ხ-შვილის ჩვენებას. საქართველოს სსკ-ის კოდექსის 496-ე მუხლის III ნაწილის თანახმად: „სასამართლოს განაჩენი დასაბუთებულია, თუ მისი დასკვნები ემყარება სასამართლო სხდომაზე განხილულ უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობას და ეს მტკიცებულებები საკმარისია სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად«, ხოლო, იმავე კოდექსის მე-10 მუხლის თანახმად, „ყოველგვარი ეჭვი, რომელიც არ დასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ეჭმიტანილისა და ბრალდებულის სასარგებლოდ«. პალატა მიიჩნევს, რომ აღნიშნული ჩვენება და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებანი უტყუარად ვერ ადასტურებენ იმ გარემოებას, რომ ა. ჩ-მე დანაშაულის ჩადენის დროს მოქმედებდა განზრახ, სხვა პირებთან ერთად წინასწარი შეთანხმებით.

ამასთან, პალატა მიიჩნევს, რომ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული შემდეგი გარემოებები: ა. ჩ-მე, მუშაობდა რა საქართველოს კონტროლის პალატის მე-4 დეპარტამენტის უფროსად, „საჯარო სამსახურის შესახებ« საქართველოს კანონის მე-6 მუხლის თანახმად, წარმოადგენდა სახელმწიფო მოხელეს. მას, როგორც მე-4 დეპარტამენტის უფროსს, „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ« კანონის, სხვა საკანონმდებლო აქტებისა და კონტროლის პალატის რეგლამენტის შესაბამისად, ევალუბოდა განსაზღვრული დარგებისა და ტერიტორიული ნიშნის მიხედვით, კონტროლის პალატის თავმჯდომარის ბრძანებით რევიზია-შემოწმების ჩატარების უზრუნველყოფა, დეპარტამენტის სამუშაო გეგმის პროექტების შედგენა, შესრულების უზრუნველყოფის კონტროლი, საკურატორო დარგის ორგანიზაციათა საქმიანობის შედეგების მიხედვით დარგში მიმდინარე პროცესების გაანალიზება, გასატარებელი ღონისძიებების შესახებ წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავება, რევიზია-შემოწმების პროცესში კონტროლის პალატის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან და საკონტროლო სფეროს დაწესებულებებთან თანამშრომლობა, თავმჯდომარის, კურატორი მოადგილისა და პრეზიდენტის დავალებების შესრულება.

საქმეში არსებული სასამართლო-საბუღალტრო ექსპერტიზის თანახმად სს «ქ. ფოთის წისქვილქარხანას» და სს «ქუთაისის წისქვილს» შემოწმების შედეგად უკანონოდ დაუბრუნდათ გარკვეული თანხები, რითაც სახელმწიფო ბიუჯეტმა განიცადა ზიანი. პალატა თვლის, რომ ა. ჩ-მე, დაეთანხმა რა შემოწმების უკანონო აქტებს და მოაწერა მათ ხელი, არაჯეროვნად შეასრულა თავისი სამსახურებრივი მოვალეობა მისდამი დაუდევარი დამოკიდებულების გამო, რამაც სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების დარღვევა გამოიწვია, რაც გამოიხატა სახელმწიფო ბიუჯეტისადმი ზარალის მიყენებაში.

ამდენად, პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულის სასიკეთოდ და ა. ჩ-მის ქმედება საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა« ქვეპუნქტიდან, 338-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ« ქვეპუნქტიდან და იმავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ«, „ე« ქვეპუნქტებიდან უნდა გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 342-ე მუხლის პირველ ნაწილზე (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია).

სასჯელის განსაზღვრის დროს პალატა ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ ა. ჩ-მე წარსულში ნასამართლევი არ არის, ხასიათდება დადებითად და მიიჩნევს, რომ მას სასჯელის სახედ უნდა განესაზღვროს ჯარიმა, ხოლო საქართველოს სსკ-ის 62-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად,

სასამართლო პატიმრობაში ყოფნის ვადის გათვალისწინებით, ა. ჩ-მე მთლიანად უნდა გათავისუფლდეს დანიშნული სასჯელის მოხდისაგან.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

**და ა ა დ გ ი ნ ა:**

მსჯავრდებულ ა. ჩ-მის ინტერესების დამცველების, ადვოკატების დ. კ-შვილისა და მ. ჯ-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 12 აპრილის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ.

ა. ჩ-მის ქმედება საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტიდან, 338-ე მუხლის მე-2 ნაწილის «გ» ქვეპუნქტიდან და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის «ბ» და «ე» ქვეპუნქტებიდან გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლის პირველ ნაწილზე (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციით).

საქართველოს სსკ-ის 342-ე მუხლის პირველი ნაწილით ა. ჩ-მეს სასჯელად დაენიშნოს ჯარიმა 20 000 ლარის ოდენობით.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 62-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სასამართლო პატიმრობაში ყოფნის ვადის გათვალისწინებით, ა. ჩ-მე მთლიანად გათავისუფლდეს დანიშნული სასჯელის მოხდისაგან.

ა. ჩ-მე დაუყოვნებლივ გათავისუფლდეს პატიმრობიდან.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**4. თვითნებობა**

**განჩინება**

#2149-აპ-07

6 ოქტომბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),**

**ზ. მეთევილი,**

**ლ. მურუსიძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ზესტაფონის რაიონული პროკურატურის პროკურორ ი. კ-მის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 25 ოქტომბრის განაჩენზე მსჯავრდებულების - გ. ტ-მისა და ნ. ტ-მის მიმართ.

**აღწერილობითი ნაწილი:**

ხარაგაულის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 10 ივლისის განაჩენით: გ. ტ-მე ამჟამად პატიმრობაში მყოფი, მსჯავრდებულ იქნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტისა და იმავე კოდექსის 236-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, რის გამოც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტის საფუძველზე - თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით, საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე - თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით, ხოლო საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, აღნიშნული სასჯელები შეიკრიბა და მთლიანობაში მას სასჯელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 8 წლის ვადით; ნ. ტ-მე ამჟამად პატიმრობაში მყოფი, მსჯავრდებულ იქნა საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტის საფუძველზე, რის გამოც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 6 წლის ვადით.

იმავე განაჩენით გ. ტ-მე გამართლდა საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტისა და იმავე კოდექსის 178-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე შერაცხულ ბრალდებაში.

განაჩენის მიხედვით, გ. ტ-მისა და ნ. ტ-მის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

2007 წლის 12 აპრილს ხარაგაულის რაიონის სოფელ ..., ერთ-ერთ მაღაზიასთან, გ. ლ-მე შეხვდა გ. ტ-მესა და მის შვილს - ნ. ტ-მეს. მათ ერთად დაიწყეს არყის სმა, რა დროსაც გ. ტ-მემ

გ. ლ-ძეს გადასცა მობილური ტელეფონი, რომელიც ამ უკანასკნელს ვალის სანაცვლოდ ჰქონდა დატოვებული ტ-ძეებისათვის. გ. ლ-ძე აღარ უბრუნებდა რა თავისივე კუთვნილ «მოტოროლა-139» მოდელის მობილურ ტელეფონს, გ. ტ-ძე და ნ. ტ-ძე თავს დაესხნენ მას და მისი წინააღმდეგობის დაძლევისა და შიშის ქვეშ მოქცევის მიზნით, ნ. ტ-ძემ თანაქონი დანა დაარტყა გ. ლ-ძეს მარჯვენა ფეხში, რითაც მას მიაყენა ჯანმრთელობის მსუბუქი ხარისხის დაზიანება. მამა-შვილმა ტ-ძეებმა სცემეს მას (გ. ლ-ძეს) და გასტაცეს 95 ლარად ღირებული მობილური ტელეფონი.

გ. ტ-ძემ დაუდგენელ დროსა და ვითარებაში მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა საბრძოლო მასალა - ოთხი ცალი 7,62 მმ კალიბრის «კალაშნიკოვის», ერთი ცალი 5,45 მმ კალიბრის «კალაშნიკოვისა» და ერთი ცალი 5,6 მმ კალიბრის შაშხანის ვაზნები, რომლებსაც ის მართლსაწინააღმდეგოდ ინახავდა ხარაგაულის რაიონის სოფელ ... მდებარე, თავისი საცხოვრებელი სახლის პირველ სართულზე, საკუჭნაო ოთახში არსებულ ხის თაროზე, რაც ამოღებულ იქნა 2007 წლის 13 აპრილს ხარაგაულის შინაგან საქმეთა სამმართველოს თანამშრომლების მიერ ჩატარებული ჩხრევის შედეგად.

აპელანტი, სახელმწიფო ბრალმძებელი, ზესტაფონის რაიონული პროკურატურის პროკურორი ი. კ-ძე თავისი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა ხარაგაულის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 10 ივლისის განაჩენში მსჯავრდებულთათვის საუარესო ცვლილების შეტანას, კერძოდ, გასაჩივრებული განაჩენის შეცვლას გ. ტ-ძის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლის პირველი ნაწილითა და ამავე კოდექსის 179-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით გამართლების ნაწილში, ამ ბრალდებითაც გ. ტ-ძის დამნაშავედ ცნობასა და მისთვის დანაშაულთა ერთობლიობით 13 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთის შეფარდებას, ხოლო ნ. ტ-ძის მიმართ სასჯელის გამკაცრებას - მისთვის თავისუფლების აღკვეთის შეფარდებას 8 წლის ვადით.

მსჯავრდებულების - გ. ტ-ძისა და ნ. ტ-ძის ინტერესების დამცველი, ადვოკატი რ. ა-ძე თავისი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა გასაჩივრებული გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებას, მსჯავრდებულთა უდანაშაულოდ ცნობასა და გამართლებას.

სააპელაციო საჩივრები განიხილა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ, რომელმაც, არ დააკმაყოფილა რა აპელანტის მოთხოვნები, 2007 წლის 25 ოქტომბრის განაჩენით უცვლელად დატოვა მსჯავრდებულების - გ. ტ-ძისა და ნ. ტ-ძის მიმართ ხარაგაულის რაიონული სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე ზესტაფონის რაიონული პროკურატურის პროკურორმა ი. კ-ძემ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორი ითხოვს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებასა და მსჯავრდებულთა მიმართ სისხლის სამართლის საქმის დაბრუნებას იმავე სასამართლოში ხელახლა განსახილველად შემდეგი მოტივების საფუძველზე: სასამართლომ მსჯავრდებულ გ. ტ-ძისა და მოწმის წინააღმდეგობრივი ჩვენებების საფუძველზე, სხვა მტკიცებულებების შეფასების გარეშე, უკანონოდ გაამართლა იგი არაერთგზის ყაჩაღობის ჩადენისა და მარცვის თაობაზე წარდგენილ ბრალდებებში. სასამართლომ, ასევე დაუსაბუთებლად, მსჯავრდებულ ნ. ტ-ძეს დაუნიშნა გაუმართლებლად ლმობიერი სასჯელი.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულების - გ. ტ-ძის, ნ. ტ-ძის მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს შემდეგი გარემოებების გამო:

საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ გ. ტ-ძისა და ნ. ტ-ძის ბრალდების საქმის განხილვისას არ დაიცვა საქმის ფაქტობრივი გარემოებების ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად გამოკვლევის თაობაზე საქართველოს სსსკ-ის მე-18 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნები, აგრეთვე, სსსკ-ის მე-19 მუხლით დადგენილი მოთხოვნები, რამაც განაპირობა განაჩენში წინააღმდეგობრივი დასკვნებისა და სამართლებრივი შეფასებების გაკეთება. მხედველობაშია შემდეგი გარემოებები: სააპელაციო სასამართლომ, მართალია, ბრალდების პირველ ეპიზოდთან დაკავშირებით, რომელიც მარცვას შეეხებოდა, სწორად მიუთითა, რომ მსჯავრდებულ გ. ტ-ძეს რეალურად მარცვა არ ჩაუდენია, მისი ქმედება კი განპირობებული იყო მასა და დაზარალებულს შორის არსებული სადავო ვალდებულებითი ურთიერთობებით, მაგრამ, ამავე დროს, ყოველმხრივ და სრულად არ გამოიკვლია - გ. ტ-ძის მიერ ფაქტობრივად ჩადენილი ქმედება ხომ არ წარმოადგენდა თვითნებობას, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 360-ე მუხლის პირველი ნაწილით. ამის თაობაზე სააპელაციო სასამართლო განაჩენში აღნიშნავს, რომ არ არსებობს თვითნებობის შემადგენლობის ისეთი აუცილებელი ნიშანი, როგორცაა მნიშვნელოვანი ზიანი, ეყრდნობა რა მხოლოდ იმ არგუმენტს, რომ დაზარალებულს არსად არ განუცხადებია მისთვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების თაობაზე. საკასაციო პალატა ასეთ დასკვნას ვერ მიიჩნევს საფუძვლიანად და დასაბუთებულად, რადგან არც პირველი ინსტანციის სასამართლოში და არც სააპელაციო სასამართლოში არ გამოკვლეულა აღნიშნული საკითხი. ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ოცდამეხუთე თავით გათვალისწინებული საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებისგან განსხვავებით, სადაც ქმედებით გამოწვეული ზიანის მნიშვნელობა საკანონმდებლო გზითაა განსაზღვრული, თვითნებობის შემთხვევაში საკითხი - მნიშვნელოვანია თუ არა ქმედებით გამოწვეული ზიანი - განისაზღვრება

ინდივიდუალურად, კონკრეტული ფაქტის გარემოებების საფუძველზე და იგი სასამართლოს შეფასების საგანია, მაგრამ ასეთი შეფასება არ შეიძლება გაკეთდეს სასამართლო გამოძიებისას საკითხის საფუძველზე.

გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას არ ყოფილა გამოკვლეული და დადგენილი - მსჯავრდებულებსა და დაზარალებულს შორის მომხდარი კონფლიქტის იმ შემთხვევისას, რომელიც სააპელაციო სასამართლოს განაჩენით ყაჩაღობად იქნა დაკვალიფიცირებული, კვლავ არსებობდა თუ არა მათ შორის რაიმე სადავო ვალდებულებითი ურთიერთობა. ეს საკითხი არსებითი და მნიშვნელოვანია, ვინაიდან საქმის მასალები გარკვეულად ადასტურებს, რომ არ არის გამორიცხული, ბრალდების მეორე ეპიზოდთან დაკავშირებით, მსჯავრდებულთა მოქმედება განპირობებული ყოფილიყო ისეთი მოტივებით, რომლებიც სრულიად არ შეესაბამება ყაჩაღობის სუბიექტური მხარისათვის დამახასიათებელ მოტივაციურ სფეროს. ასეთ შესაძლებლობას არ გამორიცხავს თვით დაზარალებულის მიერ სასამართლოში მიცემული ჩვენებაც კი. უფრო მეტიც, ყაჩაღობის ეპიზოდთან დაკავშირებით, სააპელაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ კონფლიქტის წინ გ. ტ-მემ დაზარალებულ ლ-მეს გადასცა მობილური ტელეფონი, რომელიც ამ უკანასკნელს ვალის სანაცვლოდ ჰქონდა დატოვებული ტ-მეებისათვის.

ამრიგად, სააპელაციო სასამართლოს განაჩენის წინააღმდეგობრივი ხასიათი იმაში მდგომარეობს, რომ ერთი და იმავე პირობებისა და გარემოებების არსებობისას სასამართლომ გამოიტანა ურთიერთსაწინააღმდეგო დასკვნები: პირველ ეპიზოდში - ძარცვის არარსებობის, ხოლო მეორე ეპიზოდში - ყაჩაღობის არსებობის შესახებ, ისე, რომ სასამართლოს არ გაურკვევია ყაჩაღობის ჩადენამდე დაზარალებულს ჰქონდა თუ არა დაბრუნებული ვალი მსჯავრდებულ გ. ტ-მისათვის, ვინაიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა, ეს იყოს არა ყაჩაღობა, არამედ - თვითნებობა, ჩადენილი ძალადობით, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 360-ე მუხლის მე-2 ნაწილით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემულ ეტაპზე საკასაციო პალატა ვერ დაეთანხმება ბრალდების მხარის მიერ საკასაციო საჩივარში გაკეთებულ დასკვნას იმის თაობაზე, რომ მსჯავრდებულ გ. ტ-მეს ჩადენილი აქვს ძარცვა და შესაბამისად ამისა, ყაჩაღობა არაერთგზის, თუმცა, გასარკვევი და დასადგენია გ. ტ-მეს პირველ და მეორე ეპიზოდებში ხომ არა აქვს ჩადენილი ისეთი დანაშაული, როგორცაა თვითნებობა, რისთვისაც აუცილებელია ჩატარდეს სრულფასოვანი სასამართლო გამოძიება. აღნიშნული გარემოებების გამო საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს მხოლოდ ნაწილობრივ - გასაჩივრებული განაჩენის გაუქმების მოთხოვნის ნაწილში.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას დაშვებულია საქართველოს სსკ-ის 562-ე მუხლის «ა» ქვეპუნქტითა და 563-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული არსებითი საპროცესო დარღვევა, რამაც გავლენა იქონია საქმის შედეგზე და რის გამოც ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 25 ოქტომბრის განაჩენი უნდა გაუქმდეს, ხოლო სისხლის სამართლის საქმე მსჯავრდებულების - გ. ტ-მისა და ნ. ტ-მის მიმართ დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად.

სააპელაციო სასამართლოში საქმის ხელახლა განხილვისას უნდა გაირკვეს ყველა ზემოაღნიშნული გარემოება, რისთვისაც დეტალურად და საფუძვლიანად უნდა დაიკითხონ როგორც მსჯავრდებულები, ასევე - დაზარალებული და ის მოწმეები, რომელთა ჩვენებებს ექნება არსებითი მნიშვნელობა იმის გადასაწყვეტად, მსჯავრდებულებმა ჩაიდინეს თუ არა რაიმე დანაშაული, ხოლო თუ ჩაიდინეს, კონკრეტულად - რომელი დანაშაული, რა დროსაც საპროცესო კოდექსით დადგენილი მოთხოვნების დაცვით მოპოვებული სარწმუნო მტკიცებულებებისა და ამ უკანასკნელთა ობიექტური სამართლებრივი შეფასების საფუძველზე გამოტანილ უნდა იქნეს კანონიერი და დასაბუთებული განაჩენი მსჯავრდებულების - გ. ტ-მისა და ნ. ტ-მის ბრალეულობისა თუ უდანაშაულობის თაობაზე.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

#### **და ა ა დ გ ი ნ ა :**

ზესტაფონის რაიონული პროკურატურის პროკურორ ი. კ-მის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 25 ოქტომბრის განაჩენი გ. ტ-მისა და ნ. ტ-მის მსჯავრდების თაობაზე, ხოლო სისხლის სამართლის საქმე მათ მიმართ გადაეგზავნოს იმავე სასამართლოს ახალი განხილვისათვის.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## 5. დანაშაული სასამართლო აქტების აღსრულების წინააღმდეგ

### სასჯელაღსრულების დაწესებულებაში აკრძალული ნივთის ტარება

#### განჩინება

#1895-აპ

6 მაისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),  
მ. ოშარელი,  
დ. სულაქველიძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ა. ფ-ურისა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ დ. მ-ძის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 23 ივლისის განაჩენზე.

#### აღწერილობითი ნაწილი:

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 23 მაისის განაჩენით ა. ფ-ური ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 378<sup>2</sup>-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და ამავე მუხლის მე-2 ნაწილის „ა» ქვეპუნქტით იმაში, რომ მოთავსებული იყო რა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, არაერთგზის შეიძინა, ატარებდა და სარგებლობდა აკრძალული საგნით, რაც გამოიხატა შემდეგში:

ა. ფ-ური სასჯელს იხდიდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის გეგუთის #8-ე საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში. მან დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, დაუდგენელი პირისაგან მიიღო აკრძალული საგანი - თანხა - 10 ლარი, რომელსაც ინახავდა საკუთარი, შავი სპორტული შარვლის სათავეში.

2006 წლის 7 დეკემბერს ა. ფ-ური გადაიყვანეს ქუთაისის #2-ე საპრობილისა და მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში, სადაც შეიტანა ზემოხსენებული აკრძალული საგანი. იმავე დღეს დაწესებულების თანამშრომლების მიერ სამორიგეო ნაწილში მისი სრული შემოწმება-დათვალიერებისას შავი სპორტული შარვლის სათავიდან, რომელიც მას ტანთ ეცვა, ამოიღეს 10 ლარი.

2007 წლის 5 მარტს, დაახლოებით 21 საათზე, იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დაწესებულების ქუთაისის #2-ე საპრობილისა და მკაცრი რეჟიმის დაწესებულების კორპუსის უფროსმა ლ. ქ-მემ შენიშნა, რომ მსჯავრდებულ ა. ფ-ურს ხელში ეჭირა აკრძალული საგანი - თვითნაკეთი, ლითონის ბასრი ზედაპირის მქონე ნაჭერი, რაც მას ჩამოართვა.

აღნიშნული ქმედებისათვის ა. ფ-ურს სსკ-ის 378<sup>2</sup>-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიესაჯა 6 თვით, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის „ა» ქვეპუნქტით - 2 წლით თავისუფლების აღკვეთა; სასჯელთა შეკრებით ა. ფ-ურს განესაზღვრა 2 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რასაც მთლიანად დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 5 წელი და 4 თვე და საბოლოოდ განესაზღვრა 7 წლითა და 10 თვით თავისუფლების აღკვეთა. მსჯავრდებულს სასჯელის ათვლა დაეწყო 2007 წლის 23 მაისიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ა. ფ-ურმა. მან ითხოვა გასაჩივრებული განაჩენის გაუქმება და გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 23 ივლისის განაჩენით ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 23 მაისის განაჩენი ა. ფ-ურის მიმართ დარჩა უცვლელად.

კასატორი - მსჯავრდებული ა. ფ-ური საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული განაჩენით უგულვებლყოფილია მოქმედი კანონმდებლობა და საქმეზე მოპოვებული მთელი რიგი მტკიცებულებები, რის გამოც ის უკანონოა და დაუსაბუთებელი; როგორც დადგენილია, მან 10-ლარიანი კუპიურა მიიღო დაუდგენელ დროსა და ვითარებაში დაუდგენელი პირისაგან; ასეთი ქმედება დასჯადი გახდა 2006 წლის 28 აპრილს მიღებული ცვლილებების შემდეგ; აღნიშნული კუპიურა კი მსჯავრდებულმა მიიღო კანონის მიღებამდე რამდენიმე წლით ადრე; მას რომ არ დავიწყებოდა ამ ფულის არსებობა, ერთი დაწესებულებიდან მეორეში გადაყვანისას აუცილებლად გაანადგურებდა; სსკ-ის მე-3 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, კანონს, რომელიც აწესებს ქმედების დანაშაულებრიობას, უკუძალა არა აქვს, ამიტომ დანაშაულის შემადგენლობისათვის აუცილებელი სუბიექტური მხარე არ არსებობს, ე.ი. ა. ფ-ურს აღნიშნული დანაშაული არ ჩაუდენია და მისი დასჯა კანონის უხეში დარღვევაა.

რაც შეეხება მეორე ეპიზოდს, კასატორი განმარტავს, რომ ა. ფ-ურის საკანში გადაიწვა ნათურა, რომლის გამოცვლის დროსაც ნათურის სამაგრიდან ჩამოვარდა ალუმინის მცირე ზომის ნაჭერი, რომელიც მსჯავრდებულმა ჩააბარა იმ მომენტში საკანში შესულ ლ. ქ-მეს, რასაც ადასტურებენ საკანში მყოფი პირები; ბრალდების მხარის მტკიცება, რომ ეს ნივთი ეკუთვნოდა ა. ფ-ურს, არ

გამომდინარეობს საქმის მასალებიდან, არ დასტურდება მის მიერ ამ საგნის შენახვა, ტარება და სარგებლობა, ამიტომ განაჩენი ამ ეპიზოდშიც დაუსაბუთებელი და უკანონოა.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, კასატორს მიაჩნია, რომ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი სამართლებრივი და საპროცესო დარღვევებით, არასწორადაა შეფასებული მტკიცებულებები და ითხოვს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 23 ივლისის განაჩენის გაუქმებას და ა. ფ-ურის მიმართ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გაანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა აღნიშნავს, რომ საქმეში არსებული მასალებით, მათ შორის, ამოღების ოქმებით, თავად მსჯავრდებულის ჩვენებებით, მათი ურთიერთშეჯერებითა და გაანალიზებით უდავოდ დადასტურებულია და ეჭვს არ იწვევს, რომ ა. ფ-ურმა ჩაიდინა მისთვის ბრალად შერაცხული ქმედება. გასაჩივრებული განაჩენი დასაბუთებულია, ხოლო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნები არსებითად არ დარღვეულა.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სსკ-ის 378<sup>2</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილი მოიცავს წინას და პირის ქმედების აღნიშნული მუხლის ორივე ნაწილით დაკვალიფიცირება, მით უფრო, ცალ-ცალკე სასჯელთა დანიშვნა და მათი შეკრება, არასწორია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გასაჩივრებული განაჩენიდან უნდა ამოირიცხოს სსკ-ის 378<sup>2</sup>-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული მსჯავრი, ასევე, მითითება სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ელ ნაწილზე. შესაბამისად, ა. ფ-ურს უნდა შეუმსუბუქდეს სასჯელი.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

### **და ა ა დ გ ი ნ ა :**

მსჯავრდებულ ა. ფ-ურისა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ დ. მ-მის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს უსაფუძვლობის გამო.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 23 ივლისის განაჩენიდან ა. ფ-ურის მიმართ ამოირიცხოს სსკ-ის 378<sup>2</sup>-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული მსჯავრი და მითითება ამავე კოდექსის 59-ე მუხლის 1-ელ ნაწილზე.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად და საბოლოოდ ა. ფ-ურს განესაზღვროს 7 წლითა და 4 თვით თავისუფლების აღკვეთა.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **სასჯელადსრულების დაწესებულების საქმიანობისათვის ხელის შეშლა**

### **განჩინება**

#2065-აპ

8 ივლისი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**მ. ოშარელი (თავმჯდომარე),**

**დ. სულაქველიძე,**

**ი. ტყემელაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულების - კ. კ-მისა და მ. ნ-უას ინტერესების დამცველის, ადვოკატ ა. ჩ-მის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 2 ოქტომბრის განაჩენზე.

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 17 ივლისის განაჩენით:

კ. კ-მე, ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 378-ე მუხლის პირველი, მეხუთე ნაწილებით და მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე დანიშნულ სასჯელს დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 3 წელი, 9 თვე, 24 დღე და საბოლოოდ კ. კ-მეს სასჯელის ზომად განესაზღვრა 13 წლით, 9 თვითა და 24 დღით თავისუფლების აღკვეთა.

მ. ნ-უა, ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 378-ე მუხლის პირველი, მეხუთე ნაწილებით და მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე დანიშნულ სასჯელს დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 3 წელი, 6 თვე, 26 დღე და საბოლოოდ მ. ნ-უას სასჯელის ზომად განესაზღვრა 13 წლით, 6 თვითა და 26 დღით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულების - კ. კ-ძისა და მ. ნ-უას მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

კ. კ-ძე 2004 წლის 8 მაისს გაასამართლა ქუთაისის საოლქო სასამართლომ, ხოლო მ. ნ-უა 2002 წლის 30 დეკემბერს გაასამართლა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ, ისინი სასჯელს იხდიდნენ გეგუთის #8 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში. მითითებული მსჯავრდებულები სისტემატურად არღვევდნენ რა სარეჟიმო მოთხოვნებს, 2006 წლის 7 დეკემბერს ისინი გეგუთის #8 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულებიდან ეტაპირებულ იქნენ ქუთაისის #2 საპრობილესა და მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში სხვა პატიმრებთან ერთად. ეტაპირებისას საბადრაგო ავტომანქანაში კ. კ-ძე და მ. ნ-უა აგინებდნენ ბადრაგის წევრებს და იმავდროულად ფეხებს ურტყამდნენ ავტომანქანის შიდა ცხაურს. სამორიგეო ნაწილში მიყვანის შემდეგ ოპერატიულმა მორიგემ მ. რ-ძემ დაიწყო ეტაპირებულ პატიმართა სიის მიხედვით გადამოწმება. განაწყენებულმა მ. ნ-უამ და კ. კ-ძემ დაიწყეს გინება საპრობილის დაწესებულების თანამშრომლების მისამართით. მიუხედავად საპრობილის დაწესებულების თანამშრომლების - ლ. მ-იასა და გ. ხ-ძის მოთხოვნისა, დაეცვათ ქვევის წესები და დამორჩილებოდნენ სასჯელაღსრულების დაწესებულების სარეჟიმო მოთხოვნებს, კ. კ-ძემ სარეჟიმო განყოფილების ინსპექტორ ლ. მ-იას ფეხი ჩაარტყა მუცლის არეში და ხელი გაარტყა მის გვერდით მდგომ სარეჟიმო განყოფილების ინსპექტორ გ. ლ-ძეს. აღნიშნული დაინახა რა მსჯავრდებულმა მ. ნ-უამ, მანაც საპრობილის თანამშრომლებს დაუწყო გინება და იმავდროულად სარეჟიმო განყოფილების ინსპექტორ გ. ხ-ძეს ჩაარტყა ფეხი მუცელში. მ. ნ-უასა და კ. კ-ძის დანაშაულებრივი ქმედება გრძელდებოდა დაახლოებით 30 წუთს. საბოლოოდ საპრობილის თანამშრომლებმა კ. კ-ძე და მ. ნ-უა სამორიგეო ნაწილის დროებითი განთავსების საკანში მოათავსეს ცალ-ცალკე, საიდანაც ისინი კვლავ განაგრძობდნენ გინებასა და მუქარას სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომელთა მიმართ.

აღნიშნული განაჩენი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 2 ოქტომბრის განაჩენით დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებულების - კ. კ-ძისა და მ. ნ-უას ინტერესების დამცველი, ადვოკატი ა. რ-ძე საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და მსჯავრდებულების მიმართ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას იმ მოტივით, რომ განაჩენი არის უკანონო, გამოტანილია არასრული და ცალმხრივი სასამართლო განხილვის შედეგად, ხოლო მასში ჩამოყალიბებული სასამართლო დასკვნები, ასევე მოტივაცია შეუსაბამო და უსაფუძვლოა საქმეში არსებულ მტკიცებულებებთან; გასაჩივრებული განაჩენით მსჯავრდებულებს - კ. კ-ძესა და მ. ნ-უას მსჯავრი დაედოთ საქართველოს სსკ-ის 378-ე მუხლის პირველი და მეხუთე ნაწილებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის, მაშინ, როდესაც განაჩენში აღწერილი ქმედება შეესაბამება ამავე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებას, ხოლო ამავე მუხლის მესამე და მეოთხე ნაწილებით გათვალისწინებული ქმედებები მათ ბრალად არ ჰქონდათ წარდგენილი, რაც გამორიცხავდა ამავე მუხლის მეხუთე ნაწილს.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატას საქმეზე შეკრებილი მასალებიდან გამომდინარე, კერძოდ: დაზარალებულების - გ. ლ-ძის, გ. ხ-ძის, ლ. მ-იას ჩვენებებით, მოწმეების - მ. თ-შვილის, ო. ტ-ძის, ხ. ფ-ავას, ლ. ს-ძის, მ. რ-ძის ჩვენებებითა და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებით დადასტურებულად მიაჩნია მსჯავრდებულების - კ. კ-ძისა და მ. ნ-უას მიერ საქართველოს სსკ-ის 378-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედების ჩადენა (სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომლის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა და ამ დაწესებულების საქმიანობისათვის ხელის შეშლა).

რაც შეეხება მსჯავრდების იმ ეპიზოდს, რომ კ. კ-ძემ და მ. ნ-უამ ჩადინეს საქართველოს სსკ-ის 378-ე მუხლის მეხუთე ნაწილით გათვალისწინებული ქმედება (სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაციაზე თავდასხმა, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდებული პირის მიერ), საკასაციო პალატა თვლის, რომ მსჯავრდებულების მიმართ ამ მუხლით გათვალისწინებული მსჯავრდების ეპიზოდში საქმეზე არ არის შეკრებილი საკმარისი მტკიცებულებები მათი ბრალდების დასადასტურებლად. მხოლოდ დაზარალებულების - გ. ლ-ძის, გ. ხ-ძის, ლ. მ-იას ჩვენებები, რომ მსჯავრდებულებმა განახორციელეს ფიზიკური ძალადობა, რაც არ დასტურდება საქმეში წარმოდგენილი სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზების დასკვნით, არ არის საკმარისი მ. კ-ძისა და მ. ნ-უას ბრალეულობის დასადასტურებლად ამ ეპიზოდში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ კ. კ-ძესა და მ. ნ-უას უნდა მოეხსნათ საქართველოს სსკ-ის 378-ე მუხლის მეხუთე ნაწილით წარდგენილი ბრალდება და ამ ნაწილში მათ მიმართ უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა.

მსჯავრდებულ კ. კ-ძეს საქართველოს სსკ-ის 378-ე მუხლის პირველი ნაწილით უნდა მიესაჯოს 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რასაც უნდა დაემატოს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 3 წელი, 9 თვე, 24 დღე და საბოლოოდ კ. კ-ძეს სასჯელის ზომად უნდა განესაზღვროს 6 წლით, 9 თვითა და 24 დღით თავისუფლების აღკვეთა.

მსჯავრდებულ მ. ნ-უას საქართველოს სსკ-ის 378-ე მუხლის პირველი ნაწილით უნდა მიესაჯოს 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რასაც უნდა დაემატოს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 3 წელი, 6 თვე, 26 დღე და საბოლოოდ მ. ნ-უას სასჯელის ზომად უნდა განესაზღვროს 6 წლით, 6 თვითა და 26 დღით თავისუფლების აღკვეთა.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 2 ოქტომბრის განაჩენში შევიდეს ცვლილება, კერძოდ:

მსჯავრდებულებს - კ. კ-ძესა და მ. ნ-უას მოეხსნათ საქართველოს სსკ-ის 378-ე მუხლის მეხუთე ნაწილით წარდგენილი ბრალდება და ამ ნაწილში მათ მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა.

მსჯავრდებულ კ. კ-ძეს საქართველოს სსკ-ის 378-ე მუხლის პირველი ნაწილით მიესაჯოს 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რასაც დაემატოს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 3 წელი, 9 თვე, 24 დღე და საბოლოოდ კ. კ-ძეს სასჯელის ზომად განესაზღვროს 6 წლით, 9 თვითა და 24 დღით თავისუფლების აღკვეთა.

მსჯავრდებულ მ. ნ-უას საქართველოს სსკ-ის 378-ე მუხლის პირველი ნაწილით მიესაჯოს 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რასაც დაემატოს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 3 წელი, 6 თვე, 26 დღე და საბოლოოდ მ. ნ-უას სასჯელის ზომად განესაზღვროს 6 წლით, 6 თვითა და 26 დღით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.